კვირის პალიტრა

ფეხი

N37 (431) 11/ 0/IX.2008 ფასი 80 თეთრი

სარკოზისა და მედვედევის ვაჭრობის საგანი...



პაატა გულიაშვილისა და ია სუხიტაშვილის „ბედნიერება“

რამ დააკავშირა ისინი

„შავგვრემანი ქალები მომწონს, ქერები უინტერესონი არიან“...

ჯარისკაცის წინათგრძნობა და სამი თვით ადრე დაწერილი ანდერძი

ჩიტების მესაიდუმლე, სოხუმიდან დევნილი: „ჭუბერის ჯოჯოხეთი გალიით ხელში გამოვიარე...“

თამაზ კვაჭანტირაძის „აღსარება“

თანამედროვე სამყაროს 6 გამოცანა

ISSN 1987 - 502

იტალ - დეკორი

კანდელაკის ქ. 65 ტელ: 381240 : 384433



დეკორატიული საღებავები
და გათქაშები იტალიიდან

Decor DIVISION OIKOS

Paint DIVISION OIKOS

Façade DIVISION OIKOS

OIKOS

№37 (431)
11 - 17 სექტემბერი, 2008 წ.
ფასი 80 თეთრი

■ მინიატიურები
ავიარეისი პარიზი-მოსკოვი-თბილისი ანუ ხელშეკრულება ხელშეკრულების შესახებ 5
■ ფაქტი და კომენტარი
„იმედი მაქვს, „კისერს მოუგრეხენ"... 6
■ დაბრუნება
„ხშირად მაჩერებდნენ ქუჩაში და მეკითხებოდნენ, როდის გავიდოდით ეთერში" 8
■ უცხო თვალით
„ასეთია, რუსეთის მთავარი ლიდერის, ვლადიმირ პუტინის ვიწრო მსოფლმხედველობა" 10
■ სულის სიმტკიცე
„ხენდ ე ხოს!", ბიუსტჰალტერებში გადამალული განძი და ოკუპანტების მიერ დაკავებული საიდუმლო სამხედრო ბაზა 12
■ ჟურნალისტის როლში
ია, პაატა და „ბედნიერება" 14
■ ექსპერტი
სარკოზისა და მედვედევის ვაჭრობის საგანი 16
■ ეკოსიდი
ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის აღდგენას რამდენიმე ათეული ნელი დასჭირდება 17
■ ტკივილი
„მხოლოდ დროებით თავშესაფარსა და ელემენტარულ პირობებს ვითხოვთ"... 18
■ შოუბიზნესი
„ქართული პანკის ვაჟა-ფშაველა" 19
■ გემოვნება
ფოტოგრაფის თვალით დანახული ყველაზე გემოვნებიანი ქალები 20
■ ერუდიტი
თამაზ კვაჭანტირაძის „აღსარება" 22

თამაზ კვაჭანტირაძის „აღსარება"

„უზარმაზარ ტექსტებს ზეპირად ვიმახსოვრებ (როდესაც ტელელექციები მიმყავდა, „შარგალკას" არასოდეს ვიყენებდი), ძალიან კარგად მახსოვს ლიტერატურული ფაქტები, მაგრამ ჩემს გეოგრაფიულ-სივრცით ორიენტაციაზე ყოველთვის ანეკდოტები დადიოდა".

22

სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება

„პირველად სკოლის კარი 1988 წელს შევაღე. თბილისის 160-ე სკოლაში შემიყვანეს. მახსოვს, ბავშვებს ძალიან დიდი ჩანთები გვეჭირა, აუცილებლად უნდა გვცმოდა მოკლე შარვალი, ანუ შორტი, გოგონებს კი ბაფთები ეკეთათ".

30

სიზარმაცის შედეგი

ფოტოკვირეები

ძუნწი ადამიანი ამბობს, ხოლოლი — ხამუკეს, დოყლაპია — ცხოვრების ბოლომდე.

მობილი-ზაცია

35

დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

— ცუდადაა საქმე, ძალიან ცუდად, — თავი ჩაღუნა გუელმომ, — კარანაუსელთა ბელადმა ჰასანი სელჩუკთა მსტოვრად მიიჩნია და დაატყვევა.

— როგორ თუ დაატყვევა?! — ახმაურდნენ ჰასანის ღულამები. — როდემდე ეყოლება ტყვედ?!

— მამარმა თქვა, რომ საკადრისად დასჯის, მაგრამ თუ რას ითვალისწინებს ეს სასჯელი, არაფერი უთქვამს, — განაგრძო გუელმომ.

78

■ „შენ სისხლო ჩემო...“
„თუ რამე დამემართა, შვილი ისე გამიზარდე, როგორც ნამდვილ ქართველს შეეფერება“ 24

■ თინეიჯერული პონტები
✓ დატყვევებული გოგონას ტრაგედია და ადამიანი, რომელსაც აღდგენილი თვალისჩინი არაფრად უღირს 26
✓ „ამ ომის დაწყებას დედაჩემს აბრალებენ“... 27

■ ანტიდეპრესანტი 30

■ თემა
პირველი მასწავლებელი, პირველი შატალო, პირველი ორიანი... 30

■ ჯანმრთელობა
საზამთროს სამკურნალო თვისებები 33

■ ეურნალი ეურნალში
✓ ცხოვრება 35
✓ გზავნილები 51

■ მესაიდუმლე
„ხალხს გიჟი ვეგონე — სოხუმიდან ოქრო და ბრილიანტი მოჰქონდათ, მე კი...“ 67

■ რომანი
სვეტა კვარაცხელია.
მორიელის ნიშანი (გაგრძელება) 70

■ ტაიმ-აუტი 74

■ საკითხავი ქალებისთვის
✓ როგორ მოვუაროთ მშრალ და ცხიმიან თმას 76
✓ რას სვამენ ნამდვილი მამაკაცები 76

■ ისტორიული რომანი
გოჩა მანველიძე. დიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი (გაგრძელება) 78

■ ეკრანს მიღმა
„მშვიდობით, იარაღო!“ — „ზაფხულის კინოსკოლა“ მუშაობას განაგრძობს 82

■ ვარსკვლავები 83

■ წმინდანები
უსჯულო ფიცის სანაცვლოდ მოკვეთილი პატიოსანი თავი, რომელიც ერთხანს საქართველოს მინაშიც იმყოფებოდა... 87

■ განსაცდელი
ქართველი ტყვეები ცხინვალის ციხეში 89

■ კრიმინალი
სისხლიანი გარჩევა ბზობის წმინდა დღესასწაულზე 91

■ ავტო 95

■ სპანეორდი 96

■ ტესტი 97

■ პროგნოზი 98

გარეკანზე: ირმა ლიპარტელიანის კოლაჟი

საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი „გზა“
გამოდის კვირაში ერთხელ, ხუთშაბათობით
გაზეთ „კვირის პალიტრის“ დამატება
ჟურნალი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპებით.
რედაქციის აზრი შესაძლოა არ ემთხვეოდეს მასალის ავტორის აზრს.
მთავარი რედაქტორი: ზურაბ აბაშიძე
მთ. რედაქტორის მოადგილეები: ლალი ფაცია, ლიკა ქაჯაია
მენეჯერი: მათე კბილაძე

მისამართი: თბილისი, იოსებიძის ქ. №49
ტელ: 38-84-44, ფაქსი: 38-08-63. email: gza.fantazia@gmail.com

რეკლამა „გზაში“: 37-78-07; 38-78-70.

„შვილი ისე გამიზარდე, როგორც ნამდვილ ქართველს შეეფერება“



„ჩემი მეულლე გმირულად დაილუპა. ის „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში ოდა, ცხინვალიდან დაჭრილები გადმოჰყავდა. დაჭრილების საშველად რომ მიდიოდა, უკან თურმე ჩვენი ჯარისკაცებისთვის, ტყვიაწამლით დატვირთული მანქანა მიჰყვებოდა. მოულოდნელად, ეს მანქანა აფეთქებულა“.

24

„ქართული პანკის ვაჟა-ფშაველა“



„ის ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. თითქმის 20 წელია, უკრავს და მღერის. შემიძლია ვთქვა, რომ „რობი ქართული პანკის ვაჟა-ფშაველაა“ ანუ ქართული პანკის კლასიკოსი...“

19

სოხუმიდან ოქრო და ბრილიანტი მოჰქონდათ, მე კი ბალიით ხელში მოვდიოდი“

„კაი ტიპები — არაკორუმპირებულები, ნარკოტიკებისგან შორს არიან. თუმცა, ამავე დროს, ნარკოტიკებზე „სხედან“: ყველა ჩემი ფრინველი კაიფშია — მათთვის აუცილებელია კანაფისა და ყაყაჩოს მარცვლების ჭამა“.

67

მორიელის ნიშანი

თაკომ დაიკვნესა... მამაკაცმა კვლავ შეუშვა ხელი, ადგა და გარეთ გავიდა. ვიდეოკამერები უნდა შეემოწმებინა. რა თქმა უნდა, ესე იგი გამიზნულად არ იქცეოდა, უბრალოდ, არ შეეძლო მიეტოვებინა პოსტი. ეს ღამე მნიშვნელოვანი იყო, გადამწყვეტი. პოლიციამ, როგორც იქნა, მიაგნო ბოროტმოქმედების კვალს და სანამ ოპერაცია არ დამთავრდებოდა, მოდუნების უფლება არ ჰქონდა. თუმცა ეს ყველაფერი, ირაკლისგან დამოუკიდებლად, თავისთავად თამაშს ემსგავსებოდა და მამაკაცს ახარებდა ეს თამაში.

70

ევროპელი ჰარიზი-მოსკოვი-თბილისი

ანუ ხელშეკრულება ხელშეკრულების შესახებ

ყველაფრს რომ თავი დავანებოთ, ეს კაცი მეცოდება! რა დღეში ჩავაგდეთ?! პრინციპში, ჩვენ რა ჩავაგდეთ, თვითონ ჩაიგდო, „მაპზე" უარი რომ გვითხრა. ახალი მოყვანილი ჰყავს ცოლი და სააკაშვილი და მედვედევი უფრო მეტჯერ ჰყავს ნანახი, ვიდრე საკუთარი მეუღლე! ხომ გაგიგონიათ, დაბრუნება და შინ მოსვლა, ვისაც კარგი ცოლი ჰყავსო — ცოლი ჩვენს ნიკოლას რომ ჰყავს, ისეთი უნდა, მოდელი და ტოპმოდელი, მაგრამ რა?! სახლში უზის და ეს კიდევ, ხავიერ სოლანასთან ერთად დაფრინავს „საქორწინო მოგზაურობაში" და ხან თბილისშია, ხანაც — მოსკოვში.



ასეა, რუსეთის გადამკიდე, ჩვენც ცუდ დღეში ვართ და მთელი ევროპა-ამერიკაც. რუსეთს დალაგებული წინა პრეზიდენტი ჰყავდა თუ წინის წინა, ახლანდელი რომ ჰყავდეს, მაგრამ ეს ვინ ყოფილა?! დაარიხინებს მოპარული უნიტაზივით ამხელა თავს და გრამი ტვინი არ აქვს, უნიტაზის პრინციპი კიდევ, მოგეხსენებათ — რასაც ჩასძახებ, იმას ამოგძახებს და პუტინის ჩაძახებულზე დადის მთელი მსოფლიო.

ილიკო ჩიგოგიძისა არ იყოს, კრემლის პოლიტიკა არ მომწონს ამ ბოლო დროს. მოაწერეს ხელი ექვსპუნქტიან დოკუმენტს და არ შეასრულეს, — ცუდად იყო ნათარგმნიო. თქვე შობელძაღლებო, 50 ფილმს და სერიალს თარგმნით დღეში და ამხელა ქვეყანაში ერთი განათლებული კაცი თუ ვერ იპოვეთ, სარკოზის დაწერილი მედვედევისთვის რომ ეთარგმნა?! ნეტავ, გაზი რომელ ენაზე მიჰყიდეთ?!



მოკლედ, მოაწერა მედვედევმა ხელი ჯარის გაყვანას და გაყვანის ნაცვლად იმხელა სანგრები ამოთხარა ფოთსა და საჩხერეში, მიწის ხამიც რომ არ იკადრებს, ეგ მიწა დავაყარე მაგას!.. რა მიწა უნდა ამდენი, ლობიოს მარცვალივით, ქოთანში ჩაეტევა სულ. მერე, რუსული თვითმფრინავები ისევ შემონავარდნენ ქართულ საჰაერო სივრცეში და ამასაც ალბათ იმით ახსნიან — მწყერი მოფრინავს თბილ ქვეყნებში „ჩერეზ" საქართველოო... ის მწყერი იქნება, მონადირებულს რომ მოგიგდებთ კვადროციკლიანი ჯარისკაცი და ნახავთ მერე.

ამერიკას გემი რატომ შემოჰყავსო — და გაავსო შავი ზღვა წყალქვეშა ხომალდებით. ფოთიდან ანკესი შორს რომ გადააგდო, თუ ცოტა მსხვილი ძუა გაქვს, შეიძლება, რუსული ფლოტის ადმირალიც ამოათრიო, მაგრამ რა ჯანდაბად გვინდა, იყოს იქ, არც ამოსულა მის დღეში!..

ბოლო-ბოლო, მოხდა ის, რომ ხელშეკრულებამ არ (ვერ) გაამართლა და ხელშეკრულების ხელშეკრულება გაფორმდა, რომლის თანხამადაც, რუსმა ჯარისკაცებმა უნდა დაახვიონ და განმუხურიდან დაახვიეს კიდეც უკვე. ასე თანდათან — ყველა სოფლიდან თუ რაიონიდან — და კონფლიქტის ზონაში ევროკავშირის დამკვირვებლები დააკვირდებიან დევნილების დაბრუნებას და ახალ თანაცხოვრებას.

ამ შეთანხმების მიღწევაში სარკოზისა და სოლანას ასი თვალი და ასი ყური რომ არ გამოებათ, რა შედეგს მივიღებდით, არავინ იცის, რადგან ლავროვმა ხელმოსაწერად გამზადებული დოკუმენტი მაგიდიდან ოსტატურად აწაპნა, მედვედევი მეორე ოთახში გაიხმო და ჯარების გაყვანის პუნქტი ამოიღო. რუსეთის პოლიტელიტის დიპლომატია „ანათითი-ბანათითის" დონეს რომ ვერ სცდებოდა, ვიცოდი, მაგრამ ასეთი უსუსური „ყურუმსაღობა" მაინც მოულოდნელი იყო. მოკლედ, გაბრაზებული სტუმრები ძლივს მოაბრუნეს და ბოლოს და ბოლოს, ხელიც მოაწერეს, მაგრამ ერთი სასაცილო ფაქტი კიდევ მოხდა: მედვედევმა რამდენიმე ნაბიჯით გასწრებული კუშნერი სურათის გადასაღებად ჯერ ხელის დაქნევით, მერე — ცერა და შუა თითების ცნობილი დატკლაცუნებით და ბოლოს — სტვენით მოაბრუნა. მოდი და გაგიკვირდეთ ახლა, იმ სურათში სარკოზის თავის უკან მედვედევის ორი აწეული თითი რომ გამოჩნდეს.

ფეოლას თქმის არ იყოს, „ეუჰ, რა ხალხში გვაქვს საქმე?!" აღარაფერს ვამბობ მოსკოვში ბრიფინგზე გაკეთებულ განცხადებაზე, დიდთავიანთა ჯუჯა პრეზიდენტმა ევროკავშირის სახელითაც რომ აღიარა კოკოითის და ბაღაფშის დამოუკიდებლობა — მეზობელი ახლა ამაზე ნაკლები არ უნდა გყავდეს!.. მაგრამ რად უნდათ ევროპის აღიარება, აქ არ ჰყავთ „ჰამასი"?! მალე „ალ-ქაიდაც" აღიარებს და აიწყობენ საქმეს ჩონგურივით...

P.S. პუტინისა და მედვედევის საუბარი:

— კმაყოფილია ბატონი უსამა ბინ ლადენი ჩვენთან სტუმრობით?

— აღფრთოვანებულია. ეს წუთია, გაფრინდა... ვაი, რაღაც შეკვრა დარჩენია!..

— გახსენი...

პროვოკატორი

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

„იმედი მაქვს, „კისერს მოუგრეხენ“...

გასული კვირის მნიშვნელოვან მოვლენებად, საზოგადოების წარმომადგენლებს, სარკოზისა და მედვედევის შეხვედრის გარდა, საკუთარ სახლებში დევნილების დაბრუნება მიაჩნიათ. თუმცა ამ საკითხთან დაკავშირებით, ბევრ ადამიანს სხვა ინფორმაცია აქვს და ოფიციალური პირების მიერ გაკეთებულ განცხადებებს დიდად არ ენდობა.

„თუ ვერ გაიგეს, ვის ებრძოდნენ, რატომ დაიწყეს ომი?!“



ნათია ქივიძე

ნანი აბესაძე, *დიასახლისი, 46 წლის:*

— მნიშვნელოვანი მოვლენა სარკოზისა და მედვედევის მოლაპარაკებაა. მიუხედავად იმისა, რომ მედვედევი დათანხმდა საქართველოდან რუსების ჯარის გაყვანას და ისიც თქვა, რომ ლტოლვილებს თავინთ სახლებში დაბრუნების საშუალებას მისცემს, მისი მაინც არ მჯერა. თანაც, ტელეკომპანია „კავკასიის“ ეთერში პაატა დავითაიამ ხომ ისაუბრა და აღნიშნა, — ქართველები არ ამბობენ, მაგრამ ზუსტად ვიცი, მოლაპარაკებების შედეგად, ცხინვალი და აფხაზეთი რუსეთის შემადგენლობაში დარჩება და ცოტა ხანში, ამას საქართველოც აღიარებსო. დიდი იმედი მინდა მქონდეს, რომ ეს ამბავი სიმართლეს არ შეესაბამება, თორემ თბილისი ისედაც პატარა ქალაქია და ამდენი ლტოლვილი ცოდვა არ არის, ფაქტობრივად, ქუჩაში რომ უწევთ ცხოვრება?! ღმერთმა ქნას, ყველაფერი მალე დასრულდეს და ქართველებმა შვებით ამოვისუნთქოთ, მაგრამ დაღუპულთა ოჯახებს რაღა გაახარებთ?!

ვახტანგ მამუკელაშვილი, *პენსიონერი, 73 წლის:*

— ამბობენ, რუსების ჯარი გადის ფოთიდან და აფხაზეთიდანო, მაგრამ ეს ამბავი არ მჯერა. დავიჯერო, ამდენკვირიანი შრომა წყალში უნდა ჩაყარონ და თავიანთი გათხრილი სანგრები ქართველებს დაგვიტოვონ, რომ ჩვენმა ჯარისკაცებმა იმ სანგრებიდან ისევ რუსებს ესროლონ?!. არა მგონია, რუსმა ოკუპანტებმა ასეთი სიკეთე გამოიჩინონ. გარდა ამისა, მედვედევი ადრეც დაჰპირდა სარკოზის, ცეცხლს შევწყვეტთ და ჯარებსაც გავიყვანთო, მაგრამ მას შემდეგ მათ უამრავი აფეთქება მოაწყვეს. საუკეთესო ტყე გაგვიჩანაგეს, გადაგვიწვეს და რუსების ჯარი დღემდე საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება. ასე რომ, არ მჯერა რუსების. ისინი პირობებს დებენ, მაგრამ მაინც ისე იქცევიან, როგორც თვითონ სურთ. სამწუხაროა, მაგრამ საქართველოსა და რუსეთს შორის ომი ჯერ არ დასრულებულა და ღმერთმა იცის, როდის და როგორ დამთავრდება. ქართველ ხალხს ალბათ მხოლოდ ლოცვაღა დაგვრჩენია. იქნებ, გადავრჩეთ და არ ამოვწყდეთ...

მარინა გამრეკელი, *ინჟინერი, 50 წლის:*

— წარმოშობით ფრონეს ხეობიდან ვარ. შესაბამისად, მთელმა ომმა ჩვენს კისერზე გადაიარა. როცა ქვეყანა ომს იწყებს ან ომში ჩაითრევენ, რაღაცის ან ვიღაცის იმედი უნდა ჰქონდეს. პარტიზანული ომები და სროლის ხმა თითქმის ყოველღამე ისმოდა, მაგრამ სამთავრობო ჯარი შეტევაზე რომ გადავიდა, რისი იმედი ჰქონდა?! თუ ისიც არ იცოდნენ, რომ რუსს ებრძოდნენ, მაშინ თავი აერიდებინათ. თუ პოლიტიკოსები ისეთი ბეცები არიან, რომ ვერ გაიგეს, ვის ებრძოდნენ, რატომ დაიწყეს ომი?! გორიდან გოკა გაბაშვილი აცხადებდა, — ჩვენი მოსაგები ომია და უეჭველად მოვიგებთო! რატომ არ მოიგო?! თვითონ გამოიქცა და მშვიდობიანი მოსახლეობა იქ მიატოვა. მან მხოლოდ საკუთარ ტყავზე იზრუნა. ამ მთავრობას ეგონა, 7 ნოემბერს მშვიდობიანი მოსახლეობა რომ დაარბია, ომსაც მოუგებდა რუსებს. „7 ნოემბრის გმირი“, ქალბატონი ბურჯანაძე ახლა დემოკრატიის „ზურგს“ ეფარება. იმიტომ, რომ

პარლამენტის თავმჯდომარე იყო და ორჯერ პრეზიდენტის მოვალეობაც შეასრულა. თითქოს მაშინ ხელფასს არ იღებდა, ფეშქაშად წყნეთის აგარაკიც მოინდომა. ასეთი ხალხი და ასეთი მთავრობა არც ქვეყანაზე ფიქრობს, არც ხალხზე და შესაბამისად, ვერც ომს მოიგებს...

ვალერი გვარამია, *იურისტი, 56 წლის:*

— მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მთელი მსოფლიო საქართველოს პრობლემებს იზიარებს და ჩვენს დახმარებას ცდილობს. იმედი მაქვს, თავნება პუტინსა და მის მონა მედვედევს „კისერს მოუგრეხენ" და ყველაფერს ისე გააკეთებენ, როგორც საქართველოსთვის იქნება უკეთესი. თუმცა, ერედველი მეგობარი მყავს და მისგან ვიცი, რომ მთელი ლიახვისა და ფრონეს ხეობა ცხინვალის შემადგენლობაშია შესული და იქაური ლტოლვილები თავიანთ ნასახლარებს (როგორც ვიცი, იმ სოფლებში არც ერთი სახლი აღარ დგას, ყველა გადამწვარია) ვეღარასოდეს დაუბრუნდებიან. ჩვენს მთავრობას შეუთავაზებია, ნაწილს ახალციხეში ჩაგასახლებთ და ნაწილს — გორის შესასვლელში ტრიალი მინდორი რომაა, იქ ორსართულიან კოტეჯებს ჩაგიდგამთო. სააკაშვილი კი გამოდის და ურცხვად აცხადებს, — მხოლოდ ახლანდელს კი არა, 1992 წელს ჩამოსულ ლტოლვილებსაც უკან დავაბრუნებთო. ჯერ ერთი, აფხაზეთიდან დევნილები იმდენი წელია, თბილისში არიან და უკვე ისე აიწყვეს ცხოვრება, რომ მეეჭვება, მათი დიდი ნაწილი აფხაზეთში დაბრუნებას დათანხმდეს. გარდა ამისა, ცხინვალის რეგიონიდან დევნილებს გორის ტერიტორიაზე თუ ჩაასახლებენ, კიდევ არა უშავს — თავიანთ მიწა-წყალზე მაინც იქნებიან, — მაგრამ ახალციხეში რა უნდა გააკეთონ?.. ჩემი მეგობარი ძალზე წუხს, — მოსავლიან მიწას ვართ მიჩვეული და ახალციხეში მხოლოდ კარტოფილი მოდის, იქ რა უნდა გავაკეთოთო?.. იმედი მაქვს, ჩვენი მთავრობა ამ ყველაფერს გაითვალისწინებს.

■

FutureWorld „მომავლის სამყარო" გიღებთ ყურს

ინგლისური და რუსული ენების შემსწავლელ ცენტრ FutureWorld-ში დაიწყო ახალი სასწავლო წელი. 20 სექტემბრიდან ჰელენ ო'გრადის აკადემიის — ინგლისური ენის საერთაშორისო საბავშვო შემსწავლელი პროგრამის 2008-2009 სასწავლო წლის პირველი გაკვეთილი ჩატარდება.

და აი ერთ-ერთი მშობლის და სტუმრის შთაბეჭდილებები ერთ-ერთი ღია გაკვეთილის შესახებ.

დავით-დეფი გოგიბედაშვილი, *პოეტი:*

პირველი შთაბეჭდილება – ჰუმანიზმი, ინტელექტი, ურთიერთობა, გემოვნება. ეს იყო ერთგვარი მდგომარეობა, სადაც მე აღმოვჩნდი ჩემი შვილისა და იმ ზემოთ ჩამოთვლილი სიტყვების გამო, რითიც ჩემი შვილი არის დაკავშირებული „მომავლის სამყაროსთან".

„მომავლის სამყარო" — რა არის ეს? უბრალოდ სკოლა? უბრალოდ სივრცე, სადაც ბავშვები ერთად იკრიბებიან და მასწავლებლებს უსმენენ? თუ ეს არის იმ ერთიან სამყაროში აღმოცენებული ურთიერთობების ერთგვარი სავანე, სადაც ჩვენ ადრე თუ გვიან ერთად უნდა ვიცხოვროთ, მიუხედავად ჩვენი წარმომავლობისა თუ სოციალური მდგომარეობისა. მე დავინახე ბავშვების თავისუფალი და ღია აზროვნება, უაღრესად ჰუმანისტური დამოკიდებულება როგორც საგანთან, ისე ყველაფერ დანარჩენთან, რაც ისწავლება ამ სკოლაში. ესაა ენა, მეტყველება, ღირსება, ანალიზის უნარი, გამძლეობა და მზაობა სამომავლო ცხოვრებისათვის. აქ მასწავლებლებიც ბავშვებივით იქცევიან, აქ ნებისმიერი შემოსული აუცილებლად გაიხსენებს, რომ ოდესღაც ბავშვი იყო, რომ ყველაფერი დაკავშირებულია ერთ უტყუარ ფორმულასთან — ადამიანი უკეთესი მიზნისთვის იბადება და უკეთესი მიზნის მისაღწევად უკეთესი საშუალებები არსებობს. უკეთეს საშუალებებში ვგულისხმობ სწორად ჩამოყალიბებულ გემოვნებას, განვითარებულ ინტელექტს და პედაგოგების შორსმჭვრეტელობას, რაც ჩემი თვალით ვნახე ერთ-ერთ საღამოზე. სცენაზე ბავშვები იდგნენ და თამაშობდნენ ეპიზოდებს ცხოვრებისეული სცენებიდან. ერთი მაკლერი იყო, ერთი — დალაქი, ერთი — პროფესორი, ერთი — პრინცესა (რომელმაც მე ძალიან მომხიბლა), ერთიც განასახიერებდა ქუჩაში გამვლელს და მათი კითხვა-პასუხით იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ისინი უკვე მსოფლიო მოქალაქეები არიან, რადგანაც ისინი არიან პიროვნებები; უკვე შემდგარი პიროვნებები! ეს უდავოდ ამ სკოლის მიღწევაა, რომ ბავშვები ახერხებენ საკუთარი თავით დამუხტონ მთელი გარემო. ჩემი აზრით, „მომავლის სამყარო" ისეთი გარემოა, სადაც ადამიანი ბავშვობიდან ისწავლის მოქალაქეობის სრულფასოვნებას, თავისი მოყვასის სიყვარულსა და პატივისცემას, განურჩევლად ეროვნებისა თუ სხვა რაიმე ნიშნისა.

ვუყურებდი მათ და ვფიქრობდი, მსოფლიოში არც ისეთი დიდი სივიწროვეა, როგორიც მეგონა, მსოფლიოში არც ისეთი დიდი მარტოობაა, როგორსაც ვგრძნობდი, რადგან „მ.ს." — ეს პიროვნებების სამყაროა, განათლებული ადამიანების სამყაროა, ეს ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანია, არა მარტო იმიტომ, რომ ჩემი შვილი სწავლობს აქ, არამედ იმიტომ, რომ ჩემს შვილს, ისევე როგორც ჩვენ ყველას, ეძლევა შანსი შეცვალოს ჩვენი გარემო. მე ვუტყოდი ყველა მშობელს, მიიყვანეთ თქვენი შვილები „მომავლის სამყაროში" გააცანით ისინი ამ სამყაროს პედაგოგებს და თქვენ თვითონ ნახავთ, როგორი სიკეთე მოჰყვება ყველა მათ საქციელს, რადგანაც საქმის სიყვარული სხვაა და ასევე სხვაა საქმის ცოდნა. ორივე ერთად კი – „მომავლის სამყარო".

FUTUREWORLD-ი აცხადებს ჩაწერას:

English – წინასწარი გასაუბრება, სერტიფიკატი, ჯგუფში ჩაირიცხება არა უმეტეს 6 კაცისა, ღირებულება — 90 ლარიდან.

რუსული ენის შემსწავლელი ჯგუფი – დილის და საღამოს ჯგუფები, წინასწარი გასაუბრება, სერტიფიკატი, ჯგუფი შედგება არა უმეტეს 6 კაცისგან, ღირებულება 75 ლარიდან.

საბავშვო სტუდია – 3-5 წლის ბავშვებისათვის — ინგლისური, რუსული, ხატვა, სიმღერა, წვრილი მოტორიკის განვითარება — 2 მეცადინეობა კვირაში, მეცადინეობის ხანგრძლივობა 2 საათი, ღირებულება თვეში 70 ლარი.

ჩაწერა ტელეფონით 38-22-96, 899-53-61-96

მისამართი: საბურთალო, მიცკევიჩის ქ.17

www.future world.ge

■

„ხუთრად მაჩეჩეპდნენ ქუჩაში და მეკითხეპოდნენ, როდის ვავიდოდით ეთერში“

ორას ორმოცდაცხრამეტი დღე, თითქმის რვა თვე გავიდა მას შემდეგ, რაც „იმედის“ ეთერიდან მაყურებლისთვის მშვიდობიანი დილა არ უსურვებია „იმედის დილის“ შემოქმედებით ჯგუფს. ამ ხნის განმავლობაში ტელევიზიაში არაფერი შეცვლილა, თანამშრომლები ყოველ-დღე ელოდნენ ეთერში გასვლას და ეს ბედნიერი დილა, ბოლოს და ბოლოს, 8 სექტემბერს დადგა. ახალი იდეები, რუბრიკები და ჯანსაღი ღიმილი თქვენთვის — თამუნა გომართელი, ვინი, ნანკა კალატოზიშვილი და სხვები კვლავ იზრუნებენ თქვენს დილის განწყობილებაზე...

როდესაც თამუნას, ნანკასა და ზაალს ვესაუბრე, ნამდვილად გავიგონე, მათ ხმაში როგორ გაიულერა ბედნიერების სიმებმა და მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი შეხვედრა საკმაოდ გვიან შედგა, ყველა ერთხმად მომესალმა — დილა მშვიდობისაო!..

განახლებული „იმედის დილა“ და ეთერს მონატრებული ტელესახეები

თამუნა პეტრიაშვილი

ზაალ წულუკიძე (ვინი):

— გაიხსენე, რა ხდებოდა შარშანდელი 7 ნოემბრიდან — დღემდე.

— რომ გითხრა, სასიამოვნო მოგონებად დარჩა ეს პერიოდი ჩემს მეხსიერებაში-მეთქი, მოგატყუებ. 6 ნოემბერს ყველაფერი კარგად იყო, ისიც კი მახსოვს, „ვინიგრეტის“ მეოთხე გადაცემა ჩავწერეთ იმ დღეს და შვიდში უნდა დაგვემონტაჟებინა, მაგრამ შემდგომ მოვლენები როგორ განვითარდა, ყველას მშვენივრად ახსოვს. ერთი თვე მართლაც გაუსაძლის პირობებში ვიყავით: გაუგებრობა, დაძაბულობა და დაუმსახურებელი აგრესია... 8 დეკემბერს მეორედ დავიბადეთ: არასდროს დამავიწყდება, „იმედის“ ეზოში ტელევიზიის დროშა რომ ავწიეთ და „მრავალუამიერი“ შემოვძახეთ, თვალზე ცრემლი მქონდა მომდგარი და შემრცხვა — როგორ მეტირა ამხელა კაცს?! ეს სიხარული ოცი დღე გაგრძელდა. ოცდაექვსში კვლავ გაგვეთიშა მაუწყებლობა. მას შემდეგ ყოველდღე სამსახურში ვიყავით და ვაგრძელებდით მუშაობას, მაგრამ — კადრს მიღმა...

— როგორი ემოცია დაგეუფლა, რვათვიანი პაუზის შემდეგ, ეთერში რომ გახვედი?

— როგორც წესი, ვღელავდი. რაც არ უნდა ვთქვა, არ ვღელავ-მეთქი, მაინც ყოველი ჩართვის წინ გული აჩქარებულად მიცემს. მაგრამ ის სულ სხვა იყო: ეთერის წინ სახლში დავრეკე და დედაჩემს ვუთხარი, — მოემზადე, მიყურე და შემდეგ, კრიტიკის ქარცეცხლში გამატარე-მეთქი. მანაც არ დააყოვნა, მაგრამ ლმობიერად მომეპყრო...

— როგორ ფიქრობ, ამ ხნის განმავლობაში მაყურებელს ხომ არ დააავიწყდი?

— არა, პირიქით: სულ მირეკავდნენ, ინტერნეტით მეკონტაქტებოდნენ და ამბებს კითხულობდნენ. ვგრძნობდი, რომ მაყურებელი გველოდებოდა, მას ნამდვილად აკლდა ის ჯანმრთელი ღიმილი და ხალისიანი მისალმება, რომელსაც ჩვენ ყოველ დილით არ ვიშურებდით.

— რა შეიცვალა გადაცემაში?

— მნიშვნელოვანი არაფერი. დაგვემატა რამდენიმე რუბრიკა, მათ შორის — ნანკა კალატოზიშვილის „არტ-ბულვარი“. უფრო დავიხვეწეთ და ხარისხი, რომელიც „იმედის დილას“ მანამდეც არასდროს აკლდა, გავაუმჯობესეთ.

— შენ კი კვლავ ამინდის პროგნოზის წამყვანად დარჩი, ხომ?..

— კი, ეს სავსებით მაკმაყოფილებს. გარდა ამისა, მე „ნიუსებშიც“ ვარ და მეტს, ძალიანაც რომ მოვინდომო, ვეღარ მოვასწრებ. ჩემი აივანი კვლავ უცვლელია და ზუსტად 259 დღე მელოდა. იმ ხნის განმავლობაში, რაც ეთერში არ გავდიოდით, აივანზე არც გავსულვარ: ნოსტალგია მიპყრობდა და ვცდილობდი, თავი ამერიდებინა.

— ზაფხულში აივნიდან წაყვანა სასიამოვნოა, მაგრამ ზამთარში როგორ უმკლავდები სიცივეს?

— ო-ო, ეგ ცოტა რთული თემაა. შეშის ღუმელი გვიდგას და შუალედებში ვეფიცხებით. თუმცა, როგორც წესი, შეშის ნაჭერი ყოველთვის ზომაზე დიდია და ამ შემთხვევაში, ქართული პრესის ფურცლებს ვიყენებთ გასათბობად, რომელიც ტელევიზიაში მრავლად გვაქვს.

— ეს არის თქვენი კოლეგიალობა, ზაალ?..

— (*იცინის*) ამ შემთხვევაში, თქვენ უფრო ხართ კოლეგიალურები, ვიდრე ჩვენ, გეთანხმები, მაგრამ რა ვქნათ?!.

— ვინი, ამინდის პროგნოზის დასადგენად, ხომ არ გირეკავენ ხოლმე?

— (*იცინის*) რამდენჯერაც გინდა. მირეკავენ ხოლმე და მეკითხებიან, — დღეს როგორი ამინდიაო? ახლაც დამირეკა ერთმა და მკითხა, — რამდენიმე დღით გლდანში მივდივარ და რა ჩავიცვა — იქ როგორი ამინდიაო?.. ბევრი ვიცინე ამ კითხვაზე.

— ამ რუბრიკის გარდა, „ვინიგრეტსაც“ უძღვებოდი, რა ბედი ეწია ამ გადაცემას?

— ამჟამად გაჩერებულია. ჯერჯერობით ტელევიზიაში გაცილებით მნიშვნელოვანი საქმეებია მოსაგვარებელი, ვიდრე „ვინიგრეტია“. იანვრიდან ალბათ ყველა პრობლემა მოგვარდება და გასართობ გადაცემებზე შემდგომ უფრო საფუძვლიანად დავფიქრდებით.

— ნანკა, რა რეაქცია გქონდა, როდესაც გაიგე, რომ დილის ეთერში უნდა გასულიყავი?

ნანკა კალატოზიშვილი:

— თავიდან მეგონა, რომ მეხუმრებოდნენ. შემდგომი რეაქცია იყო ის, რომ ძალიან

გამიკვირდა. თან, არა მარტო მე, არამედ ყველა გაკვირვებული იყო ამ ფაქტით და ამბობდნენ, რომ გადაცემა აუცილებლად ჩავარდებოდა... რაც მთავარია, ეს ყველაფერი ორი დღით ადრე მომახსენეს. ბუნებით ჭოტი ვარ და როგორც წესი, ხუთ-ექვს საათზე ვიძინებ, ამიტომ დილით გაღვიძება ძალიან მიჭირს. ჰოდა, დაზღვეულები რომ იყვნენ, სამსახურიდან მანქანას მიგზავნიან და მძღოლი ნახევარ საათში ზუსტად ორმოცდაათჯერ მირეკავს, თან მეუბნება, — ნანკა, გთხოვ, არ დაგეძინოს, თორემ სამსახურს დავკარგავო: „იმედამდე" ჩემი მიყვანა მას აბარია (*იცინის*)!.. თავს იმით ვიმშვიდებ, რომ რაღაც ახალი დაიწყო ჩემს ცხოვრებაში. დიდი იმედი მაქვს — იანვრიდან ყველაფერი მწყობრში ჩადგება და ჩემს საეთერო დროს დამიბრუნებენ. სიმართლე გითხრა, აქამდე „იმედის დილის" არც ერთი გადაცემა არ მქონდა ნანახი, რადგან, როგორც წესი, მაგ დროს ახალი დაძინებული ვარ ხოლმე (*იცინის*)...

— პირდაპირ ეთერში მუშაობა გიჭირს?

— ყველაზე მეტად გაღვიძება მიჭირს. იმ დღეს პროდიუსერმა მკითხა, — ხომ არ ნერვიულობო? ვუპასუხე, — არა-მეთქი, — რადგან იმ დროს ჩემს ორგანიზმს ეძინა და საერთოდ ვერ აღვიქვამდი, რაზე უნდა მენერვიულა. მახარებს ის ფაქტი, რომ კვირაში მხოლოდ ორი დღე მომიწევს ეთერში ყოფნა. პირდაპირ ეთერში მუშაობასაც ალბათ მალე შევეგუები. სიმართლე გითხრა, დიდ განსხვავებას ვერ ვხედავ ვიდეოჩაწერისგან, ალბათ იმიტომ, რომ ნახევრად მძინავს. როგორც ოპერატორები მეუბნებიან, კადრში მხნედ გამოვიყურები.

— ნანკა, იმის საშიშროება ხომ არ იყო, რომ „არტ-ბულვარი" დაეხურათ?

— ბოლო პერიოდში ყველაფრის საშიშროება იყო. თავიდან, დილის ეთერში ჩემი გამოსვლა არ იგეგმებოდა — უბრალოდ, სიუჟეტები უნდა გასულიყო და მე მხოლოდ გადაცემის ქუდში გამოვჩნდებოდი, — ალბათ იმიტომ, მაყურებელს რომ არ დავვიწყებოდი (*იცინის*). „არტ-ბულვარი" ერთადერთი გადაცემაა, რომელიც „იმედის" გახსნის დღიდან გადის ეთერში და ეს ალბათ დასაფასებელია.

— ტელევიზიის ნოსტალგია გქონდა?

— ის მომენტი არ მქონია, — ვაიმე, რაღა მეშველება, თუ გადაცემა ეთერში არ გავა-მეთქი. უფრო მეტად, სიტუაცია მენატრებოდა და ხალხი: „იმედში" ძალიან ოჯახური გარემოა.

— შარშანდელი ნოემბრის მოვლენების დროს „იმედში" ხომ არ იმყოფებოდი?

— არა, მაგრამ როგორც კი გავიგე, რაც ხდებოდა, მაშინვე აქ მოვედი, ღობეზე გადმოვძვერი და შენობაში შესვლას ვცდილობდი. გავაგიჟე სპეცრაზმელები, ერთერთმა მითხრა, — ყველანი გარეთ გავუშვით და შენ სად მიდიხარო?! გაკვირვებულები მიყურებდნენ. ბოლოს, ძალიან რომ აირია სიტუაცია, მე და გიორგი ჩხეიძემ ვიღაცის სახლს შევაფარეთ თავი და ძლივს გამოვაღწიეთ იქიდან. ისე, მინდა ვთქვა, რომ სპეცრაზმელებს „არტ-ბულვარი" ძალიან ჰყვარებიათ, რადგან არც ერთი ჩვენი კასეტა განადგურებული არ არის.

თამუნა გომართელი:

— უკვე თოთხმეტი წელია, აქტიურად ვარ ჩართული ჟურნალისტიკაში და არ მახსოვს ერთი დღეც, რომ არ მემუშაოს. ეს იყო პირველი და ვიმედოვნებ, უკანასკნელი პაუზა ჩემს შემოქმედებაში. ძნელად

გადავიტანე, რადგან „იმედი" ჩემთვის მარტო სამსახური არასდროს ყოფილა, ეს ჩემი მეორე სახლი იყო და საქმე, რომელსაც ვაკეთებ, ჩემი ცხოვრების ნაწილია; მის გარეშე არსებობა ძალიან გამიჭირდა, სულიერ შიმშილს განვიცდიდი.

— ამ ხნის განმავლობაში რაიმე შემოთავაზება ხომ არ მიგიღია?

— იყო რამდენიმე, მაგრამ აქედან ერთი იყო ისეთი, რომელზეც სერიოზულად დავფიქრდი. ვერ ვიტყვი, რომ გადაწყვეტილების მიღება არ გამიჭირდა, მაგრამ ახალს ისევ ძველი ვარჩიე და კვლავ „იმედში" ვარ.

— ამ რვა თვის განმავლობაში მაყურებლის მხარდაჭერას თუ გრძნობდი?

— კი, ხშირად მაჩერებდნენ ქუჩაში და მეკითხებოდნენ, როდის გავიდოდით ეთერში. მათგან მხარდაჭერას ნამდვილად ვგრძნობდით თითოეული ჩვენგანი.

— ხომ არ ფიქრობ, რომ „იმედის დილა" რაღაცით, „რუსთავი 2"-ის „დილას" დაემსგავსა?..

— თამამად შემიძლია ვთქვა, რომ „იმედის დილა" არ ჰგავს არც ერთ დილის გადაცემას. საერთოდ, თვით დილის გადაცემის სტრუქტურაა სპეციფიკური და თუ ვინმეს გაუჩნდა ამის ეჭვი, ალბათ ამიტომ. რა, საინფორმაციო გადაცემები არ ჰგავს ერთმანეთს? ეს ბუნებრივია...

— რას ეტყვი „გზის" ფურცლებიდან დილის გადაცემის მაყურებელს?

— ყველანი ძალიან მიყვარხართ და მომენატრეთ. ამ პერიოდის განმავლობაში ხშირად მქონია პირდაპირი ეთერის ნოსტალგია. ბედნიერებაა, როდესაც იცი, რომ ვიღაც ტელეეკრანის წინ ზის და შენს გადაცემას ელოდება...

ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
AIB
INTERBUSINESSACADEMY
ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ
ᲒᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲚᲘᲪᲔᲜᲖᲘᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ ᲐᲪᲮᲐᲓᲔᲑᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐᲡ 2008-2009 ᲡᲐᲡᲬᲐᲕᲚᲝ ᲬᲚᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲣᲚᲘ, ᲑᲐᲙᲐᲚᲐᲕᲠᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲐᲒᲘᲡᲢᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ I ᲙᲣᲠᲡᲖᲔ.
ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲐ ᲤᲣᲜᲥᲪᲘᲝᲜᲘᲠᲔᲑᲡ 1992 ᲬᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐ ᲛᲐᲡᲨᲘ ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ, ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲙᲘᲡ, ᲡᲐᲛᲐᲠᲗᲚᲘᲡ, ᲛᲔᲓᲘᲪᲘᲜᲘᲡ, ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲮᲕᲐ ᲤᲐᲙᲣᲚᲢᲔᲢᲔᲑᲘ.
ᲘᲜᲢᲔᲠᲑᲘᲖᲜᲔᲡᲘᲡ ᲐᲙᲐᲓᲔᲛᲘᲘᲡ ᲓᲘᲞᲚᲝᲛᲘ ᲐᲦᲘᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘᲐ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ 102 ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝᲡ ᲛᲘᲔᲠ.
ᲛᲘᲡ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲒᲣᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲖ: 66 Დ
ᲢᲔᲚ: 605 423, 615 423
ᲡᲠᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲒᲕᲘᲙᲐᲕᲨᲘᲠᲓᲘᲗ

„ასეთია რუსეთის მთავარი ლიდერის, ვლადიმირ პუტინის ვიწრო მსოფლმხედველობა“...

დასავლელი ანალიტიკოსის თვალით დანახული ქართულ-რუსული ომი

მაშინ, როცა თითქმის მთელი მსოფლიო საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას უჭერს მხარს, რუსეთი ჩვენი ქვეყნიდან ჯარების გაყვანას არ ჩქარობს და არც ე.წ. ბუფერული ზონების გაუქმებას აპირებს. როგორც ჩანს, ამ ქვეყანაში არც ევროპული დიპლომატიისთვის დამახასიათებელ ფრთხილ შენიშვნებს უგდებენ ყურს და არც ამერიკის უპრეცედენტოდ მკაცრი გაფრთხილებები აღელვებთ... რუსეთ-საქართველოს შორის ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებსა და სამომავლო პერსპექტივებზე საერთაშორისო კრიზისული ცენტრის ანალიტიკოსი, ექსპერტი სამხრეთ კავკასიის საკითხებში, ლოურენს შიცი გვესაუბრება.

ლალი პაპასკირი

— ლოურენს, თქვენი აზრით, რა გახდა რუსეთსა და საქართველოს შორის ომის დაწყების მთავარი მიზეზი?

— დავიწყოთ იქიდან, რომ ამ ორ ქვეყანას შორის კონფლიქტმა თანამედროვე გეოპოლიტიკური სამყაროს ტრანსფორმაცია მოახდინა და ცივილიზებული მსოფლიოს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით, როგორც ევროპაში, ასევე მის ფარგლებს გარეთ, სერიოზული პრობლემები წარმოშვა. ყველაფერი კი ე.წ. სამხრეთ ოსეთში რუსეთის ჯარების შეყვანით დაიწყო, რაც რუსეთის მხრიდან ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებში გადაიზარდა. ჩემი აზრით, 7-8 აგვისტოს მოვლენებში საქართველოს ხელისუფლებასაც მიუძღვის ბრალი — მისი არასწორი, ლამის კატასტროფული გათვლები ომის დაწყების ერთგვარი მიზეზი გახდა.

— რას გულისხმობთ?

— ქართულ მხარეს უკვე აღიზიანებდა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის კონფლიქტებში რუსეთის დაუსრულებელი და უმოქმედო მომრიგებლის როლი თუ ფუნქცია. თავის მხრივ, რუსეთი საქართველოს ხელისუფლების მოთმინებას ცდიდა და ამ გაურკვეველი სტატუსის შენარჩუნებას წლების განმავლობაში ცდილობდა. ამიტომ ის ხან ძალის დემონსტრირებას ახდენდა, ხან ე.წ. ადმინისტრაციულ საზღვრებთან სამხედრო წვრთნებს ატარებდა. ქართული მხარისთვის მიუღებელი იყო რუსეთის მიერ ბოლო დროს მის ტერიტორიაზე განხორციელებული ქმედებები, — მაგალითად, აფხაზეთში სარკინიგზო ჯარების შეყვანას ვგულისხმობ. როცა რუსეთმა საქართველოში ომი დაიწყო, მისი სამხედრო ძალები, ფაქტობრივად, საქართველოს ტერიტორიის ერთ ნაწილში — აფხაზეთში იყვნენ მობილიზებული და საჭიროების შემთხვევაში, რუსეთი თქვენი ქვეყნის დასავლეთ ნაწილის სრულ ოკუპაციას მოახდენდა. ეს ყველაფერი კი მიმართული იყო იმისკენ, რომ რუსეთს საქართველო, როგორც ევროპის ქვეყნებისთვის ალტერნატიული ენერგოდერეფანი, მოესპო. მან გაანადგურა ინფრასტრუქტურა, კომუნიკაციები და სატრანსპორტო მაგისტრალი. რაც ყველაზე მთავარია, მედვედევის ხელისუფლებამ უხეშად დაარღვია საერთაშორისო სამართლის პრინციპები, როცა აღიარა საქართველოს სეპარატისტული რეგიონები. ამას შესაძლოა, როგორც რუსეთში, ისე მთელ მსოფლიოში სერიოზული პრობლემები მოჰყვეს. ჩემი აზრით, მოსკოვის ქმედებები მხოლოდ ნაწილობრივ უკავშირდება სამხრეთ ოსეთს, უფრო მეტიც — ეს იყო საქართველოსთან ომის დაწყების საბაბი. სინამდვილეში, რუსეთი შეშფოთებულია ნატოს გაფართოებით, დასავლეთის მიერ კოსოვოს აღიარებითა და ევროპის ქვეყნებში რაკეტსაწინააღმდეგო სისტემების განთავსებით. როგორც ჩანს, რუსეთი გრძნობს, რომ ნატო თანდათან მის ალყაში მოქცევას ცდილობს. გარდა ამისა, ის ვერ ეგუება პოსტსაბჭოთა ქვეყნების ნატოსკენ სწრაფვას და იქ დასავლეთის გავლენის გაძლიერებას. რუსეთის სამხედრო გენერალიტეტი ყოფილი საბჭოთა ქვეყნების მიერ ნატოსკენ გადადგმულ ნაბიჯს ტრაგიკულად აღიქვამს და ცდილობს, ისინი ძალითა თუ მისთვის დამახასიათებელი პროვოკაციული ქმედებებით — შიდა არევით — თავის კონტროლქვეშ დააბრუნოს. ასეთია რუსეთის მთავარი ლიდერის, ვლადიმირ პუტინის ვიწრო მსოფლმხედველობა.

— ამ ომში საქართველოს ხელმძღვანელობის წვლილიც ახსენეთ, რას გულისხმობდით?

— 2004 წლიდან მოყოლებული, საქართველოს არასწორად მიჰყავდა რუსეთთან ურთიერთობა. იგივე შეიძლება ითქვას აფხაზეთისა და ე.წ სამხრეთ ოსეთის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებით. მხარეებს შორის თანდათან მცირდებოდა ნდობის ფაქტორი. ჩემი აზრით, თქვენს ხელისუფლებას შეეძლო, სეპარატისტული რეგიონების მოსახლეობა დაერწმუნებინა, რომ ფართო ავტონომიის პირობებში, გაცილებით უკეთესად იცხოვრებდნენ. მეც და ალბათ ჩემმა ქართველმა მეგობრებმაც კარგად იციან, რომ ხმამაღალი განცხადებების მიუხედავად, აფხაზებსა და ოსებს უსაფრთხოების პირობებიც კი არ ჰქონდათ. რუსეთს შეეძლო ამ პრობლემის მოგვარება, მაგრამ რეგიონებში არეულობას სათავისოდ იყენებდა. იქ უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა იყო და თუ მათ სააკაშვილი დაანახვებდა, რომ დემოკრატიული საქართველო სწორი გზით მიდიოდა, ვითარდებოდა ეკონომიკა, დემოკრატიული ინსტიტუტები, დაცული იყო კანონის უზენაესობა და ადამიანის უფლებები, მათი შემობრუნებაც შეიძლებოდა. ხელმძღვანელობაზე არ მაქვს ლაპარაკი — ამ შემთხვევაში, მოსახლეობას ვგულისხმობ, რადგან ვიცი, რომ ბოლო დროს უბრალო ადამიანებს შორის ურთიერთობა თანდათან აღდგა. პრეზიდენტი სააკაშვილი და მისი აგრესიულად განწყობილი გარემოცვა კი იმის ნაცვლად, რომ სახალხო დიპლომატიისთვის ხელი შეეწყოთ, საომარ რიტორიკას მიმართავდნენ. როგორც რუსეთის, ასევე სეპარატისტული რეგიონების ხელმძღვანელების მიმართ ცინიკური გამოსვლები ჩვეულებრივ მოვლენად იქცა, რამაც სეპარატისტ ლიდერებში, შემდეგ კი უბრალო მოსახლეობაშიც სააკაშვილის ხელისუფლებისადმი სიძულვილი გამოიწვია. რიცხობრივი სიმცირის მიუხედავად, საჭიროების შემთხვევაში, ისინი ქართულ მხარესთან საომრად მზად იყვნენ, მით უმეტეს, რომ ზურგს უმაგრებდა რუსეთი, რომელიც ნებისმიერ ვითარებაში გამორჩენას ელოდება... სწორედ ამიტომ, დასავლეთის ქვეყნებმა არ უნდა დაუშვან ახალი „ცივი ომის“ დაწყება. ასეთ შემთხვევაში, გარდაუვალი იქნება რუსეთის უფრო მეტ იზოლაციაში მოქცევა, ხოლო რაც უფრო იზოლირებულია ეს ქვეყანა დანარჩენი სამყაროსგან, მით უფრო აგრესიული, არაპროგნოზირებადი და მსოფლიოსთვის საშიში ხდება. ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა დევიდ მილიბენდმა სრულიად სამართლიანად აღნიშნა: რუსეთი ევროპისა და სხვა ქვეყნებისგან უფრო მკაცრ მიდგომას იმსახურებსო. ახლა, როცა მსოფ-

ლიომ დაინახა, თუ რა მიზნები ამოძრავებს თქვენს ჩრდილოელ მეზობელს, დაუყოვნებლივ უნდა გაიყვანონ მისი ჯარები საქართველოს ტერიტორიიდან, ხოლო კონფლიქტურ ზონებში საერთაშორისო ძალები უნდა შევიდნენ, სადაც ასევე იქნებიან რუსული სამშვიდობო შენაერთები. თუმცა მე უკვე ნაკლებად მჯერა მათი ამ სტატუსის...

— იმედია, მარტო თქვენ არ ხართ ამ აზრის...

— დიახ, ამიტომ, იმ შემთხვევაში, თუ საერთაშორისო საზოგადოება მიიჩნევს საჭიროდ, რომ საერთაშორისო ძალების სტატუსით, მათთან ერთად, რუსეთის სამხედრო ძალებიც უნდა იდგნენ, მათი ფუნქციები და სტატუსი ზუსტად უნდა განისაზღვროს. ჩემი ინფორმაციით, ამაზე ლაპარაკი მიმდინარეობს. ამავდროულად, საქართველოსა და რუსეთის ხელმძღვანელები უნდა შეთანხმდნენ, რომ ევროსასამართლომ დაიწყოს გამოძიება 7 აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით, სადაც ორივე მხარემ უნდა წარმოადგინოს თავისი არგუმენტები.

— ლიუერენს, თქვენ გჯერათ, რომ რუსეთი ამას დათანხმდება?

— არა, მე კარგად ვიცნობ რუსეთის პოლიტიკურ და სამხედრო ხელმძღვანელობას. მათ ყველაფრის, მათ შორის, საერთაშორისო სამართლის მიმართაც თავისებური შეხედულებები აქვთ. ამიტომ აუცილებელია, განხორციელდეს მათზე პოლიტიკური ზეწოლა, რათა მოსკოვმა შეიგნოს, რომ მისი საერთაშორისო პრესტიჟისთვის, ეკონომიკისა და სხვა ქვეყნებთან ურთიერთობისთვის უკეთესია, იყოს სანდო პარტნიორი და ევროპის სახელმწიფოების უსაფრთხოების გარანტი, ვიდრე საფრთხობელა, რომელსაც თანდათან ყველა ჩამოსცილდება.

— თუ სწორად ვხვდები, პოლიტიკურ ზეწოლაში სანქციებს არ გულისხმობთ...

— არა, ფაქტია, რომ ევროკავშირმა რუსეთისთვის სანქციების დაწესება ვერ გაბედა, ყოველ შემთხვევაში — ამ ეტაპზე. მოდი, ოცნებებს ნუ მივეცემით და თვალი გავუსწოროთ სიმართლეს: არც „დიდი რვიანიდან" რუსეთის გარიცხვის მუქარა მოიყვანს მას გონს. ევროკავშირის ქვეყნებს შორის ერთიანი პოზიციის არარსებობამ რუსეთ-საქართველოს შორის საომარი მოქმედებების დაწყებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი. უკვე ნათელია, რომ ამერიკამ და ევროპამ ვერ შეძლეს მიხეილ სააკაშვილის გადარწმუნება იმაში, რომ მას რუსეთთან ომი კარგ შედეგებს არ მოუტანდა. მათ ქართული არმია ძალიან მაღალ დონეზე მოამზადეს, მაგრამ საქართველოს ხელისუფლებისგან არ ჰქონდათ მიღებული იმის გარანტიები, რომ სააკაშვილი კონფლიქტურ რეგიონებში „კონსტიტუციური წესრიგის აღდგენას" შეიარაღებული ძალებით არ დააპირებდა.

— არმია სახელმწიფოს იმისთვის ჰყავს, რომ საჭიროების შემთხვევაში, ქვეყნის ინტერესები დაიცვას...

— გეთანხმებით. მაგრამ საქართველოს ჯარი არ იყო მზად, რუსეთის არმიას გამკლავებოდა და ეს ყველამ ვნახეთ... ქართველები ემოციური ხალხი ხართ და როგორც ჩანს, თეთრი სახლის წარმომადგენლებსაც სწორედ ეს ემოცია მოსწონთ სააკაშვილში. რუსეთის მიმართ არაერთი არაკორექტული გამოსვლის მიუხედავად, ამერიკას მისი მისამართით ერთი საყვედურიც არ დასცდენია, პირიქით — ჯორჯ ბუში და კონდოლიზა რაისი მიხეილ სააკაშვილის სხაპასხუპით წარმოთქმულ სიტყვებს, რომელიც უმთავრესად ემოციებზე იყო გათვლილი, ღიმილით უსმენდნენ. ამ დროს კი თქვენი პრეზიდენტი გაუაზრებელი და გაუთვლელი პოლიტიკის დემონსტრირებას ახდენდა.

— რას იტყვით სხვა ქვეყნების მხარდაჭერაზე?

— უდავოა, რომ თქვენს ქვეყანას უპრეცედენტო მხარდაჭერა ჰქონდა. მაგრამ მოდი, 2008 წლის აპრილში გამართული, ბუქარესტის სამიტიც გავიხსენოთ: მაშინ საქართველოს „მაპი" არ მისცეს. როცა რუსეთი თქვენს ქვეყანას ბომბავდა, ნატოს ქვეყნების ერთმა ნაწილმა შვებით ამოისუნთქა: კიდევ კარგი, მაშინ საქართველომ „მაპი" ვერ მიიღო, თორემ ახლა რუსეთის წინააღმდეგ ომი მოგვიწევდაო; მაგალითად, იტალია იდგა ასეთ პოზიციაზე... ხომ ხედებით, ეს რასაც ნიშნავს? ნატოში განხეთქილებაა. ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, რომლებიც ამერიკის მითითებით, საქართველოს უჭერენ მხარს, დღესაც ამბობენ, რომ რუსეთის აგრესიისგან დასაცავად, აუცილებელია ნატოში საქართველოს მიღება, მაგრამ მეორე ნაწილი მიიჩნევს, რომ ამ შემთხვევაში, ნატომ რუსეთთან ურთიერთობაში სერიოზული პრობლემები აიცილა. მათ არ სურთ, თქვენი ხელისუფლების კაპრიზების გამო, რუსეთს აშკარად დაუპირისპირდნენ.

— ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის აღდგენისკენ სწრაფვა კაპრიზია?

— არა, მაგრამ ამისთვის შესაფერისი დრო, საშუალება, პარტნიორები და ვითარებაა საჭირო...

— გამოდის, რომ მთელ მსოფლიოს რუსეთი მართავს, თავისი ენერგორესურსებით...

— ბოლო მოვლენებმა დაადასტურა, რომ ევროპისთვის რუსეთის ენერგორესურსები ძალზე მნიშვნელოვანია. უდავოა, რომ რუსეთი ენერგობერკეტებით ევროპაზე მნიშვნელოვან ზეწოლას ახდენს.

— ევროკავშირისა და დასავლეთის არაერთი მოთხოვნის მიუხედავად, რუსეთი ბევრ ე.წ. ბუფერულ ზონას არ აუქმებს. რას უნდა ველოდეთ, თუ მან ევროკავშირის მიერ მიცემულ „გამოსასწორებელ ვადამდე" — 14 ნოემბრამდე ჯარები არ გაიყვანა?

— საქმე ის არის, რომ ე.წ. ბუფერულ ზონებს არავინ აღიარებს, მაგრამ რუსეთი მის ლეგიტიმაციას ცდილობს. აგვისტოს მოვლენების შემდეგ მან აღიარა აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის რესპუბლიკები და ამით მიაღწია იმას, რომ მთელი მსოფლიოსა და საქართველოს ყურადღება ამ საკითხზე ყოფილიყო კონცენტრირებული, ამასობაში კი ბუფერული ზონები გაამაგრა. მოსკოვში იციან, რომ საერთაშორისო საზოგადოება ამას არ დათმობს და მათ ამ ზონების გაუქმება, დღეს თუ ხვალ, მოუწევთ, მაგრამ დრო გაჰყავთ და ამ გაურკვევლობაში კიდევ რაღაცის მოსწრებას ცდილობენ. რაც შეეხება აფხაზეთისა და ე.წ. სამხრეთ ოსეთის აღიარებას, — ბაღაფშმა და კოკოითმა ერთხმად განაცხადეს, რომ ისინი მათ ტერიტორიაზე საერთაშორისო ძალების შეყვანას არ დაუშვებენ. შესაძლოა, ამ რეგიონებში გაეროს მუშაობის საკითხიც კი ეჭვქვეშ დადგეს და დამივჯერეთ, ეს ორგანიზაცია ვერაფერს გააკეთებს იმისთვის, რათა იქ ფუნქციონირება გააგრძელოს, რადგან მასზე რუსეთის გავლენა ძლიერია... სწორედ ამიტომ ვახსენე, საერთაშორისო ძალებში რუსი სამხედროების შეყვანა, ოღონდ — მხოლოდ და მხოლოდ შეზღუდული ფუნქციებით. საერთაშორისო ძალებს იქ არც აფხაზეთის და არც ოსეთის ხელძღვანელობა არ შეუშვებს, კიდეც რომ უნდოდეთ, რუსეთი არ მისცემს ამის ნებას. ისინი დამკვირვებლების შეყვანას კი დათანხმდნენ, მაგრამ რისი გაკეთება შეუძლია 100 ან 200 შეუიარაღებელ ადამიანს?.. ფაქტია, რომ ისინი იქ ვერაფერს შეცვლიან, გარდა იმისა, რომ ექნებათ სამსახური...

— გამოდის, რომ მსოფლიოს რუსეთი მართავს... რა შანსი აქვს საქართველოს, ამ ტერიტორიების დაბრუნების საკითხში?

— დიახ, ენერგოსურსები ევროპისთვის მნიშვნელოვანი ფაქტორია და ამაში ევროკავშირის სამიტის შედეგებმა დაგვარწმუნა. რაც შეეხება საქართველოს შანსებს, — თქვენმა ხელისუფლებამ არ უნდა დაუშვას და შორიდან არ უნდა უყურეთ იმას, თუ როგორ მშვიდად და თანდათან მიიერთებს რუსეთი მის რეგიონებს; არც ოს და არც რუს მარიოდიორებს უნდა მისცეს ქართული სოფლების აწიოკების უფლება...

„ხენდ ე ხოხ!“, ბიუსტჰალტერებში გადამალული განძი და ოკუპანტების მიერ დაკავებული საიდუმლო სამხედრო ბაზა

აგვისტოს ტრაგიკულმა მოვლენებმა ყველა ჩვენგანის მეხსიერებაში ტკივილით სავსე კვალი დატოვა. ამბობენ, — ჭირი და ლხინი ძმები არიანო. მართლაც, ცხოვრება გრძელდება და მადლობა უფალს, მშვიდობის იმედით, ადამიანები ცდილობენ, ჩვეულ ყოფა-ცხოვრებას დაუბრუნდნენ. ამის მაგალითად, მინდა, შიდა ქართლის ერთ-ერთი პატარა სოფლის მცხოვრებლებზე გიამბოთ, სადაც საოკუპაციო ჯარების გამოჩენას შიში და პანიკა მოჰყვა, მაგრამ ახლა, თავს გადამხდარ ამბებს, სოფლელები ღიმილით და იუმორით იხსენებენ.

ემა ტუხიაშვილი

იმ სოფლის შარას, რომელსაც შეგნებულად არ ვასახელებ, ჯერ კიდევ ატყვია რუსული ტანკების მუხლუხების კვალი. აქა-იქ გადამწვარი ყანებიც მოჩანს — რუსი ბარბაროსების ჩვეული ხელწერა. სხვა მხრივ, სოფელში სიმშვიდეა და რადგან ოკუპანტებისგან არც ადამიანური და არც მატერიალური ზარალი არ მისდგომიათ, განცდილ შიშზე არავინ წუწუნებს. ერთია მხოლოდ — სოფლის მისადგომებს ერთი მხრიდან საპატრულო პოლიცია და ქართული ჯარი აკონტროლებენ, მეორე მხარეს კი, თუმცა შენიღბული, მაგრამ მაინც დგას რუსული ტანკები.

— *აი, იმ ფერდობს ხომ ხედავ? — სოფლის თავზე გაშლილ ტრიალ მინდორს მიჩვენებს ბერიკაცი. — იქ რუსული ტანკები ჯერ კიდევ დგანან.*

— **კი, მაგრამ აქედან რომ ვუყურებ, არაფერი ჩანს.**

— მაგ ადგილიდან დაახლოებით 3 კილომეტრში, სეპარატისტების მიერ კონტროლირებადი ტერიტორია იწყება. პირველი სოფელი — ორჭოსანია, სადაც რუსული ჯარების დიდი ნაწილია მობილიზებული. იმ ფერდობზე, რომელიც ჩვენს სოფელს ესაზღვრება, საბჭოთა პერიოდში საიდუმლო სამხედრო ბაზა მდებარეობდა. ეს იყო უზარმაზარი მიწისქვეშა კომპლექსი, სადაც საბჭოთა ხელისუფლებას რადიოსალოკაციო სისტემები ჰქონდათ დამონტაჟებული. მიწისქვეშა სამხედრო ბაზაზე განლაგებული იყო აგრეთვე მძიმე სამხედრო ტექნიკა. ჩემი თვალით მინახავს ახალგაზრდობაში, რომ მაგ ადგილიდან რუსული სამხედრო თვითმფრინავები ფრინდებოდნენ. საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მიწისქვეშა სამხედრო ბაზა ყველამ დაივიწყა. რუსებმა თავიანთი ტექნიკა გაიყვანეს, მაგრამ არც ქართველ სამხედროებს გამოუჩენიათ დიდი ინტერესი საბჭოთა ჯარების დანატოვარი მემკვიდრეობის მიმართ. სამშენებლო კონსტრუქციები, რომლებიც მიწის ზემოთ იყო აღმართული, მათ შორის, საცხოვრებელი კორპუსი სამხედრო მოსამსახურეებისთვის და სხვა, სოფლის მცხოვრებლებმა დაშალეს და გამოიყენეს, მაგრამ ძირითად, მიწისქვეშა ბაზაზე ჩასვლას ვერავინ ბედავდა. ახლა, მართალია, რუსი ოკუპანტები ჩვენი სოფლიდან გავიდნენ, მაგრამ შორს არ წასულან. საბჭოთა დროინდელი მიწისქვეშა სამხედრო ბაზა განაახლეს და მძიმე ტექნიკა იქ განალაგეს. ასე რომ, რაც მიწის ზემოთ არიან რუსები, ერთი იმდენი კიდევ, მიწის ქვემოთ უნდა ვიგულისხმოთ.

— რუსები ტანკებით სოფელში ახლაც შემოდიან ხოლმე, — *ჩაგვერთო ლაპარაკში კიდევ ერთი შუახნის მამაკაცი,* — კი არ შემოდიან, როგორც ჩვენში ამბობენ, „უტორმუზოდ“ დ. ქრიან კიდეც. მაგრამ ქართველების ბლოკსაგუშაგომდე არ მიდიან. შემოვლენ, საჭმელსა და სასმელს მოიმარაგებენ და ისევ თავიანთ ბუნკერს უბრუნდებიან. არავის არაფერს ერჩიან, მაგრამ ქალებს მათი მაინც ძალიან ეშინიათ.

— ქალებს, თორემ შენ კი შიშისგან არ ცახცახებდი. შენ არ იყავი, სამი დღე და ღამე თივის ზვინში რომ გაატარე?!. — *მიუგო ჩემმა მეგზურმა თანასოფლელს.*

— მე კი არა, ნახევარი სოფელი თივის ზვინებში იმალებოდა. სოფლის გზაზე რუსული სამხედრო ტექნიკა რომ გამოჩნდა, ქალები და ბავშვები ხილის ბალებისკენ გაიქცნენ და ფეხით გადავიდნენ მეზობელ სოფელში, რომელიც რუსების მიერ ჯერ არ იყო ოკუპირებული. მეზობელი მიყვებოდა, რომ გზად რუსული სამხედრო მანქანა შეუნიშნავთ, ამიტომ, მეტი სიფრთხილისთვის, მიწაზე დაწოლილან და გზა ფორთხვით გაუგრძელებიათ. ერთი გატოტვილი ხის ქვეშ დააპირეს თურმე, შეესვენათ, აუხედავთ ზემოთ და რას ხედავენ? რუსი ჯარისკაცები ტოტებზე სხედან და ატამს ახრამუნებენ! სასწრაფოდ, ისევ ხოხვა-ხოხვით გარიდებიან იქაურობას, რუსებმა კი ზურგს უკან სიცილი დააყარეს... ვინც დავრჩით, თივის ზვინებში დავიმალეთ. ტელევიზიით ყოველდღე ვისმენდით, რომ რუსები წვავდნენ და აოხრებდნენ ქართველების სახლ-კარს, ამიტომ სარდაფში ჩასვლას, მინდვრებში გასვლა ვარჩიეთ. აგვისტოს დასაწყისში თივა უკვე მოთიბული გვაქვს, ზვინებად ვაწყობთ და ვიდრე „ტუკებად“ დავპრესთ, მზეზე გამოშრობას ვაცდით. თითო ზვინში ორი-სამი ადამიანი ვიჯექით, მხოლოდ დროდადრო გამოვყოფდით ზვინიდან თავს და სახლებს გავხედავდით — ხომ არ დაგვიწვეს-თქო?!. ბედი არ გინდა?.. ჩემს მეზობლად, ზვინში ელგუჯას ცოლი, ნინა იჯდა. სამი დღე და ღამე ენა არ გაუჩერებია: ჩემი წიწილები მოშივებულები იქნებიან, ხბოს წყალი ენდომებაო, გახედეთ, ნათელას თავი უჩანსო და ვინ იცის, კიდევ რამდენი სისულელე თქვა მისმა ენამ. ბევრი ვითმინე, რ[illegible]ერმე ვთხოვე: ენა გააჩერე, თორემ ან შენ იქნე-



ქართლელები ცოტა ძუნწი ხალხი ვართ, მაგრამ ამ ომიანობის დროს ერთმანეთისთვის გულსა და სულს არ ვიშურებდით

ბი და ან — მე-მეთქი, მაგრამ ყურიც არ მათხოვა. ბოლოს ჭკუიდან გადავდექი: ასანთს მივცემ და თივის ბულულიანად დავწვავ ელგუჯას ცოლს-მეთქი!.. ხალხმა გამაჩერა, თორემ მაგის ენას სამუდამოდ დავადუმებდი.

— რუსული ტანკები რომ შემოვიდნენ სოფელში, ჩემი ცოლი მეორე სართულზე გაიქცა, — სახურავზე ავალო. როგორც კი კაბის კალთები შემოიკეცა და სახურავზე მიდგმულ კიბეზე მოექცა, სოფელს თავზე რუსულმა ვერტმფრენებმა გადაუფრინეს. ისე დაბლა დაფრინავდნენ, რომ ვხედავდით, ჯარისკაცებს თუ როგორ ჰქონდათ ღია კარიდან გადმოყოფილი იარაღი. საწყალი ქალი, სახლის კიბეზე არბოდა და ჩამორბოდა, ვერ გაეგო, სად დამალვოდა რუსებს, ისინი კი ვერტმფრენიდან „მეგობრულად" უქნევდნენ ხელს...

— ვისაც რა ჰქონდა სახლში, ცოტაოდენი ფული თუ ოქრო, ქალებმა ცხვირსახოცებში გაახვიეს და ბიუსტჰალტერებში ჩაიკუჭეს. ერთი ენამოსწრებული ქალი გვყავს და თანასოფლელებს ეუბნება: ქა, ამბობენ, რუსები ქალებს აუპატიურებენ, სინდის-ნამუსი თუ აგვხადეს, ფული და ოქრო რაღად ჩავუგდოთ ხელშიო?!. ეს ახლაა, რომ გვეცინება ამის გახსენებაზე, თორემ მაშინ სასაცილოდ ვის ჰქონდა საქმე?! შემდეგ, სამხედროებმა ჩვენს სოფელში საველე სასადილო მოაწყვეს და რომ დავინახეთ, წასვლას არსად აპირებდნენ, სახლებში დავბრუნდით. სოფლის კაცი ისე არ გაჩერდება, რომ რთვლამდე ერთი „შტოფი" ღვინო არ ჰქონდეს მარანში შემონახული. გამოგიტყდებით, ქართველები ცოტა ძუნწი ხალხი ვართ, მაგრამ ამ ომიანობის დროს ერთმანეთისთვის გულსა და სულს არ ვიშურებდით. გადავწყვიტეთ: ეს სიმწრით მოყვანილი ღვინო და არაყი მაინც რუსებმა უნდა დაგვილიონ და ჯობია, ჩვენ დავასწროთ-თქო. ასე რომ, ერთი კვირის განმავლობაში, ყველა თანასოფლელის მარანი მოვიარეთ და თავს იმით ვინუგეშებდით, — თუ სიკვდილი გვიწერია, მთვრალები მოვკვდეთ-თქო.

— როგორც უკვე გითხარი, ჩვენი სოფელი ოსურ სოფლებს ესაზღვრება. საბჭოთა პერიოდში ჩვენ და მათ საერთო საირიგაციო სისტემა გვქონდა. არხში წყალიც საკმარისი იყო და ოსებიც უპრობლემოდ ატარებდნენ ჩვენკენ სარწყავ წყალს. ქვეყანა რომ აირია და ქართულ-ოსური კონფლიქტი გაღვივდა, ოსებმა არხი გადაგვიკეტეს. მას შემდეგ პირველად მხოლოდ ამ საომარი მოქმედებების დროს მოაღწია ჩვენამდე სარწყავმა წყალმა. როგორც ჩანს, ამ ვითარებაში ოსურ სოფლებში ბალების მოსარწყავად არავის ეცალა და ჭარბმა ნაკადმა წინაღობა გაარღვია. არხში რომ წყალი დავინახეთ, ვიღას ახსოვდა რუსული ტანკები?! ყველამ ჩვენ-ჩვენს ბოსტნებს მივაშურეთ... წელს ძალიან გვალვიანი ზაფხული იყო და ჭირნახული უწყლობით იხრუკებოდა. ასე რომ, ოკუპაციის დროსაც კი მიწაზე ვფიქრობდით, მაგრამ როდესაც შორიახლოს რუსული სამხედრო მანქანები გამოჩნდებოდნენ, ერთმანეთს გავძახებდით, — დაწექით-თქო! — და ასე, ფორთხვა-ფორთხვით ვაგრძელებდით ჩვენს საქმეს.

— ასეთი გაჭირვებითა და სიმწრით შევინარჩუნეთ მოსავალი. რამდენიმე დღის წინ ჩვენს თანასოფლელ ქალს, ქსენია ბაბოს, ბოსტნიდან პომიდვრით სავსე კალათი მოჰქონდა. სხვათა შორის, ქსენიას ქმარი მეორე მსოფლიო ომში იბრძოდა, ტყვედ ჩავარდნია გერმანელებს და მისი დაბრუნების იმედი არავის ჰქონდა. მართალია, რამდენიმეწლიანი ტყვეობის შემდეგ, კოლა სოფელში დაბრუნდა, მაგრამ ფრონტმა და ტყვეობამ მის ფსიქიკას თავისი დალი დასვა. მახსოვს, როცა შეთვრებოდა, მწარე მოგონებები გაუახლდებოდა ხოლმე და სოფლის გზაზე დადიოდა შეძახილით: „ნა ბერლინ!" მოკლედ, ასეთ, მრავალჭირნახულ ქალს, ქსენიას გზაზე რუსული ტანკი გადაეღობა. ტანკზე შემომჯდარმა ჯარისკაცმა მოხუცს დუყვირა: „დავაი, პომიდორი!" შეშინდა საცოდავი ქსენია, რუსულის ბევრი არაფერი გეგება, უშვა პომიდვრით სავსე კალათს ხელი, დანებების ნიშნად ორივე ხელი ზემოთ აღმართა და ოკუპანტებს შესძახა: „ხენდ ე ხოხ!" პომიდორი მაინც გამოართვეს „სალდათებმა" შეშინებულ ქალს, მაგრამ სახლში მისულმა ქსენიამ აღმოაჩინა, რომ ცარიელ კალათაში რუსებს 50-ლარიანი კუპიურა ჩაეგდოთ... ■

თამუნა კვინიკაძე

ია, პაატა და „ბედნიერება“

ჟურნალისტი – პაატა გულიაშვილი
რესპონდენტი – ია სუხიტაშვილი

რუსთაველის თეატრის მსახიობებმა — ია სუხიტაშვილმა და პაატა გულიაშვილმა ერთმანეთი თეატრალურ უნივერსიტეტში სწავლის დროს გაიცნეს. ცოტა ხნის წინ, ნუცა ალექსი-მესხიშვილმა ია და პაატა ფილმში — „ბედნიერება“ გადაიღო. ჩვენ კი ისინი რუბრიკაში — „ჟურნალისტის როლში“ მოვიწვიეთ.

ია სუხიტაშვილი ლეღოზამ შეცვალა

პაატა გულიაშვილი მეორე შვილს ელოდება

— ია, მთელი ზაფხული თბილისში გაატარე?

— ოჯახთან ერთად სოფელ საცხენისში ვიყავი. ეს სოფელი მარტყოფთან ახლოს არის, რომელიც ულამაზესი ბუნებითა და ცივი წყლით გამოირჩევა. უნიკალური სოფელი მაქვს.

— ეი. წყლის გასაცივებლად მაცივარი არ გჭირდება.

— (*იცინის*) ნამდვილად ასეა.

— იქ რას აკეთებ? ალბათ, ნადირობ, თევზაობ...

— მდიდარი ფანტაზია გაქვს. სოფლამდე 35 წუთის სავალი გზაა, ჩემი პატარა 1 წლის არის და იქ მასთან ერთად ვისვენებდი.

— ია, რას იტყვი ახალ ფილმზე, რომლის გადაღებებიც ცოტა ხნის წინ დასრულდა და რომელშიც ჩვენ ორივენი ვმონაწილეობთ?

— ეს არის ნუცა ალექსი-მესხიშვილის „ფერეჩიტა“ (ან „ბედნიერება“ — ზუსტი სახელწოდება ჯერ ცნობილი არ არის) 45-წუთიანი მოკლემეტრაჟიანი ფილმი, რომლის პრემიერა ნოემბერში, მიუნხენში იგეგმება.

— თუმცა ნუცა ამბობს, არ ვიცი, მოკლემეტრაჟიანი რამდენად გამომივაო.

— იმიტომ, რომ ზოგიერთი კადრის ამოღება ენანება. ამ ფილმში ჩემმა პერსონაჟმა ძალიან მოხიბლა. ვასრულებ ქართველი გოგონას როლს, რომელიც სამუშაოდ საბერძენთში მიდის. ის არალეგალია, ავტობუსში მოთავსებულ სპეციალურ ყუთში ჯდება, რომელსაც „სასუნთქი ფანჯარა“ აქვს ამოჭრილი და საზღვარზე ისე გადის. გადაღებები ანანურში იყო. ჩემი მშობლების როლებს ადგილობრივი მცხოვრებლები თამაშობდნენ. ეს ფილმი ერთდროულად სასაცილოც არის და სატირალიც.

ახალდაბაში მინდოდა წასვლა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, ველარ წავედი

— მიგრაციის პრობლემაზე თავად ანანურში მცხოვრებლებმაც დაიჩივლეს. 2 თვის განმავლობაში სოფლიდან 9 ახალგაზრდა წავიდაო.

— ნუცამ თქვა, პანაშვიდის სცენა უნდა გადამეღო და სოფელში სულ მოხუცები და ბავშვები არიან, ახალგაზრდები მინდოდა, მაგრამ ვერ ვნახეო.

— შენ თუ წახვიდოდი საზღვარგარეთ სამუშაოდ?

— ღმერთმა ნუ დამაჭირვოს, მაგრამ ხომ იცი, როცა თავს ზევით ძალა არ არის, ადამიანმა შეიძლება, ყველაფერი გააკეთოს. „არასოდეს თქვა არასოდეს“.

— რა ამის პასუხია და, რობერტ სტურუას იუბილეზე ღვინო მოგეწონა?

— გემო გავუსინჯე და მომეწონა, მაგრამ ღვინით თქვენ, მამაკაცებმა უფრო ისიამოვნეთ.

— რა გემრიელი ტორტი იყო, არა?

— მართლა ძალიან გემრიელი იყო., თან ვეებერთელაც.

— რობერტ სტურუასთან მუშაობა თიოთეული ჩვენგანისთვის დიდი სკოლაა...

— (*აწყვეტინებს*) და ამავე დროს, დიდი ბედნიერებაც. სხვა თეატრების ბევრ მსახიობს უთქვამს ჩემთვის — რა ბედნიერი ხარ, ასეთ დიდ რეჟისორთან რომ მუშაობ.

— როგორ მოხვდი რუსთაველის თეატრში? ეს მე კი ვიცი, მაგრამ ამის გაგება მკითხველისთვის საინტერესო იქნება.

— თეატრალური ინსტიტუტი 2 კვირის დამთავრებული მქონდა. მაშინ ბატონი რობერტი „ჰამლეტზე“ მუშაობდა და ოფელიას როლის შემსრულებელს ეძებდა. კასტინგზე გავედი და რეჟისორმა არჩევანი ჩემზე შეაჩერა.

— შენი აზრით, რით განსხვავდება იგი სხვა რეჟისორებისგან?

— სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ, თეატრის სხვა რეჟისორებთან ჯერ არ მიმუშავია, რადგანაც ბევრი მსახიობი მასთან მუშაობაზე ოცნებობს, ალბათ, ბატონი რობიკო სხვებისგან ძალიან განსხვავდება.

— შენგან განსხვავებით, მე ბევრ რეჟისორთან მიმუშავია. არავის ვაკნინებ, მაგრამ რობერტ სტურუასთან გატარებული ყოველი წუთი, რალაცით გამახსოვრდება. როცა შენს როლს გადახედავ, „არ გამომივა“

— ამის გაფიქრების საშუალებასაც კი არ გაძლევს.

— და არასდროს მეორდება.

— სცენაზე შესრულებული როლებიდან, რომელია შენთვის ყველაზე საყვარელი?

— ოფელია. ამ როლმა გზა გამიკვლია, ჩემს ცხოვრებაში დიდი ტრამპლინი იყო. ბატონი რობიკო არა მარტო კარგი რეჟისორი, არამედ კარგი მსახიობიცაა, რომ აღარაფერი ვთქვა მის პიროვნულ თვისებებზე.

— ძალიან უყვარს სიურპრიზების მოწყობა. საზღვარგარეთიდან ჩვენთვის საჩუქრები ჩამოაქვს. ცოტა ხნის წინ, ელექტროსაპარსი მაჩუქა. ეს ნივთი ჩემთვის იმდენად ძვირფასია, მინდა, რელიკვიასავით შევინახო.

— აი, ეს ჩანთა ლონდონიდან ჩამომიტანა, ძალიან პრაქტიკულია. თან ეს ის ქალაქია, რომელში მოხვედრაზეც ვოცნებობ. პაატა, ალბათ დამეთანხმები, ეს რეჟისორი ყველაზე საინტერესოა რეპეტიციებზე. პრემიერის შემდეგ, ყოველთვის მასთან რეპეტიციაზე ყოფნა მენატრება და დეპრესია მეწყება.

— ის ისე გვიხსნის, რომ თამაში გვიადვილდება.

— ანანურში, ფილმის გადაღების დროს ერთი ხანდაზმული ქალბატონი გავიცანი. ის ფილმის პატარა ეპიზოდში მონაწილეობდა. როცა „სამზარეულოში" ღრმად ჩაიხედა, მითხრა, მთელი ცხოვრება მსახიობობაზე ვოცნებობდი და კიდევ კარგი, ეს პროფესია არ ავირჩიე, ეს რა შრომატევადი საქმე ყოფილაო!

— მე კი ერთი მამაკაცი გავიცანი, რომელიც ნუცამ ეპიზოდში გადაიღო. მას თავის დროზე „ბაში-აჩუკშიც" მიუღია მონაწილეობა. მეზობელი ეხუმრებოდა, — მსახიობის 50-წლიანი სტაჟი გაქვსო. როგორც ვიცი, ცოტა ხნის წინ, ფილმში ლევან თუთბერიძემაც გადაგიღო.

— ამ ფილმს ჰქვია — „აი ლავ იუ ბეიბი". პარტნიორობას უნიჭიერესი მსახიობი გიორგი ზანგური მიწევს. ფილმი ადამიანის მერყევ ხასიათზეა. ასეთი ადამიანის როლს გიორგი ასრულებს. მან არ იცის, რა უნდა ცხოვრებაში. სამწუხაროდ, არ მაქვს უფლება, ამ ფილმზე ბევრი ვილაპარაკო.

— არც შენს პერსონაჟზე მეტყვი რამეს?

— მე ვასრულებ მსახიობი გოგონას როლს. მას გიორგი ზანგურის გმირი უყვარდება. ფილმის პრემიერა ოქტომბრისთვის არის დაგეგმილი.

— რით განსხვავდება ერთმანეთისგან სცენა და გადასაღები მოედანი?

— როცა სცენაზე ხარ, ისე უნდა ითამაშო, რომ მაყურებელი „აიყვანო". იქ დუბლი არ არსებობს. გადასაღებ მოედანზე კამერებს ეთამაშები. თეატრი ჩემთვის ძალიან ძვირფასია.

— რას გრძნობ მაშინ, როცა სპექტაკლი მთავრდება და ფარდა ეშვება?

— ყველაფრისგან ვითიშები. მინდა, 5 წუთით, სადმე მარტო ჩამოვჯდე (*იცინის*).

— რას მეტყვი შენს პატარა ნიკუშაზე? ულამაზესი ბავშვია.

— არ ვიცი, რა გითხრა, სიტყვები არ მყოფნის. რაც დედა გავხდი, ენერგია უფრო მომემატა.

— ეი. დედობამ შეგცვალა?

— დედობა ძალიან მაგარი განცდაა. ქალმა ცხოვრება ისე არ უნდა დაამთავრო, რომ შვილი არ გააჩინო. შეიძლება, ცუდად გამომივიდეს, მაგრამ მაინც ვიტყვი: ის ქალი, რომელმაც არ იცის, რა არის დედობა, არასრულფასოვანი ქალია.

— ია, ჟურნალისტის როლში ისე შევიჭერი, მგონი, ველარ გამოვდივარ (*იცინის*).

— მე კი ამ როლისთვის ახლა ვემზადები.



ახლა მგონი, დეზდემონას თამაშიც მომიწევს

ჟურნალისტი — ია სუხიტაშვილი
რესპონდენტი — პაატა გულიაშვილი

— პაატა, როგორც ვიცი, მეორე შვილს ელოდები.

— მე — არა, ჩემი მეუღლე (*იცინის*), თან ისიც ბიჭია.

— ყოჩაღ, თქვენ!

— შენ მეორე შვილის გაჩენას არ აპირებ?

— კითხვებს კიდევ სვამ?.. ჟურნალისტის როლიდან მგონი, მართლა ვერ გამოდიხარ. როცა გაგიცანი, მაშინ შენ III კურსზე იყავი, მე — I-ზე. ისიც მახსოვს, რომ ძალიან გამხდარი ბიჭი იყავი. რომელი კერძი გიყვარს?

— ხაშლამას რამე შეედრება? სუფრასთან მეგობრების გარემოცვაში ყოფნა ძალიან მიყვარს.

— ბევრ ღვინოს სვამ?

— 4 ლიტრამდე, ოღონდ მეორე დღეს როგორ ვარ, არ მკითხო...

— ვიცი, რობერტ სტურუასთან ერთადაც არაერთხელ მოგილხენია.

— ბატონი რობიკო არა მარტო კარგი რეჟისორი, არამედ კარგი თამადაც არის. როცა რეპეტიციის შემდეგ რესტორანში მივდივართ, არ გეგონოს, რომ სხვა თემაზე დაგელაპარაკება, — რეპეტიცია გრძელდება, სუფრასთანაც იმ გმირებს ესაუბრება, მერე იმაზე ფიქრობს, როგორი სიმთვრალე ექნებათ და ა.შ. როცა ბატონ რობიკოსთან ერთად, სუფრასთან პირველად მოვხვდი, მაგრად დავთვერი ძალიან ბედნიერი ვიყავი და გაოცებულიც, — ეს რა მაგარი მსმელი ყოფილა-მეთქი!

— პაატა, შენი საოცნებო როლი რომელია?

— ყოველთვის მინდოდა, ყვარყვარე მეთამაშა. ნაწარმოებიც არაერთხელ მაქვს წაკითხული.

— როცა სხვადასხვა ქვეყნის მსახიობ ქალბატონებს იგივე კითხვა დაუსვეს, უმეტესობამ 3 როლი დაასახელა: ოფელია, ჯულიეტა და დეზდემონა. პირველი ორი უკვე ვითამაშე, ახლა მგონი, დეზდემონას თამაშიც მომიწევს. თან, თეთრი ვარ... კიდევ მინდა, რომ დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელში", სონიჩკას როლი ვითამაშო.

— როცა ნაწარმოებს ვკითხულობ, წარმოსახვით ის პერსონაჟი ვხდები, რომელიც ყველაზე მეტად მომწონს.

— ეს თვისება მეც მაქვს.

— ია, რას ნიშნავს შენთვის პოპულარობა?

— დღეს პოპულარულები მოდელები და შოუბიზნესის წარმომადგენლები არიან. სამწუხაროდ, ცოტა ხნის წინ, გავიცანი მომღერალი, რომელიც რუსთაველის თეატრში ერთხელაც კი არ არის ნამყოფი.

— შენ კი გამუდმებით მის სიმღერებს გასმენინებენ (*იცინის*)...

— თუ ტელეეკრანზე არ ჩნდები, პოპულარული ვერ გახდები. შენ უფრო „მზის დარტყმიდან" გიცნობენ, ვიდრე რუსთაველის თეატრიდან... დასასვენებლად სად იყავი?

— ახალდაბაში მინდოდა წასვლა, მაგრამ ჩვენს ქვეყანაში განვითარებული მოვლენების გამო, ველარ წავედი.

— ის, რაც მოხდა, ძალიან განვიცადე... „მზის დარტყმაში" რა ხდება?

— გაურკვეველი მდგომარეობაა. ვერაფერს გეტყვი. ვფიქრობ, ეს გადაცემა კვლავაც საინტერესო იქნება ჩვენი მაყურებლისთვის.

— ბევრი მძაფრი სიუჟეტი გქონდათ. კონფლიქტი არასდროს მომხდარა?

— მას შემდეგ, რაც ხვდებიან, რომ ეს ყველაფერი რეალურად არ გადახდენიათ თავს და ხუმრობა იყო, უხარიათ, განცდილი ავიწყდებათ. ამ გადაცემით უამრავი მეგობარი შევიძინე. ■

სარკოზისა და მედვედევის ვაჭრობის საგანი

„დმიტრი მედვედევის აგარაკზე ევროკავშირისა და რუსეთის პრეზიდენტების დიპლომატიურმა მოლაპარაკებამ უპრეცედენტოდ სკანდალურ ვითარებაში ჩაიარა“, — ასე შეაფასეს სხვადასხვა ქვეყნის პოლიტოლოგებმა და ექსპერტებმა ნიკოლა სარკოზისა და დმიტრი მედვედევის შეხვედრა. ამ მოსაზრებას ქართველი პოლიტოლოგი კახა გოგოლაშვილიც იზიარებს და მიიჩნევს, რომ ურთულეს დიპლომატიურ ჭიდილში საფრანგეთის პრეზიდენტმა დამაჯერებლად გაიმარჯვა.

„...შემდეგ ძალიან რთული პროცესი მოგველის: ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა...“

ხათუნა ბახტურიძე

— ბატონო კახა, რას მოიგებს საქართველო, სარკოზის დიპლომატიური გამარჯვებით?

— პირველ რიგში, მინდა აღვნიშნო, რომ მოლაპარაკებები მართლაც, ძალზე რთული იყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ რუსეთი და ევროკავშირი სხვადასხვანაირ ინტერპრეტაციას უკეთებდნენ ექვსპუნქტიან შეთანხმებას საომარი მოქმედებების თაობაზე, რომელსაც აგვისტოში მოაწერეს ხელი. მედვედევს ძალიან უცნაური პოზიცია ჰქონდა დაკავებული: ის ირწმუნებოდა, რომ კონფლიქტის ტერიტორიების გარე პარამეტრებზე თავისი შენაერთების განლაგების უფლება ჰქონდა, მაგრამ სარკოზიმ აიძულა, უკან დაეხია და საქართველოდან რუსული ჯარის გაყვანის პირობა დაედო. ძალიან მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ ამ მოლაპარაკების შედეგად, გაეროსა და ეუთოს დამკვირვებლებს თავიანთ წინანდელ პოზიციებზე დაბრუნების საშუალება მიეცემათ. ვფიქრობ, რომ ამ საკითხების მოგვარების შემდეგ დაიწყება საერთაშორისო მოლაპარაკებები — ლტოლვილების დაბრუნებისა და საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის თაობაზე.

— ამ მოლაპარაკებებზე ზემო აფხაზეთის საკითხი რატომ არ განხილულა?

— სამწუხაროდ, ჯერ კიდევ არ არის გარკვეული, დატოვებენ თუ არა აფხაზურ-რუსული შენაერთები ზემო აფხაზეთს. კოდორთან დაკავშირებით, კითხვის ნიშნები ისევ რჩება.

— ევროკავშირის ლიდერებმა მოსკოს არაერთხელ მოუწოდეს, რომ 6 აგვისტოს პოზიციებზე დაბრუნებულიყო. ამ პოზიციების მიხედვით, ზემო აფხაზეთს საქართველოს ხელისუფლება აკონტროლებდა.

— კი, მაგრამ ამ შეთანხმებაში 6 აგვისტოს პოზიციები საერთოდ არ არის ნახსენები. დოკუმენტში ნათქვამია, რომ რუსეთი უნდა გავიდეს ცხინვალისა და აფხაზეთის საზღვრებს მიღმა. საბჭოთა კავშირის დაშლამდე აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა კოდორის ხეობასაც მოიცავდა, სამხრეთ-ოსეთის ავტონომიურ ოლქში კი — ახალგორიც შედიოდა. მიუხედავად იმისა, რომ წამოჭრილი კონფლიქტის შემდეგ პირველად, კოდორსა და ახალგორს ქართული მხარე აკონტროლებდა. ამ ზონების საკითხი ახლა საერთოდ არ არის განსაზღვრული. შესაძლებელია, რომ ამ მხრივ პრობლემები ისევ შეიქმნას.

დათმობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ეუთოს მონიტორინგი დაუშვეს

— როგორ ფიქრობთ — სარკოზისა და მედვედევს შორის ვაჭრობის საგანი რა გახდა?

— რუსეთმა ცხინვალისა და აფხაზეთის დამოუკიდებლობა იმიტომ აღიარა, რომ ევროკავშირთან ამ თემით ევაჭრა. დღეს კრემლი მთლიანად აკონტროლებს სეპარატისტულ რეგიონებს და საკმაოდ კარგადაც მანიპულირებს. რუსების მხრიდან დათმობად შეიძლება მივიჩნიოთ ის, რომ აფხაზეთსა და ცხინვალში ეუთოს მონიტორინგი დაუშვეს.

კრემლი მთლიანად აკონტროლებს სეპარატისტულ რეგიონებს და საკმაოდ კარგადაც მანიპულირებს

— მოსკოვი პირის გატეხაში არაერთხელ არის შემჩნეული. თქვენი აზრით, 15 ოქტომბერს რუსული ჯარები მართლა დატოვებენ დასავლეთ საქართველოს?

— მე მგონია, რომ ამჯერად პირობას შეასრულებენ და მთლიანად გადავლენ ცხინვალსა და აფხაზეთში.

— როგორც ითქვა, ევროკავშირსა და რუსეთს შორის 15 ოქტომბრის შემდეგ ახალი მოლაპარაკებები გაიმართება. რა გახდება შემდგომი შეხვედრის მთავარი თემა?

— შემდეგი თემა იქნება იმ ქართველი ლტოლვილების უსაფრთხოების გარანტიები, რომლებიც თავიანთ მუდმივ საცხოვრებელ ადგილებზე დაბრუნდებიან. დღის წესრიგში ასევე დადგება აფხაზეთსა და ცხინვალში საერთაშორისო მშვიდობისმყოფლების განლაგება. შემდეგ უკვე ძალიან რთული პროცესი მოგველის: ეს გახლავთ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა.

— რამდენად რეალურად მიგაჩნიათ ეს იმ პირობებში, როდესაც რუსეთმა სეპარატისტული რეგიონების დამოუკიდებლობა უკვე აღიარა?

— თავის დროზე თურქეთმაც აღიარა ჩრდილოეთ კვიპროსის დამოუკიდებლობა, მაგრამ შემდეგ თავად აქტიურობდა ამ კუნძულის გაერთიანებისათვის გამართული მოლაპარაკებების დროს და არანაირ წინააღმდეგობას აღარ უწევდა საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს. მართალია, კვიპროსი ჯერ არ გაერთიანებულა, მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად, უკვე ძალიან ბევრი ნაბიჯია გადადგმული. სავარაუდოდ, ასეთივე სცენარი განვითარდება ჩვენთანაც. მაგრამ ჯერ რუსეთის საშინელი ამბიციების მოთოკვა უნდა მოხერხდეს. ■

ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის აღდგენას რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება



ექსპერტებით დაკომპლექტებული სპეციალური კომისია, რუსი ოკუპანტების მიერ საქართველოში ჩადენილი ეკოციდის შედეგებს სწავლობს. კონკრეტული შედეგების გამოცხადებამდე კი ჩვენს ქვეყანას საერთაშორისო ორგანიზაციებმა აღუთქვეს დახმარება. როგორ მოხდება გადამწვარი ტერიტორიების აღდგენა და რას გვთავაზობდნენ რუსები ხანძრის ჩასაქრობად — ამ და სხვა საინტერესო თემებზე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს თავჯდომარე, გიორგი შონვაძე გვესაუბრა.

ემა ტუხიაშვილი

— საქართველოში რუსული საოკუპაციო ჯარის შემოსვლიდან რამდენიმე დღეში — 15 აგვისტოს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნულ პარკში რამდენიმე ადგილას აღმოაჩინეს ცეცხლის კერები. ეს მოხდა მას შემდეგ, რაც რამდენიმე რუსულმა თვითმფრინავმა აღნიშნულ ტერიტორიაზე მიზანმიმართულად ჩამოყარა ცეცხლგამჩენი ჭურვები. ცეცხლის კერა ეროვნულ პარკში 4 სხვადასხვა ადგილას გაჩნდა. ამ დროისთვის ცნობილია, რომ სავარაუდოდ, დამწვარია ეროვნული პარკის 150 ჰექტარამდე ტერიტორია. ძირითადად, დაზიანებულია ფიჭვნარი, ნაძვნარი და სოჭნარი. ხანძარი გაჩნდა აგრეთვე სატყეო მეურნეობის ტერიტორიაზეც... ხანძრის მთლიანად ლიკვიდაცია მხოლოდ რამდენიმე დღის წინ მოხერხდა. მოგეხსენებათ, მაშინ, როდესაც ეროვნულ პარკში ხანძარი მძვინვარებდა, ჩაკეტილი იყო საქართველოს საჰაერო დერეფანი, გორისენაკის მაგისტრალი და ადგილობრივი ძალებით ხდებოდა ხანძართან ბრძოლა. რუსი ოკუპანტების მიერ გაჩენილ ხანძარს ბორჯომის სახანძრო სამსახური, ადგილობრივი სატყეო სამსახური, ეროვნული პარკის თანამშრომლები და ადგილობრივი მოსახლეობა აქრობდნენ. ხანძარი იმდენად მასშტაბური იყო და კერებიც ისეთ მიუვალ ადგილებში მდებარეობდა, რომ მხოლოდ ხმელეთიდან მისი ლიკვიდაცია ვერ მოხერხდებოდა. ჩვენი მეგობარი ქვეყნები: აზერბაიჯანი, თურქეთი და უკრაინა მზადყოფნას გამოთქვამდნენ, აღმოეჩინათ ჩვენთვის დახმარება ჰაერიდან, მაგრამ საჰაერო დერეფნის გახსნა ვერა და ვერ ხერხდებოდა. ხანძრის მასშტაბები ყოველდღე იზრდებოდა, ყოველ საათს და ყოველ წუთს გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. ჩვენ პანპარკების საერთაშორისო ორგანიზაციას მივმართეთ — ეს გახლავთ ევროპული პარკების ქსელი, რომელშიც ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი 2007 წლიდან შედის. პანპარკების საერთაშორისო ორგანიზაციამ დაგმო ეს ფაქტი და პირდაპირ მიმართა რუსეთის ფედერაციის გარემოს დაცვის სამინისტროსა და რუსეთის მთავრობას მოთხოვნით, დაუყოვნებლივ გაეხსნათ საჰაერო დერეფანი სამაშველო თვითმფრინავებისთვის. რუსეთმა მაშინ კიდევ ერთხელ დაგვანახვა თავისი ნამდვილი სახე და რაოდენ გასაკვირიც არ უნდა იყოს, შემოგვთავაზა, რომ ხანძრის ჩაქრობაში მისი საგანგებო სიტუაციების სამინისტროს თვითმფრინავები დაგვხმარებოდნენ. ასეთი იყო რუსეთის ცინიკური დამოკიდებულება ამ პრობლემის მიმართ: ერთი ხელით ხანძარს აჩენდნენ, მეორით კი მის ჩაქრობას გვთავაზობდნენ!.. ბუნებრივია, მათ დახმარებაზე უარი ვთქვით. ყველაფრის მიუხედავად, რუსეთის ამ ცინიკური განცხადებიდან მეორე დღეს, ყოველგვარი უსაფრთხოების გარანტიების გარეშე, ქართულ საჰაერო სივრცეში შემოფრინდა თურქეთის საგანგებო სიტუაციების სამსახურის თვითმფრინავები, რომლებმაც ხანძრის სრული ლოკალიზება მოახდინეს.

როდესაც თურქი მფრინავები ქართულ საჰაერო სივრცეში შემოდიოდნენ, ყოველგვარ საჰაერო კავშირს წყვეტდნენ, რათა რუსებს მათი გაკონტროლების შესაძლებლობა არ ჰქონოდათ. ამ ხანძართან დაკავშირებით, შესაბამისმა ორგანოებმა აღძრა სისხლის სამართლის საქმე — ეკოციდის მუხლით. ზიანი დიდია, მან შესაძლოა, ხეობაში ეკოლოგიური კატასტროფა გამოწვიოს. პანპარკების გარდა, დახმარებისთვის სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებსაც მივმართეთ. აღსანიშნავია, რომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციამ დახმარების მზადყოფნა გამოთქვა.

— საინტერესოა, კონკრეტულად რა დახმარებას გვპირდებიან საერთაშორისო ორგანიზაციები?

— ერთ-ერთი პირველი, რომელმაც ფინანსური დახმარება შემოგვთავაზა, კავკასიის დაცული ტერიტორიების განვითარების ფონდია: უკვე ცნობილია, რომ ის 100 ათას ევროს გამოყოფს. ეს თანხა მთლიანად ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკის დაცვის უზრუნველყოფას მოხმარდება. შეძენილი იქნება საველე აღჭურვილობა, რათა საჭიროების შემთხვევაში, ხანძართან ბრძოლა გაადვილდეს. ასევე შევიძენთ სხვადასხვა სახანძრო ინვენტარს, სპეციალურ მანქანებს, სახანძრო უნიფორმას. ამერიკის შეერთებული შტატების შინაგან საქმეთა დეპარტამენტმა სპეციალური სახანძრო აღჭურვილობა და უნიფორმები გამოგვიგზავნა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაცია გვთავაზობს დახმარებას — როგორც ფინანსურს, ასევე — შესაბამისი პროფესიული კადრების მოსამზადებლად.

— მართალია, ჯერჯერობით ზუსტად არ არის განსაზღვრული, თუ რა ფინანსური ზარალი მიადგა პარკს ხანძრის შედეგად, მაგრამ ცნობილია, რომ დამწვარია უნიკალური ჯიშის ხეები, განადგურებულია ნიადაგი. ამ მიმართულებით, რისი გაკეთება შეუძლიათ საერთაშორისო ორგანიზაციებს პარკის რეაბილიტაციისთვის?

— დამწვარი ფართობის მოცულობა, რა თქმა უნდა, სავარაუდო მონაცემია და ეს მხოლოდ წინასწარი შეფასებაა. საქართველოს პრემიერ-მინისტრის განკარგულებით,



ხანძრის მასშტაბები ყოველდღე იზრდებოდა

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

„მხოლოდ დროებით თავშესაფარსა და ელემენტარულ პირობებს ვითხოვთ“...

საზოგადოებას გამუდმებით გვაწვდიან ინფორმაციას, რომ ცხინვალისა და გორის რაიონებიდან დევნილი მოსახლეობის დასახმარებლად, სხვადასხვა ქვეყნიდან მილიონობით დოლარის ღირებულების ჰუმანიტარული დახმარება იგზავნება. ლოგიკური იქნებოდა, თუ ვიფიქრებდით, რომ ლტოლვილებად ქცეულ ადამიანებს საკვებითა და ელექტროენერგიით უზრუნველყოფილი თავშესაფრის პრობლემა მაინც არ ექნებოდათ, მაგრამ რეალობა სხვაგვარი აღმოჩნდა. რედაქციაში თბილისის 161-ე სკოლაში შესახლებული დევნილები თავად გვეწვივნენ იმ გაუსაძლის პირობებზე საჩივლელად, რომელშიც მათ ცხოვრება უწევთ.

ხათუნა ბახტურიძე.

ნინო მარკოზაშვილი:

— ჩვენ გორის რაიონიდან, სოფელ დიციდან ვართ დევნილები. იქნებ არ დამიჯეროთ, მაგრამ შემიძლია დავიფიცო, რომ ძირითადად, მშივრები ვართ. საკვები პროდუქტით თავიდან მოსახლეობა გვამარაგებდა, ლოგინებიც კერძო პირებმა მოგვცეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მხოლოდ ერთხელ დაგვირიგეს გაზის ბალონები და გვითხრეს — ერთი ცალით ოთხმა ოჯახმა ისარგებლეთო. 55 ოჯახს 26 საწოლი მოგვიტანეს. ახლა თავად წარმოიდგინეთ, როგორ პირობებში გვიწევს ძილი. ყველა სიკეთესთან ერთად, ახლა ისიც გამოგვიცხადეს, — აქედან სხვაგან უნდა გადაგიყვანოთო, — და ბარგის შეკვრა მოგვთხოვეს. პატრულის თანამშრომლებმა წინასწარ გაგვაფრთხილეს, — წინააღმდეგობას თუ გაგვიწევთ, სკოლიდან ძალით გაგიყვანთო.

— სკოლის შენობაში მალე სასწავლო პროცესი უნდა დაიწყოს...

— ამაზე, რა თქმა უნდა, გვიფიქრია. კარგად ვიცოდით, რომ სკოლის შენობაში დიდხანს არ გაგვაჩერებდნენ. ამაზე პრეტენზია არ გვაქვს. ბარგიც კი წინასწარ შევკარით, რომ სხვაგან გადასვლისას ბევრი დრო არ დაგვეკარგა, მაგრამ პრობლემა სხვა რამე გახლავთ: ადამიანისთვის შეუფერებელ საცხოვრებელ ოთახებს გვთავაზობენ.

— რას გულისხმობთ?

ნინო ეცადაშვილი:

— რამდენიმე დღის წინ, მერიის ერთ-ერთმა წარმომადგენელმა სოფელ დიღომში, გეოლოგების მიტოვებულ შენობაში მიგვიყვანა. ორი ოთახი გვაჩვენა, მაგრამ ორივე ძალიან ნესტიანი იყო. ვთხოვე, — იქნებ, სხვა ოთახებიც მაჩვენოთ-მეთქი. მიპასუხა, — დანარჩენ ოთახებში შხამქიმიკატები ინახებაო. კინაღამ გავგიჟდი. ორი შვილი მყავს, იქ როგორ გავჩერდებოდი?!. შემდეგ იმავე ეზოში, ორსართულიან

გაგრძელება იხ. გვ. 86

რამდენიმე დღის წინ ჩამოყალიბდა სპეციალური კომისია, რომელშიც შედიან, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები, ასევე სხვადასხვა სახელისუფლებო სტრუქტურის წარმომადგენლები. კომისიას დაევალა, ერთი თვის განმავლობაში განსაზღვროს ზარალის ოდენობა და ასევე, შეიმუშაოს რეკომენდაციები, თუ როგორ უნდა მოხდეს დამწვარი ტერიტორიების აღდგენა. რაც შეეხება ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნულ პარკს, — ეს ტერიტორია განსაკუთრებული სტატუსით სარგებლობს და იქ ადამიანის ჩარევა და მისი ხელოვნურად აღდგენა დაუშვებელია. მისი აღდგენა უნდა მოხდეს ბუნებრივად, ამას კი ალბათ რამდენიმე ათეული წელი დასჭირდება.

— ცნობილია, რომ ბორჯომი-ხარაგაულის პარკიდან ცხოველების მიგრაციის პროცესიც მოხდა...

— რასაკვირველია, ხანძარმა ცხოველების მასობრივი მიგრაცია გამოიწვია. იქ ბინადრობდა: არჩვი, შველი, ფოცხვერი, დათვი. ცხოველების დაბრუნებას ალბათ ასევე წლები დასჭირდება. უკვე მიმდინარეობს ნიამორეების რეინტროდუქციის (აღდგენის) პროცესი. ბორჯომის ხეობაში ეს სახეობა თითქმის გადაშენებული იყო.

— გაისად ბორჯომი-ხარაგაულის ეროვნული პარკი ტურისტების მიღებას ვერ შეძლებს?

— ჩვენ უკვე ვიწყებთ გარკვეული ტურისტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებით, ასევე — საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით. წელს ბორჯომი-ხარაგაულის პარკის ტერიტორიაზე ტურისტების მოზღვავება თვალში საცემი იყო. თუ ციფრები გაინტერესებთ, გეტყვით: შარშანდელთან შედარებით, ტურისტების რაოდენობა თითქმის 500%-ით გაიზარდა!.. ხანძრის შედეგად, ეკონომიკური ზარალი ადგილობრივ მოსახლეობასაც მიადგა: ის დასაქმებული იყო პარკში — გიდებად, ზოგს შემოსავალი ცხენების გაქირავებით ჰქონდა, ზოგიც სასტუმროს „ამუშავებდა“... საგაისოდ, ბორჯომი-ხარაგაულის პარკი ტურისტების მიღებას ჩვეულ რეჟიმში შეძლებს.

— რუსმა ოკუპანტებმა კოლხეთის ეროვნულ პარკსაც მიაყენეს ზიანი...

— მოგეხსენებათ, რომ რუსული ავიაცია ფოთის პორტსაც ბომბავდა. საზღვაო ხომალდების განადგურების შედეგად, ზღვაში 40-60 ტონამდე ნავთობი ჩაიღვარა, რამაც მნიშვნელოვნად დააბინძურა შავი ზღვის სანაპირო ზოლი. ფოთიდან ათიოდე კილომეტრში კოლხეთის ეროვნული პარკის დაცული ტერიტორია მდებარეობს. ის თევზის ისეთი იშვიათი სახეობების დაცვის მიზნით შეიქმნა, როგორიცაა: ზუთხი, კეფალი, ქაშაყი და დელფინი. ნავთობი დაბალწონიანი სითხე გახლავთ, რომელიც წყალს აპკივით გადაეფარება და წყლის სიღრმეში ჟანგბადის მიწოდებას აფერხებს. ცნობილია, რომ ზღვაში ჩაღვრილმა ნავთობმა უკვე მიაღწია კოლხეთის დაცულ ტერიტორიას. სავარაუდოდ, ზარალი აქაც შთამბეჭდავია.. ასე რომ, რუსი ოკუპანტების ვანდალიზმის შედეგებს, ჯერ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში მოვიმკით.

ალტერნატიული მუსიკა საქართველოში თანდათან პოპულარული ხდება. შესაბამისად, მისი მიმდევრების რაოდენობაც იზრდება. იმ ადამიანებს შორის, რომლებიც ამ მუსიკას უსმენენ, რობი კუხიანიძე განსაკუთრებული სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობს. ამის დასტური კი ერთი თვის წინ, ვაკის პარკში, განახლებულ ღია სცენაზე ჩატარებული რობის კონცერტი გახლავთ, რომელიც სამცხე-ჯავახეთის გუბერნატორ გოგა ხაჩიძის იდეით შემოქმედებითმა ჯგუფმა — „ფორმულა კრეატივიმ" განახორციელა. მათ რობის კონცერტი ფირზე ჩაწერეს და მალე ამ კონცერტის DVD-ისაც გამოსცემენ.



„ქართული პანკის ვაჟა-ფშაველა"

რაც ვინ რომლ თემაზ კუხიანიძე

თამუნა კვინიკაძე

ნიკა ძავთარაძე, *„ფორმულა კრეატივის" მენეჯერი:*

— დაახლოებით 10 წელია, რაც ალტერნატიულ მუსიკას ვუსმენ. რობის მუსიკაც, პირველად, 10 წლის წინ მოვისმინე. მას შემდეგ ამ მუსიკაზე „შევჯექი" და მანქანის მაგნიტოფონიდან მისი კომპოზიციების დისკი არ ამომიღია.

ზაზა შენგელია:

— რობი გემოვნებიან მუსიკას ქმნის. საინტერესო მუსიკოსია. ძალიან გამიხარდა, მისი კონცერტი ფირზე რომ ჩაიწერა და DVD-იზეც გამოვა.

გოგა ხაჩიძე:

— რობი საინტერესო პიროვნებაა. ამაში ყველა დამეთანხმება, ვისაც მასთან ურთიერთობა ერთხელ მაინც ჰქონია. ის ქუთაისში დაიბადა და გაიზარდა. თითქმის 20 წელია, უკრავს და მღერის. შემიძლია ვთქვა, რომ „რობი ქართული პანკის ვაჟა-ფშაველაა" ანუ ქართული პანკის კლასიკოსი...

— როგორ ფიქრობთ, რატომ ვერ განვითარდა მუსიკის ეს უანრი საქართველოში?

— იმიტომ, რომ ზოგადად შოუბიზნესი საქართველოში ძალიან ცუდად ვითარდება. ამას კარგი მუშაობა, კარგი პრომოუშენი და სტაბილური ეკონომიკური მდგომარეობა სჭირდება, რათა ხალხმა საკონცერტო ბილეთებისა და დისკების შეძენა შეძლოს.

შემდეგ თავად **რობი კუხიანიძესაც** *გავესაუბრე.*

— რობი, იცი, გოგა ხაჩიძემ „ქართული პანკის ვაჟა-ფშაველა" გიწოდა.

— ნამეტანი მოსვლია. მე რობერტია კუხიანიძე ვარ. ქუთაისის კულტურის სახლში ვარ გაზრდილი. დედა იქ მუშაობდა. ქორეოგრაფიულ სასწავლებელში 8 წელი ვცეკვავდი, შემდეგ ხალხურ საკრავებზე ვუკრავდი, თეატრში ვმსახიობობდი. ბოლოს, მასობრივ ღონისძიებათა რეჟისორის სპეციალობას დავეუფლე. მერე ნელ-ნელა მუსიკის წერაც დავიწყე და ჯგუფი „აუტსაიდერი" ჩამოვაყალიბე. მას შემდეგ უკვე 19 წელი გავიდა. ასე რომ, წლებია, რაც ალტერნატიულ მუსიკას ვქმნით. ეს კი იმ ადამიანებისთვის ხელოვნებაა, რომლებიც თავიანთი აზროვნებით უმცირესობაში არიან.

— როგორც ვიცი, სიმღერის ტექსტსაც თავად წერ.

— მე ვწერ, მაგრამ თავიდან არც ერთ ჩემს სიმღერას სათაური არა აქვს. მსმენელი მერე თავად ასათაურებს. ვწერ იმაზე, რაც ირგვლივ ხდება. ეს ასეა, არ ვიტყუები. ამ სიტყვებში ბევრი საკუთარ სათქმელს პოულობს...

— რას გვეტყვი, შენს პირად ცხოვრებაზე?

— ბევრს ვუყვარვარ, მაგრამ მე ჩემი მეუღლე, ირმა სოხაძე მიყვარს ისე, რომ მისთვის თავგანწირვაც შემიძლია. ჩემი ყველა სიმღერა ერთ ადამიანს ეძღვნება. თუ გოგო გიყვარს, ის სიყვარული გავსებს.

— ბედისწერის გჯერა?

— მთლიანად ღმერთს ვარ მინდობილი...

— მოძღვარი გყავს?

— არა. არც აღსარება მითქვამს... არადა, ამისი სურვილი ნამდვილად მაქვს. ეს შეიძლება ხვალ მოხდეს, შეიძლება — 10 წლის შემდეგ.

— რას ნიშნავს შენთვის თავისუფლება?

— ამისი ახსნა ცოტა რთულია. თუ მე, შენ, და აი, ის ადამიანები, ახლა

დაახლოებით 10 წელია, რაც ალტერნატიულ მუსიკას ეუსმენ

რობი გემოვნებიან მუსიკას ქმნის

ალტერნატიული მუსიკა საქართველოში თანდათან პოპულარული ხდება

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

პარკში რომ იმყოფებიან, თავისუფლები არ ვიქნებით, ისე ჩვენი ერიც ვერ იქნება თავისუფალი. თავისუფლებას თავისი ტკივილი და სიხარული აქვს.

— ახლობლები რას გეუბნებიან, შენთან ცხოვრება რთულია?

— არ მგონია, ასე იყოს. ძალიან ბევრი მეგობარი მყავს. ყველაზე დიდი მეგობარი ჩემი მეუღლეა. ის რომ არ მყავდეს, არ ვიცი, რა მეშველებოდა.

— როკს მაშინ უსმენდი, როცა ეს იკრძალებოდა...

— (*მაწყვეტინებს*) მერედა, როგორ იკრძალებოდა. ჩემზე 10 წლით უფროს ბიჭებთან ვმეგობრობდი. ფირფიტები ქაღალდებში ჰქონდათ დამალული. ძირითადად, ინგლისურ ჯგუფებს ვუსმენდი.

— მაშინ საზღვრები გახსნილი არ იყო. საინტერესოა, ფირფიტებს როგორ შოულობდით?

— უცხოეთში სპორტსმენები და მოცეკვავეები ხომ დადიოდნენ. მათ ისინი ახლობლების თხოვნით შემოჰქონდათ. გარდა ამისა, ქუთაისში, შაუმიანის



ყველაზე დიდი მეგობარი ჩემი მეუღლეა

უბანში ებრაელები ცხოვრობდნენ, იქ ყველაფერი იყიდებოდა.

— ალბათ, ძვირი ღირდა, არა?

— 70-100 მანეთის ფარგლებში. თუ კარგი დარეკლამებული ჯგუფი იყო, მისი ფირფიტა უფრო ძვირადაც იყიდებოდა. ფირფიტებს მოწიწებით ექცეოდნენ, ორივე მხარეს ხელი თავისებურად უნდა მოგეკიდა და ისე დაგედო. თუ ცუდი „ნემსი" გქონდა ფირსაკრავზე, ფირ.ფიტას არავინ გათხოვებდა. უვლიდნენ და უფრთხილდებოდნენ.

— სამომავლო გეგმებზე რას გვეტყვი?

— წინასწარ, ბევრი არაფრის თქმა შემიძლია, თუმცა არის რაღაც გასტროლები, რომელიც უახლოეს მომავალში გველოდება.

— წარმატებებს გისურვებ.

— გმადლობთ.

ᲤᲝᲢᲝᲒᲠᲐᲤᲘᲡ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲮᲔᲚᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲒᲔᲛᲝᲕᲜᲔᲑᲘᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ

„ᲨᲔᲕᲒᲕᲠᲔᲛᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲔᲑᲘ ᲛᲝᲛᲬᲝᲜᲡ, ᲥᲐᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲣᲘᲜᲢᲔᲠᲔᲡᲝᲔᲑᲘ ᲐᲠᲘᲐᲜ"

ᲛᲔᲠᲘ ᲙᲝᲑᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

ფოტოგრაფ ირმა შარიქაძის განსხვავებულ გემოვნებაზე რამდენიმე წლის წინ ალაპარაკდნენ, რადგან მისი ფოტოები სხვებისგან აშკარად განსხვავდებოდა. მერე კი ირმა სკანდალში გაეხვია: ყველა იმაზე ალაპარაკდა, რომ მასა და ანა ჯაკს ერთმანეთი უყვართ... ამ ქორის მიზეზი ის გახდა, რომ ანა ჯაკის კლიპის პრეზენტაციაზე მათ ერთმანეთს ტუჩებში აკოცეს. მერე ორივე ამტკიცებდა, — ეს მხოლოდ მეგობრული კოცნა იყო და სხვა არაფერი. ამ ამბის შემდეგ, ირმა შარიქაძეს არაერთხელ აღუნიშნავს, რომ ქალებიც მოსწონს და მამაკაცებიც. ამტკიცებდა, — ფოტოგრაფი ვარ და ამის უფლება მაქვსო...

როცა ირმას დავურეკე და რუბრიკაში — „გემოვნება" — მონაწილეობა ვთხოვე, მითხრა: ეს ის თემაა, რომელზეც ლაპარაკი რთულია, რადგან ადამიანებს ერთმანეთისგან განსხვავებული გემოვნება აქვთ და ცოტა არ იყოს ძნელია, თავი ყველას მოაწონოო. ფოტოგრაფი მიიჩნევს, რომ ადამიანს გემოვნება ბავშვობიდანვე უყალიბდება. მან მითხრა, — ჩემი შვილი 5 წლის იყო, ოპერაში პირველად რომ წავიყვანე და ამ დღის აღსანიშნავად თეთრი ფრაკი შევუკერეო. ამით ირმას იმის თქმა უნდოდა, რომ მშობლებს შვილის გემოვნების ჩამოყალიბებაში დიდი წვლილი მიუძღვით და ძნელია, მას ამაში არ დაეთანხმო...

— გემოვნება ის ფენომენია, რომელსაც პირდაპირი კავშირი აქვს ადამიანის ინდივიდუალურობასთან და რომელიც წლების განმავლობაში ყალიბდება. წესით, 30 წლის ასაკში ადამიანს გემოვნება ჩამოყალიბებული უნდა ჰქონდეს. შეიძლება, დიზაინერმა გირჩიოს, კონკრეტულ მომენტში რა უნდა ჩაიცვა, მაგრამ ის ყველგან ხომ არ გამოგყვება? ამიტომაც, უნდა ეცადო, საკუთარი გემოვნების დახვეწაზე თავად იზრუნო.

— შენი აზრით, ქართულ ბომონდში რამდენად გემოვნებიანი ადამიანები არიან?

— მინდა აღვნიშნო, რომ ჩვენს პატარა ქალაქში „თბილისური მოდა" არსებობს, რომელსაც არანაირი კავშირი არა აქვს იმასთან, რაც რეალურადაა მოდაში...

— მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ თბილისში ყოველთვის კარგად ეცვათ...

— და ახლაც კარგად აცვიათ, მაგრამ ეს არ პასუხობს მსოფლიო მოდას. ქართველ ქალებს კარგი გემოვნება აქვთ, მამაკაცები კი უფრო ფრთხილები არიან და ცდილობენ, გაბედული ნაბიჯები არ გადადგან. ისინი კლასიკურ ჩაცმულობას ანიჭებენ უპირატესობას. საერთოდაც, შეიძლება ითქვას, რომ მათ ჩაცმაზე მეტად, ძვირად ღირებული მანქანის შეძენა აინტერესებთ.

— ჩვენს ქალაქურ ბომონდში ვინ არის ყველაზე ორიგინალურად ჩაცმული?

— ბოლო დროს თიკა ფაცაციას სასცენო

უნდა ეცადო, საკუთარი გემოვნების დახვეწაზე თავად იზრუნო

ჩაცმულობა მომწონს, კლიპების გადაღების დროსაც ორიგინალურად იცვამს. ნინი ბადურაშვილიც მომწონს, მაგრამ ადრე, მასთან დაკავშირებით სხვა მოსაზრება მქონდა, რადგან ნინის გარდერობი ზედმეტად თინეიჯერული იყო. ამას წინათ, ის ერთ-ერთ საღამოზე ვნახე — ულამაზესი კაბა ეცვა, ძალიან მომეწონა და კომპლიმენტიც ვუთხარი. საოცრად გემოვნებიანი გოგოა თიკა კანდელაკი. მან ზუსტად იცის, რა უხდება და როგორ უნდა წარმოაჩინოს თავისი ორიგინალურობა. ასევე გამოვყოფდი მაკა ასათიანს — მას ყოველთვის კარგად ეცვა...

— შენი პროფესიიდან გამომდინარე, არცაა გასაკვირი, რომ ბინაში უამრავი ფოტო გაქვს. ბინა მხოლოდ საკუთარი გემოვნებით მოაწყვე თუ ვინმეს მოსაზრება გაითვალისწინე?

— რა თქმა უნდა, საკუთარი გემოვნებით მოვაწყვე. მეგობრები მეუბნებიან, — მყუდრო ბინა გაქვსო. ასეთი შეფასება ძალიან მახარებს.

— ერთი შეხედვით, მაგიდაზე დიდი არეულობაა. მაგიდის ერთ კუთხეში მძივები და მაქმანები, ხოლო მეორე მხარეს, სხვადასხვა დროს შენი ჩვენებისთვის გაკეთებული მოსაწვევები აწყვია...

— გადავწყვიტე, მაგიდა მაქმანებით და ბისერებით მომერთო, რადგან ასე უფრო რომანტიკულია... საერთოდ, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ როგორ ჭურჭელს იყენებ და სუფრას როგორ აწყობ. შეიძლება, სტუმრები მოვიდნენ და რაღაც მომენტში, ყველაფერი აირიოს, მაგრამ მერე ხომ დალაგდება?! როცა ბინა მოუწესრიგებელია, ეს ჩემზე ცუდად მოქმედებს.

— როცა ადამიანს წესრიგი არ უყვარს, ეს მისი ხასიათის რომელ თვისებაზე მიუთითებს?

— ო-ო... იცი, ჩამჭრელ კითხვებს მისვამ. არ მინდა, ვინმეს ვაწყენინო... ასეთი ადამიანი, ჩემი აზრით, წვრილმანებს ყურადღებას არ აქცევს, რაც არა მგონია, კარგი თვისება იყოს.

— ჩაცმულობის სტილით სხვებისგან ნამდვილად განსხვავდები. ხშირად იყენებ ქუდს. ამ აქსესუარში თავს კომფორტულად გრძნობ?

— ეს აქსესუარი ძალიან მიყვარს და ყოველთვის ვცდილობ, მოვიხდინო. ქუდი ქალის ინდივიდუალობას უსვამს ხაზს. საერთოდ, ის ძალიან პრეტენზიული აქსესუარია, ყველგან ვერ დაიხურავ. ძალიან მომწონს ვუალიანი ქუდები.

— როგორ სტილს ანიჭებ უპირატესობას?

— არ მიყვარს სპორტული ტანსაცმელი.

— ეი. შენს გარდერობში ჯინსის შარვალი არ არის?

— როგორ არა? რამდენიმე კარგი ჯინსის შარვალი მაქვს, მაგრამ ის ყოველთვის მაღალქუსლიან ფეხსაცმელზე მაცვია. თან, ამ დროს აუცილებლად ორიგინალური მაისური უნდა მეცვას. ამის წყალობით, ჯინსის შარვალი სპორტულ იერს კარგავს... ადრე სულ მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი მეცვა, რადგან ვფიქრობდი, — ძალიან დაბალი ვარ-მეთქი. ამ ბოლო დროს კი მგონი, ეს კომპლექსი მომეხსნა. მივხვდი, რომ შეიძლება, „დაბლებზე" იდგე და მაინც თავდაჯერებული იყო...

— რა ფერის სამოსი ჭარბობს შენს გარდერობში?

— ძალიან მიყვარს საღამოს კაბები და რამდენიმე ზურგმოშიშვლებული თეთრი კაბა მაქვს. საერთოდ, ჩემი საყვარელი ფერი წითელია და ამიტომაც, თითქმის ყოველთვის წითელ პომადას ვისვამ. ასევე მიყვარს იასამნისფერიც, ვარდისფერიც... როცა ქალს მოკლე ქვედაბოლო და ძალიან დეკოლტირებული მაისური აცვია, მასზე ამბობენ, — უგემოვნოა, მაგრამ სამწუხაროდ, მიუხედავად ამისა, ჩვენს ქალაქში ასე ჩაცმული ძალიან ბევრი ქალი დადის.

— ფოტოგრაფით როდის დაინტერესდი?

— როგორც კი ფოტოაპარატი ავიღე ხელში, მივხვდი, რომ ეს ის სფერო იყო, რომელსაც ველარ შევეშვებოდი. ეს დაახლოებით 15 წლის ასაკში მოხდა.

— როდის მიხვდი, რომ ფოტოგრაფიაში წარმატებას მიაღწევდი?

— ამის შეგრძნებაც თავიდანვე გამიჩნდა. როცა პირველი სურათები გადავიღე, მივხვდი, რომ ეს საქმე ჩემთვის ორგანული იყო. ეს ის სფეროა, სადაც თვითრეალიზებას ვახდენ.

შვილთან ერთად

— კარგი ფოტოს გადასაღებად ძვირად ღირებული ფოტოაპარატი გჭირდება?

— არა აქვს მნიშვნელობა, რამდენად ძვირად ღირებული აპარატით მუშაობ. 300-ლარიანი ფოტოაპარატითაც შეიძლება, კარგი სურათი გადაიღო. უბრალოდ, მერე ბევრი მუშაობა მოგიწევს — ფირი უნდა გაამყლავნო, ფოტო დაასკანერო და ა.შ.

— შენი გადაღებული ფოტოებიდან, ყველაზე მეტად რომელი მოგწონს?

— ვერც ერთს ვერ გამოვყოფ. როცა ფოტოსესიაზე ვმუშაობ, ძალიან ბევრს ვფიქრობ აქსესუარებსა და „ნარიადებზე". აქსესუარებს ძირითადად, ჩემი გარდერობიდან ვიყენებ. დიდ მნიშვნელობას ვანიჭებ მაკიაჟსაც. მოკლედ, წინასწარ ისე ვემზადები, როგორც თეატრის მხატვარი.

— ალბათ დამეთანხმები, რომ ადამიანის გემოვნება კარგად ჩანს იმაშიც, თუ როგორი რჩეული ჰყავს. შენს ყურადღებას როგორი მამაკაცები იქცევენ?

— მინდა, ჩემ გვერდით ღირსეული ადამიანი იყოს. ის შეიძლება, ქერა გახლდეთ, შეიძლება — შავგვრემანი. აი, რაც შეეხება მანდილოსნებს, შავგვრემანი ქალები მომწონს, ქერები კი უინტერესოები არიან.

— როგორც ვიცი, სექტემბრიდან ტელეგადაცემის გაკეთებას აპირებ. მოგვიყევი, რა თემაზე იქნება შენი გადაცემა...

— გადაცემას დაახლოებით იმ თემაზე გავაკეთებ, რომელზეც ახლა ვსაუბრობთ. მოწვეული სტუმრები ჩაცმულობაზე ილაპარაკებენ. წინასწარ არაფრის თქმა არ მინდა, რადგან შეიძლება, ვინმემ იდეა მომპაროს (*იცინის*). ■

ძალიან მიყვარს საღამოს კაბები

„კარგა ხანს მეგონა, რომ კახეთში მცხეთის გავლით მოვხვდებოდი“...



თამაზ კვაჭანტირაძის „აღსარება“ და მისი ლეგენდარული გეოგრაფიულ-სივრცითი ორიენტაცია

ხათუნა ბახტურიძე

პრეამბულის მაგიერ

განათლების ექსმინისტრის, თამაზ კვაჭანტირაძის აზრით, რუბრიკა „ერუდიტი“, მავანთა ამოსაცნობად, საინტერესო ჟურნალისტური ხერხია, თუმცა მიიჩნევს, რომ რეალურად ადამიანის ინტელექტი კონკრეტული ფაქტებისა და ციფრების დამახსოვრებაში კი არა, ამ მოვლენებითა და თარიღებით მანიპულირების უნარში ამოიცნობა. ასეა თუ ისე, მას „ერუდიტში“ მონაწილეობაზე უარი არ უთქვამს. პირიქით, დიდი ხალისითა და ინტერესით ჩაერთო ამ „თამაშში“.

— ბატონო თამაზ, ფიქრობთ, რომ კარგი მეხსიერება ადამიანის ინტელექტზე არ მეტყველებს?

— მეტ-ნაკლებად. არსებობს ელემენტარული საკითხები, რისი არმცოდნე პიროვნება მძიმე შთაბეჭდილებას ტოვებს, მაგრამ შეიძლება ადამიანს რაღაც ისეთი დაგავიწყდეს, რაც ერთ დროს მშვენივრად იცოდი. ისიც შესაძლებელია, რომ ადამიანის გონებამ მეტად რთულად დასამახსოვრებელი საკითხი აითვისოს, მარტივი რამ კი ვერ დაიმახსოვროს. ახლობლებს ჩემი მეხსიერების სპეციფიკა ძალიან აოცებთ: უზარმაზარ ტექსტებს ზეპირად ვიმახსოვრებ (როდესაც ტელელექციები მიმყავდა, „შპარგალკას“ არასოდეს ვიყენებდი), ძალიან კარგად მახსოვს ლიტერატურული ფაქტები, მაგრამ ჩემს გეოგრაფიულ-სივრცით ორიენტაციაზე ყოველთვის ანეკდოტები დადიოდა.

— რას გულისხმობთ?

— მაგალითად, კარგა ხანს მეგონა, რომ კახეთში მცხეთის გავლით მოვხვდებოდი. ერთხელ, ბიჭებმა ყვარელში წასვლა გადავწყვიტეთ, მე მათ შეხვედრის ადგილი მცხეთის „საპერაშკესთან“ დავუთქვი. გაოცებულები მიყურებდნენ — რა გვინდა მცხეთაში, როდესაც კახეთში მივდივართო. ჩემს მეგობარ აჩიკო გოგელიასთან წლების განმავლობაში შემოვლითი გზით დავდიოდი, არადა, თურმე მის სახლამდე ბელინსკის ქუჩით ასვლა გაცილებით მოსახერხებელი ყოფილა. ესე იგი, რაღაცებს ვერ ვიმახსოვრებ, ზოგჯერ ეს შეიძლება საკუთარი სახელი ან გარკვეული ფაქტიც იყოს.

— ციფრების დამახსოვრებაც ხომ არ გიჭირთ?

— კი, ციფრების დამახსოვრებაც მიჭირს. ერთ რამეშიც გამოგიტყდებით: უცხოური სიტყვების მეტყველებაში გამოყენებას იმიტომ ვერიდები, რომ ქვეცნობიერი შიში მაქვს, შეცდომა არ დავუშვა. შეიძლება ადამიანმა იფიქროს, რადგან ქართულად ლაღად მეტყველებს, უცხო ენებსაც, ალბათ, ადვილად ითვისებსო, მაგრამ პოლიგლოტური მიდრეკილება არ მაქვს. უცხო ენა რომ კარგად აითვისო, თავხედი უნდა იყო.

— რატომ, ბატონო თამაზ?

— იმიტომ, რომ არ უნდა შეგეშინდეს შეცდომის დაშვების! მე მთელი ცხოვრება მეშინია — შეცდომა არ დავუშვა. სხვათა შორის, კორექტურულ შეცდომებსაც ვგულისხმობ. ამიტომაც არის, ამდენს რომ განვალებთ ჟურნალისტებს და ვცდილობ, ჩემთან ინტერვიუ ჩემივე ხელიდან „ჩალხდაკრული“ გამოვიდეს. აი, ამ „აღიარებითი ჩვენების“ შემდეგ თქვენს კითხვებს მოვისმენ.

— „ჩვენ ერთი ღმერთი ვიცით და მეორე — საქართველოს მეფე. სხვათა უღელი უცხოა ჩვენთვის“. ვის მისწერეს ეს სიტყვები თუშ-ფშავ-ხევსურებმა?

— რუსეთის ხელმწიფეს.

— ვისი ლექსია: „ჩემი მორდუ აფხაზეთში იზრდებოდა თარებთან,/ ბადეს შლიდა და შვილდ-ისრით ტყეში ნადირს არბევდა“?

— შოთა ნიშნიანიძის.

— რომელ საუკუნეში ავიდნენ ბაგრატიონები აფხაზთა მეფის ტახტზე?

— IX ან X საუკუნეში.

— დიახ, X საუკუნეში. ვინ იყო, ლეგენდარული მგოსანი ქალი, რომელიც კუნძულ ლესბოსზე ცხოვრობდა და უღბლო სიყვარულის გამო კლდიდან ზღვაში გადაეშვა?

— საფო.

— რას ეძახდნენ ხარება ჯიბუტს მეტსახელად?

— უნდა გავიხსენო ფილმი — „ხარება და გოგია“. (ფიქრობს) არ ვიცი, ვერ ვიხსენებ.

— ლეკს.

— მართლა? არ გამიგია.

— ვინ შექმნა გერმანიაში მესამე რაიხი?

— მესამე რაიხი ფაშისტებმა შექმნეს. მათი ლიდერი ჰიტლერი იყო.

— უნგრელი, რევოლუციონერი პოეტი, რომელიც 26 წლისა ეროვნულ-განმათავისუფლებელ ბრძოლაში დაიღუპა.

— შანდორ პეტეფი. მისი ლექსები გრიგოლ აბაშიძემ შესანიშნავად თარგმნა.

— თბილისელი აშული, წარმოშობით სომეხი, თხზავდა ლექსებს ქართულ და აზერბაიჯანულ ენებზეც. ამასთან, იყო ერეკლე მეფის საზანდარი. ვინ იყო ის?

— საიათნოვა.

— ვინ ასრულებს მილიციელის როლს ფილმში „ქვევრი“?

— ეროსი მანჯგალაძე.

— სად არის დაკრძალული ანტონ პირველი ბაგრატიონი?

— მგონი, მცხეთაში.

— დიახ, ერეკლე მეფის გვერდით. ვინ შემოიტანა საქართველოში პირველად შპალერი, როიალი და ბილიარდი.

— საკმაოდ განსხვავებული ნივთებია, ერთმანეთთან რა საერთო აქვთ?

— არაფერი, უბრალოდ ის საქართველოში ერთმა პიროვნებამ ჩამოიტანა. მინიშნებისთვის გეტყვით, რომ ამ ბატონმა როიალი თავისი ქალიშვილების გასართობად შეიძინა.

— გასაგებია, ალექსანდრე ჭავჭავაძე იქნება. ბილიარდი ალბათ მის სიძეს უყვარდა.

— მან აღიარება სიკვდილის შემდეგ პოვა, ხატვა ნახშირის ნატეხით დაიწყო. სიკვდილამდე ორი წლით ადრე, სიყვარულის დასამტკიცებლად ყური მოიჭრა და ქალს გაუგზავნა. ვინ იყო ეს პიროვნება?

— ვან გოგი.

— სად არის დასვენებული ხახულის ღვთისმშობლის ხატი?

— საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

— ვინ არის რომანის — „რკინის თეატრი“ ავტორი?

— ოთარ ჭილაძე.

— ფულის ერთეული გერმანიაში.

— გერმანული ვალუტა მარკაა, მაგრამ ევროკავშირის წევრ ქვეყნებში ახლა ევროა.

— რომელ ქვეყანაში გამოიგონეს კომპასი?

— ყველა მსგავსი ნივთი, ქაღალდის ჩათვლით, ჩინეთშია გამოგონებული. ეგეც იქაური წარმოშობის იქნება.

— მართალი ბრძანდებით. ვინ იყო ნადირ-შაჰი, ვიდრე ის ირანის მბრძანებელი გახდებოდა?

— ბავშვობაში ის მეჯოგე იყო, შემდეგ — ცნობილი მხედართმთავარი.

— რომელ ქართველ მეფეს შეარქვეს სპარსელებმა შაჰნავაზი?

— ქართლის მეფე ვახტანგ V-ეს.

— ბატონო თამაზ, სულ ამაოდ მომეცით „ალიარებითი“ ჩვენება... ამოცანას თავს ჩინებულად ართმევთ...

— მასეც არ არის საქმე, შეიძლება, ბევრი რამ არ მახსოვდეს.

— კარგი, გავაგრძელოთ; ვინ იყო „აბდულმესია“?

— „აბდულმესია“ ნიშნავს მესიის მონას. ის ერთ-ერთ ნაწარმოებს ერქვა.

— ისიც ხომ არ გახსოვთ, ვის კარზე მსახურობდა მისი ავტორი?

— მახსოვს, შავთელს თამარის კარის პოეტად მიიჩნევდნენ.

— რა სიტყვები იყო ამოკვეთილი შამილის ხმალზე?

— ეგ არ ვიცი, მაგრამ ერეკლე მეფის ხმალზე ასე ეწერა: „მე ვარ ავი მუსაიფი კახთ ბატონის ირაკლისა“... შამილის ხმალზე ალბათ რელიგიური შინაარსის წინადადება იქნებოდა ამოკვეთილი.

— არა, ბატონო თამაზ, შამილის ხმალზე ასე ეწერა: „იგი მამაცად არ იწოდების, ვინც ხმალშემართული წინდაწინ ბრძოლის დასასრულზე ფიქრობს“.

— მართლა? რაც არ ვიცი, არ ვიცი.

— რომელმა მეფემ მოულო ბოლო საქართველოში მონღოლთა ბატონობას?

— გიორგი ბრწყინვალემ.

— ვინ იყო თურქეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი?

— ქემალ ათათურქი.

— „სამშობლოსათვის ცოტა გაგიკეთებია, თუ ყველაფერი არ გააკეთე“, — ვინ თქვა ეს სიტყვები?

— კარგი გამონათქვამია. ანტიკური ხანის პოეტის გამონათქვამსა ჰგავს, მაგრამ ვერ ვიხსენებ.

— ეს სიტყვები მაქსიმილიან რობესპიერმა თქვა. რატომ თბება ძლიერი შტორმის დროს ზღვაში წყალი?

— ჩემო ძვირფასო, მე ისიც კი არ ვიცოდი, რომ შტორმის დროს ზღვაში წყალი თბებოდა. მოდი, ვიმსჯელოთ — თუ მოძრაობას შტორმს დავუკავშირებთ და გავითვალისწინებთ, რომ მოძრაობისას სითბო გამოიყოფა, შეიძლება, რაღაც დასკვნა გამოვიტანოთ. ალბათ, წყალი ტალღების ერთმანეთთან ხახუნის გამო თბება. მართალი ვარ?

— დიახ, ბატონო თამაზ, წყლის ერთი ფენის მეორესთან ხახუნის საფუძველზე მექანიკური ენერგია წარმოიქმნება და სითბურ ენერგიად გადაიქცევა. ვინ იყო ლაზარე?

— მართასა და მარიამის ძმა, საყვარელი მეგობარი ქრისტესი, ვინც ის მკვდრეთით აღადგინა.

— „კაცობრიობა ვერ განთავისუფლდება, თუ საქართველო არ განთავისუფლდა“, — ვინ თქვა ეს სიტყვები?

— ვერ ვიხსენებ.

— მიგანიშნებთ: ის შვეიცარიაში მოღვაწე პირი იყო.

— რობაქიძის სტილში კია ნათქვამი, თუმცა შვეიცარიაში ჩხენკელიც მოღვაწეობდა.

— ის ქართველი არ გახლდათ. ეს ფრაზა ედგარ მილომ ჟენევაში სიტყვით გამოსვლისას თქვა. თბილისში გამოიყენეს ძლიერი ქიმიური აგენტი, რომელიც მხოლოდ პირველ მსოფლიო ომში იქნა გამოყენებული. რუსმა ჯარისკაცებმა ხალხს პირდაპირ ცხვირ-პირში შეასხურეს „სიესის“ ცნობილი გაზი. ოთხი ადგილზე გარდაიცვალა, უმრავლესობა მოიწამლა... რა მოვლენაზეა ლაპარაკი?

— 9 აპრილზე.

— ონორე დე ბალზაკთან ერთხელ ხანდაზმული ქალბატონი მივიდა, ჩანაწერები აჩვენა და ჰკითხა: შეიძლება თუ არა, ამის დამწერისგან მწერალი გამოვიდეს? ცოცხალი, მოძრავი ბავშვი ჩანს, მაგრამ გონებაჩლუნგია, — უპასუხა ბალზაკმა. ვისი ნაწერები მიუტანა მას ქალბატონმა?

— ნამდვილად ბალზაკია და არა ფლობერი?

— ნამდვილად ბალზაკია.

— მე ვიცი, რომ ფლობერს მისმა საყვარელმა ქალმა თავისი შვილის, გი დე მოპასანის ნაწერები აჩვენა. ფლობერმა კი უპასუხა: „ეს ბავშვი ნიჭიერია, წერას კი ტანჯვა ასწავლის“. ამას დავეხსნათ, თქვენს კითხვაზე ვიფიქროთ. ეს ბავშვი აუცილებლად ბალზაკის თანამედროვე იქნებოდა, რომლის ნაწერიც მან არასწორად შეაფასა. ვინ უნდა ყოფილიყო? ვერ ვიხსენებ.

— თავად ბალზაკის. ეს მოხუცი ქალბატონი მისი მასწავლებელი იყო.

— (*იცინის*) ძალიან კარგი კითხვაა.

— რა მოიმოქმედეს ჩინელებმა მონღოლებისგან თავის დასაცავად?

— უზარმაზარი კედელი ააგეს.

— რა ერქვა ხევსბერ გოჩას შვილს?

— ონისე.

— ვინ ასრულებს კოტეს როლს ფილმში — „ქეთო და კოტე“?

— ბათუ კრავეიშვილი.

— რომელ თევზს აქვს ორივე თვალი ცალ მხარეს?

— კამბალას.

— რომელ ტაძარში სწირავენ ღორებს?

— ეს ტაძარი კახეთშია, ახმეტასთან ახლოს უნდა იყოს, ვგონებ, ნეკრესი.

— დიახ, ღორებს ნეკრესის ტაძარს სწირავენ. და ბოლო კითხვა: რა შეიძლება იყოს ის, რისი საშუალებითაც შეგიძლიათ გააღოთ ნებისმიერი გული და დაკეტოთ ნებისმიერი პირი?

— სიტყვა, ჩემო ბატონო.

— მართალი ბრძანდებით. ძალიან საინტერესო მოთამაშე იყავით, ბატონო თამაზ. დიდი მადლობა.

■

ერუდიტი +

ჰასაციია — ზემდგომ სასამართლოში განაჩენის გასაჩივრება ან გაპროტესტება.

მეტროპოლია — სახელმწიფო, რომელსაც აქვს კოლონიები.

იუსტიციია — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს სამართლიანობას.

ექსპატრიაციია — კონსტიტუციური პრინციპი, რომლითაც იკრძალება ქვეყნიდან საკუთარი მოქალაქის გაძევება.

ბიპატრიზმი — ადამიანის კავშირი, ერთსა და იმავე დროს, ორ ან მეტ სახელმწიფოსთან.

რეგენტობა — ლათინური სიტყვაა და ნიშნავს მართვას.

მონოკამერალიზმი — პარლამენტის სტრუქტურა, რომელიც გამორიცხავს მის დაყოფას პალატებად.

„თუ ჩაქე დაქექაჩთა, შვილი ისე გაქიგაჩდე, ჩოგოჩუ ნაქდვილ ქაჩთველს შეეფეჩება“

მათ შორის, ვინც სამშობლოს დაცვისას, ბრძოლის ველზე დაეცა, 23 წლის გიორგი ღვინიაშვილია. მისი მეუღლე, და და მამა გულს იმითღა ინუგეშებენ, რომ გიორგი ვაჟკაცი იყო და ვაჟკაცურადაც დაიღუპა...

სოფო ჭონიშვილი

ლიკა ღვინიაშვილი, *გიორგის ქვრივი:*

— მე და გიორგიმ ოჯახი 3 წლის წინ შევქმენით. ამ ხნის განმავლობაში ხან გვიჭირდა, ხან კიდევ გვილხინდა, გაჭირვებასა და მატერიალურ პრობლემებს ჩვენი სიყვარული არ გაუნელებია. გიას დედა არ ჰყავდა და მის გამო ყოველთვის დარდიანი იყო. მე რომ შემირთო ცოლად, — ბედნიერი იყო, მითხრა, — დედის გარდაცვალების შემდეგ, გულში სითბო პირველად ახლა ვიგრძენიო... ერთი პერიოდი ისე გვიჭირდა, რომ დიღომში მუშაობდა და იქიდან ფეხით მოდიოდა შინ, გზის ფული რომ არ დაეხარჯა. არმიაში სწორედ გაჭირვების გამო წავიდა. მეუბნებოდა: — დავიღალე ამდენი გაჭირვებით, იქ ხელფასი მაინც მექნებაო. ოჯახის წევრები მისი ჯარში წასვლის წინააღმდეგი ვიყავით, მაგრამ გადაწყვეტილება მაინც ვერ შევაცვლევინეთ.

— სავალდებულო სამხედრო სამსახური გავლილი ჰქონდა?

— არა. გიორგი ოჯახის მარჩენლად მიიჩნეოდა და ამიტომ ჯარში არ გაუწვევიათ. უკვე ერთი წელია, რაც მსახურობდა. ჯერ სწავლებაც არ ჰქონდა დამთავრებული. 7 აგვისტოს დაღუპულა, ჩვენ ამის შესახებ, 9 აგვისტოს შევიტყვეთ. გული ცუდს მიგრძნობდა; ამიტომ ხშირად ვურეკავდი და ამბავს ვკითხულობდი, მეუბნებოდა, — კარგად ვარ, არაფერი მიჭირსო. თურმე მატყუებდა და ამ დროს წინა ხაზზე იყო. ბოლოს, 6 აგვისტოს დამირეკა და მითხრა, — ცხინვალში შევდივართ, თავს ისე კარგად ვგრძნობ, როგორც არასდროს, 3 დღეში ჩამოვალ, ჩემს პატარა კაცს მიმიხედეო. ამ ყველაფერს ისეთი ომახიანი ხმით მეუბნებოდა, გაოცებული ვუსმენდი, მიზეზს კი ახლა ვხვდები: ალბათ, იმიტომ, რომ ეს ჩვენი ბოლო საუბარი იყო. 7 აგვისტოს უკვე ველარ ვუკავშირდებოდი, ტელეფონი გათიშული ჰქონდა. მერე მის მეგობარს დავურეკე და ვკითხე, — გიორგიზე რა იციმეთქი? — არაფერიო, — მიპასუხა და გამითიშა, თურმე უკვე დაღუპული ყოფილა, თქმა ვერ გამიბედა და ტელეფონიც იმიტომ გამითიშა. ჩემ გარდა, ყველამ იცოდა, რომ გია დაღუპული იყო, მე მომატყუეს, — დაჭრილიაო. სოფელში დედასთან ვისვენებდი. თბილისამდე ისე ჩამომიყვანეს, არაფერი უთქვამთ. ეზოში რომ შემოვედი და ხალხი დავინახე მივხვდი, ჩემს თავს რა უბედურებაც ტრიალებდა. თუმცა პატარა იმედი მაინც მქონდა დარჩენილი. ვფიქრობდი, რომ ჩვენს პატარას ღმერთი არ გაწირავდა და უმამოდ არ დატოვებდა. გიას სიკვდილით ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა. ის მაძლებინებს, რომ შვილი მყავს. ბაჩო ჯერ მხოლოდ 3 თვისაა. შვილი ყველა მამას უყვარს, მაგრამ მას რაღაც განსაკუთრებულად უყვარდა. რომ მოვიდოდა, ბავშვს მთელი ღამე არ აძინებდა, ეფერებოდა, ეთამაშებოდა, თითქოს რაღაცის მოსწრება სურდა...

გიას სიკვდილით ჩემთვის ყველაფერი დამთავრდა

გიორგი ცოლ-შვილთან ერთად



— თუ იცით, რა ვითარებაში დაიღუპა?

— ჩემი მეუღლე გმირულად დაიღუპა. ის „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში იჯდა, ცხინვალიდან დაჭრილები გადმოჰყავდა. დაჭრილების საშველად რომ მიდიოდა, უკან თურმე ჩვენი ჯარისკაცებისთვის, ტყვიაწამლით დატვირთული მანქანა მიჰყვებოდა. მოულოდნელად, ეს მანქანა აფეთქებულა, გია სასწრაფოდ

მანქანიდან გადმოსულა და მათ დასახმარებლად გაქცეულა, როგორც თვითმხილველები ამბობენ, როცა მიუახლოვდა, მანქანა მეორედ აფეთქდა და გია ადგილზევე დაიღუპაო. მის გვერდით ექიმი და ექთანი — ორივე დაღუპულა. მძიმედ დაჭრილი ექიმი თურმე, ხმამაღლა ყვიროდა, — ღვინიაშვილს მიხედეთ, შინ 3 თვის შვილი ჰყავს დატოვებულიო! საცოდავი, ისიც იქვე დაღუპულა...

— როგორც ვიცი, გიორგიმ რამდენიმე თვით ადრე თქვენ გამოსამშვიდობებელი წერილი დაგიტოვათ...

— დიახ. აპრილში გიორგიმ სასწავლო კონსპექტების რვეული ჩამაბარა. თან დროდადრო მახსენებდა, — რვეულები კარგად შემინახე, არ დამიკარგოო. დაკრძალვის მეორე დღეს ეს კონსპექტები გამოვიღე და ვათვალიერებდი. უეცრად, ჩემს სახელზე დაწერილ წერილს წავაწყდი. ძალიან მინდა, ეს წერილი თქვენც წაიკითხოთ. ჯერ კიდევ 20 აპრილს გრძნობდა, რომ მას რაღაც დაემართებოდა. აი, რას მწერს: *„ლიკა, ჩემო ძვირფასო, სიცოცხლე შენით და იმ პატარათი მიხარია, რომელიც ახლა შენს მუცელში ფართხალებს. მე თუ წამიყვანეს, ერთს გთხოვ — თავს გაუფრთხილდი და ჩვენს პატარასაც. იმედი მაქვს, რომ უვნებელი დავბრუნდები. თუ რამე დამემართა, შვილი ისე გამიზარდე, როგორც ნამდვილ ქართველს შეეფერება. თუ ბიჭი იქნება, ვაჟკაცად გაზარდე, თუ გოგო — ქართველ ქალს რომ შეეფერება — ისე ანუ შენნაირი იყოს. უზომოდ მიყვარხარ, ამას შენ მთელი ცხოვრება ვერ მიხვდები, იმიტომ, რომ ამ სიყვარულის ბოლომდე გამოხატვა არ შემეძლო. ჩემს გულს დარდი და დიდი მონატრება გაჰყვება. თუ დავიღუპე, ჩემს შვილს მოუყევი როგორი მამა ჰყავდა. იცოდე, რომ ვაჟკაცურად დავიღუპები. თუ გადავრჩი, სიამაყით სავსე დავბრუნდები. იცოდე, რომ ძლიერ მიყვარხარ და სადაც უნდა წავიდე, ყველგან თქვენი სიყვარული გამყვება. იქიდანაც თქვენზე ვიფიქრებ და ვილოცებ. მიყვარხარ“...*

მანანა ღვინიაშვილი, *გიორგის მამიდა:*

— გიორგი ჩემი გაზრდილი იყო. ერთმანეთი ძალიან გვიყვარდა. ცხინვალში რომ წაიყვანეს, ყოველდღე მირეკავდა და მამშვიდებდა, არ ინერვიულოო. ერთხელ ისიც მითხრა, — მამიდა, აქ ისეთი საშინელებები ხდება, რომ ჩამოვალ, შეიძლება სრულ ჭკუაზე არ ვიყო. რუსები ათასგვარ

ჩვენ იმით გაგვიმართლა, რომ გიორგის ცხედარი არ დავკარგეთ

სისასტიკეს სჩადიან, დაღუპული ქართველი ჯარისკაცები ერთად შეუგროვებიათ, ბენზინი გადუსხამთ და დაუწვავთო. ამას რომ შეხედავ ადამიანი, რა ჭკუაზე უნდა დარჩე?!. გიორგი ძალიან კეთილი და თბილი იყო. „სასწრაფოს“ მანქანაზე რომ დაუსვამთ, უფროსს უთქვამს, — რაც უნდა მოხდეს, შენ მანქანიდან არ გადმოხვიდეო, — მაგრამ მას ისეთი გული ჰქონდა, გაჭირვებაში მყოფნი რომ დაინახა, უფროსის ნათქვამი აღარც გახსენებია... მიუხედავად იმისა, რომ სამხედრო სამსახურში ხელფასისა და მატერიალური პირობების გაუმჯობესების გამო წავიდა, ჯარი ძალიან უყვარდა, სახლში სულ იქაურ ამბებზე ლაპარაკობდა. ლიკა, მისი მეუღლე ეჩხუბებოდა, — ჯარის ამბებისგან სახლში მაინც დაისვენეო. იქ ყოფნა ძალიან მოსწონდა: — დისციპლინა და სისუფთავეაო.

— გასამრჯელო რამდენი ჰქონდა?

— 1.300 ლარს იღებდა. ბოლოს მითხრა: მამიდა, ხელფასს კიდევ მომიმატებენო. გახარებული იყო. როცა აღარ უჭირდათ და ფეხზე დადგნენ, უბედურებაც მაშინ დაატყდათ თავს...

სოფო ღვინიაშვილი, *გიორგის და:*

— ჩვენ იმით მაინც გაგვიმართლა, რომ გიორგის ცხედარი არ დავკარგეთ, ბევრი დედა დღეს თვალცრემლიანი დადის, არ იცის, მისი შვილი მკვდარია თუ ცოცხალი... ვერ ვიჯერებ, რომ ჩემი ძმა მკვდარია. მან იცოდა, რომ დაიღუპებოდა, ახლა ვხვდები, ბოლო დროს რატომ იყო ასეთი შეცვლილი. ყველასთან თბილი, მოსიყვარულე იყო, რომც მოგენდომებინა, ვერ გააბრაზებდი. ასეთი სითბოთი და სიყვარულით ყველას წინასწარ გვეთხოვებოდა... ■

ბესტსელერი „მგლების“ გაგრძელება.

სად გადის ზღვარი დამნაშავესა და უდანაშაულოს, ბოროტმოქმედებასა და სამართლიანობას შორის



დატყვევებული ბოგინას ტრაგედია და აღსამიანი, რომელსაც ალღგენილი თვალისჩინი ალარაფრად ულირს

„გიჟივით იყურება, თვალები კი ყოველთვის ცრემლით აქვს სავსე...“

ლიკა ქაჯაია

„ომი საშინელებაა!“ „ძირს რუსეთი!“ „ქართველები არ გავტყდებით!“ „ჩვენ ბარბაროსების არ გვეშინია!“ — ასეთი მესიჯები სულ უფრო ხშირად შემოდის ჩემს მობილურზე. ამ წერილების უმეტესობას ავტორის სახელი და ასაკი მითითებული არ ჰქონდა. სამაგიეროდ, ისინი დაჟინებით მთხოვდნენ, ინტერვიუ მათთანაც ჩამეწერა. მე თითოეულ მათგანს დავუკავშირდი, მაგრამ რა თქმა უნდა, ყველა ჩანაწერის დაბეჭდვას (გარკვეული მიზეზების გამო) ვერ ვახერხებთ. ამიტომაც, მხოლოდ ისინი შევარჩიეთ, რომლებიც უფრო საინტერესოდ მოგვეჩვენა.

ლანა, *19 წლის:*

— ის, რაც ჩვენს ქვეყანაში ხდება, საშინელებაა. მე ჩემს სამშობლოში ვარ, მაგრამ მაინც ლტოლვილს მეძახიან. გორიდან გახლავართ. ქალაქიდან მშობლებმა მას შემდეგ წამომიყვანეს, რაც იქაურობის დაბომბვა დაიწყო, მერე კი მამა უკან გაბრუნდა. დღესაც არ ვიცით, მკვდრების სიაში ვეძებოთ, თუ ცოცხლების.

— ახლა სად ცხოვრობთ?

— დეიდასთან, რომელსაც 4 ოჯახი ჰყავს შეფარებული.

— გორში არ მიდიხართ?

— ჯერჯერობით, არა. დედას შინ დაბრუნების ეშინია. მამა ჩვენ გვერდით რომ იყოს, წუთითაც არ დავფიქრდებოდით, მაგრამ ახლა, ვერ გავრისკავთ.

— გგონია, რუსები ისევ აგაწიოკებენ?

— გამორიცხული არაფერია. რა გარანტია გვაქვს, რომ არ განმეორდება ის, რაც აფხაზეთში მოხდა? იქ ხომ ხალხი შეიტყუეს და მერე მათი ხოცვა დაიწყეს. არ მინდა, ვინმე შევაშინო, მაგრამ ასეთია რეალობა... ჩვენი სახლი რუსების ბომბებს გადაურჩა, მაგრამ იქაურობა სულ გაუძარცვავთ.

— ეს ვინ გითხრა?

— მეზობლის ქალმა, რომელიც გორიდან მაშინ გამოიქცა, როცა იქ სულიერის ჭაჭანება არ იყო. ქართველებს ვგულისხმობ, თორემ რუსები იცოცხლე, მრავლად იყვნენ.

— მერე მათ სულიერ არსებებად არ მიიჩნევ?

— სწორი შენიშვნაა. ის ადამიანები, ვინც საქართველოს ტერიტორიებს არბევდნენ, სულიერები ნამდვილად არ იყვნენ. ისინი ქვასავით უსულგულოები არიან... ალბათ, მამაჩემი მოკლეს, თორემ ის აქამდე უეჭველად მოგვიკითხავდა.

— ასე ნუ ფიქრობ. რა იცი, იქნებ, ტყვედ აიყვანეს?

— კიდევ უარესი! ამ შემთხვევაში, სულს ცემით ამოხდიდნენ. საშინელი სიზმრები მაწუხებს, მაგრამ დედას არაფერს ვუმხელ. მეშინია, ისიც არ დავკარგო.

ეკა, *17 წლის:*

— რუსები ბარბაროსები ყოფილან, არადა, მათზე კარგი წარმოდგენა მქონდა. „სკაიპით“ ერთ რუს ბიჭს ვეჭორავებოდი, როცა არეულობა დაიწყო, მკითხა, — ოსებმა ქართველებს ასეთი რა დაგიშავეს, მათი განადგურება რომ განიზრახეთო? ვუთხარი: მათ ჩვენ კი არა, თქვენ, რუსები ანადგურებთ, მაგრამ ყველაფერს ისე აკეთებთ, რომ ოსებს ამის შესახებ წარმოდგენაც არა აქვთ-მეთქი. მერე ყველაფერი, რაც კი უფროსებისგან ვიცოდი, ვუამბე. გაოგნდა, — მსგავს რაღაცას ვერც წარმოვიდგენდი. აქ ყველაფერს სხვანაირად ჰყვებიანო. ახლა იმ ბიჭს ვეღარ ვუკავშირდები.

— რატომ?

— აღარ მეკონტაქტება. არ ვიცი, რა ბზიკმა უკბინა. იცი, რუსული ესტრადა ყოველთვის მომწონდა, მაგრამ ახლა მათ მომღერლებს აღარ მოვუსმენ. ჰო, ძალიან მაინტერესებს, რას ფიქრობენ და აპირებენ ის ცნობილი ქართველები, რომლებიც რუსეთში მოღვაწეობენ. ნუთუ, ფულის გამო ისევ იქ დარჩებიან და საქართველოში მომხდარ სისხლის ღვრას უემოციოდ შეხვდებიან? მათ ადგილას, სასწრაფოდ ჩამოვიდოდი და რუსებს სათქმელს პირში მივახლიდი.

— მაინც, რას ეტყოდი იმ ქვეყნის ხელისუფლებას, რომლის წყალობითაც მატერიალური მდგომარეობა საგრძნობლად გაგიუმჯობესდებოდა, უფრო მეტად პოპულარული გახდებოდი და ა.შ.

— ვეტყოდი, ეს ყველაფერი თავისთვის დაიტოვონ, მე მირჩევნია, ჩემს ქვეყანაში ვიყო და შავი პური ვჭამო, ვიდრე კოჭი ვუგორო ჩემი სამშობლოს ამწიოკებლებს.

— ეკა, შენი აზრით, რა არის ომი?

— ადამიანთა ხოცვა-ჟლეტა, ორი ქვეყნის ხელისუფალთა თამაში, მაგრამ ამ თამაშში გამარჯვებული არ არსებობს — ომის შემდეგ გამარჯვებულებიც გლოვობენ თავიანთ მიცვალებულებს და დამარცხებულებიც, მხოლოდ ერთეულები ზეიმობენ... მართალია, რუსების ტყვიასა თუ ბომბებს ჩემთვის არავინ წაურმევია (ნათესავებს ვგულისხმობ), მაგრამ სხვებს ხომ წაართვა და მათ გამო გული ძალიან მტკივა. ღმერთმა ნათელში ამყოფოს ყველა იმ გმირის სული, რომელმაც სიცოცხლე ჩვენი კეთილდღეობისთვის გაწირა!



ზურა, *21 წლის:*

— როცა რეზერვისტები მიჰყავდათ, გადავწყვიტე, მოხალისედ წავსულიყავი, მაგრამ უარი მითხრეს, — თუ დაგვჭირდი, აუცილებლად გამოგიძახებთ, ახლა კი მადლობას გიხდით იმისთვის, რომ სხვებივით ბუჩქებში არ დაიმალეო. მეგონა, დამიძახებდნენ, მაგრამ ამაოდ.

— უარი რა მიზეზით გითხრეს?

— მხედველობა მაქვს დაქვეითებული და ამის გამო ჯარშიც კი არ ვყოფილვარ.

— იარაღის თუ არაფერი გაგეგება, ომში რა გინდოდა?

— საქმე ისაა, რომ იარაღი ბავშვობიდანვე მიყვარდა. მამაჩემი პოლიციელი გახლავთ და მისი რევოლვერით ხშირად მისარგებლია (სახლში მიზანში სროლას მასწავლიდა). ამასთან, შინ გვქონდა ბაბუის ორლულიანი თოფი და ჩემი ტირის თოფი. ტირის თოფით ჩიტებზე ხშირად ვნადირობდი და მიზნისთვის თითქმის არასდროს ამიცილებია. შეიძლება, ვინმემ ეს არ დაიჯეროს, მაგრამ მერწმუნეთ, სიმართლეს ვამბობ. ასე რომ, თუ ფრინველებს ვხოცავდი, არაადამიანების მიზანში ამოღებაც არ გამიჭირდებოდა... იცი, თვალი როგორ დავიზიანე? მაშინ, როცა დასავლეთში „მხედრიონელები" დათარეშობდნენ, ხალხმა ბევრი ტყვია მოაგროვა.

— რას გულისხმობ?

— „მხედრიონელები" ტყვიებს ყველგან ყრიდნენ, არ ენანებოდათ. მამაჩემმაც სხვების მსგავსად, ბევრი ასეთი „დათესილი" ტყვია მოიტანა სახლში. როცა წამოვიზარდე, ამ ნადავლს მივაგენი და ჩემში ცნობისმოყვარეობამ გაიღვიძა. ჰოდა, გადავწყვიტე გამეგო, ამ ტყვიებს რისგან ამზადებდნენ. ამ ცნობისმოყვარეობის წყალობით კი თვალისჩინი დავკარგე. ექიმებს ჩემთვის მხედველობა ნაწილობრივ მაინც რომ აღედგინათ, მშობლებმა ამისათვის უამრავი ფული დახარჯეს; ამის გამო მათი მადლიერი ვარ, მაგრამ რად მინდა ისეთი მხედველობა, რომლის გამოც „დამბრაკავენ" და როცა სამშობლოს უჭირს, მის დასახმარებლად ვერაფერს ვაკეთებ?!. რუსებზე ისეთი გამწარებული ვარ, არავის დავინდობ. ჯობია, არსად შემხვდნენ.

— ვის ემუქრები — უბრალო ხალხს თუ ჯარისკაცებს?

— ყველას, ვინც ჩემი ძმების სისხლის ღვრაშია დამნაშავე. მე ცხინვალში მეგობრები დამიხოცეს და მერწმუნეთ, რევანშს აუცილებლად ავიღებ. ასევე, არავის შევარჩენ ჩემი მეგობრის, მარიამის შეურაცხყოფას, რომელიც ამ ომის დაწყებამდე სტუმრად ახლობლების ოჯახში, ცხინვალში გახლდათ. ის ოსებმა ტყვედ აიყვანეს, საშინლად აწამეს, დაამცირეს, შემდეგ კი საჯიჯგნად რუს ჯარისკაცებს გადასცეს. მერე ეტყობა, ვიღაც ღვთისნიერი გამოჩნდა და მარი გორის ცენტრამდე ჩამოიყვანა. ჩემს მეგობარს მეტყველება წაერთვა და

— ეს ომი ... ?

— ... ნერვებიც ვერ აქვს წესრიგში. გიჟივით იყურება, თვალები კი ყოველთვის ცრემლით აქვს სავსე. რუსებო, მე მისი ცრემლის თითოეულ წვეთს დავითვლი და მერე ყველაფერს ცხვირში ძმრად ამოგადენთ!

— შენს ქალაქში (ზურა ხობიდან გახლავთ) რუსი ეროვნების ადამიანები არ ცხოვრობენ? მათაც ემუქრები?

— არა, მაგათ რა დამიშავეს, თავიანთი გასაჭირი ეყოფათ. სხვათა შორის, რუსეთის ხელისუფლების ქმედებას ესენიც გმობენ დაწყევლიან. არ მოსწონთ ის, რაც მათ ჩაიდინეს. ბევრი ამბობს, — გვარს გადავიკეთებთ და ნამდვილ ქართველებად ვიქცევით. არ გვინდა, ჩვენც ტირანებად და ბარბაროსებად მიგვიჩნევდნენო. სწორადაც მოიქცევიან! ქართველებო, არ შედრკეთ, ჩვენ ვერავინ გაგვტეხს (თუ რა თქმა უნდა, ერთად დავდგებით). დიდი მადლობა იმისთვის, რომ ჩემთან მესიჯობის სურვილი გამოთქვი. გული რომ გადაგიშალე, ასე მგონია, გულიდან ლოდი მომწყდა. ამ ყველაფერს ახლობლებს ვერ ვეუბნები, რადგან არ მინდა, ჩემი აზრებით ვინმე შეავაშინო. წარმატებებს ვუსურვებ „გზას" და იმედი მაქვს, ყოველთვის ისე კარგად იმუშავებთ, როგორც ამას ომის პერიოდში აკეთებდით.

წერილები რედაქციას

„ამ ომის დაწყებას დედაჩემს აპრალებენ..."

„ფეხმოჭრილი კაცი იხევ ცხინვალში წასვლაზე ოცნებობდა"

თათა:

„არ მეგონა, საქართველოს ასეთი თავდადებული გმირები კიდევ თუ ჰყავდა. ვკითხულობ „გზას" და გული სიხარულით მევსება. მეამაყება, რომ ასეთი ჯარისკაცები გვყავს და გული მიკვდება, როცა ვიგებ, რომ ბევრი მათგანი დავკარგეთ. 1-ელ სექტემბერს, ქუჩაში გამოსულმა, ერთ მუშტად შეკრული ამდენი ადამიანი რომ დავინახე, თითქოს, გულზე მალამოდ მომეცხო. თან მიხაროდა, რომ ქართველები ჭირმა მაინც გაგვაერთიანა და თან, გული მიტირდა იმის გამო, რაც რუსებმა ჩემს საყვარელ საქართველოს დამართეს. ამ ბოლო დროს ცხადი გახდა, რომ რუსეთი დასავლეთსაც აშინებს და არა მგონია, უცხოელებმა შეძლონ ჩვენი დახმარება. ვერ დავიბრუნეთ დაკარგული ტერიტორიები. ის კი არა და, მგონია, რომ ფოთსაც დავკარგავთ. აბა, ეს არამზადა რუსები სანგრების თხრას ტყუილუბრალოდ ხომ არ დაიწყებდნენ. აშკარაა, ისინი რაღაცისთვის ემზადებიან. ღმერთო, დაიფარე საქართველო".

ვიკა:

„მე დედა რუსი მყავს, მამა — ქართველი; ჰოდა, მითხარით, რა დავაშავე, თუ რუსული სისხლიც მიჩქეფს ძარღვებში? მერწმუნეთ, ამ დაპირისპირებამ მეც ისევე მატკინა გული, როგორც დანარჩენ ქართველებს. დედაჩემი გამუდმებით ტირის და ამბობს, რომ ქუჩაში ხალხი ამრეზით უყურებს. სხვათა შორის, ამას მეც ვგრძნობ. ჩემი არაქართული გარეგნობის გამო დისკომფორტს განვიცდი. მინდა, პუტინსა და მედვედევს მივმართო (ვიცი, შანსი იმისა, რომ ჩემი მესიჯი მათთან მივა, ძალზე მცირეა, მაგრამ მაინც): „თქვე სადისტებო, ხალხს ასე რომ იმეტებთ სასიკვდილოდ, ნეტავ, ღმერთის არ გეშინიათ? რუსი ხალხი ბრძენია და არა მგონია, მათ თქვენს ბოდვებს დაუჯერონ და ქართველები შეგვიძულონ. იცოდეთ, ეს სისხლის ღვრა ძვირად დაგიჯდებათ!.. იცით, მე ვერც ჩვენს პრეზიდენტს გავამართლებ. რატომ? — იმიტომ, რომ ხალხი სასაკლაოზე ისე გაუშვა, შედეგზე არც დაფიქრებულა. არც ქართველები ვიქცევით კარგად, როცა ყველა რუსს ერთ ტაფაში ვხრაკავთ და ქოქოლას ვაყრით. ქართველები უცხოეთში თავს ქურდობით ირჩენენ და სახელი მთელ საქართველოს გაუტეხეს, მაგრამ ჩვენ, ყველანი მართლა ქურდბაცაცები ხომ არ ვართ? ასე რომ, სანამ რაიმეს ვიტყოდეთ, კარგად უნდა დავფიქრდეთ. P.S. ამ მუსიჯს არ მოგწერდით, მაგრამ გული მართლა ძალიან მტკივა იმის გამო, ადამიანები დედაჩემს რომ მიიჩნევენ ამ ომში დამნაშავედ და ასეთი საქციელით საცოდავ ქალს გულს უმოწყალოდ უსერავენ.

ეკატერინე:

„ჩემი მამიკო ნამდვილი მებრძოლია. ის ცხინვალიდან დაჭრილი დაგვიბრუნდა, მაგრამ ერთიც არ დაუკვნესია. მას სულ სხვა რამ სტკიოდა — იმ მებრძოლთა ბედზე წუხდა, რომელთა მიტოვებაც უნებურად მოუხდა. ფეხმოჭრილი კაცი ისევ ცხინვალში წასვლაზე ოცნებობდა და ალბათ, სახლიდან გაგვეპარებოდა კიდეც, ქართველებს უკან რომ არ დაეხიათ. მამა, მე ვამაყობ შენით. იცოდე, რაც უნდა მოხდეს, შენ გვერდით ვიქნები. ოსებო, თქვენ კი გონს მოეგეთ მანამ, ვიდრე რუსეთი საბოლოოდ მონებად გაქცევდეთ. მერე მოგენატრებათ საქართველოსთან ურთიერთობა, მაგრამ გვიან იქნება თითზე კბენანი. აფხაზებო, დროა, თქვენც დაფიქრდეთ, თუ რა შედეგი მოჰყვება აფხაზეთში რუსების პარპაშს. იმედია, ჩემს რჩევას გაითვალისწინებთ... ქართველებო, ჩვენ ვერავინ დაგვაჩოქებს! ღვთისმშობელი იყოს ჩვენი მფარველი. ამინ".

პრიმიტიული ფანტაზიის ნაყოფი თუ მკაცრი რეალობა

„საინტერესოა, თქვენ შორის ქმარი რომელი იქნება?..“

„გზის“ №36-ში დაიბეჭდა მავნე მუ-ლატკას მესიჯი. შეგახსენებთ, ის გვწერდა, რომ გარეგნულად ძალიან ლამაზია და ამიტომაც, ბევრ ბიჭს მოსწონს, მაგრამ მისი გულის დაპყრობა ვერც ერთმა ვერ შეძლო, რადგან მას გოგონები ხიბლავს.

NIKE:

„ნეტავ, რამდენი წლის ხარ? თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს — როგორი პატარაც უნდა იყო, მაგაკვ ცოდვაზე მაინც არ უნდა ფიქრობდე ძალიან გთხოვ, მოძღვართან მიდი. მერწმუნე, ის აუცილებლად დაგეხმარება. ეკლესიაში ხვალე წადი, კარგი? ისე, თუ ოჯახი და მეგობარები გყავს, თანაც ბუნებამ სილამაზით დაგაჯილდოვა, ეს ყველაფერი უნდა დააფასო“.

ნინა-16:

„რთულად გასავლელი გზა აგირჩევია. სხვებმა რომც გაიგონ და გაპატიონ, ასე ცხოვრება მაინც გაგიჭირდება. აუცილებლად დაკომპლექსდები. ვიდრე გვიანი არ არის, თავს მოერიე. სარკეში ჩაიხედე, შენ ხომ ნებისმიერი ბიჭისთვის სასურველი ხარ. რატომ უნდა დაიტანჯო მთელი ცხოვრების განმავლობაში?.. უფალი დაგეხმარება“.

უცნობი:

„მიუხედავად იმისა, რომ ბიჭი ვარ, შენი ძალიან კარგად მესმის. აუცილებლად უნდა გაუმხილო, რომ გიყვარს. როგორ? — ამას მაშინ გეტყვი, როცა დამირეკავ. აბა, მესიჯით ყველაფრის ახსნა გამიჭირდება. sory.“

ეთო:

„მულატკა, ჯიგარი ხარ, ასე გაგრძელე. მიდი, ეგ გოგო „დაითრიე“. ისე, ძალიან მაინტერესებს, თქვენ შორის ქმარი რომელი იქნება?..“

უცნობი:

„არ ვიცი, რა გირჩია. მე თვითონ ერთი თვეა, რაც გავთხოვდი და ახლა ამას ვნანობ! ისე, მაგარი იცი, რა იყო? — „ლოვე“ ბიჭიც მყავდა და ურთიერთობა გოგოსთანაც მქონდა... ჰო, მართლა, თუ იმ გოგოს სიყვარულში დარწმუნებული ხარ, მაგარია. გილოცავ! ძვირფასო, წარმატებებს გისურვებ!“

ეშმაკუნა:

„შენ ახლა შემომლაწუნებელი გჭირდება. გაგიჟდი? ასეთი აზრებით რის მიღწევას ცდილობ? აზრზე მოდი, გაიგე? მულატკა, შენ რჩევა კი არა, ცემა გჭირდება, ცე-მა“.

მგზავრი:

„თბილისელი ლამაზმანი კი არა, სულით მახინჯი ყოფილხარ. მართლა მაგარი გასალახი ხარ, ასეთი ბილწი აზროვნებისთვის. ეჰ, ნეტავ, საით მიექანება ეს ახალგაზრდობა?..“

მარი, *გორიდან:*

„რას ჰქვია, გოგო შეგიყვარდა? ღმერთო ჩემო, ქართველები სულ გადავჯიშდით? სულ დავივიწყეთ ღმერთიც, რწმენაც და პატიოსნებაც? მაგარი სულელი ვიღაც იქნები და მართლა მოსაკლავი ხარ. ღმერთმა შეგინდოს და გაპატიოს“.

კუნა:

„ჯერ ერთი, სოფლელი გოგო რა შუაშია? თბილისელი რომ ყოფილიყო, ასეთი გრძნობის არსებობა დასაშვები იქნებოდა? უზნეო და თანაც, „უდონო“ ყოფილხარ. ღმერთი გაიხსენე, თორემ მერე გვიანი იქნება“.

N-KUUS:

„იქნებ, იმ გოგოში ისეთი რამ დაინახე, რაც გჭირდება. სოფლელი თუ ქალაქელი, ამას რა მნიშვნელობა აქვს? შეიძლება, ძალიან კარგი ადამიანია და თქვენ შესანიშნავი მეგობრები იქნებით. იმედს ვიტოვებ, რომ ისეთ ბიჭს იპოვი, ვინც მას შეგიცვლის“.

თამუნი:

„ჩემი აზრით, შენს თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს და სინამდვილეში არაფერსაც არ წარმოადგენ! მოსაკლავი ხარ“.

პანკუშკა:

„არ ხარ მოსაკლავი? შენს თავზე დიდი წარმოდგენა გაქვს: არ იცი, რა უნდა ქნა? დაშორდი და საკუთარი თავი აიძულე, ნორმალურად იცხოვრო და ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანო“.

სიკვდილა:

„რას ჰქვია, შეგიყვარდა? შენს გრძნობებს ისიც პასუხობს? გონს მოეგე, თავი ხელში აიყვანე და ეს გრძნობები შენშივე ჩაკალი!“

იკუშკები:

„შენი პრობლემის შესახებ ცოტა დაწვრილებით რომ მოგეყოლა, კონკრეტულ რჩევას მოგცემდი. შეყვარებული (ბიჭს ვგულისხმობ) გყოლია? საერთოდ, მამაკაცების მიმართ ვნება არ განგიცდია? იქნებ, რომელიმე მათგანმა გული გატკინა და ქალის შეყვარება გამოსავალი გგონია? თუ აქამდე ქალების მიმართ ინტერესი არ გქონდა, ე.ი. ეს გატაცება დროებითია და მას ნუღარ გააღრმავებ. თვითონ ის გოგო რას ფიქრობს შენზე? იცოდე, შენმა ახლობლებმა ეს ამბავი რომ შეიტყონ, ცუდ დღეში ჩავარდები: ყველა ზურგს შეგაქცევს და მერე, როცა ეს გატაცება გაგივლის, სინანული ძალიან გვიანი იქნება. თვალი მოავლე შენს თაყვანისმცემელ ბიჭებს და ყველაზე სიმპათიურთან რომანი გააბი. თავს ნუ დაიღუპავ. ახლა არ გიცხავ იმიტომ, რომ რჩევა გჭირდება, მაგრამ ისიც ვიცი, არავის შეგონებას არ მიიღებ მანამ, ვიდრე თავად არ დარწმუნდები, რომ შეცდომას უშვებ. ეკლესიაში წადი და მოძღვარს ყველაფერი უამბე. უფალს ნუ განარისხებ და ამ საშინელი ცოდვით სულს ნუ დაიმძიმებ!“

ჩხავანა ბალლი:

„ლიკა, ეს მულატკა მატყუარა მგონია, მისი მონაყოლი კი უბრალოდ, მისივე პრიმიტიული ფანტაზიის ნაყოფია... არასრულფასოვნების კომპლექსით დატანჯულო გოგო, იცი, რას გეტყვი? თუ ყურადღების მიქცევას ამ საცოდავი ტყუილების გარეშე ვერ ახერხებ, რამე უფრო დამაჯერებელი მოიფიქრე. შენ არც ბიჭები გაქცევენ ყურადღებას და არც ისეთი ბარბის თოჯინა ხარ, როგორადაც თავი მოგაქვს. იყავი ის, რაც ხარ და ცხოვრება ასე უფრო გაგიიოლდება. მაპატიე, თუ ზედმეტად მკაცრი ვარ, მაგრამ მატყუარები მაღიზიანებენ.

ფაახუცანა:

„ვაიმე, ლიკ, გამაგიჟებს ეს ხალხი. ახლა იმის დროა, რომ ქალს ქალი უყვარდეს? ნუთუ, ვერ ხედავთ, რა დღეში ვართ?.. მულატკა, ეგ აზრი თავიდან ამოიგდე, ღირსეული ქართველი კაცი შეიყვარე და საქართველოს ასევე ღირსეული ვაჟკაცები ალუზარდე!“

EKOBOY:

„ამაში ტრაგედიას ვერ ვხედავ. თანაც, გულს ვერ უბრძანებ. შეეცადე, ისეთი გოგო „იშოვო“, ვინც გაგიგებს. მერწმუნე, ეგ დროებითია და მალე გაგივლის... P.S. რაც გინდა, ის გაკეთე და როგორც გული გიკარნახებს. ისე მოიქეცი.“

თეო (ბირა):

„რად გინდა გოგოსთან ურთიერთობა? თავს ნუ იუბედურებ! შენს მომავალზე დაფიქრდი და გოგონებს სხვა თვალით შეხედე!“

თიკა:

„მეც შენს დღეში ვარ. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა, მაგრამ გოგო შემიყვარდა. გირჩევ, დღევანდელი დღით იცხოვრო. ალბათ, ყველაფერი გაგვივლის... ისე, როგორი ურთიერთობა გაქვს იმ გოგოსთან? ჩვენ ერთმანეთი გვიყვარს და თავს ბედნიერად ვგრძნობთ... მეც ბევრ ბიჭს ვუყვარვარ“.

უცნობი:

„შენთვის ერთადერთი გამოსავალი ეკლესიაში სიარული და ლოცვაა. მოძღვარს გაენდე და ის ამ ცოდვის დაძლევაში აუცილებლად დაგეხმარება. მიეცი თავს უფლება, იფიქრო მამაკაცზე და არა — ქალზე. იცოდე, ასეთი აზრებით, ადრე თუ გვიან, დაილუპები და ეშმაკს გაახარებ... ღმერთო, შენ გვიშველე“.

მაგნოლია:

„ჩემო კარგო, რაიმე ისეთი ტრავმა ხომ არ გაქვს გადატანილი, რამაც შენივე სქესის ადამიანის შეყვარება გაიძულა? დაფიქრდი, ღირს კი სოდომური ცოდვისთვის ჯოჯოხეთში მოხვედრა? უფალს ევედრე, რომ ამ გრძნობისგან გაგათავისუფლოს“.

2PAC:

„კარგი იქნება, იმ გოგოს თუ შეეშვები. ბიჭები გაიცანი. თუ სურვილი გექნება, დამიკავშირდი“.

გრუზინკა:

„რა გჭირს, ბიჭები დაილია? ღმერთის მაინც შეგეშინდეს. შენ მხოლოდ ერთი გზა გაქვს — თავი ხელში უნდა აიყვანო და ის გოგო დაივიწყო, თორემ ჯოჯოხეთი გარანტირებული გაქვს“.

„მორჩი სამგლოვიარო დემონსტრაციების მოწყობას და კაცურად მოიქეცი“

„არ გაბოროტდე და ეურისძიებაზე არ იფიქრო“

„გზის“ №36-ში დაიბეჭდა 17 წლის ბაქარის მესიჯი. ის გვწერდა, რომ შეყვარებულმა მიატოვა, მაგრამ ვერ გაურკვევია, რა მიზეზით. „ერთ დღეს დამირეკა და მითხრა, — შენთან ცხოვრების სურვილი აღარ მაქვსო. რომ ვკითხე, — რატომ-მეთქი? პასუხი არ გამცა. მან ტელეფონის ნომერიც კი გამოცვალა“.

მილანკა:

„ჯობია, ის გოგო დაივიწყო. ალბათ, არ უყვარდი და ამიტომაც მიგატოვა. ნუ დარდობ, ის ამის ღირსი არ არის. დარწმუნებული ვარ, მალე ულამაზეს, ძალიან კარგ გოგონას გაიცნობ და ერთად უბედნიერესები იქნებით. წარმატებებს გისურვებ!“

„ეშმაკუნა:

„ეტყობა, არ უყვარდი, თორემ გულიდან ასე უცებ ვერ ამოგიგდებდა. მას სიყვარული არ სცოდნია და უბრალოდ, შენთან ყოფნით დრო გაჰყავდა“. „დაიკიდე“.

NON STOP:

„ვერაფერს გირჩევ, გარდა ერთისა: გაურკვევლობაში ყოფნას სჯობს, იმ გოგოსთან მიხვიდე, პირადად დაელაპარაკო და ჰკითხო, — ასე რატომ მოგექცა? აბა, წარმატებები!“

ნინჩო:

„ხვეწნას ნუ დაუწყებ. თუ სადმე ნახავ, ამ საქციელისთვის პასუხი მოსთხოვე და კიდევ, სხვა მოძებნე“.

იკუშკები:

„ქალები სიყვარულისას იმ ბავშვებს ვგავართ, რომლებიც „სახლობანას“ თამაშის დროს ეზოს და სახლს სათამაშოებით მოჰფენენ და მერე იქაურობის დალაგება ეზარებათ. ასე მოხდა შენს შემთხვევაშიც ანუ შენმა „ლოვემ“ თამაშით გული იჯერა, მერე მოჰბეზრდი, დაგჩაგრა და „ალაგება“ შენ დაგავალა. ასე რომ, მორჩი სამგლოვიარო დემონსტრაციების მოწყობას და კაცურად მოიქეცი. მერწმუნე, ცრემლების ღვრა მოდაში აღარაა. სხვა დროს კი ეცადე, ქარაფშუტა ქალები არ შეიყვარო, თორემ ნაადრევად დაბერდები“.

A-სიხარული:

„შენი love story ჩემსას ჰგავს. მასაც ბაქარი ჰქვია და ნეტავ, ის ხომ არ ხარ?! :)) ეს ხუმრობით. ისე, მე და ჩემი შეყვარებულიც ასე დავშორდით ერთმანეთს. ამიტომაც, შენი კარგად მესმის. ის ჩემთვის ახლაც ბევრს ნიშნავს, მაგრამ მე გოგო ვარ და ვერაფერს გავაკეთებ. მართალია, მას რაღაც სისულელის გამო მე დავშორდი, მაგრამ შესარიგებლად არც კი დაურეკავს. ალბათ, აღარ ვუყვარდი (მის საქციელს სხვანაირად ვერ ავხსნი). თუ გიყვარს, მის დასაბრუნებლად ყველაფერი უნდა გააკეთო. ნახე და პირისპირ დაელაპარაკე. ვინ იცის, იქნებ, მასაც უყვარხარ, მაგრამ ასე მოქცევას რაღაც ან ვიღაც აიძულებს. იქნებ, ეგ გოგოც ჩემსავით შეცდა და უაზრო პრინციპების გამო დაგშორდა. აბა, შენ იცი, წარმატებები!

პანკუშკა:

„პირველ რიგში, ძალისხმევა არ უნდა დაიშურო იმის გასარკვევად, თუ რატომ და რისთვის მიგატოვა. იქნებ დამნაშვე შენ ხარ? შეიძლება, მასთან ურთიერთობისას რაღაც შეცდომა დაუშვი. ან იქნებ, მოჰბეზრდა შენთან ურთიერთობა?..“

ერგეაშვა:

„ბაქარ, არ ინერვიულო. შეიძლება, მას სხვა შეუყვარდა და ამიტომაც მიგატოვა. იცი, რა მაინტერესებს? — მასთან სექსი გქონდა? შენი მესიჯის მიხედვით რაღაცების გარკვევა გამიჭირდა. ნუ დარდობ, სხვა გოგო გამოჩნდება :))“.

უცნობი:

„გამარჯობა, ბაქარ. მეც შენნაირ სიტუაციაში ვარ, უბრალოდ, განსხვავება ისაა, რომ მე გოგო ვარ და არა შეყვარებული, არამედ მეგობარი გოგონა მომექცა შენი „ლოვეს“ მსგავსად. ამას წინათ, მან გამომიცხადა, — ჩემს ცხოვრებაში აღარ ჩაერიოო. მიზეზს ვერც მე ვხვდები, მაგრამ დიდი ხანია, ვიცოდი, რომ ადრე თუ გვიან, მსგავსი რამ აუცილებლად მოხდებოდა. რას ვგულისხმობ? — დამოკიდებულება ჩემდამი დიდი ხნის წინ შეიცვალა. მიუხედავად ამისა, თავს ვიტყუებდი, — ყველაფერი კარგადაა-მეთქი... ამბობ, — ერთმანეთი გვიყვარდაო. ჩემი აზრით კი, ალბათ, მხოლოდ შენ გიყვარდა, თორემ მას მართლა რომ ჰყვარებოდი, ასე არ მოგექცეოდა. ვიცი, ძალიან ძნელი გადასატანია, როცა საყვარელი ადამიანი შენზე უარს ამბობს (არა აქვს მნიშვნელობა, შეყვარებულია ის თუ უბრალოდ, მეგობარი), რადგან ის შენი გულის განუყოფელი ნაწილია. მჯერა, ის გულით გიყვარს და ამიტომაც ვერ ივიწყებ, მაგრამ რადგან გიყვარს, მის გადაწყვეტილებასაც პატივი უნდა სცე. ბაქარ, არ გაბოროტდე და შურისძიებაზე არ იფიქრო, რადგან მას ასე უფრო დაკარგავ. იმ გოგონას მეგობრებთან მასზე თბილად ილაპარაკე. მათ უთხარი, რომ ძალიან გენატრება, რომ ძველებურად გიყვარს. არ მჯერა იმის, რომ თქვენი ურთიერთობა უეცრად დასრულდა. ალბათ, არსებობდა ისეთი მიზეზი, რის გამოც მან შენთან დაშორება გადაწყვიტა. თუ გინდა, ლიკას მეშვეობით დამიკავშირდი“. ■

„ორჯერ შევხვდი და ცოლობა მთხოვა... ის ახლა კოსოვოშია“

ბიბო, *17 წლის:*

„გამარჯობათ, თქვენი დახმარება ძალიან მჭირდება. ვეცდები, ჩემი გასაჭირი რაც შეიძლება მოკლედ გიამბოთ. ტელეფონით გავიცანი ბიჭი და ერთმანეთი შეგვიყვარდა. მას სულ ორჯერ შეეხვდი და ცოლობა მთხოვა. მერე, მოხდა ისე, რომ ჩემი ინიციატივით დავშორდით. როცა ჩემი სურათების დაბრუნება ვთხოვე, დამიბრუნა. ის ახლა კოსოვოშია (ჯარისკაცი გახლავთ). ყველა იმას მეუბნება, — დაურეკე და შეურიგდიო. ძალიან გთხოვთ, მირჩიეთ, რა ვქნა. მერწმუნეთ, თქვენს აზრს ჩემთვის დიდი მნიშვნელობა აქვს“.

„ადამიანებისადმი რწმენა დაეკარგე, ზაზამ კი საბოლოოდ ემესპო...“

უცნობი:

„განათხოვარი და ავადმყოფი ბავშვის დედა ვარ. საკმაოდ კარგი გარეგნობის, წესიერი ქალი გახლავართ. დიდი ხანია, ქმარს გავშორდი, მაგრამ ყურადღებას არავის ვაქცევდი... ზაზამ მოსვენება დამაკარგვინა, თავი შემაცოდა, — შემიყვარეო. ძალიან უკარება ვიყავი, მაგრამ ვიფიქრე, — რა მოხდება, საკუთარ თავს ბედნიერების შანსი კიდევ ერთხელ რომ მივცე-მეთქი და მასთან ურთიერთობა გავაბი. როცა ცხოვრებაში რაღაცის იმედი ჩამესახა, ზაზამ მოულოდნელად, ყოველგვარი ახსნა-განმარტების გარეშე მიმატოვა. ახლა სასოწარკვეთილი ვარ, ცხოვრებამ იმდენი სიმწარე მანახვა, რომ ადამიანებისადმი რწმენა დავკარგე, ზაზამ კი საბოლოოდ მომსპო, მაგრამ თავს ვერ მოვიკლავ, შვილს ვჭირდები. ჰო, მე და ზაზა საყვარლები არ ვყოფილვართ. უბრალოდ, ერთმანეთს ვხვდებოდით. მეუბნებოდა — თუ ცოლად არ გამომყვები, მოგიტაცებო და უყურადღებოდ არასდროს მტოვებდა... ვცდილობ, ამ მდგომარეობას გავუმკლავდე, მაგრამ არაფერი გამომდის. ამ თემაზე მეგობრებსაც კი ვერ ველაპარაკები“.

P.S. **მაშ ასე, თუ ბიბოსა და უცნობის წერილების წაკითხვის შემდეგ რომელიმე მათგანთან დაკონტაქტების სურვილი გაგიჩნდებათ, დაგვიმესიჯეთ ტელეფონის ნომერზე: 8.99. 17.35.27. მათ თქვენი დახმარების იმედი აქვთ.** ■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიზა დვალის

უბის წიგნაკიდან:

1. პუტინი განათლებით იურისტია.

2. „ვეფხისტყაოსანი“ ოსურად გიორგი ბესთაუთმა თარგმნა, აფხაზურად — დიმიტრი გულიამ.

3. დავით აღმაშენებლის მიერ ჩამოყალიბებულ სამეფო გვარდიას, მეფის პირად სამსახურში მყოფ რჩეულ მეომართა კორპუსს მონასპა ერქვა.

4. „მისი მოუსვენარი და მღელვარებისგან დაუცხრომელი ცხოვრება ერთი დიდი ტრაგედიაა, განსაკვირვებელი და გასაოცებელი“, — ამბობდა ილია ჭავჭავაძე გიორგი სააკაძის შესახებ.

5. რუსეთ-საფრანგეთის ომის დროს პეტრე ბაგრატიონს გენერალ-ლეიტენანტის წოდება მას შემდეგ მიენიჭა, რაც 1805 წლის ოქტომბერს, სოფელ შენგრაბენთან, ფრანგთა 30-ათასიანი ორი კორპუსი 6-ათასიანი რაზმით შეაჩერა და რუსეთის ჯარები ალყაში მოქცევას გადაარჩინა.

6. „აწ მნებავს, რათა წარვიდე ყაენის წინაშე და იყოს ნება ღმრთისა: უკეთუ მომკლან, ვგონებ, რომე ქვეყანა უვნებლად გადარჩეს“. P.S. დიმიტრი II-ს 1289 წლის 12 მარტს მოვაკანში მოჰკვეთეს თავი.

7. თერმოპილეს ხეობაში, სადაც სპარტელთა მეფე ლეონიდემ თავის 300 მეომართან ერთად სპარსეთის მეფის, ქსერსეს, 600-ათასიანი ლაშქარი შეაკავა, აღმართული იყო სვეტი, რომელზეც ასეთი ეპიტაფია იყო ამოკვეთილი: „მგზავრო, სპარტაში რომ ჩახვიდე, აუწყე ყველას, რომ ჩვენ აქ ვწევართ და გვიხილე ვალმოხდილები“.

8. „დიდად ვაფასებთ თქვენს მხედართმთავრულ ნიჭს და ძლიერ გამბედაობას. მაგრამ ქართველი ბრძანდებით და გირჩევთ დღესვე გადაბრძანდეთ საქართველოში, სადაც ამიერიდან იმეფებთ თქვენ და თქვენი შთამომავლობა. თუ ჩემს კეთილ რჩევას არ მიიღებთ, მოვდივარ ცეცხლითა და მახვილით. სულ 40 კილომეტრი მიკლია მოსკოვამდე“. პასუხი: „მადლობელი ვარ დაფასებისთვის. დიახ, მე ქართველი ვარ, მაგრამ გამზარდა რუსმა ერმა და ჩვენთან არსებული ჩვეულების მიხედვით არ მაქვს უფლება, მივატოვო გამზრდელი განსაცდელის ჟამს. მელოდეთ მალე ბერლინში“. ეს მიმოწერა ადოლფ ჰიტლერსა და იოსებ სტალინს შორის 1942 წლის 13 იანვარს შედგა.

9. დავით სოსლანი საქართველოს სამეფო კარზე თამართან ერთად იზრდებოდა. ორივეს ზრდიდა თამარის მამიდა რუსუდანი — გიორგი III-ის და, სამშობლოში მობრუნებული ერაყის სულთნის ქვრივი.

10. ყველაზე მეტად ფატიმა მიყვარსო, ხშირად ამბობდა შაჰ-აბასი. ფატიმა მისი

პირველი მასწავლებელი, შატალო, ორიანი... ანუ

სასწავლო წელი 15 სექტემბერს იწყება

სასწავლო წელი, ორი კვირის დაგვიანებით, 15 სექტემბერს დაიწყება. დამეთანხმებით, რომ სკოლაში გატარებული წლები, ადამიანის მეხსიერებაში, დაუვიწყარ მოგონებებად რჩება. არასოდეს გავიწყდება მოსწავლეობის პირველი დღე, პირველი მასწავლებელი, პირველი შატალო და პირველი ორიანი. ბევრს, სკოლის ბუფეტში ნაყიდი „კორუიკის“ გემოც კი ახსოვს, ზოგი კი ბავშვური სიბრიყვით ჩადენილ საქციელს დღემდე ნანობს.

ემა ტუხიაშვილი

ლია ელიოზიშვილი, *39 წლის:*

— სკოლაში საბჭოთა დროს ვსწავლობდი... მახსოვს, გაკვეთილების დაწყებამდე, მთელი სკოლა, სკოლის ეზოში ვიკრიბებოდით და დილის ვარჯიშს ვასრულებდით. ძალიან სასაცილო სანახავები ვიყავით. ვაჟებს კიდევ რა უჭირდათ, გოგონები კი სკოლის ფორმის კაბებით ვასრულებდით დილის გამამხნევებელ ვარჯიშს. ამის გამო ძალიან გვეცინებოდა, მაგრამ ეს რომ მასწავლებლებს შეენიშნათ, მკაცრად დაგვსჯიდნენ. დილის ვარჯიში, საბჭოთა კავშირის ჰიმნით სრულდებოდა და ამის შემდეგ გეზს საკლასო ოთახებისკენ ვიღებდით. სკოლაში გატარებული წლებიდან, ყველაზე მეტად რამდენიმე შემთხვევა მახსოვს: ერთხელ, მასწავლებელმა რატომღაც ბოლო მერხზე, ოროსანი და ზარმაცი ბიჭის გვერდით გადამსვა. მაშინ მეორე კლასში ვიყავი, ისე ვიუკადრისე ამ ბიჭის გვერდით ჯდომა, რომ მთელი სამი გაკვეთილის განმავლობაში ვტიროდი. ამის გამო, მასწავლებელი იძულებული გახდა, ისევ ჩემს ადგილას დავებრუნებინე. კიდევ მახსოვს, როგორ დავუმალეთ დაფის უკან რუკა გეოგრაფიის მასწავლებელს. საწყალი მოხუცი, რუკას მთელი გაკვეთილის განმავლობაში ჩვენს ჩანთებში ეძებდა... პირველი ორიანიც მახსოვს, ყოფაქცევაში მივიღე. ბიჭებს ჩანთები გადავუყარე საკლასო ოთახის ფანჯრიდან და ამის გამო, მასწავლებელმა დღიურში უზარმაზარი ორიანი დამიწერა. მერე, მთელი საღამო ვცდილობდი, დღიურიდან ორიანი ბებუაჩემის სამართებლის ალესილი პირით ამომეშალა, რის გამოც ჩემს დღიურში მოზრდილი ხვრელი გაჩნდა. ერთხელ კიდევ, ფიზკულტურის გაკვეთილზე, გოგონები ფეხბურთს ვთამაშობდით. მოწინააღმდეგის გუნდთან კამათი მოგვიხდა, კამათი ჩხუბში გადაიზარდა და

ცალ ხელში ჩანთით, მეორეში კი ყვავილის თაიგულით, სკოლისკენ მივჩქროდი

გოგონებს შორის ხელჩართული ბრძოლა გაჩაღდა. მოწინააღმდეგე, ჩემზე ბევრად დაბალი, მაგრამ საოცრად სხარტი გოგონა აღმოჩნდა. მისი სიმაღლის გამო, ადვილად ვახერხებდი მისთვის კიკინები მომეწინწკნა, სამაგიეროდ, ის მუცელში მირტყამდა მუშტებს. გაცხარებული ჩხუბის დროს, რატომღაც ზემოთ ავიხედე და რას ვხედავ: ჩემი უმცროსი ძმა, თავისი საკლასო ოთახის ფანჯრიდან ჩემს ჩხუბს უყურებს, სიმწრისგან ქვედა ტუჩს იჭამს, მუშტები მოუღერებია და შეძახილებით მამხნევებს. ისეთი სასაცილო სანახავი იყო, რომ ჩხუბის თავიც აღარ მქონდა. ერთხელ, მთელი კლასი შატალოზე წავედით. ჩვენი სკოლის გვერდით, საბავშვო ბაღი იყო, ბაღს ძალიან ლამაზი ეზო ჰქონდა და იქ ჩამოვსხედით. როგორც ჩანს, ვიღაცამ დაგვინახა, როდესაც სკოლიდან ვიპარებოდით და ჩვენი კლასის დამრიგებელს ამბავი მიუტანა. ისის იყო, შატალოს მთელი ხიბლი უნდა შეგვეგრძნო, რომ ბაღის ჭიშკარში ჩვენი დამრიგებელიც გამოჩნდა. გავიქეცით, ვინც ყველაზე მარდი იყო, ღობეზე გადახტა, ზოგიც მასწავლებელს ხელიდან დაუსხლტა, ბავშვებს რას დაგვეწეოდა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ ერთი ჩემი კლასელი ბიჭი, ბაღის გვერდით მდგარ, ნაგვით სავსე მანქანის საბარგულზე აძვრა. იმასღა მიადგა აქოშინებული მასწავლებელი და თან მისი მისამართით სალანძღავ სიტყვებს არ იშურებდა. ასე იდგნენ კარგა ხანს მასწავლებელი და მოსწავლე, ის საბარგულიდან არ ჩამოდიოდა შიშით, ეს კი საბარგულზე ვერ ადიოდა. ისეთი სანახაობა იყო, ჩვენ კი არა, გამვლელებიც ვერ იკავებდნენ სიცილს...



გია მაისურაძე, *40 წლის:*

— პირველ კლასში რომ მივედი, ძალიან ვტიროდი. საბავშვო ბაღში არ მივლია, ამიტომ, დედის გარეშე დარჩენა მიჭირდა. დედა რომ ვერაფრით დავითანხმე დარჩენილიყო, მახსოვს, ბებიას გავეტირე: შენ მაინც დარჩი-მეთქი. მერე სკოლა მომეწონა კიდეც. უფრო სწორად, სკოლა კი არა, სკოლის ბუფეტი. მახსოვს, 10 კაპიკი ღირდა „კორჟიკი", ნებისმიერ ნამცხვარს მერჩივნა. ბავშვობიდანვე კარგი მადა მქონდა, ამიტომ, რამდენიმე „კორჟიკს" შესვენებაზე გეახლებოდით და თუ გაკვეთილზეც მომშივდებოდა, ამოვაძვრენდი ჩანთიდან ნუგბარს და ჩუმ-ჩუმად ვილუკმეობდი. პირველ კლასში, გაკვეთილის მსვლელობისას ბევრჯერ ჩამძინებია. ყოფილა შემთხვევა, როცა რვეულში დავალებების ნაცვლად, ბურთები და მანქანები დამიხატავს. მახსოვს, ბიჭები ყველაზე მეტად რუსული ენისა და ლიტერატურის პედაგოგს ვერჩოდით, ხან ჭიკარტებს დავუდებდით ხოლმე სკამზე, ხანაც ცარცით მოვთხვრიდით მის სკამს. იმანაც იცოდა, ვისი ოინები იყო ეს და მთელი გაკვეთილის განმავლობაში, საკლასო ოთახის კუთხეში გვაყენებდა. ერთხელ, სასწაული მოხდა და რუსულის გაკვეთილი გაგვიცდა. სასწავლო ნაწილის გამგეს ვთხოვეთ, რომ ბურთი ეთხოვებინა ჩვენთვის, რათა მომდევნო გაკვეთილის დაწყებამდე, ფეხბურთის თამაშით შეგვექცია თავი. ძლივს დავითანხმეთ, სკოლის ეზოში ჩავედით, ორ გუნდად გავნაწილდით და ბურთი გავაგორეთ თუ არა, ისეთი ძალით დავარტყი ბურთს ფეხი, რომ მეორე სართულზე, სწორედ იმ საკლასო ოთახის მინა ჩაიმტვრა, სადაც სკოლის დირექტორი ატარებდა გაკვეთილს. ძნელი წარმოსადგენი არ უნდა იყოს, რა დღე დამადგებოდა. ახლაც, ამდენი წლის შემდეგ, როდესაც კლასელები ვიკრიბებით, ბიჭები ყოველთვის ამ ამბავს მახსენებენ.

ლია ანდროიკაშვილი, *54 წლის:*

— ჩვენ დროს მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის სულ სხვა დამოკიდებულება იყო. დაწყებით კლასებში, დარწმუნებული ვიყავი, რომ მასწავლებელი არაამქვეყნიური არსება იყო. მახსოვს, როდესაც პირველად დავინახე, როგორ შედიოდა ჩემი მასწავლებელი საპირფარეშოში, გავოცდი, რადგან მეგონა, რომ მასწავლებელს ბუნებრივი მოთხოვნილებები არ ჰქონდა. მასწავლებელისგან საყვედურის მიღების შიშით, სკოლას როგორ გავაცდენდი, ჩემი შვილიშვილი კი რას არ იგონებს, ოღონდ კი სკოლაში არ წავიდეს. ხან მატყუებს, რომ მუცელი სტკივა, ხან ვითომ კბილი აწუხებს და ხანაც თავი. ჩვენს დროს, სწავლა ყოველთვის პირველ სექტემბერს იწყებოდა. ამ დღისთვის ყველა განსაკუთრებულად ემზადებოდა. ატელიეებში ვიკერავდით სკოლის ფორმას, თეთრ და შავ წინსაფრებს, ვყიდულობდით

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეიჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

4 წლის შვილიშვილი იყო. უფლისწულ ხუდაბენდეს შვილი. საოცრად ლამაზი და მომხიბლავი გოგონა. მოხდა ისე, რომ მოგვიანებით შაჰმა ეჭვი შეიტანა უფლისწულ ხუდაბენდეს ერთგულებაში და თვალები დასთხარა. დიდხანს ფიქრობდა თვალებდაშრეტილი უფლისწული მამისათვის სამაგიერო როგორ გადაეხადა და მისი გულის მოსაკლავად ღვიძლი შვილი საკუთარი ხელით დაახრჩო.



11. 1901 წელს ქართველებმა თხოვნით მიმართეს ლევ ტოლსტოის, რუსეთის მიერ გეორგიევსკის ტრაქტატის დარღვევასთან დაკავშირებით ხმა აემაღლებინა. ტოლსტოიმ უპასუხა, ძალიან თანაგიგრძნობთ, მაგრამ ვერაფრით დაგეხმარებითო.

12. „სამხრეთ და ჩრდილოეთ ოსეთის წარმომადგენლებმა მიმართეს გერმანიის რწმუნებულს, გრაფ შულენბურგს, რათა მან იშუამდგომლოს საქართველოს რესპუბლიკის მთავრობასთან ჩრდილოეთ და სამხრეთ ოსეთის შეერთებაზე საქართველოსთან ფედერაციულ პრინციპებზე". წერდა გაზეთი „რევოლუციური დროშა" 1918 წლის 15 ივნისის ნომერში სათაურით „ოსების შუამდგომლობა". P.S. თვით ის ამბავი, რომ ჩრდილოეთ ოსეთს საქართველოსთან უნდოდა შეერთება, თვალნათლივ მოწმობს, სად უკეთ გრძნობდნენ თავს ოსები.

13. იმერეთის ეპისკოპოსს, გაბრიელ ქიქოძეს, ფასდაუდებელი ღვაწლი მიუძღვის ქართული ენის მოსპობის ბოსურნე იანკოვსკისა და გადაგვარების მოსურნე გიორგი მუხრანსკის წინააღმდეგ ბრძოლაში, რომლებიც ქართველთა დიდ ერებში გათქვეფას ესწრაფოდნენ. P.S. „დიახ, ბატონებო, მისი ბაგით სწორედ თვით ღმერთი მეტყველებდა და ვაი, რომ დადუმდნენ იგი ბაგენი და ვინ იცის, როდისღა გვაღირსებს ღმერთი იმისთანა კაცს, როგორიც დღეს წაგვართვა..." — ეს სიტყვები ილია ჭავჭავაძემ გაეწიათის ტაძარში ამ დიდი პატრიოტის პანაშვიდზე წარმოთქვა.

14. „თბილისი რომ არა, შესაძლოა, ვენაში ტაძრის ნაცვლად მეჩეთი მდგარიყო, რადგან თბილისის ციტადელს ეხეთქებოდნენ საუკუნეების განმავლობაში ჯალალ ადდინები, ჩინგისხანები და სხვა აღმოსავლელი სულთნები და შაჰები. თბილისი იდგა, როგორც ევროპის ციხესიმაგრე, საიდანაც მთელი საქრისტიანოს მტრები სისხლისაგან დაცლილნი და დასუსტებულნი თუ აღწევდნენ ევროპამდე", — წერდა თავის შრომაში „თბილისის აპოლოგია" ავსტრიელი მეცნიერი ჰუგო ჰუბერტი.

ნაირ-ნაირ ბაფთებს. ათი კლასი ისე დავამთავრე, რომ თმაზე მუდამ მეკეთა მოზრდილი თეთრი ბაფთა. ვაუებს სკოლაში სპეციალური, მუქი ნაცრისფერი კიტელი და შარვალი უნდა სცმოდათ. განსაკუთრებით ერთ-ერთი პირველი სექტემბერი დამამახსოვრდა. როგორც წესი, ამ დღეს ყოველთვის წვიმდა. იმ დღესაც ნაწვიმარი იყო ქუჩები, ცალ ხელში ჩანთით, მეორეში კი ყვავილების თაიგულით, სკოლისკენ მივიჩქაროდი. უცებ გზად, ველოსიპედით ჩემი თაყვანისმცემელი ბიჭი დამეშგზავრა, რატომღაც სასკოლო სამზადისი მას არ ეტყობოდა. მაშინ, გოგო ბიჭს როგორ დაელაპარაკებოდა, ასე შორიდან თუ ვეტრფოდით ერთმანეთს. მოკლედ, მოსვენება არ მომცა, ხან აქედან მიტრიალა თაყვანისმცემელმა და ხანაც იქიდან. მეც კმაყოფილი ვიყავი, რადგან დავრწმუნდი, რომ ახალი თეთრი წინსაფარი და გოფრირებული კაბა ძალიან მიხდებოდა. ჩემი თვითკმაყოფილება მაშინ დასრულდა, როდესაც ვაუმა მთელი სისწრაფით, ველოსიპედით წყლით სავსე გუბეში გაიარა და ტალახიანი წყლით ერთიანად გამთხვარა. ასე დათხვრილ-დაწუწული დავბრუნდი სახლში, სკოლაში კი მხოლოდ მეორე დღეს წავედი.

მამუკა ლომაშვილი, *პაროდისტი:*

— პირველად სკოლის კარი 1988 წელს შევაღე. თბილისის 160-ე სკოლაში შემიყვანეს. მახსოვს, ბავშვებს ძალიან დიდი ჩანთები გვეჭირა, აუცილებლად უნდა გვცმოდა მოკლე შარვალი, ანუ შორტი, გოგონებს კი ბაფთები ეკეთათ. ყველაზე საინტერესო კი ის იყო, რომ პირველკლასელები სკოლის სხვა ნაწილში ვსწავლობდით, სადაც გაკვეთილებს შორის, გვაძინებდნენ და გვასადილებდნენ კიდეც. საქმე ის გახლდათ, რომ ბავშვობაში შუადღისას დაძინება არ მიყვარდა და პედაგოგები ვერაფრით მაიძულებდნენ, სხვა პირველკლასელების მსგავსად, მეც დამეძინა. ხან მაგიდის ქვეშ ვძვრებოდი, ხანაც საწოლის ქვეშ, ოღონდ კი ჩემთვის დაძინება არ ეიძულებინათ. მეორე კლასში, როდესაც ცოტა წამოვიზარდეთ, ჩვეულებრივ საკლასო ოთახში გადაგვიყვანეს.

— პირველკლასელები, პირველ სასწავლო დღეს ხშირად ტირიან, რადგან მშობლის გარეშე დარჩენა უჭირთ. გულწრფელად მითხარი, შენც იტირე, როდესაც სკოლაში მიგიყვანეს?

— სკოლაშიც და უშუალოდ ჩემს კლასშიც, ძალიან ბევრი ბაღის მეგობარი მყავდა, ამიტომ ტირილის საბაბი ნამდვილად არ მქონია. ყველაფერთან ერთად, ძალიან კარგი კლასის დამრიგებელი მყავდა, ქალბატონი ციცო ბასილაშვილი.

— პირველი ორიანი თუ გახსოვს?

— მაგას რა დამავიწყებს. პირველი ორიანი ფიზიკაში მივიღე. სხვათა შორის, ძალიან განვიცადე, როდესაც მასწავლებელმა გაკვეთილის არცოდნის გამო ორიანი დამიწერა. ახლაც მახსოვს, სირცხვილისგან როგორ გავწითლდი. მიუხედავად იმისა, რომ თავად ვიყავი დამნაშავე, ეს ორიანი ჩემთვის მაინც ძალიან დამამცირებელი იყო. უკვე მაღალ კლასებში, ჩვეულებრივი სკოლიდან, საღამოს სკოლაში გადავედი. იქაც ძალიან კარგი, ახალგაზრდა კლასის დამრიგებელი მყავდა, ეკა ძმანაშვილი, რომელმაც დიდი წვლილი შეიტანა, ჩემი, როგორც პიროვნების ჩამოყალიბებაში.

— ყური თუ აუწევია მასწავლებელს შენთვის?

— ვერ ვიტყვი, რომ მასწავლებლებს ხშირად ვაბრაზებდი. ერთხელ მახსოვს, რუსულის მასწავლებელმა, დარინა ერქვა თუ არ ვცდები, ჯოხის ჩარტყმა დამიპირა. მივხვდი, რომ მის რისხვას თავიდან ვერ ავიცილებდი და უცებ მივახალე: მასწავლებელო, სტალინის ცოლს რა ერქვა-მეთქი? ეს იმდენად მოულოდნელი აღმოჩნდა მისთვის, რომ ჯოხის ჩარტყმა გადაიფიქრა.

ახლა ვხვდები, რაოდენ რთული ყოფილა ბავშვებთან მუშაობა

— ალბათ, სკოლაში მასწავლებლების პაროდიებს აკეთებდი, არა?

— სკოლაში სწავლის პერიოდში, პაროდისტობის ნიჭი ჩემში ჯერ აღმოჩენილი არ მქონდა. მხოლოდ აგრარულ უნივერსიტეტში სწავლის პერიოდში მივხვდი, რომ პაროდისტობა გამომდის. ვაკეთებდი ლექტორების პაროდიებს, როგორ გვიტარებდნენ ლექციებს, გვიკარნახებდნენ კონსპექტებს. პაროდისტის ამპლუაში ჩემი დანახვა ჩემი კლასელებისთვის იმდენად მოულოდნელი იყო, რომ ბევრი სცენაზე ვერც კი მცნობდა.

— მამუკა, პირველი შატალო თუ გახსოვს?

— კარგად მახსოვს, მეორე კლასში ვიყავი და ჩემს მეგობართან ერთად, გამოვიპარე სკოლიდან მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ მეტრაბახა: შატალოზე ვიყავი-მეთქი. მე უფროსი და-ძმა მყავს. მე რომ პირველ კლასში შევაბიჯე, ჩემმა ძმამ იმ წელს დაამთავრა სკოლა, და კი მასზე ერთი წლით უმცროსია. სწორედ მათგან მესმოდა ხშირად შატალოს შესახებ და მინდოდა, ეს „გმირობა" მეც ჩამედინა. მოკლედ, მართალია, მე და ჩემი მეგობარი გაკვეთილებიდან გავიპარეთ, მაგრამ შორს არ წავსულვართ, იქვე სკოლის გვერდით, პარკში ვისხედით და მაშინ პოპულარულ საღეჭ რეზინს — „პედროს" ვღეჭავდით. სკოლაში რომ დავბრუნდით, მასწავლებლები აფორიაქებულები დაგვხვდნენ, გვეკითხებოდნენ: სად იყავითო? რა თქმა უნდა, მოვიტყუთ, რომ ვითომ ვიღაც ბიჭებმა ტუალეტში ჩაგვკეტეს. ხომ გაგიგონიათ, ტყუილს მოკლე ფეხები აქვსო — სინამდვილეში, ჩვენი სკოლის არც ერთ ტუალეტს კარი არ ჰქონდა.

— სკოლაში სწავლისას შეყვარებული თუ ყოფილხარ?

— სიყვარულის ნიჭით დაჯილდოებული ადამიანი გახლავართ. პირველად, ჯერ კიდევ საბავშვო ბაღში შემიყვარდა. პატარა გოგო შუშიკა მიყვარდა, მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან წითელი ტუჩები ჰქონდა. სკოლაში თუ ვინმე მომწონდა, თმას ვწიწკნიდი, მაგრამ ვცდილობდი, ეს ნაზად გამეკეთებინა, რომ გოგოს არ სტკენოდა. ვერ ვიტყვი, რომ რომანტიკული ბავშვი ვიყავი. გამოგიტყდები, ბევრისთვის ისე, ტყუილადაც მითქვამს: მიყვარხარ-მეთქი.

— ინტერნეტსაიტზე „ოდნოკლასნიკებში" ხარ დარეგისტრირებული. კლასელებთან დღემდე ურთიერთობ?

— ზოგის შვილის ნათლია ვარ, ზოგთან კი კვლავ მეგობრობა მაკავშირებს. როდესაც ვიკრიბებით, ყველაზე ხშირად ერთ ამბავს ვიხსენებთ. საღამოს სკოლაში სწავლის პერიოდში, გაკვეთილების შემდეგ, ხშირად ბანქოს ვთამაშობდით. ერთხელ თამაშ-თამაშში შემოგვაღამდა და სახლებში წასვლა რომ დავაპირეთ, აღმოვაჩინეთ, რომ დარაჯს სკოლის კარი გარედან ჩაეკეტა. არა და, პარასკევი საღამო იყო და უახლოესი ორი დღის განმავლობაში სკოლაში არავინ გამოჩნდებოდა. რის ვაი-ვაგლახით, გასასვლელი ხის კარი კი გავაღეთ, მაგრამ კარის გარეთა რკინის გისოსი ჩაკეტილი აღმოჩნდა. ყველაფერს ისიც ემატებოდა, რომ კოკისპირულად წვიმდა და ქუჩაში კაციშვილი არ ჭაჭანებდა, საშველად რომ გვეხმო. ისიც უნდა ვთქვა, რომ მეორე სართულზე ვიმყოფებოდით და პირველ სართულზე მოხვედრის შესაძლებლობა, ფაქტობრივად, არ არსებობდა. ბიჭებმა როგორღაც შევძელით და რკინის გისოსი ნაწილობრივ გამოვანგრიეთ, ყველაზე გამხდარი გოგონა გისოსსა და კედელს შუა გავაძვრინეთ, მეც მასთან ერთად გადავხტი, მაგრამ ზემოთ კიდევ ორი ბიჭი და ერთიც საკმაოდ შთამბეჭდავი წონის პატრონი, მაცაცო დაგვრჩა. მოკლედ, კიბეც ვიშოვე, დასახმარებლად ხალხსაც ვუხმე, მაგრამ მაცაცო არაფრით ჩამოდიოდა: კაბა მაცვია და უხერხულიაო. რა არ უთხარით: არ გიყურებთ, თავს მივატრიალებთ-თქო, მაგრამ ვერაფერს გავხდით. ბოლოს, ვიღაცამ მოიფიქრა, შარვალი გაიხადა და მაცაცოს მიაწოდა: ჩაიცვიო. მოკლედ, ძლივს ჩამოადგმევინეს მაცაცოს ფეხი კიბის საფეხურზე, მაგრამ ატეხა ყვირილი: ამწიეთ, ამწიეთ, შარვალი უკუღმა ჩავიცვიო. რა თქმა უნდა, იმას უკან აღარავინ ასწევდა, ჩამოვეკიდე ფეხებზე და ქვემოთ ჩამოვიყვანე. ასე გადავრჩით სკოლაში ღამის გათევას. სწავლის დაწყებას ახლაც განსაკუთრებულად ველოდები, მოგეხსენებათ, რომ სკოლაშიც ვმუშაობ და თეატრალურ სტუდიაშიც მყავს მოსწავლეები. ახლა ვხვდები, რაოდენ რთული ყოფილა ბავშვებთან მუშაობა და მესმის ყველა იმ მასწავლებლის, ვისაც ბავშვობაში ვაბრაზებდი. ■

რუბრიკას უძღვება ექიმი ნინო ჩარგეიშვილი

საზამთროს სამკურნალო თვისებები

საზამთრო ბაღჩეულია და გოგრისებრთა ოჯახს მიეკუთვნება. საზამთროს კულტურის უძველესი, ველური, აფრიკული წინაპრის საშუალო წონა, 200-300 გრამს შეადგენს. ჩვენთვის უკვე ჩვეული გიგანტური საზამთროები მიიღეს სელექციის გზით; ამ არომატული ბაღჩეულის შეუდარებელი გემოც ადამიანების დამსახურებაა. აღსანიშნავია, რომ ადრე მას მომწარო გემო ჰქონდა.

ზოლებიანი აუთიაქარი

საიდუმლოს არავისთვის წარმოადგენს, რომ საზამთრო სასარგებლო ნივთიერებების საბადოა. მის რამდენიმე ნაჭერს, ორგანიზმის მაგნიუმსა და კალიუმზე დღიური მოთხოვნილების დაკმაყოფილება შეუძლია. პექტინისა და უჯრედისის წყალობით, ეს ხილი აუმჯობესებს საჭმლის მონელებას. ანემიურ პირებს საზამთრო ენიშნებათ რკინის დეფიციტის შესავსებად. გარდა ამისა, ზოლებიანი მეგობარი მდიდარია ფოსფორით, C, B_1, B_2 და PP ვიტამინებით, სელენით, თუთიით, მარგანეცით, ბეტა-კაროტინითა და ლიკოპენით (ძლიერი ბუნებრივი ანტიოქსიდანტი). საზამთრო შეიცავს ფოლიუმის მჟავას, რომელსაც მომავალი დედებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ვიტამინსაც უწოდებენ.

როგორ ავარჩიოთ მწიფე, სასარგებლო და გემრიელი საზამთრო:

1. ზოლები საზამთროს კაზზე მაქსიმალურად კონტრასტული უნდა იყოს. გახსოვდეთ, რაც უფრო ხშირია კონტრასტი, მით მეტი სინათლე და სითბო ანუ ფრუქტოზა-საქაროზა ხვდა წილად ამ ბაღჩეულს.

2. მწიფე, დაშაქრული საზამთრო არასდროს იძირება წყალში, უმწიფარი და წყალწყალა კი მიდის ფსკერისკენ. საეჭვოა, რომ ყიდვის დროს მოახერხოთ საზამთროს წყლიან აუზში ჩაგდება, მაგრამ გახსოვდეთ, რომ ერთნაირი ზომის საზამთროდან უფრო მწიფე ის აღმოჩნდება, რომელიც უფრო მსუბუქია.

3. გვერდზე საზამთროს უნდა ჰქონდეს საშუალო ზომის ყვითელი ან მონარინჯისფრო და არა თეთრი ლაქა. ლაქის არარსებობის შემთხვევაში, დიდია იმის შანსი, რომ მოიკრიფა მკვახე საზამთრო და გზაში, დანიშნულების ადგილზე მიტანამდე დამწიფდა.

4. მწიფე საზამთროში დანის ჩასობა ძნელია. მას ქერქი აქვს გამკვრივებული, რათა ყუნწმომხმარ (ყუნწი წარმოადგენს ბაღჩიდან საკვები ნივთიერების მიღების წყაროს) მდგომარეობაში შეძლოს წყლის შეკავება.

5. ყუნწის მიმაგრების ადგილას ქერქი უნდა იყოს გამომშრალი. გამხმარი ყუნწი არ არის საზამთროს სიმწიფის გარანტია, რადგან ის შეიძლება ტრანსპორტირებისას გახმეს.

6. მწიფე საზამთროს აქვს რეზონანსის უნარი, რადგან მისი რბილობი შეიცავს მიკროსიცარიელეებს და უმწიფარ საზამთროსთან შედარებით, ნაკლებად წყლიანია.

საზამთრო ორგანიზმის სასარგებლო ნივთიერებებითა და ვიტამინებით მომარაგების გარდა, მის გასუფთავებასაც ემსახურება. კერძოდ, თირკმლებიდან გამოდევნის მარილს, ქვიშასა და ტოქსინებს.

საზამთრო სამზარეულოში

საზამთროს კულინარიაში გამოყენება არ გულისხმობს მხოლოდ და მხოლოდ მარტივი ოპერაციების ჩატარებას: ყიდვა, გარეცხვა, გაჭრა და ჭამა. ამ გიგანტური ბაღჩეულისგან ამზადებენ მურაბას, მას ამჟავებენ, გამოიყენებენ საზაფხულო მსუბუქ სალათებში და წვავენ კიდეც.

საზამთროს სალათა ლორითა და ყველით. ერთმანეთში აურიეთ კუბურებად დაჭრილი 200-300 გ საზამთროს რბილობი, 100 გ ყველი (ბრინზა) და ერთი საშუალო ზომის ვაშლი (მომჟავო), ასანთის ღერების მსგავსად დაჭრილი 150-200 გ ლორი და წითელი მოტკბო ხახვი ან სალათის ფოთოლი. შეაზავეთ ზეითუნის ზეთით, ძმრითა და ცოტაოდენი შავი პილპილით.

შეწვარი საზამთრო. უჩვეულო, მაგრამ გემრიელი დესერტი: 2-2 სმ ზომის ნაჭრებად დაჭრილი საზამთრო, ამოავლეთ ფქვილში, შემდეგ ათქვეფილ კვერცხის ცილაში, გაიმეორეთ ეს ოპერაცია 2-ჯერ, და შეწვით მდუღარე რაფინირებულ ზეთში ღია ყავისფერი ქერქის გაჩენამდე. შემდეგ, ნაჭრები გადმოიღეთ თუშფალანგზე, მოაყარეთ შაქრის პუდრა და სუფრაზე თბილი სახით მიიტანეთ.

კრუშონი. მწიფე საზამთროს ამოაჭერით ზემო ნაწილი და რბილობი ქერქს მოაშორეთ კოვზით. ამის შემდეგ, გამოღებულ რბილობს მოაცილეთ ყველა კურკა და დაუმატეთ 0,5 ჭიქა კონიაკი, 2 ჭიქა მშრალი ღვინო ან შამპანური, ფორთოხალი, ატმის ნაჭრები, მანგო ან ყურძნის მარცვლები. მიღებული ნარევი კვლავ საზამთროში მოათავსეთ და დააფარეთ ამოჭრილი ნაწილი. 1-2 საათი გააჩერეთ მაცივარში და კრუშონიც მზად იქნება.

ზოლებიანი დიეტა. რასაკვირველია, ჩვენს წინდახედულ კაცობრიობას არ შეეძლო 100 გ რბილობზე 30-40 კკალ-ია საზამთროს დიეტებისთვის გამოუყენებლობა. მით უმეტეს, რომ ამ დროს დიეტური კერძების მომზადებაც კი არ ხდება საჭირო; საკმარისია, საზამთრო გაჭრათ და დღეში 5-6-ჯერ მიირთვათ.

საზამთროს დიეტის წესები:

1. უნდა გაითვალისწინოთ უკუჩვენებები. საზამთროს დიეტა რეკომენდებული არ არის: უპირველეს ყოვლისა, შარდისა და ნაღვლის წვენის გამოყოფის დარღვევის დროს; საჭმლის მომნელებელი ტრაქტისა და თირკმლების დაავადებისას (გამწვავებულ ფაზაში); თირკმლებში და ნაღვლის ბუშტში დიდი ზომის კენჭის არსებობისას; პროსტატიტით, ცისტიტითა და ჰიპერტენზიით დაავადებისას.

2. საზამთროს დიეტაზე ყოფნა არ შეიძლება 5 დღეზე მეტხანს. ეს არის

 აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. ოჯახის მკურნალი	0.80	11.2
2. ЗДОРОВЬЕ	6.00	36.0
3. КАРДИОЛОГИЯ	14.00	84.0
4. КЛИНИЧЕСКАЯ МЕДИЦИНА	11.00	66.0
5. ЛЕКАРСТВЕННЫЕ ТРАВЫ	9.55	57.3
6. МЕДИЦИНА ТРУДА	14.00	84.0
7. МЕДИЦИНСКИЙ БИЗНЕС	50.95	305.6
8. НОВЫЕ ЛЕКАРСТВЕННЫЕ ПРЕПАРАТЫ	9.55	57.3

აგრეთვე ნებისმიერი სხვა
დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის
გავრცელების
სააგენტო
ს.ს.ს. „ელვასერვისი"
ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

ნებისმიერი მონოდიეტის ოქროს სტანდარტი. 5 დღის დიეტის შემდეგ, დარჩენილი ზედმეტი კილოგრამების მიუხედავად, ორგანიზმის გასუფთავების ნაცვლად იწყება ჯანმრთელობისათვის საშიში გამოფიტვა.

3. საზამთროს თავისი სეზონი აქვს. დიეტის მიზნით გამოყენებულმა ნიტრატებით მდიდარმა საზამთროს ნაჭერმა შეიძლება სერიოზული მოწამვლა გამოიწვიოს. ყველაზე კარგი დრო საზამთროს დიეტის დაწყებისთვის არის სექტემბერი, როცა გაყიდვაში გამოდის ბუნებრივად დამწიფებული საზამთრო, მაგრამ მაშინაც არ ღირს ქერქთან ახლოს ამოჭრილი რბილობის ჭამა. მავნე ნივთიერებები ყველაზე მეტად სწორედ ქერქში იყრის თავს.

4. ბოროტად არ გამოიყენოთ საზამთრო. გახდომის მიზნით დღეში მოიხმარენ 1 კგ საზამთროს 10 კილოგრამ თავისუფალ წონაზე გაანგარიშებით. იმის გათვალისწინებით, რომ საზამთროს 80% წყალია, დიეტის მთელ პერიოდში თირკმლებსა და გულ-სისხლძარღვებს გაორმაგებული და გასამმაგებული მუშაობა მოუწევთ. ჯანმრთელი ორგანიზმი ამას გაუმკლავდება, მაგრამ მაინც უმჯობესია, დღეში მიირთვათ 600-700 გ საზამთრო 10 კგ წონაზე გაანგარიშებით.

5. არ იშიმშილოთ. საზამთრო უნდა ჭამოთ დღეში 5-6-ჯერ, რათა არ გაგიჩნდეთ შიმშილის გრძნობა. თუ საზამთროს მონოდიეტის დაცვა ძალიან გაგიჭირდათ, შეგიძლიათ დაამატოთ მცირეოდენი რთული ნახშირწყლები. ყველაზე კარგი ვარიანტია გამომშრალი თეთრი პური ან ხორბლის უხეში სახეობის მაკარონი ცხიმის გარეშე. ამ მიზნით შავი პური გამოყენება არ არის რეკომენდებული, რადგან შეიძლება კუჭ-ნაწლავის პრობლემები გამოიწვიოს.

6. საზამთროს დიეტიდან თანდათანობით უნდა გამოხვიდეთ: საუზმედ მიირთვით მსუბუქი ფაფა; სადილად — უცხომო ხორცი ან თევზი; ვახშმად — მხოლოდ საზამთრო 7-10 დღის განმავლობაში. წინააღმდეგ შემთხვევაში, დაკარგულ კილოგრამებს სწრაფადვე აინაზღაურებთ.

საზამთროს კოსმეტიკა

საზამთრომ გამოყენება კოსმეტიკაშიც პოვა. გამასუფთავებელი და მატონიზებელი თვისებების წყალობით, მას გამოიყენებენ კანისთვის სიმტკიცის მიმნიჭებელი, ფერის გამაუმჯობესებელი და პიგმენტური ლაქების გამომყვანი ლოსიონებისა და ნიღბების მთავარ კომპონენტად.

სახისთვის:

• ნორმალური ან მშრალი კანისთვის 1 ჩ/კ საზამთროს წვენი ან 2 ჩ/კ საზამთროს რბილობი აურიეთ კვერცხის გულში, წაისვით კანზე და 15 წუთის შემდეგ ჩამოიბანეთ. ცხიმიანი კანისთვის ამავე ნარევს დაუმატეთ რამდენიმე წვეთი ლიმონი.

• ჭორფლისა და პიგმენტური ლაქების მოცილება რეკომენდებულია 1 კვერცხის ცილის, 20 წვეთი ლიმონის წვენისა და 1 ჩ/კ საზამთროს წვენის ნარევით. ეს მასა უნდა წაისვათ სახეზე და 15-20 წუთის შემდეგ ჩამოიბანოთ.

• დილაობით ცხიმიანი სახის კანი უნდა გაიწმინდოთ გაყინული საზამთროს წვენის კუბურებით. 15 წუთის შემდეგ, შეგიძლიათ, სახე ცივი წყლით დაიბანოთ.

• მომენტალური გაწმენდისა და მატონიზებელი ეფექტი აქვს ასევე სახის კანის შემდეგი ნარევით დაბანას: ნორმალური და მშრალი კანისთვის — თანაბარი რაოდენობით საზამთროსა და ატმის წვენის ნარევი. ცხიმიანი კანისთვის — თანაბარი რაოდენობით საზამთროსა და კიტრის წვენის ნარევი.

თმისთვის. თმისთვის ბრწყინვალების მინიჭება შესაძლებელია საზამთროს რბილობის გამოყენებით. ამისათვის 2-3 ნაჭერი საზამთროს რბილობს მოაშორეთ კურკები, დასრისეთ ფაფისებური მასის მიღებამდე. შემდეგ, დაიდეთ თმაზე და 20 წ-ით შეიფუთეთ ცელოფანითა და პირსახოცით. შემდეგ თმა ჩვეულებრივი შამპუნითა და თბილი წყლით გულდასმით ჩამოიბანეთ.

ფეხებისთვის: ტერფების დასარბილებლად და არასასიამოვნო სუნის მოსაშორებლად 1 ს/კ დასრესილ პიტნას დაასხით მდუღარე (მიღებული მასა ფაფის კონსისტენციის უნდა იყოს), შემდეგ დაამატეთ 2 ს/კ დასრესილი საზამთროს რბილობი. ეს მასა დაიდეთ ტერფებზე და ფეხის თითებზე, 15 წ-ით შეიხვიეთ პოლიეთილენის პარკით, შემდეგ კი დაიბანეთ გრილი ან თბილი წყლით. ■

სიახლე! ჩანართი მათთვის, ვისაც სახლში პაპარა ჰყავს

პედიატრიული ჩანართი თქვენს ჟურნალში



„არ მინდა, მეოცნებედ მიმიჩნიოთ... მჯერა, ღვაწლიანები ჩემს აფხაზეთში“

მარინა ბაბუნაშვილი

რუსუდან ქირიასთან ინტერვიუ 2003 წელს ჩავწერე. ერთ-ერთმა ძველმა რესპონდენტმა, რომელიც აფხაზეთიდან იყო, ბევრი დევნილი გამაცნო. მათ შორის გახლდათ რუსუდანიც. მან თავისი პირადი ამბავიც გაიხსენა და მაშინდელი ომის ეპიზოდებიც („მჯერა, ეკალი ამოიძირკვება, სახლიც კვლავ აშენდება“ — „კვირის პალიტრა“, 31 მარტი).

ამბავი პირველი

„ჩემი ქმრის შვილი ბახუსთან ერთად მოიყვანდა“

რუსუდანი ფიქრითა და ოცნებით ხშირად არის გუდაუთაში, თავის სახლში. მისთვის აწმყო იმდენად ერთფეროვანია, რომ ურჩევნია, წარსულით (თუნდაც იგი ტკივილით აღსავსე იყოს) შეივსოს დღევანდელობა.

რუსუდანი ბზიფელია. მისი დეიდა გუდაუთელ აფხაზს გაჰყვა ცოლად. გენადი თბილი, მოსიყვარულე კაცი იყო და რუსუდანს ყოველ ზაფხულს დეიდის ოჯახში მიუხაროდა. დეიდა პედაგოგი გახლდათ. მოგვიანებით, რუსუდანმა მისი პროფესია აირჩია, მანამდე კი დღეებს თითებზე ითვლიდა, ერთი სული ჰქონდა, ზაფხული როდის დაიწყებოდა, გუდაუთისკენ რომ გაექუსლა. დეიდას უფროსი ვაჟის შემდეგ ტყუპი ქალ-ვაჟი რომ შეეძინა, რუსუდანის დედამ დას შესთავაზა: რუსიკოს გამოგიგზავნი, მაინც სულ მანდ ყოფნა უნდა, ბავშვების მოვლაშიც შეგეშველება და შენც სკოლაში მეტ ყურადღებას მიაქცევო. ასე გადაინაცვლა რუსუდანმა დამამთავრებელ კლასში ბზიფიდან გუდაუთაში. უბნის ახალგაზრდების თავყრილობისას გაიცნო იგი გუდაუთელმა ბორისმა. მას დედა რუსი ჰყავდა, მაგრამ სულით ხორცამდე ქართველობდა. ბორისს მოეწონა ლამაზი გოგონა და მალე ყველამ შეიტყო მათი სიყვარულის ამბავი. რუსუდანმა სოხუმის უნივერსიტეტში გააგრძელა სწავლა, ფილოლოგიის ფაკულტეტის დაუსწრებელ განყოფილებაზე სწავლობდა. დეიდამ თავისთან, სკოლაში დააწყებინა მუშაობა. 21 წლის იყო რუსო, როცა ბორისს გაჰყვა ცოლად. სავსე ოჯახი დახვდა გოგოს. ოჯახს ციტრუსის დიდი პლანტაცია ჰქონდა გუდაუთის მახლობელ სოფელში.

...ერთხელაც, რუსუდანმა (მაშინ ის ორსულად იყო) სრულიად შემთხვევით გაიგო, რომ ბორისი სხვა ქალს ხვდებოდა.

ამონარიდი წერილიდან: *„ქუჩაში შორიდან თვალი მოვკარი ბორისს. გამიხარდა, ვიფიქრე, ერთად წავალთ სახლში და ამ სიცხეში აღარ მომიწევს ფეხით სიარული-მეთქი. ბორისმა მანქანა ბაზართან გააჩერა. შემეძლო, მანქანაში ჩავმჯდარიყავი, მაგრამ ქმართან ერთად მერჩივნა სიარული... ბაზარში თვალი ვეღარ მოვკარი, ხან აქეთ წავედი, ხან — იქით. ბოლოს, ისევ გასასვლელისკენ გავემართე. ბორისს უკვე ჩაელაგებინა პროდუქტი, მანქანა დაექოქა და წასულიყო. მეც ტაქსი გავაჩერე. დარწმუნებული ვიყავი, შინ მიდიოდა, მაგრამ როცა გუდაუთას გასცდა, ეჭვი გამიჩნდა და მძღოლს ვუთხარი, იმ მანქანას თვალი არ მოაშორო და უკან გავყვეთ-მეთქი. იმ სოფელში შევედით, სადაც ციტრუსის პლანტაცია გვქონდა, მაგრამ ბორისი არც ჩვენს ჭიშკართან გაჩერებულა, ქვემოთ ჩაუყვა... ერთ სახლთან გაჩერდა და სიგნალი მისცა. სახლიდან ორსული ქალი გამოვიდა. სიხარულით გადაეხვია ჩემს ქმარს და საბარგულიდან სანოვაგის ამოლაგებაში მიეხმარა. შემდეგ ერთად შევიდნენ შინ...*

გუდაუთაში დაბრუნებული, დეიდაჩემს ქვითინით მივადექი კარზე. ეჭვი აღარ მეპარებოდა, რომ ბორისს საყვარელი ჰყავდა და მისგან ბავშვს ელოდა. დეიდამ კარგა ხანს მისმინა, მერე კი დანანებით თქვა: მეც გავიგე, რომ საყვარელი ჰყავდა, მაგრამ ბავშვს თუ ელოდა, ამას ვერ ვიფიქრებდიო“.

იმ დღიდან ბორისის დანახვა აღარ უნდოდა რუსუდანს. ქმარმა პატიება სთხოვა. თან აუხსნა, რა „გაუგებრობაშიც“ მოხვდა:

„მას უშვილობის გამო გაშორდა ქმარი. სულ რამდენჯერმე ვიყავი მასთან. ერთხელაც გამომიცხადა, მე რომ მაბრალებდნენ, სულაც არ ყოფილა ჩემი ბრალი — ბავშვს ველოდები შენგან; არაფერს გთხოვ, თუ გინდა, ნულარასოდეს მოხვალ. იმითაც უბედნიერესი ვარ, დედობის ღირსი რომ გავხდიო“.

ამონარიდი წერილიდან: „... სიცილ-ტირილი ამივარდა. ვკითხე, მაინც რომელი დავასწრებთ ბავშვის გაჩენას-მეთქი? მომიგო — ის 2 თვით ადრე ელოდება ბავშვსო. საშინლად დამწყდა გული. ჩვენი თანაცხოვრების დასაწყისშივე მიღალატა ბორისმა და მისი იმედი როგორღა უნდა მქონოდა?!. მთხოვა, შინ გამომყევიო. არ მინდოდა, დეიდას ენერვიულა და ამიტომ გავყევი. ვიფიქრე, ისეთ რამეს გავაკეთებ, რაც ჩემს ქმარს გაამწარებს-მეთქი. ავდექი და წნევის წამლის მთელი ფლაკონი დავცალე... სამი დღე ვყოფილვარ რეანიმაციაში. ბავშვის გადარჩენა ვერ შეძლეს, მეც ძლივს მომაბრუნეს იმ ქვეყნიდან. ვნანობდი ჩემს საქციელს, მაგრამ გვიანი იყო.



ბორისს დანა პირს არ უხსნიდა, მაგრამ ჩემთვის ერთი საყვედურიც არ უთქვამს. სხვების დასანახავად შევრიგდით, თუმცა ჩვენ შორის ცივი დამოკიდებულება დიდხანს გაგრძელდა. ჩემი ქმრის საყვარელმა გოგონა გააჩინა. გაგეცინებათ და, ბორისმა მას ჩემი სახელი დაარქვა — რუსუდანი“.

მერე ცხოვრება თავისი გზით გაგრძელდა. დრომ თავისი გაიტანა და ყინული გალღვა. რუსუდანმა ვაჟი გააჩინა. ბორისი სიხარულით მეცხრე ცაზე იყო, მაგრამ არ დასცალდათ სიხარული — ომი დაიწყო.

ბორისმა დამალული იარაღი გამოაჩინა და ქართველებს შეუერთდა. ეგონა, ყველაფერი მალე დასრულდებოდა. კონფლიქტი ხომ არაერთხელ დაწყებულა, მაგრამ მალევე დამთავრებულა. ამიტომ ის ცოლ-შვილის გუდაუთიდან გაყვანას არ ჩქარობდა, სიტუაცია კი დღითი დღე რთულდებოდა... რუსუდანი ბავშვთან ერთად დეიდის სახლში გადავიდა. გენადი ბიძია ხომ აფხაზი იყო და იმედოვნებდნენ, რომ ხელს არავინ ახლებდა.

რამდენიმე დღის შემდეგ ბორისმა გვიან ღამით მიაკითხა ცოლ-შვილს, ხელში პატარა გოგონა ეჭირა. მიხვდა რუსუდანი, რომ ეს ბორისის შვილი იყო. მისი უბედური დედა და ბებია-ბაბუა კაზაკებს ჩაუცხრილავთ მათი სახლის წინ.

ამონარიდი წერილიდან: „... ბავშვი ისეთი შეშინებული იყო, ხმამაღლა ტირილსაც კი ვერ ბედავდა, მხოლოდ ჩუმად უხმობდა დედას. გული მომიკვდა, ჩავეხუტე და მოვეფერე. საოცარი სითბო იღვრებოდა მისი პატარა სხეულიდან. ის ხომ ჩემი ბიჭის და იყო, ჩემი შვილის სისხლი და ხორცი“.

რის ვაი-ვაგლახით გამოაღწიეს ალმოდებული ქალაქიდან, ისიც — გენადი ბიძიასა და აფხაზი მეზობლის დახმარებით. ბორისი ფეხში იყო დაჭრილი. მკურნალობა დაუგვიანდა და თბილისში ჩამოსულს ფეხის სასწრაფო ამპუტაცია დასჭირდა. მერე ერთი ნათესავი დაეხმარა, ნავთლუღის ბაზართან პატარა სახელოსნო გაუხსნა, უმოქმედობით დეპრესიაში რომ არ ჩავარდნილიყო და ოჯახშიც ორიოდე „კაპიკი“ შეეტანა.

ამბავი მეორე
„მე მოვედი“

ბორისი საქმემ გამოიყვანა მდგომარეობიდან, თორემ დარდისგან ალბათ, გული გაუსკდებოდა. ხელმარჯვე კი იყო, მაგრამ ცალფეხა კაცი ფიზიკურად ვერ იმუშავებდა, ამიტომ სახელოსნოში ელექტრონივთების შეკეთება დაიწყო. ზედმეტს არავისგან არაფერს იღებდა. უმნიშვნელო და პატარა საქმეში კი კლიენტს ფულს არ ართმევდა, ამიტომაც ყველა ენდობოდა.

— ერთ-ერთმა კლიენტმა შესთავაზა, რამდენიმე კაცი აიყვანე, ბრიგადირად შენ დაგნიშნავ და სახლებში ელექტროგაყვანილობები გააკეთეთო. ისიც დათანხმდა. ცოტა ფული რომ მოვაგროვეთ, თანამედროვე პროთეზი გაიკეთა და ისე შეეჩვია, უცხო თვალი ვერც შენიშნავდა, ცალი ფეხის მაგივრად პროთეზი თუ ჰქონდა. სანამ ბინები გაძვირდებოდა, მოვასწარით და 2-ოთახიანი ბინა შევიძინეთ ნუცუბიძის პლატოზე.

— შვილები რას საქმიანობენ?

— რუსომ ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში ჩააბარა, ინგლისური ენის ფაკულტეტზე. პატარაობიდანვე შევამჩნიე, რომ იოლად ითვისებდა ენებს. ფინანსურად რომ მოვძლიერდით, ინგლისურში მოვამზადეთ და შედეგსაც მივაღწიეთ. ცოტა აჩქარდა და ამ ზამთარს გაგვითხოვდა, მაგრამ სიძე ძალიან კარგი ბიჭია. ჩვენთან ახლოს ცხოვრობს, მუშაობს; რაც მთავარია, რუსო ძალიან უყვარს. ნოემბერში მე და ბორისი შვილიშვილს ველოდებით. რაც შეეხება ვაჟიკოს, ის წელს ამთავრებს სკოლას. ძალიან უნდა, ექიმი გახდეს. იმდენად მონდომებულია, ეჭვი არ მეპარება, რომ მიზანს მიაღწევს.

— რუსომ იცის, რომ მისი დედა არ ხარ?

— კი, იცის! მე ის დანახვისთანავე შემიყვარდა და არასოდეს მომიკლია სითბო და ზრუნვა. ხშირად ვაჟიკოზე წინაც ვაყენებდი, რომ არ ეფიქრა, — დედა რომ მყოლოდა, ყველაფერი სხვანაირად იქნებოდაო. მეშვიდე კლასში იყო, როცა მითხრა, დედაჩემი რომც გადარჩენილიყო, შენზე მეტად არ მეყვარებოდაო.

— ახლა როცა საბრძოლ ოსეთიც დავკარგეთ, რას ფიქრობ, დაბრუნდებით გუდაუთაში?

— ამ დღეებში იმდენი ვიტირე, მხედველობა მკვეთრად დამიქვეითდა... დავბრუნდები თუ არა? არ მინდა, სულელად ან მეოცნებედ მიმიჩნიოთ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს, რომ დავბრუნდებით და ეს მოლოდინი დიდხანს აღარ გაგრძელდება. ძალიან მალე დავბრუნდები ჩემს აფხაზეთში, ჩემს გუდაუთაში. დავდგამ თუ არა აფხაზეთის მიწაზე ფეხს, ხმამაღლა შევძახებ: „გამარჯობა, აფხაზეთო, შენი... მე მოვედიიი!“

ფიქრები ომამდელთან

„ვეძებ ომში დაკარგული დეიდაშვილის"

„მოლოდინად ვიქეცით, ნერვები აღარ გვყოფნის, ლამისაა, ჭკუიდან შევიშალოთ. არ ვიცით, ჩვენი ზაური ცოცხალია თუ მკვდარი. სიკვდილზე საშინელი რა უნდა იყოს, მაგრამ მერწმუნეთ, გაურკვევლობა არანაკლებია", — *გვწერს* **რუსთავიდან ეკა ვეფხვაძე** *და თავისი ახლობლის ამბავს გვიყვება:*

„ზაურ თენიეშვილი ჩემი დეიდაშვილია. ოზურგეთში დაიბადა და გაიზარდა. მერე სამხედრო სამსახურისკენ გაუწია გულმა. იგი 1986 წლის 13 იანვარს არის დაბადებული, ახლა 22 წლისაა. დეიდაჩემს ამ ერთადერთი შვილის გარდა არავინ ჰყავს. დეიდა ინვალიდია, ზაური იყო მისი ცხოვრების დიდი იმედი და მთავარი მიზანი. გთხოვთ, დამეხმაროთ, გამომიქვეყნეთ ზაურის მონაცემები, არ არსებობს, ვინმემ ყურმოკვრით მაინც არ იცოდეს მისი ამბავი; **იმედი გვაქვს, ვილაც გამოგვეხმაურება. ზაური ჩემთან, რუსთავში ცხოვრობდა ბოლო ხანს და აქედან დადიოდა ვაზიანში. იგი მე-4 ბრიგადის 43-ე ბატალიონში იყო, მერე ერაყში წასასვლელ 41-ე ბატალიონში გადავიდა და ომიც დაიწყო. მისი ასმეთაური პაატა ვეშაგური გახლდათ. უმორჩილესად გთხოვთ, დამიბეჭდოთ ეს მონაცემები. ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა აქვს სულ პატარა ინფორმაციასაც.**

P.S. იმედია, გამოგვეხმაურებით და თუკი რამე ინფორმაციას ფლობთ, დაუყოვნებლივ გვაცნობებთ.

„ომმა ბევრ ვინმესა და რამეზე სხვა თვალით შემასხედა"

„ამ მძიმე დღეებში ბევრი რამ გადავაფასე. ომმა კარგად დამანახვა, ვინ ვინ არის. დღეს, როგორც არასდროს, ისე გვჭირდება ერთად დგომა. თქვენი მკითხველი ვიყავი მუდამ („კვირის პალიტრაშიც" და ახლა — „გზაშიც"), ამიტომ მინდა, ჩემი ფიქრები გაგიზიაროთ... უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაგდებთ და არ დავასახელებ სხვა ჟურნალ-გაზეთებს, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რომ სათაურებმაც და წერილებმაც ძალიან გამაღიზიანა. ამასვე ამბობენ ჩემი ნაცნობ-მეგობრებიც. ამდენი ქილიკითა და ბოღმის გამომჟღავნებით მტერს გავახარებთ.

ამ დღეებში ეთერში არაერთხელ გაუშვეს პატრიოტული ფილმები, მათ შორის — „დიმიტრი თავდადებული". იქ არის ასეთი ეპიზოდი — ჭაობიდან „მართლის მთქმელი", მეფის მისამართით გულსაკლავ სიტყვებს არ იშურებს. კარგა ხანს არ აქცევს ყურადღებას მეფე, მერე კი ჭაობში შევა, დაიჭერს „მართლის მთქმელს" და ეუბნება: წამოდი, დაჯექი ჩემს ტახტზე, მართე ქვეყანა; ნახე, ერთი, როგორია მეფობა, როცა შინ და გარეთ ამდენი მტერი გყავსო...

გეტყვით იმასაც, რომ ადრე ამ ხელისუფლების ოპოზიცია ვიყავი. ალბათ, გახსოვთ, სამედიცინო უნივერსიტეტთან დაკავშირებული სკანდალი — მაშინდელმა განათლების მინისტრმა კახა ლომაიამ კოლეჯი რომ გააუქმა და გამოცდის ჩაბარება ყველას ხელახლა მოსთხოვა. კინაღამ გავგიჟდი მაშინ, ჩემი და სხვა მშობლების რისხვას საზღვარი არ ჰქონდა. ამის შემდეგ, რაღა თქმა უნდა, ოპოზიციის არც ერთი მიტინგი არ გამომიტოვებია... მერე ომი დაიწყო და ყველაფერმა უკან გადაიწია — წყენამ, რისხვამ, ხელისუფლების შეცვლის სურვილმა. ჩემთვის, ისევე, როგორც უმრავლესობისთვის, უმთავრესი — საქართველოს გადარჩენაა. ამ გადასახედიდან ბევრი მცდარი ნაბიჯი (ჩემიც და ოპოზიციისაც) დავინახე. ახლა უკვე ხმამაღლა ვამბობ, რომ 7 ნოემბერსაც არ იყო მართალი ოპოზიცია და მის ასალაგმავად ხელისუფლებას რაღაც ზომები უნდა მიეღო, თორემ 1991-92 წლების მოვლენები განმეორდებოდა. მეტსაც გეტყვით, ის კაცი, რომელიც ძალიან არ მომწონდა და მის შესამკობად „ფრთიან" სიტყვებს არ ვიშურებდი, დღეს უსაზღვროდ შემიყვარდა. ეს კაცი გორსა და მის მისადგომებს ყველაზე მძიმე დღეებშიც კი ერთი წუთითაც არ მოშორებია. მასში დავინახე ის მთავარი თვისება, რომელიც ყველაზე მეტად სჭირდება ქვეყნის ნამდვილ შვილს, მით უფრო — მამაკაცს.

რაღა თქმა უნდა, ომი არ გვინდა. ეს ისედაც მცირე ერს კიდევ უფრო გაგვანახევრებს, მაგრამ მინდა, სრულიად საქართველო ერთად დადგეს და ასე ერთიანები ვიყოთ სამარადჟამოდ. **ქეთევან ბუაჩიძე, ექიმი-კარდიოლოგი".**

ავტორისგან: „გზის" ერთ-ერთ წინა ნომერში (№35) დაიბეჭდა წერილი — „გულისხმიერიც ბევრი დამიკავშირდა და- თალითიც, მაგრამ თქვენი უსაზღვროდ მადლობელი ვარ" — სადაც გაგაცანით ინვალიდი ქალის, ნინო მარდალეიშვილის ტკივილით სავსე ცხოვრება. ბევრი მკითხველი გამოგვეხმაურა და ნინოსთან დაკავშირება გვთხოვა. კარგია, რომ ადამიანებს სხვისი თანადგომისა



და ნუგეშის სურვილი აქვთ. ასეთები ვართ ქართველები. ნინოს ბედით დაინტერესებული მკითხველის თხოვნას ვასრულებთ. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელეფონზე: 96.37.99 ან 858.47.42.62. ნინოსთვის თქვენ ნებისმიერი დახმარება ძალზე ბევრს ნიშნავს.

ჟურნალისტს შეგიძლიათ დაუკავშირდეთ ტელ: 899.27.25.61 ან ელ-ფოსტით: mbabunashvili@posta.ge

ვიქტორია და პრინცი ალბერტი

დილის 5 საათი იყო, როცა 19 წლის მეფის ასული, ვიქტორია დედამ, ჰერცოგინიამ გააღვიძა (გოგონას ცალკე ოთახში ძილი და დედის არყოფნის დროს უცხო ადამიანებთან კონტაქტი ეკრძალებოდა).

— კენტერბერელ არქიეპისკოპოსსა და ინგლისის პირველ კამერდინერს შენი ნახვა სურთ. ისინი დიდ დარბაზში გელოდებიან, — უთხრა შვილს.

როგორც კი მეფის ასული დარბაზში შევიდა, კამერდინერი მუხლებზე დაეშვა. ვიქტორია მიხვდა, რომ მეფე გარდაიცვალა და ახლა მას უნდა ეთავა სახელმწიფოს მმართველობა.

კალენდარზე 1837 წლის 20 ივლისი იყო. პირველ რიგში, მან თავისი საწოლის დედის ოთახიდან გამოტანა ბრძანა. დიდმა დედოფალმა მეფობა დაიწყო.

განსაკუთრებული სიმძაფრით მისი გათხოვების საკითხი იდგა. უდავოა, რომ ამ სახელმწიფოებრივი და რთული საკითხის გადაჭრა თავად სურდა. თუმცა, მის დედას და ბიძა ლეოპოლდს — ბელგიის მეფეს, საქსენ-კობურგის პრინცზე, ალბერტზე ჰქონდათ დადგმული თვალი. დედა და ბიძა სწორედ ამ დინასტიას ეკუთვნოდნენ და მათი ქორწინებით 2 ქვეყანას შორის ურთიერთობის განმტკიცებას ცდილობდნენ.

ვიქტორია მიხვდა, რომ გვირგვინისთვის მისი მსხვერლად შეწირვა ჰქონდათ განზრახული. ინგლისის გვირგვინი კობურგებისთვის საუკეთესო სამკაული იქნებოდა.

დედოფალმა გაიხსენა, რომ 2 წლის წინ შეხვდა პრინც ალბერტს, რომელიც ბიძაშვილად ეკუთვნოდა. მაშინ ყმაწვილი ძალზე მიმზიდველად მოეჩვენა. მოიხიბლა მისი ქერა თმით, ლამაზი თვალებითა და ვნებიანი ტუჩებით.

— ამ ყმაწვილის მომხიბვლელობა მის ნაზ და თავშეკავებულ გამომეტყველებაშია, — აღნიშნა ვიქტორიამ შეხვედრის შემდეგ. არ შეუშინებია პრინცის სერიოზულ სახესა და გერმანულ, მკაცრ გარეგნობას.

პრინცი მას ახლაც მოსწონდა, მაგრამ ყველა დაარწმუნა, რომ მისთვის გათხოვება ნაადრევი იყო.

— ჯერ კიდევ ძალიან ახალგაზრდა ვარ, — აღნიშნა მან.

სინამდვილეში, არ უნდოდა, დასთანხმებოდა ქორწინებას, რომელიც მისი ჩარევის გარეშე წყდებოდა, რადგან დედოფლად კურთხევის შემდეგ სურდა, ყველა გადაწყვეტილება თავად მიეღო. სიტუაციის შეცვლა ბიძამ მოინდომა და ახალგაზრდები ერთმანეთს შეახვედრა. 1839 წელს ალბერტი ბიძაშვილს ესტუმრა.

პრინცის სტუმრობის პირველსავე დღეს, ვიქტორიამ თავის დღიურში ჩაწერა: „მასთან შეხვედრამ გრძნობები ამიშალა. რა ლამაზია! მისი ტუჩები თავისკენ მიხმობენ"... 2 დღის შემდეგ ახალგაზრდა დედოფალმა ბიძას მისწერა: „ალბერტის სილამაზე შთამბეჭდავია. ის ძალზე თავაზიანი და უბრალოა. ერთი სიტყვით, მომხიბლა".

ბიძაშვილის გარეგნობა იმდენად მომხიბვლელი აღმოჩნდა, რომ ვიქტორიამ პრემიერ-მინისტრს, ლორდ მელბურნს განუცხადა, რომ ქორწინებაზე თანახმა იყო.

— ამის შესახებ თავად პრინცს უნდა შევატყობინოთ?

— რა თქმა უნდა.

— ეს როგორ მოვახერხოთ? — დაიბნა ლორდი. — საერთოდ, წესია, რომ მამაკაცი სთხოვს ქალს ხელს და არა — პირიქით.

— მიიღებს კი ჩემს წინადადებას? — დაეჭვდა პრინცესა.

— რა თქმა უნდა, მიიღებს, — დაიმშვიდა თავი, — პრინცებსა და პრინცესებს ისე ზრდიან, რომ მათ წინასწარ იციან, საკუთარი სურვილით ქორწინება შეუძლებელია. ქორწინება სახელმწიფოებრივი ინტერესების გამო — ეს არის მათი ხვედრი.

ალბერტი, რა თქმა უნდა, ხვდებოდა, რომ ვიქტორიას მოსწონდა და ერთ-ერთი ნადირობის დროს განსაკუთრებულად მხიარული იყო. ნადირობის შემდეგ დედოფალმა მასთან

შესვლა სთხოვა. ის ალბერტს კაბინეტში ელოდა. ეს პირველი შემთხვევა იყო, როცა ისინი ერთმანეთის პირისპირ, მარტონი დარჩნენ. ვიქტორია კეთილმოსურნედ უღიმოდა, მაგრამ პრინცი ალბერტი ისეთ სახეს იღებდა, თითქოს ვერაფერს ხვდებოდა და ამით აიძულებდა, პირად საკითხზე საუბარი თავად დედოფალს წამოეწყო. მისმა საქციელმა ვიქტორია არ გაანაწყენა, რადგან ერთი წუთითაც არ უშვებდა, რომ ალბერტს მისი წინადადების უარყოფა შეეძლო. თუმცა, ვიქტორია ცოტა შეშფოთებულიც იყო იმის გამო, რომ თავად უნდა ეთხოვა — ცოლად შემირთეო. მიუხედავად ამისა, როგორც დედოფალი, კმაყოფილი იყო, პრინცი ინიციატივას მას რომ უთმობდა. როგორც დედოფალი, ამას მორჩილებად მიიჩნევდა. აღელვებულმა ვიქტორიამ როგორც იქნა, თავი დაიმშვიდა და ჰკითხა:

— რა თქმა უნდა, ხვდებით, რისთვის დაგიბარეთ. მოხარული ვიქნები, თუ ჩემს სურვილს დანებდებით და ჩემს ქმრობაზე თანხმობას განაცხადებთ.

ალბერტი წამოდგა, მის წინ მუხლზე დაეშვა და ხელზე აკოცა.

— მე თქვენი ღირსი არ ვარ, — ჩაიჩურჩულა მან და შემდეგ ოდნავ ხმამაღლა განაგრძო: — ბედნიერი ვიქნები, თუ ჩემს ცხოვრებას თქვენ გვერდით გავატარებ.

ამ სიტყვებმა ვიქტორია სიხარულით აღავსო.

„მე ის გაცილებით ძლიერად მყვარებია, ვიდრე მეგონა, — ჩაწერა მან თავის დღიურში, — და ყველაფერს გავაკეთებ მისი თავგანწირვის დასაფასებლად“.

სინამდვილეში ეს, გარკვეულწილად, მართლაც მსხვერპლი იყო ალბერტისთვის. ინგლისში დედოფლის ქმარს ქორწინების პირველ წლებში პრინც-კონსორტის ტიტულის ტარების უფლებაც არ ჰქონდა. ქვეყნის კონსტიტუცია მის მთლიანად იგნორირებას ახდენდა. ცოლს მისთვის მხოლოდ ფელდმარშლის ტიტულის ბოძება შეეძლო. ვიქტორიას კი პრინცი დღითი დღე უყვარდებოდა და მისი მეფედ ხილვა სურდა.

— ალბერტის მდგომარეობა მძიმე იქნება, — ეუბნებოდა ის პრემიერ-მინისტრს, — იქნებ მისთვის მეფის ტიტული გვებოძებინა?! რა ძალაუფლებაზეა ლაპარაკი, თუ მისთვის იმ ტიტულის მინიჭებაც არ შემიძლია, რომელიც კანონიერად ეკუთვნის?..

ლორდმა მელბურნმა უკმაყოფილება გამოთქვა:

— მისი გამეფება მხოლოდ პარლამენტს შეუძლია და ღვთის გულისათვის, ამ საკითხს ახლა ნუ წამოჭრით. ვისაც მეფის შექმნა ძალუძს, მისი გაცამტვერებაც ხელეწიფება.

ვიქტორიამ ძალდატანება ვერ გაბედა და საღამოს დღიურში კიდევ ერთი ჩანაწერი გააკეთა: „ისიც კი არ შემიძლია, რომ ალბერტი ჩვენს შვილებზე მზრუნველად ვაქციო. თუ ჩემი სიკვდილის შემდეგ ჩემი ვაჟი სრულწლოვანი იქნება, უმცროს და-ძმებზე ის იზრუნებს და არა მამამისი“.

ამავე დროს, ვიქტორიამ, გაუცნობიერებლად, მომავალი ქმარი თავისი მოვალეობების მძევლად აქცია. მისი გარემოცვა, სახლი, მეგობრები ვიქტორიას მიერ იყო შერჩეული. ალბერტმა წინააღმდეგობის გაწევა სცადა.

„დაფიქრდით ჩემს მდგომარეობაზე, — სწერდა ის ვიქტორიას. — მე ვტოვებ ჩემს სამშობლოს, ძვირფას მოგონებებს, ნამდვილ მეგობრებს იმ ქვეყნისთვის, რომელიც ჩემთვის უცხოა. თქვენ გარდა ვერავის ვენდობი და არც იმის უფლებას მომცემენ, რომ თან წამოვიყვანო 2-3 ადამიანი, რომლებიც ჩემს საქმეს მიხედავენ და რომლებსაც ვენდობი“.

ალბერტს აოცებდა ის სიყვარული, რომელიც ვიქტორიას გულში ააგიზგიზა და ფიქრობდა, რომ ასეთი ძლიერი გრძნობა საქმეს ართულებდა კიდეც. შეძლებს კი, დედოფლის ცეცხლოვან გრძნობას სათანადოდ უპასუხოს?

ქორწინების ცერემონია, როგორც წესი, საკმაოდ ხმაურიანად და ყველა ტრადიციის დაცვით ჩატარდა. ქორწილის შემდეგ ახალგაზრდები უინძორების სასახლეში გაემგზავრნენ, რომელიც დედოფლის სასახლიდან რამდენიმე ათეული მილით იყო დაშორებული. თავის ოთახში შესული ვიქტორია დილას არ დალოდებია, ისე გააკეთა ჩანაწერი დღიურში — „მე და ალბერტი მარტო ვართ“.

ალბერტი, რომელიც ქალთა საზოგადოებაში თავს მოწყენილად გრძნობდა, ხოლო შეყვარებული ქალები მობეზრებული ჰყავდა, მგზნებარე საყვარელი ვერ გამოდგა. ის თავის მოვალეობას ყოველგვარი ვნების გარეშე ასრულებდა, მაგრამ მისი სიყვარულით დაბრმავებული ახალგაზრდა ცოლი, ბედნიერი იყო.



ქორწილის შემდეგ, ვიქტორიას კაბინეტში მეორე საწერი მაგიდა დადგეს, მაგრამ ალბერტს სახელმწიფოებრივ საქმეებში ჩარევა არ სურდა. მას გადაწყვეტილი ჰქონდა, დედოფალი ცოლის ჩრდილქვეშ ეცხოვრა. თუმცა, დროთა განმავლობაში, დედოფლისთვის შეუცვლელ მრჩევლად, მოსიარულე ენციკლოპედიად და საჭიროების შემთხ-

ვევაში — ძიძად იქცა. როდესაც ვიქტორია პირველ შვილზე ფეხმძიმედ იყო, ალბერტი დედასავით ზრუნავდა მასზე. სწორედ მაშინ შეკერეს ის ცნობილი მაქმანებიანი პერანგი, რომელსაც დღემდე ინგლისის ყველა პრინცისა და პრინცესას მონათვლის დროს იყენებენ.

ერთი სიტყვით, ცოლ-ქმარი მეგობრულად ცხოვრობდა. მათ შორის უთანხმოებამ მხოლოდ ერთხელ იჩინა თავი: მათი პირველი შვილი ავადმყოფობდა და მშობლები მკურნალობის

მეთოდზე ვერ შეთანხმდნენ. კამათის შემდეგ, ვიქტორია ოთახიდან ატირებული გამოვარდა, ალბერტმა კი მისთვის წერილის წერა დაიწყო. „თუ ბავშვი დაიღუპება, ყველაფერი შენს სინდისზე იქნება“, — სწერდა ცოლს. ამის შემდეგ, მათ კიდევ 8 შვილი შეეძინათ, მაგრამ მათი მიზეზით აღარასოდეს უჩხუბიათ.

ქმრის გავლენით, დედოფალმა ბევრ რამეზე შეიცვალა შეხედულება. მაგალითად, ქვეყნის ჩრდილოეთში არსებული, გაუქმებული რკინიგზა აამოქმედა.

„რაც უფრო მძიმეა და მყარი ცოლქმრული კავშირი, მით უკეთესია, — სწერდა ალბერტი ძმას, — მეუღლეები ერთმანეთზე მიჯაჭვული და განუყოფელი უნდა იყვნენ და მხოლოდ ერთმანეთისთვის ცოცხლობდნენ. მინდა, სტუმრად მეწვიო და გვინახულო; ნახო იდეალური წყვილი, რომელიც ერთმანეთთან სიყვარულითაა დაკავშირებული. რა თქმა უნდა, ვიქტორია მზადაა, ჩემ გამო მსხვერპლი გაიღოს“.

რას გულისხმობდა ალბერტი მსხვერპლში? თურმე მას სურდა, დედოფლის ცხოვრება მრავალფეროვანი გაეხადა; უნდოდა, სასახლეში ცნობილი ადამიანები მიეწვია და „ნაცრისფერი პეიზაჟი“, როგორც ის სასახლის ცხოვრებას უწოდებდა, გამოეცოცხლებინა. საქმე ეხებოდა უინძორების ან ბუკინგემის სასახლის ლიტერატურულ ან მუსიკალურ სალონად ქცევას. მაგრამ ალბერტმა თანხმობა მხოლოდ იმაზე მიიღო, რომ სასახლეში ხანდახან მაინც დაეკრათ ფორტეპიანოზე და ბანქო ეთამაშათ. თავად ალბერტი კარგად უკრავდა ორგანზე და ხშირად ასრულებდა ბახის ნაწარმოებებს ან მენდელსონის მელოდიების თანხლებით მღეროდა.

ალბერტი დედოფლისთვის შეუცვლელი მარჯვენა ხელი გახდა. ის უთენია დგებოდა და მაშინვე საქმეს ჰკიდებდა ხელს: წერილებს, მინისტრების შეკითხვებს პასუხებს სცემდა და ახალგაღვიძებულ ვიქტორიას, მხოლოდ ხელის მოწერაღა ევალებოდა. დედოფალი ხვდებოდა, რომ ალბერტი დღითი დღე უფრო და უფრო ინტერესდებოდა პოლიტიკითა და სახელმწიფოებრივი საქმეებით და რაც მთავარია, ყველაფერს შესანიშნავად ართმევდა თავს. „მე საქმის მიმართ ინტერესს ვკარგავ. ჩვენ, ქალები, მმართველობისთვის არ ვართ შექმნილი. საკუთარ თავთან მართლები რომ ვიყოთ, მამაკაცურ საქმეზე უარს ვიტყოდით. დღითი დღე ვრწმუნდები, რომ სახელმწიფოს მმართველობა ქალმა საკუთარ თავზე არ უნდა აიღოს“, — ამბობდა ის. ალბერტი თითქმის მეფე გახდა.

1861 წლის დასაწყისში „საყვარელი ანგელოზი“, როგორც მას ვიქტორია ეძახდა, ავად გახდა. დედოფალმა, რომელსაც წარმოდგენაც არ უნდოდა, რომ მისი კერპი ოდესმე დაუძლურდებოდა, მის ავადმყოფობას ყურადღება არ მიაქცია. მხოლოდ 14 დეკემბერს მიხვდა, რომ ის კვდებოდა და გონის დაკარგვამდე ჩურჩულებდა: „ჩემი ძვირფასი ცოლი“...

ალბერტის სიკვდილის შემდეგ, ვიქტორიამ თავი მარტო იგრძნო და მისთვის ნუგეშის ცემას ვერავინ ახერხებდა. დედოფალი ოთხ კედელს შუა გამოიკეტა, აღარ მონაწილეობდა სახალხო ცერემონიებში. მისი ასეთი საქციელის გამო უკმაყოფილებას ბევრი გამოთქვამდა. როდესაც დედოფალი საქმეებს დაუბრუნდა, გადაწყვეტილი ჰქონდა, სახელმწიფოს მართვაში ძველებურად შეუვალი და ძლიერი ყოფილიყო. ის დღიურში წერდა, რომ არავის მისცემდა უფლებას, ეკარნახა, როგორ ემართა ქვეყანა.

ცხოვრება ისე გრძელდებოდა, თითქოს ალბერტი ისევ ცოცხალი იყო. მოახლე ყოველ საღამოს მის საწოლზე ძველებურად დებდა პიჟამას, დილით კი ცხელი წყალი მოჰქონდა. ლარნაკში ახალ ყვავილებს აწყობდა, საათს ქოქავდა... ამბობდნენ, რომ დედოფალი სპირიტულ სეანსებს ატარებდა და ალბერტს იმ ქვეყნადაც უკავშირდებოდაო. უინძორების სასახლის ეზოში დღემდე დგას მავზოლეუმი, სადაც ალბერტია დაკრძალული.

ალბერტის სიკვდილიდან 40 წლის შემდეგ, ვიქტორიაც გარდაიცვალა და ხანგრძლივი, 64-წლიანი ვიქტორიანული ეპოქაც დამთავრდა. დედოფალი ქმრის გვერდით დაასაფლავეს. ●

პროპოზიცია



ანას ამბავი მალე დასრულდება და შემდგომ ახალ ამბავს შემოგთავაზებთ, რომელიც რეალურ ამბებზე იქნება დაფუძნებული და იმით იქნება განსხვავებული, რომ თხრობას შორიდან დავიწყებთ და დღესდღეობით მიმდინარე მოვლენებს არ გადმოგცემთ. წინასწარ მხოლოდ იმის თქმა შემიძლია, რომ ამბავი ერთ-ერთი, აწ უკვე გარდაცვლილი ქურდის ცხოვრებას ეხება, რომელსაც მისსავე დღიურებისა და ყოფილი საყვარლის მონათხრობის მიხედვით ავაგებთ. წინ მართლაც საინტერესო ამბავი გელით და ყურადღებით იყავით, რომ არ გამოგრჩეთ.

ახლა კი ამბის თხრობას იქიდან განვაგრძობ, როდესაც ერთ საღამოს ალენა ანას არ შეეხმიანა და ამის გამო ეჭვებით აღსავსემ, მამაკაცი კაბინეტიდან დაითხოვა.

დასაწყისი — „გზა", №11-36

მარი ჯაფარიძე

— კარგი, ქალბატონო ანა, წავალ, თქვენ კი იფიქრეთ, ოღონდ, ზედმეტი არ მოგივიდეთ.

— ჰმ, — ვთქვი და მაგიდაზე თითები ნერვიულად ავაკაკუნე.

ალენა გავიდა, მე კი კარგა ხანს გაუნძრევლად ვიჯექი. გადავწყვიტე, რომ ჩემი ეჭვიანობის შესახებ არ მეგრძნობინებინა. უაზროდ ჯდომა მომბეზრდა და ერთი სამსახურიდან მეორეში წავედი. როგორც ყოველთვის, ამჯერადაც ჩემი ყვავილების იმედი მქონდა, რომ მოწყენილობისა და დეპრესიისგან მიხსნიდნენ.

ნინოს ჩემთვის არ ეცალა და მეც არ შევაწუხე. ყვავილების ერთ რიგს ჩავუყევი და იქურობას თვალი მოვავლე. ხანდახან არც კი მჯეროდა, რომ ეს ყველაფერი მე შევქმენი და მე მეკუთვნოდა. ალბათ არანაირი საქმე არ მომანიჭებდა ისეთ სიამოვნებას, როგორც ყვავილებთან ურთიერთობა. პირველი პროდუქცია რომ მივიღე, გასაყიდადაც კი არ მემეტებოდა ხოლმე. რიგის ბოლოში, მერხზე ჩამოვჯექი.

— ისევ რაღაც მოხდა? — უეცრად შევხტი, რადგან აქ არავის ველოდი.

ვასო იყო, ჩემი კეთილი, მოხუცი მებაღე.

— ჰო, მოხდა, — დანანებით დავუქნიე თავი.

აღარაფერი უთქვამს, გვერდით მომიჯდა და იმანაც ყვავილებს გახედა.

— ლამაზია, არა? — მკითხა მციორეოდენი პაუზის შემდეგ.

— ჰო, ლამაზია.

— შვილო, შენ დასვენება გჭირდება, ამდენმა მუშაობამ გადაგღალა, ცოტას თუ დაისვენებ, ნახავ, რა იოლად გადაჭრი პრობლემებს. ადამიანის გონებრივ შესაძლებლობებსაც საზღვარი აქვს და ცოტა ხნით საქმისგან გათიშვა და სხვა რამეზე გადართვა სჭირდება.

— მართალი ხარ, ეს ვერ მოვიფიქრე. ახლა ავდგები და ერთი კვირით შვებულებას ავიღებ.

— ჰო, ასე ჯობია, აქ ნინოც გაუძღვება საქმეს, მეორე სამსახურშიც ვინმე შეგცვლის და შენც ცოტას დაისვენებ და დაწყნარდები.

ვასოს რჩევა ჭკუაში დამიჯდა და იქიდან ისე წამოვედი, ნინოს არც დავემშვიდობე. პირდაპირ ჩემი მეგობრის ტურისტულ სააგენტოს მივადექი.

რეზო ოვაციებით შემხვდა, მომიკითხა და ჩემი მისვლის მიზეზით დაინტერესდა.

— ერთკვირიანი დასვენება მინდა და სადმე, ნორმალურ ადგილზე თუ გამიშვებ, კარგი იქნება.

— ეგვიპტეში ნამყოფი ხარ?

— კი.

— ვენეციაში?

— ვენეციაში — არა და დიდი სიამოვნებით წავალ. მოვილაპარაკეთ, ვენეციაში მივდივარ. რა არის ამისთვის საჭირო?

— ფული.

— ეგ ვიცი. კიდევ?

— კიდევ — საბუთები, — მითხრა და საჭირო ცნობებისა და საბუთების სია ჩამომიწერა.

იქიდან წამოსულმა საქმე აღარ გადავდე და საბუთების მოგროვება დავიწყე. ერთ-ერთ ორგანიზაციაში შევედი, სადაც პირადობის მოწმობის ქსეროასლი მომთხოვეს. ვიკითხე, აქ არსად შეიძლება ამის გაკეთება-მეთქი?

— აი, იმ ოთახში მიბრძანდით და სთხოვეთ, იქნებ დაგეხმარონ, — მიპასუხა ახალგაზრდა, მკვეთრმაკიაჟიანმა გოგონამ და თითი დერეფნისკენ, გაურკვევლად გაიშვირა. თითქმის ყველა ოთახის კარი შევაღე, მაგრამ ყველგან უარით გამომისტუმრეს.

ძნელია, ვიღაცის
მოსმის განცდების
*ჭაღი

ო.*

ბოლოს, ერთი კარიღა დარჩა და ვიფიქრე, აქაც ვცდი ბედსმეთქი.

კარი შევაღე და მაგიდასთან მჯდომ მამაკაცს ჯერ მივესალმე, შემდეგ ცხვირწინ პირადობის მოწმობა ავუფრიალე და გაღიზიანებული ხმით ვკითხე:

— შეგიძლიათ, დამეხმაროთ და პირადობის მოწმობის ქსეროასლი გამიკეთოთ?

— მე მეკითხებით? — მამაკაცმა გაფშეკილი საჩვენებელი თითი მკერდზე მიიბჯინა და გაოცებული სახე მიიღო.

— ოთახი მოვათვალიერე და რომ დავრწმუნდი, მის გარდა არავინ იყო, მკვახედ ვუთხარი: ასლის გაკეთება ვთხოვე. მისკენ შევბრუნდი და გულიანად ავხარხარდი.

— თქვენი სახელი პირადობის მოწმობაში ამოვიკითხე, — თვითონაც გულიანად იცინოდა.

— გისმენთ, — მოუსვენრად მოვინაცვლე ფეხი.

— მარტო სიტყვიერი მადლობით ფონს ვერ გახვალთ, საღამოს რესტორანში მიწვევას თუ მიიღებთ, მადლობა მაშინ გექნებათ გადახდილი.

— სამწუხაროდ, ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ სხვა დროს, როცა კიდევ დამჭირდება ქსეროასლების გადაღება, ისევ თქვენ მოგაკითხავთ, — გავუცინე

— თავს ნუ იკატუნებ, მე ისიც ვიცი, რომ ეს სამსახური ჩემს შესაბმელად გჭირდებოდა...

— თქვენ გეკითხებით, აბა სხვას ვის ვკითხო, არავინაა და... იქნებ ელამი ვარ და მზერა გამირბის? რა იყო, დიდი ამბავი იქნება, რომ უბრალო სამსახური გამიწიოთ? — თან თვალი მისი მაგიდის გვერდით მდგარ ქსეროქსის აპარატს გავუშტერე.

— კარგი, მომეცით მოწმობა და დაგეხმარებით, — ხელი ღიმილით გამომიწოდა.

მადლობის ნიშნად სახეზე თავაზიანი ღიმილი ავიწებე და ოთახში ნარნარი რხევით შევედი.

რამდენიმე წამის შემდეგ ქსეროასლები გამომიწოდა, მერე პირადობის მოწმობას ყურადღებით დააკვირდა და ისიც გამომიწოდა.

— დიდი მადლობა, — ვთქვი და ოთახიდან აჩქარებული ნაბიჯით, შურდულივით გამოვვარდი.

— ანა, — მომაძახა მამაკაცმა. გაჩერებას არ ვაპირებდი, მაგრამ სახელით მომართვამ გამაოცა, შევჩერდი და კარზე მიმაგრებულ ტრაფარეტს დავაკვირდი, რომ მისი სახელი და გვარი ამომეკითხა, იქნებ, ნაცნობი იყო, მე კი ვერ ვიცანი.

ტრაფარეტზე დაწესებულების სახელწოდება ეწერა, ქვეშ მიწერილი ჰქონდა — „დირექტორი“ და სახელი და გვარი.

ახლა კი მივხვდი, მისი გაოცების მიზეზს, როცა ქსეროასლის გაკეთება ვთხოვე. მისკენ შევბრუნდი და გულიანად ავხარხარდი.

— თქვენი სახელი პირადობის მოწმობაში ამოვიკითხე, — თვითონაც გულიანად იცინოდა.

— გისმენთ, — მოუსვენრად მოვინაცვლე ფეხი.

— მარტო სიტყვიერი მადლობით ფონს ვერ გახვალთ, საღამოს რესტორანში მიწვევას თუ მიიღებთ, მადლობა მაშინ გექნებათ გადახდილი.

— სამწუხაროდ, ძალიან დაკავებული ვარ, მაგრამ სხვა დროს, როცა კიდევ დამჭირდება ქსეროასლების გადაღება, ისევ თქვენ მოგაკითხავთ, — გავუცინე და კარი გამოვიხურე.

მთელი დერეფანი სიცილით გავიარე. ამ კურიოზმა განწყობილება გამომიკეთა და სამსახურში ხალისიანი დავბრუნდი.

ალენა დერეფანში იდგა. როგორც ჩანს, მე მელოდა.

— სად იყავი? — მკითხა და მარჯვენა წარბი ისე ასწია, ლამის შუბლს ააცილა.

— სხვაგან.

— სად სხვაგან?

— საქმეზე, მოკლედ მოვუჭერი და კაბინეტის კარი შევაღე.

— ქალბატონო ანა, — თანაშემწის ხმამ შემაჩერა.

— ჰო, — ნიკას მეგობრულად გავუღიმე.

— ბატონი დავითი გიხმობთ.

— კარგი, ვეახლები, — ჩანთა შორიდანვე მოვისროლე და დათოსკენ გავემართე.

— მოდი, ანა, მოდი, — შეფი კეთილად იღიმოდა.

— გამარჯობა, კიდევ რაიმე დავალება ხომ არ გაქვს ჩემთვის? — უკვე დიდი ხანია, დათოს „შენობით“ ველაპარაკებოდი.

— ისეთი არაფერი, უბრალოდ, დალაპარაკება მინდოდა.

— გისმენ, — ვთქვი და მის თქმას არ დაველოდე, ისე დავეშვი სკამზე.

— ეკას დავშორდი, — მოულოდნელად თქვა დათომ.

— მართლა? გილოცავ.

— რას მილოცავ?

— გათავისუფლებას. მაგ „სტერვას“ კიდევ დიდი ხანი უძლებდი...

— გიხარია?

— ერთი მხრივ კი მიხარია, რადგან ჩემი შეფი ხარ და შენ თუ კარგად იქნები, ჩვენც კარგად ვიქნებით.

— მიზეზი არ გაინტერესებს?

— მიზეზი ვიცი, ასეთი ხასიათის ქალს ამდენი ხნის განმავლობაში რომ უძლებდი, ის უფრო მიკვირდა, თორემ რომ დაშორდი, ეს სულაც არ მიკვირს.

— მიზეზი შენ ხარ, — მოულოდნელად მაჯახა შეფმა.

— ბა-ტო-ნოოო? მე რა შუაში ვარ?

— შენზე ეჭვიანობდა და სწორედ ამის თაობზე ვიკამათეთ.

— ჰოო, ვერ ყოფილა მთლად დალაგებული ეგ შენი ეკა. მგონი, ეჭვიანობის საფუძველი არ მიმიცია.

— რა ვიცი, იქნებ მიეცი კიდეც, ან მე მივეცი... — რაღაცნაირად, უცნაურად თქვა დათომ ბოლო სიტყვები და იდუმალი ღიმილი მოაყოლა.

— მე ნურაფერს დამაბრალებ, ამ საქმეში ბრალი არ მიმიძღვის.

— თავს ნუ იკატუნებ, მე ისიც ვიცი, რომ ეს სამსახური ჩემს შესაბმელად გჭირდებოდა...

დათოს სიტყვებმა გამაოგნა, ასეთ პირდაპირობას არ ველოდი, თანაც საიდან უნდა სცოდნოდა ეს? პირგამშრალმა ნერწყვი ძლივს გადავყლაპე და გონებაში დამაჯერებელი პასუხის ძებნა დავიწყე.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

იმან დაიბანოს, ვისაც მოეხახა ეზამები.

10 ნიშანი იმისა, რომ შენს ცხოვრებაში ქალი არსებობს...



მამაკაცები 2 ჯგუფად იყოფიან. I – ვის ცხოვრებაშიც ქალი არსებობს და II – ვის ცხოვრებაშიც ქალი არ არსებობს. გამოცდილ ქალს თვალის ერთი შევლებით შეუძლია განსაზღვროს, რომელ კატეგორიას მიეკუთვნები. როგორ ახერხებს ამას? აი, ამ ნიშნებით:

1. საკრინწინო ჩგოლი.

ბანალურია, მაგრამ ფაქტია. რგოლი მიანიშნებს, რომ შენ თავისუფალი არ ხარ, მიუხედავად იმისა, სად იქნება ის — თითზე, ჯიბეში თუ მანქანის „ბარდაჩოკში". ის არსებობს, ე.ი. არსებობს ქალიც (უფრო მეტიც — ცოლი).

2. სამალავი

თუ სამალავი გაქვს, ე.ი. დასამალიც გქონია და ისეთი ადამიანიც გყოლია, ვისაც რაღაცას უმალავ. როცა მარტო ხარ, დასამალიც არაფერი გაქვს (რაც კი ფული გაქვს, სულ შენია). სამალავის არსებობა მინიმუმ 4 ასპექტზე მიუთითებს. 1. რაც შეიძლება მეტი უნდა დამალო; 2. საიმედოდ უნდა დამალო; 3. დამალულის ერთადერთი მფლობელი იყო, და 4. საჭიროების შემთხვევაში, მისი ოპერატიულად გამოყენება შეძლო. ალბათ ბანკომატიც ცოლიანი მამაკაცის გამოგონებაა.

3. ლიპი და ლაბები

ეს ცოლიანი მამაკაცის ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანია. ღიპი და ღაბები იმის მიმანიშნებელია, რომ შინ ნოყიერი ვახშამი გხვდება. ასეთმა ვახშამმა კი ჯერ — ღიპის, შემდეგ კი ღაბების გაჩენა იცის.

4. გამოხედვა.

ხასიათდები ერთადერთი ფრაზით — „მაძღარი კატა". არავინ გჭირდება, რადგან თავს ისედაც კარგად გრძნობ. შენს თვალებში არ კიაფობს ნაპერწკალი, რომელიც დაკარგულ მზერას ეძებს. თუ რესტორანში, მეზობელ სუფრასთან ლამაზ ქალს შენიშნავ, შესაძლოა, შეხედო, მაგრამ არ მიხვალ. მხოლოდ მზერით ეტყვი: „დიდი სიამოვნებით გაგიცნობდი, ლამაზო, მაგრამ სუფრიდან ადგომა მეზარება".

5. 8 მარტი — შავი დღე.

ყოველი 8 მარტის წინადღეს უხალისოდ დადიხარ მაღაზიაში, საჩუქრის საყიდლად და კითხვაზე — ვინ არის დამნაშავე? — პასუხიც გაქვს — კლარა ცეტკინი და როზა ლუქსემბურგი. ამ წყვილმა საერთაშორისო ქალთა დღე მამაკაცური ყურადღების უკმარისობის გამო მოიგონა. აგრძნობინე ქალებს, რომ გიყვარს, თორემ ისინი კიდევ რაიმე საშინელებას გამოიგონებენ.

6. სააბაზანოს თარიხზე შემოლაგებული კოსმეტიკა.

თუ სააბაზანოში ასეთი „ფაქტები" არსებობს, ნიშნავს, რომ ის უკვე შენთან გადმობარგდა. ამას ადასტურებს კბილის ჯაგრისი, „დავიწყებული" საცვლები, ოთახის ჩუსტები, პომადები... აღარაფერს ვამბობ სუნამოს სურნელზე. ქალები ტერიტორიას ასეთი უცნაური ხერხით „მონიშნავენ" ხოლმე.

7. სახლში ბავშვები დაჩნიან.

ბავშვები ისე, უბრალოდ არ ჩნდებიან. თუ ისინი გაჩნდნენ, სადღაც ქალიც არსებობს. ეს მეცნიერულადაა დადასტურებული! ზუსტად იმავეს თქმა შეიძლება სიდედრზეც.

8. სუნი.

ახალმომზადებული კერძის სუნი, ახალი დეზოდორანტი, ჩრჩილის გასაქრობი საშუალების ნაზი სურნელი (რა არაჰუმანურია, ღმერთო ჩემო!)... ეს ყველაფერი ქალის არსებობის შედეგია. როცა ის არ არსებობდა, მაშინ სახლში არც არაფრის სუნი იდგა.

9. ოჯახში მამაკაცი კარადაში.

კლასიკური სიტუაციაა: „აქ რას აკეთებ?" — „არ დაიჯერებ და, ტრამვაის ველოდები". ასეა თუ ისე, მსგავსი სიურპრიზების მოწყობა მხოლოდ ქალებს შეუძლიათ.

10. ტელეფონი მუდმივად დაკავებულია.

დიახ, ქალებს ძალიან უყვართ ტელეფონზე საუბარი, რის გამოც შენთან დარეკვა შეუძლებელია. თუ ჯერ ისევ მარტო ცხოვრობ, ის გამუდმებით შენ გელაპარაკება, თუ უკვე ერთად ხართ, შენი ტელეფონით სხვასთან საუბრობს.

10 წესი იმისა, რომ შენს ცხოვრებაში ქალი არ არსებობს...



1. სადილ-ვახშამი რესტორანში.

აბა, სად უნდა დანაყრდე? კერძების თავად მომზადება გეზარება, სხვის ცოლს ხომ ვერ სთხოვ? 2 გამოსავალი არსებობს: პირველი — თავად მოიმზადო, რისი არც დრო გაქვს და არც სურვილი, და მეორე: რესტორანში მიირთვა. რა თქმა უნდა, მეორე ვერსია გაცილებით სასიამოვნოა.

2. შენი წინდები სრულად „მოულოდნელ" ადგილებში კრია.

წინდებისთვის ეს ადგილი რომ „მოულოდნელია", ასე მხოლოდ ქალები მიიჩნევენ. შენ კი მიგაჩნია, რომ მათი ადგილი სწორედ იქ არის. ისე, თუ გახსოვს, სად დაკარგე გუშინ ცალი წინდა?

3. მაკივარში თაგვმა თავი ჩამოიხრჩო.

ეს უცოლოდ ცხოვრების ყველაზე გავრცელებული ნიშანია. მაცივარში რაღაც მაინც ხომ უნდა იყოს? — და როგორც წესი, ისეთი რამ, რასაც მოსამზადებლად დიდი დრო არ სჭირდება — ყველი, პელმენი, ძეხვი, ლუდი... უკიდურეს შემთხვევაში, ძველი პურის ნაჭერი მაინც.

4. გასარეცხი ტანსაცმელი.

არ არსებობს ამაზე საზიზღარი საქმე. თანაც, ამის კეთება უსარგებლოა, რადგან დარეცხილი ჭურჭელი უმალ დასარეცხი ხდება. არსებობს ერთი „ოქროს რეცეპტი" — უნდა ისარგებლო მხოლოდ ორიოდე თეფშითა და ჭიქით. ამ ნიშნით, უცოლო მამაკაცის იდენტიფიცირება გაცილებით იოლია.

5. დაჭმუჭნილი პერანგი.

სიმართლე რომ ვთქვათ, ის დაუთოებულია, პიჯაკის ქვეშ კი სულაც არ ეტყობა... გამოცდილი ქალები ამბობენ, რომ მამაკაცი უთოობას ვერასოდეს შეძლებს და მუდამ დაჭმუჭნილი ტანისამოსით ივლის — თუ, რა თქმა უნდა, სამრეცხაოს დირექტორი არ არის...

6. აწყვეტილი ლილი.

ღილები ყოველთვის შეუფერებელ დროს სწყდებიან. როგორც წესი — შუა მუშაობის დროს, შემდეგ კი მისი მიკერება გავიწყდება, და თან, არც გამოგდის, რადგან ნემსით თითებს იჩხვლეტ. ეშმაკმა დალახვროს, როგორ ახერხებენ ამას ქალები?

7. პორნოჟურნალი.

პორნოჟურნალს ერთობლივად მხოლოდ სუპერთანამედროვე წყვილები ათვალიერებენ. ასეთების რიცხვი კი არც ისე დიდია. ასე რომ, აირჩიე — ან ბევრი ქალი პორნოჟურნალში, ან ერთი ქალი ლოგინში.

8. ჩამდენიმე პრეზერვატივი მანქანაში.

საჭირო ნივთია. ცოლი ან მუდმივი მეგობარი რომ გყავდეს, რომელიც ცხვირს ყველგან ჩაყოფდა, ამ საჭიროზე საჭირო ნივთის მანქანაში დატოვების უფლებას თავს არ მისცემდი. უკიდურეს შემთხვევაში, სამსახურში, სამუშაო მაგიდის უჯრის „შორეულ" კუთხეში მაინც დადებდი.

9. ტუტუ.

ქალის წმიდათაწმიდა მოვალეობა, ოდითგანვე — ოჯახის კერიის მიხედვა, მამაკაცებისთვის კი საკვების შოვნა იყო. პროგრესისთვის იბრძოდნენ და მიაღწიეს კიდეც. ახლა ქალები საკვებს თავად შოულობენ, მამაკაცმა კი თავის უცოლო „გამოქვაბულს" თვითონ უნდა მიხედოს და მტვერი და ჭუჭყი მოაცილოს (განსაკუთრებით, საწოლის ქვეშ და ოთახის კუთხეებში).

10. შამაკაცები.

თუ უპირატესობას მამაკაცებს ანიჭებ, ეს უტყუარი მტკიცებულებაა საიმისოდ, რომ შენს ცხოვრებაში ქალი არ არსებობს... თუმცა, ასეთ ფაქტებზე ლაპარაკი არ ღირს და ჯობს, უკომენტაროდ დავტოვოთ.

ფოტო, რომელიც წარწერას ლაკონურია



ალბათ უკვე მიხვდით, რომ ამ ფოტოსთვის შესაბამისი წარწერა უნდა გამოგზავნოთ ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61

ჩემეული ვერსია კი ასეთია: დიდობის რეპეტიცია

6 თანამედროვე სამყაროს საიდუმლო

ექსპერიმენტი „ფილადელფია"

გავრცელებული ხმების თანახმად, ამერიკის სამხედრო სტრუქტურები ისეთი ხომალდის შექმნას გეგმავდნენ, რომელიც მოწინააღმდეგის რადარებისთვის უხილავი იქნებოდა. ექსპერიმენტის იდეა იმაში მდგომარეობდა, რომ გემის გარშემო შექმნილი მძლავრი ელექტრომაგნიტური ველი რადარის სხივებისთვის ეკრანის მოვალეობას შეასრულებდა. საამისოდ ხომალდ „ელდრიჯზე" ელექტრომაგნიტური გენერატორები დაამონტაჟეს. გამოცდის დროს, დამკვირვებლების გასაოცრად, ხომალდი მხოლოდ რადარის ეკრანიდან კი არა, მხედველობის არიდან გაქრა — ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამბობენ, ხომალდი მოგვიანებით ვირჯინიის შტატში, ნორფოლკის რაიონში აღმოაჩინესო. იმასაც ამბობენ, ხომალდის ეკიპაჟის წევრებიდან ზოგი უგზო-უკვლოდ გაქრა, ზოგიც ჭკუიდან შეიშალაო. ზოგიერთი თვითმხილველის თქმით კი „ელდრიჯის" ეკიპაჟის გადარჩენილ წევრებს კედელში გასვლა და გაქრობა შეეძლოთ; ზოგიერთს ცეცხლი თავისთავად ეკიდებოდა და ჩაქრობას ვერავინ ახერხებდა... „ელდრიჯის" გაქრობის რამდენიმე ვერსია არსებობს და მათ შორის დროში მოგზაურობის შესაძლებლობასაც არ გამორიცხავენ. ამერიკის საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობა თავის დროზე ამ ექსპერიმენტის ჩატარებაზე ხელებს ასავსავებდა და კატეგორიულად უარყოფდა. არც ერთი დოკუმენტი არ არის შემორჩენილი, ყველაფერი გაანადგურეს, ხომალდის ჟურნალი სადღაც „მიიკარგა", გემი კი საბერძნეთს მიჰყიდეს. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ხომალდმა უბრალოდ, ფილადელფიიდან ნორფოლკამდე რომელიღაც დაფარული არხით გაცურა, რომლის არსებობაც არავინ იცის და რამაც გემს საშუალება მისცა, 2 დღეში გასავლელი გზა 6 საათში გაევლო. ასევე იშველიებენ დროის სხვაობას, როდესაც ცდილობენ, ხომალდის ერთი პორტიდან მეორეში მყისიერი გადაადგილების საოცრება ახსნან.



როზუელში მომხდარი ინციდენტი

1947 წლის ივლისში, პატარა, ამერიკული ქალაქის, როზუელის მახლობლად, ერთმა ფერმერმა უცნაური საფრენი აპარატის ნამსხვრევები და უცნაური ადამიანების გვამები აღმოაჩინა. საფრენი აპარატის გარეგნული მონაცემები იმაზე მეტყველებდა, რომ ის სხვა პლანეტიდან იყო მოფრენილი ან გასაიდუმლოებული სამხედრო ექსპერიმენტის შედეგი გახლდათ. „გეფებემ" (გამოძების ფედერალური ბიურო) ამ საკითხზე დებატები მთელი 60 წლით გაყინა. ადგილზე მისულმა თანამშრომლებმა მაშინვე „დააკონსერვეს" საფრენი აპარატის ნამსხვრევები და გამოსაკვლევად დახურულ ანგარში წაიღეს. ამერიკის ხელისუფლებამ რამდენიმე წლის შემდეგ განაცხადა, რომ ნამსხვრევები საბჭოთა საჰაერო დაზვერვის „სფეროშპიონს" ეკუთვნოდა. ბევრმა მათი ნათქვამი არ დაიჯერა, რადგან ვიდრე ხელისუფლება ამ ვერსიას მოიფიქრებდა, ამ რაიონში მცხოვრებთა ეზოებში

ხშირად ცვივდებოდა საფრენი აპარატის ნამსხვრევები. მას შემდეგ, როზუელი და უცხოპლანეტელები განუყოფელი ცნებებია. ქალაქი უზარმაზარ ფულს შოულობს იმ ტურისტების ხარჯზე, ვისაც სურვილი აქვს, თუნდაც ცალი თვალი შეავლოს იმ ადგილს, სადაც დამსხვრეული საფრენი აპარატის ნაწილები ჩამოცვივდა.

ზომბი

ჩვენ მივეჩვიეთ იმ აზრს, რომ ზომბი მხოლოდ კინოფოლკლორის ნაწილია. ცოცხალი მკვდრები, რომლებსაც ჯადოქრები მკვდრეთით აღადგენენ, რეალურ ცხოვრებაში შიშს არ იწვევენ. საინტერესოა, არსებობს თუ არა ნამდვილი ზომბი? ეთნობოტანიკოსმა, უეიდ დეივისმა თავის წიგნში — „გველი და ცისარტყელა", რომელიც ზომბირებასა და ჰაიტიზე არსებულ ვუდუს რელიგიას მიუძღვნა, უცნაური ადამიანი, კლერვიუს ნარცისი აღწერა. 1962 წელს ის ადგილობრივ საავადმყოფოში, სურდოს ნიშნების გაჩენიდან 3 დღეში გარდაიცვალა. როგორც წიგნის ავტორი ვარაუდობს, ის მკვდრეთით 18 წლის შემდეგ აღდგა და დას თავისი გარდაცვალების მიზეზის შესახებაც უამბო. მისი სხეული ნარკოტიკებით გაუღინთეს, შემდეგ კი ზომბად აქციეს და აიძულეს, სხვა ზომბებთან ერთად შაქრის პლანტაციაში ემუშავა. პლანტაციის მფლობელის გარდაცვალების შემდეგ ნარცისი გამოიქცა და 16 წლის განმავლობაში ქვეყანაში დაეხეტებოდა. შემდეგ ბაზარში თავის დას გადააწყდა და იცნო. სკეპტიკოსები მიიჩნევენ, რომ ნარცისი არასოდეს ყოფილა გარდაცვლილი, ის უბრალოდ, უგონო მდგომარეობაში იყო და ადგილობრივ ექიმებს მკვდარი ეგონათ.

WOW _ სიგნალი

პროექტი, რომელსაც ერთ-ერთი დაწესებულება ახორციელებდა, არამიწიერი ცივილიზაციების მოძიებას ითვალისწინებდა. პროექტის მონაწილეები მიიჩნევდნენ, რომ თუ ასეთი ცივილიზაცია არსებობდა, მას აუცილებლად ექნებოდა ისეთივე რადიოტალღების სისტემა, როგორიც დედამიწაზეა. ისინი მილიონობით რადიოარხს უსმენდნენ და გონიერი კოდის დაჭერას ცდილობდნენ. 1977 წლის 15 აგვისტოს მოხდა ის, რასაც ასე ელოდნენ პროექტის



მონაწილეები: ოჰაიოს უნივერსიტეტის რადიოტელესკოპმა 37 წამის ხანგრძლივობის სიგნალი დაარეგისტრირა. ასტრონომმა, ჯერი აიმანმა, რომელიც მიღებულმა სიგნალმა აღაფრთოვანა, დიაგრამა წითელი მარკერით შემოხაზა და მიაწერა — WOW! თუმცა, მეცნიერის აღფრთოვანება ნაადრევი აღმოჩნდა, რადგან იმის დამტკიცება, რომ ეს სიგნალი ნამდვილად არამიწიერი იყო, ვერავინ შეძლო. განმეორებითმა ინდექსირებამ კი შედეგი არ გამოიღო.

გეომეტრიული ფიგურები პურის ყანაში

პურის ყანაში გაჩენილი გეომეტრიული ფიგურების ფენომენი უკვე 30 წელია, არსებობს. იდუმალებით მოცული რგოლები და ნიშნები, რომლებიც პურის ყანის ნაზად, დაუზიანებლად გათელვითაა მიღებული, კოსმოსიდანაც კი კარგად ჩანს. საინტერესო ის გახლავთ, რომ ასეთი გეომეტრიული ფიგურების 90% ინგლისის ტერიტორიაზეა. რგოლების წარმოშობის რამდენიმე ვარიანტი არსებობს. მათ შორის ყველაზე პოპულარული, არამიწიერ ცივილიზაციას უკავშირდება. მიიჩნევენ, რომ ეს ფიგურები უცხოპლანეტელების ხომალდის ნაკვალევი ან მათ მიერ დატოვებული მინიშნებებია. მეცნიერები ფენომენის მეტეოროლოგიური ახსნისკენ იხრებიან და ვარაუდობენ, რომ რგოლების წარმოშობის მიზეზი დაზიანებული ოზონის ფენაა. სკეპტიკოსები კი ფიქრობენ, რომ ვიღაც ძალიან დიდი ხნის განმავლობაში ასე ხუმრობს.

თოვლის კაცი

მეცნიერები, ტურისტები და მონადირეები დედამიწის სხვადასხვა კუთხეში დღემდე პოულობენ თოვლის კაცის არსებობის დამადასტურებელ ფაქტებს. ის უზარმაზარი, ადამიანის მსგავსი არსებაა, რომელსაც სხეული გრძელი ბეწვით აქვს დაფარული. მისი ტერფების უზარმაზარი ნაკვალევი ალასკაში, პერუსა და იალბუზზეა ნაპოვნი. მეცნიერები მიიჩნევენ, რომ თოვლის კაცი ევოლუციის შუალედური რგოლია და ამტკიცებს დარვინისეულ თეორიას იმის შესახებ, რომ ადამიანი მაიმუნისგან წარმოიშვა; ხოლო სკეპტიკოსები ფიქრობენ, რომ თოვლის კაცი ადამიანის გონების ფანტაზიის ნაყოფია, ფოტომასალა — მონტაჟის შედეგი, ვიდეომასალა — გაყალბებული, ნაპოვნი ფაქტები კი — ვიღაცის ხუმრობა.

ზარი „მეგობარისთან“

მარი ჯაფარიძე

არ ვიცი, გახსოვთ თუ არა, მაგრამ ამას წინათ გითხარით, რომ მეგობარი მყავს, რომელიც პროფესიით ფსიქოლოგია. ჰოდა, ეს ფსიქოლოგები რომ ცოტა უცნაური ხალხია, ამას დიდი მიხვედრა არ უნდა. ყველაფერზე თავისი განსაკუთრებული აზრი აქვთ და მთელ თეორიას, რაც კი ოდესმე უსწავლიათ, ცხოვრებაში პრაქტიკულად იყენებენ. რასაც ახლა გიამბობთ, ამას ჩვეულებრივი („არაფსიქოლოგი“) ადამიანი ალბათ არ გააკეთებდა, მაგრამ...

ბევრი რომ არ გავაგრძელო, რამდენიმე დღის წინ ამ ჩემმა უცნაურმა მეგობარმა დამირეკა.

— მარ, დიდი ხანია, გულიანად არ გიცინია?

— რა ვიცი, არ მახსოვს. რა იყო? — დავიბენი.

— ამა და ამ მისამართზე მოდი (დამისახელა), მეც იქვე ვიქნები ჩემი მანქანით და ორივემ გულიანად ვიცინოთ.

— რა ხდება, გამაგებინე.

— ამის დრო არ არის, რაც შეიძლება, მალე მოდი, — მითხრა და ტელეფონი გათიშა.

ნებისმიერი ადამიანი ინტერესით მოკვდებოდა, რა უნდა მომხდარიყო მითითებულ მისამართზე და მომაკვდავიც რომ ყოფილიყო, აუცილებლად მივიდოდა. ჰოდა, მეც ერთ-ერთი „ნებისმიერთაგანი“ ვარ და მაშინვე იქით გავეშურე.

ადგილზე მისულს დიდი ამბავი დამხვდა. ცენტრალურ ტრასაზე 2 მამაკაცი ჩხუბობდა და ერთმანეთს თავ-პირს ამტვრევდა. დაუნდობლად ურტყამდნენ ერთმანეთს, უშვერი სიტყვებით იგინებოდნენ, ხან ერთი იყო ზემოდან და ხან — მეორე.

ამ ჩხუბის შემყურეს, რა თქმა უნდა, არ გამცინებია, ეს ჩემი მეგობარი კი ისე ხარხარებდა, ლამის მიწაზე გაგორებულიყო. სიცილისგან დაოსებული სიტყვის თქმასაც ვერ ახერხებდა.

ამასობაში ჩხუბი გრძელდებოდა და უფრო და უფრო სასტიკ სახეს იღებდა. ვერ გადამეწყვიტა, პოლიციისთვის დამერეკა, რომ მოჩხუბრები გაეშველებინა თუ „სასწრაფო დახმარებისთვის“, რომ ჩემი მეგობრისთვის დახმარება აღმოეჩინათ (თუმცა, „სასწრაფო დახმარება“ არც მოჩხუბრებს აწყენდა).



რამდენიმე წუთში საპატრულო მანქანა თავისით მოვიდა. როგორც ჩანს, ამ ეკიპაჟმა სხვებიც გამოიძახა და სულ მალე ქუჩა პოლიციელებით გაივსო. მოჩხუბრები მანქანებში ჩასვეს და წაიყვანეს. მალე ქუჩაზე სიმშვიდემ დაისადგურა, რომელსაც მხოლოდ ჩემი მეგობრის სიცილი არღვევდა. როგორც იქნა, ისიც დაწყნარდა.

— რა მოხდა, აღარ მეტყვი? — მივმართე შუბლშეკრულმა.

— აუ, ხომ მაგარი იყო?

— რა იყო მაგარი, რა ნახე აქ სასაცილო, ამის გულისთვის გამომიყვანე შინიდან? — მზად ვიყავი, ახლა მე დამემტვრია მისთვის თავ-პირი.

— აუ, კაი ხანია, ასე არ მიცინია.

— კი, მაგრამ რა გაცინებდა?

— ეს კაცები ჩემ გამო ჩხუბობდნენ.

— რა�ა? შენ რა... ორიენტაცია შეიცვალე? — თვალები ლამის ბუდიდან ამომიცვივდა.

— არა, ვერ გამიგე, არასწორად ვთქვი, უნდა მეთქვა, ეს კაცები მე წავაჩხუბე.

— რატომ?

— აუ, შენ ამ სიტუაციაზე ვერ იკაიფე, არა? ახლა ყველაფერს თავიდან მოგიყვები და მაგრად იცინებ.

— მიდი, აბა, — შევაგულიანე იმედგაცრუებულმა.

— „კაროჩე“, ხომ იცი, როცა გაბრაზებული ხარ, შენი ბოლმა ვიღაცას უნდა დაანთხიო. ჰოდა, ერთხელ სამსახურში ვიჯექი (ფსიქოლოგობის პარალელურად ერთ-ერთ საელჩოშიც მუშაობს) და გამახსენდა, რომ ძალიან მნიშვნელოვან საქმეზე უნდა დამერეკა. საჭირო ნომერს ძლივს მივაგენი და დავრეკე.

— ალოო, — მამაკაცის ბოხმა ხმამ მიპასუხა.

— გამარჯობა, მე ესა და ეს ვარ და ამასთან და ამასთან მინდოდა დალაპარაკება, — ძალიან ზრდილობიანად ვუთხარი.

მოულოდნელად, ყურმილი დაკიდა. წარმოგიდგენია? ისიც კი არ მითხრა, რომ სხვაგან მოვხვდი. ადგა და ტელეფონი გათიშა. ვერც კი წარმოვიდგენდი, რომ ვინმე შეიძლებოდა ასეთი უზრდელი ყოფილიყო.

მაგიდაზე დაყრილი ქაღალდები კიდევ ერთხელ გადავქექე და აღმოჩნდა, რომ სულ სხვა ნომერზე დამირეკავს.

საჭირო ადამიანს ველაპარაკე და ჩემთვის მეტად მნიშვნელოვან საკითხზე არასასურველი პასუხი მივიღე. რა თქმა უნდა, გავბრაზდი. ადგილს ვერ ვპოულობდი და სიბრაზისგან ოთახში ბოლთას ვცემდი. სწორედ მაშინ მომივიდა გენიალური იდეა და განვახორციელე კიდეც.

ის არასწორი ნომერი ავკრიბე, სადაც პირველად მოვხვდი.

— ალო, — ისევ იმ ხმამ მიპასუხა.

— წადი, შენი ნაბოზარი დე-

დაც, შე „პიდარასტო“! — შევაგინე და ყურმილი დავკიდე. გუნება უცებ გამომიკეთდა და ღიღინიც კი დავიწყე. ფურცელზე დავწერე ამ კაცის ტელეფონის ნომერი, ქვეშ მივაწერე „პიდარასტი“ და მაგიდაზე ყველაზე გამოსაჩენ ადგილზე დავდე.

ამის მერე, როგორც კი ცუდ გუნებაზე დავდგებოდი, ამ კაცს ვურეკავდი და ყურმილში ჩავძახოდი — შენი ნაბოზარი დედა... „პიდარასტო“!

ეს რაღაცნაირად, მამხნევებდა ხოლმე და თავს კარგად ვგრძნობდი.

— კი, მაგრამ ამ კაცს შენი ტელეფონის ნომერი რომ გაეგო, მერე სად მიდიოდი? — ვკითხე ნაამბობით გაოცებულმა.

— არ არსებობს, საელჩოს ნომერს „კაგებეც“ ვერ „ამოაგდებს“.

— მერე? მერე რა მოხდა?

— მერე ის, რომ ამ „პიდარასტთან“ მთელი 3 თვის განმავლობაში ვრეკავდი. დღეს დილით, ვაკეში ერთ-ერთ სუპერმარკეტთან გავჩერდი. უფრო სწორად, მინდოდა, რომ გავჩერებულიყავი, მაგრამ დასაპარკინგებელი ადგილი ვერ ვნახე. უეცრად, შევნიშნე, რომ მოხუცი კაცი პარკინგიდან გამოდიოდა. უკან დავიხიე და დაველოდე, რომ მანქანა მის ადგილზე დამეყენებინა. ამ კაცმა ხან დაქოქა მანქანა, ხან — გამორთო, კარგა ხანს იწვალა, მერე, როგორც იქნა, დაძრა და უკუსვლით დაიწყო გამოსვლა. მე უკვე ნერვები მღალატობდა, მაგრამ იმედი მომეცა, რომ გამოვიდოდა და მოთმინებით ველოდი. ის იყო, გამოვიდა და მანქანა დავძარი, რომ საიდანღაც შავი „ბეემვე“-ს ჯიპი მოვარდა და ამ ადგილზე შევარდა. ლამის გადავირიე. გაბმულად დავუსიგნალე და დავუყვირე, ეს ჩემი ადგილი იყო, პირველი მე მოვედი-მეთქი, მაგრამ მამაკაცმა ყურადღებაც არ მომაქცია. „პიდარასტი“! რამდენი „პიდარასტი“ დადის ამქვეყნად!“ — გავიფიქრე და გამწარებულმა უკან დახევა დავიწყე. ამ დროს შევნიშნე, რომ მანქანას უკან წარწერა ჰქონდა მიკრული — „იყიდება“ და იქვე ტელეფონის ნომერი იყო მითითებული. გამეღიმა. ტელეფონის ნომერი ჩავიწერე და ოფისში წავედი. რამდენიმე საათის შემდეგ ამ ნომერზე დავრეკე.

— გისმენთ.

— თქვენ ყიდით მანქანას? — ზრდილობიანად ვკითხე.

— დიახ, მე ვყიდი.

— სად შეიძლება თქვენი ნახვა და მანქანის შემოწმება?

— ამა და ამ ქუჩაზე ვცხოვრობ, ამა და ამ ნომერ სახლში.

— ძალიან კარგი, თქვენი სახელი?

— დიტო.

— ძალიან კარგი, დიტო, როდის იქნებით შინ?

— საღამოს, 7 საათის შემდეგ.

— კარგი, „ბრატ“, გინდა, ერთი რამე გითხრა?

— მითხარი.

— შენ „პიდარასტი“ ხარ, შენი ნაბოზვარი დედაც... — და ტელეფონი გავთიშე.

ამის მერე იმ „ნაცნობი „პიდარასტის“ ნომერი ავკრიბე და ჩვეულებისამებრ ვუთხარი — შენი ნაბოზარი დედაც, შე „პიდარასტო“! — მაგრამ ყურმილი არ დავკიდე. ის დუმდა. რამდენიმე წამის მერე თქვა:

— ალო...

— პალო, შე „პიდარასტო“! — ვუპასუხე და ჩავიცინე.

— შენი დედა, რამდენჯერ უნდა დამირეკო? — და წამოვიდა გინების კორიანტელი.

— რამდენჯერაც მინდა, იმდენჯერ დაგირეკავ, — ვუპასუხე მშვიდად.

— რა გქვია, მითხარი ერთი.

— დიტო.

— სად ცხოვრობ?

— სად და... — დიტოს მისამართი ვუთხარი.

— დამელოდე, თუ კაცი ხარ, შემხვდი და გაჩვენებ, როგორ უნდა ერთი დარტყმით ყბის ჩამოღება.-

— უჰ, როგორ შემაშინე! მოდი ერთი, რა ბიჭი ხარ...

ამის შემდეგ დიტოსთან გადავრეკე.

— გისმენთ.

— დიტო, შენ ნამდვილი „პიდარასტი“ ხარ, შენი დედაც!

— მითხარი, სად ხარ, შენი დედა, — გამწარებულმა ჩასძახა ყურმილს.

— რომ გითხრა, რა?

— მოგკლავ, შენი!

— ძალიან კარგი, ახლა შენთან მოვალ, „პიდარასტო“ და ვნახოთ, რა შეგიძლია, — დავემუქრე და ტელეფონი გავთიშე.

მერე შენთან დავრეკე, რომ სეირისთვის გეყურებინა და მეც აქეთ გამოვეშურე. ხომ მაგარი იყო?

— ძალიან... — ტუჩი ავიბზუე.

— ეჰ, შენ ამ ცხოვრების მუღამი არ იცი. მაგარია, როცა უყურებ, როგორ ამტვრევს ერთმანეთს თავ-პირს 2 დეგენერატი იმის გამო, რომ ორივე უზრდელი და თავხედია. კარგად რომ მოქცეულიყვნენ, ასე არ დაემართებოდათ. მაგრად მიხარია, ორივეს სამაგიერო რომ გადავუხადე...



ხომ გითხარით, ფსიქოლოგები უცნაური ხალხია-მეთქი. სიხარულიც უცნაური იციან, გაბრაზებაც და სამაგიეროს გადახდაც.

არ ვიცი, როგორ განვითარდა მოვლენები მას შემდეგ, რაც პოლიციამ მოჩხუბრები წაიყვანა. გადავწყვიტე, დავეხმარო იმ უდანაშაულო ადამიანებს და ჩემი უცნაური მეგობრისა და ამ ორომტრიალის მიზეზის „აღიარებითი ჩვენება“ გამოვამზეურო. იქნებ, როგორ სჭირდებათ?

წარმოდგენები, რომელიც ცხოვრებაში ხელს გვიშლის

ამერიკელმა ფსიქოლოგმა, ალბერტ ელისმა გამოავლინა 5 მიზეზი, რამაც შესაძლოა, თავგზა აგიბნიოს და ცხოვრების სწორად წარმართვაში ხელი შეგიშალოს. ამ მიზეზებს მან „ცნობიერების დაბლოკვის მექანიზმები“ უწოდა.

გრაფი თარხანი

ნებისმიერი გადაწყვეტილების მიღებისას, ადამიანი გონებაში ატრიალებს არსებულ პრობლემას და გამოსავლის მოძებნას ცდილობს. შესაბამისად, როდესაც მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებას შეეცდები, სცადე გაარკვიო, ეს გადაწყვეტილება ზემოთ ხსენებული



მექანიზმების გავლენის შედეგი ხომ არ არის. თუ ეს ასეა, მაშინ შეეცადე, არსებული მდგომარეობის შესაბამისად იმოქმედო.

1. ყველას ვუყვარვარ და რასაც ვაკეთებ, ყველამ უნდა მომიწონოს.

თუ ამის მოლოდინი გაქვთ, მაშინ აუხსნელი შფოთვისა და იმედგაცრუების გავლენის ქვეშ მოექცევი. განსაკუთრებით მაშინ, თუ მიხვდები, რომ ვიღაცას არ უყვარხარ და არც შენი ქმედება მოსწონს. უდავოა, რომ ასეთი აზრი მცდარია, რადგან შეუძლებელია, ყველას გემოვნება დააკმაყოფილო. ის, რაც ერთს მოსწონს, მეორეს აღიზიანებს. იმისათვის, რომ ყველას მოეწონო, სხვა ადამიანების გრძნობები უნდა გაითვალისწინო და შენდა სასიკეთოდ გამოიყენო. უმჯობესი იქნება, ისეთ ადამიანებთან ურთიერთობდე, რომლებსაც შენი ესმით და საერთო ინტერესები გაქვთ. საკუთარი ძალები ნამდვილ მეგობრებზე დახარჯე და ნუ ეცდები, თავი ყველას მოაწონო.

2. ადამიანი იდეალური უნდა იყოს და წარმატების მიღწევა ყველა სფეროში შეეძლოს.

აშკარაა, რომ ვერც ერთი ადამიანი იდეალური და უზადო ვერ იქნება. ის, ვინც მიზნად ამას ისახავს, წარსული მარცხითა თუ მოსალოდნელი წარუმატებლობის განცდითა და შიშით იქნება შეპყრობილი. ასეთი ირაციონალური წარმოდგენის მქონე ადამიანებს ბევრის მიღწევა შეუძლიათ, მაგრამ რის ფასად, ეს მხოლოდ თვითონ იციან. ის, ვინც თავს გადაჭარბებულ ამოცანებს უსახავს, ხშირად მიზანს ვერ აღწევს. შეუძლებელია, რაღაც ზებუნებრივს მიაღწიო. რაღა თქმა უნდა, წინსვლისა და წარმატებისკენ ყველა ადამიანი უნდა ისწრაფვოდეს, მაგრამ ყველამ უნდა იცოდეს, ვერც ერთი ადამიანი ვერ ასცდება წარუმატებლობასა და მარცხს. მთავარია, კარგად აკეთო ის, რისთვისაც იბრძვი და ცხოვრებისეული გაკვეთილები გონივრულად გამოიყენო.

3. ვინც მცდარ ნაბიჯს გადადგამს, უნდა დაისაჯოს.

ხშირად ვამბობთ ხოლმე, რომ რასაც სხვები აკეთებენ, იმას ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ ჩავიდენთ. ამასვე ამბობენ სხვები — ჩვენზე. არ შეიძლება, რომ ამის გამო ისინი ცუდ ადამიანებად მივიჩნიოთ. მათი დატუქსვა არ შეიძლება და ვერც საყვედურით გავხდებით რამეს. უმჯობესია, სხვისი ქმედების გაანალიზების დროს, საკითხს მათი საზომით, მათი პოზიციიდან მივუდგეთ. ამ შემთხვევაში გაგვიიოლდება მათი ქმედების ახსნა და ყველაფერი ნათელი გახდება.

გაგრძელება იხ. გვ. 31

ეროვნული ბიბლიოთეკა

გზა
ჟურნალები

სიზარმაცის შედეგი

11.09. - 17.09.2008

მარი ჯაფარიძე

ეროტიკა იმარჯვებს ანუ – ნადი საქორწილო ღამეს

გამარჯობა, როგორ ხართ, დაუდეგარო, ცელქო და ჯიუტო მგზავნელებო? ალბათ კარგად ხართ. თითოეული თქვენგანი ცალ-ცალკე მომიკითხავთ ხოლმე, მე კი ვერ ვახერხებ. ამიტომ, გადავწყვიტე, გზავნილების შესავალი თქვენი მოკითხვითა და ზოგადი მიმოხილვით დავიწყო ხოლმე. ამ კვირაში, ისევე, როგორც წინა, „ბევრ" კვირაში, თქვენგან კვლავ უამრავი მესიჯი მივიღე და მათი უმეტესება — რაღა თქმა უნდა, თემას არ პასუხობდა. თუმცა არ გსაყვედურობთ, რადგან ვიცი, რომ შეუძლებელია, ჩემ მიერ შემოთავაზებულ თემას ყოველთვის მოარგო შესაფერისი ამბავი. ასე რომ, ახლა თქვენს მესიჯებს გაგაცნობთ და თავად შეაფასეთ.

ვერ შეიყვარა

„ერთხელ, ჩემმა „ლოვემ" (უკვე ყოფილმა) პაემანი დამინიშნა — საღამოს ბაღში შემხვდიო (ბაღი ახლოსაა ჩემს ბინასთან). საგანგებოდ გამოვიპრანჭე და უეცრად, წასვლა დამეზარა, თან ჩემმა დამაც ნერვები მომიშალა, მითხრა, — რას დაიტყლარჭებიო?! ჰოდა, დათქმულ დროს ერთი საათი რომ გადასცდა, ფანჯრიდან დავინახე, რომ „ჩამიტასავა" და ისეთი გაბრაზებული სიფათი ჰქონდაა... (რა სიმპო იყო). მეორე დღეს კი ვნახე და გავუღიმე, მაგრამ გამებუტა. მერე მეხვეწა, შემირიგდიო, მაგრამ არ შევურიგდი. აი, ასე, ჩემი სიზარმაცის გამო დავკარგე „ლოვე", მაგრამ არ ვნანობ. ვერ შევიყვარე ის ბიჭი და რა მექნა? მგზავნელებო, მიყვარხართ ყველა და თქვენი ფანი ვარ. მარიკელა".

ზარმაცი ავადმყოფი

„გასული წლის ზამთარში, ერთკვირიანი ავადმყოფობის შემდეგ, თბილისში ჩამოვედი. სიცხე აღარ მქონდა, მაგრამ მშიერს საწოლიდან ადგომა და კვერცხის შეწვა იმდენად დამეზარა, რომ საღამომდე არ ავდექი და შედეგიც „შესანიშნავი" მივიღე — სამზარეულოში შესულს გული ცუდად გამიხდა და წარბგატეხილი და ათქვეფილი კვერცხით მოსვრილი, ძირს დავეხეთქე. კიდევ კარგი, მანამდე ფანჯრის გაღება მოვასწარი და გონზე სუფთა ჰაერმა მომიყვანა. მააშ, ასე იყო ეს ამბავი. გავაზელი".

პიარისა და ასტროლოგიის მსხვერპლი

„სიზარმაცის შედეგად ჩემი დედიკო დროებით დავაკოჭლე. თავიდან დავიწყებ: წელს,

ვირთხის წლის დასაწყისში, მთელი მასმედია გვიპიარებდა, რომ სახლში ვირთხის გაჩენა სიმდიდრისა და კეთილდღეობის გარანტი იყო. ჰოდა, აჟიტირებული დედაჩემი რეალობას მოსწყდა და როცა ჩვენს დივანში ვირთხამ დაიბუდა, მდიდარი მეცენატის რევერანსით, ისეთი გემოვნებითა და შემოქმედებითი აღმაფრენით შეზავებული მენიუ დაულაგა, რომ ბოღმისგან სლოკინს ველარ ვიჩერებდი. ვირთხამ კი მთლად გაიჯეჯილა, ისე „მენაგლებოდა", როგორც ჯერი — ტომის და მეც მეფესავით, სულ ვირთხები და ვირთხები მესიზმრებოდა. გაზაფხულზე კი „შთამომავლობა" დაყარა ჩვენმა ვირთხამ და დედას სიკეთე იმით გადაუხადეს, რომ ახალგამოჩეკილი წიწილები შეუჭამეს. ამხელა დანაკარგით გამწარებულმა დედაჩემმა, ძუ ვეფხვის მრისხანებით, ჯერ დივანი „აყარა" და „ფეშენებელური" სორო მოუშალა „წარმატების გარანტებს", მერე კატის კნავილში მავარჯიშა და რადგან უნიჭო აღმოვჩნდი, ხაფანგი იყიდა და „სიკვდილმისჯილებისთვის" განაჩენის სისრულეში მოყვანა მომთხოვა. რაკი დედაჩემისა და ვირთხის პლატონურ სიყვარულს წყალი შეუდგა, მეც ენთუზიაზმითა და — „ახლა ჩემი დროა, დიდხანს ველოდი" — ღიღინით სამზარეულოს ნიჟარის ძირთან ხაფანგი დავაგე. ვინაიდან დაღამებამდე დიდი დრო იყო დარჩენილი, დამეზარა, ხაფანგი მაგიდის ქვეშ შემეცურებინა, სადაც ვირთხების „სატრაპეზო" იყო. ცოტა ხანში ბიჭები მესტუმრნენ. დედა ყავის მოდულებას შეუდგა, დაასხა და მადულარა გასარეცხად წაიღო. ერთბაშად, თითქოს მიწა იძრაო, რაღაცამ ავისმომასწავებლად იბუთქა, დედაჩემმა „მეოთხე სოპრანო" და ხაფანგიანი ფეხი ერთბაშად ასწია და ისეთი სიმძიმით დაენარცხა იატაკს, რომ სამზარეულოს ფანჯარას შემცივნებულივით შეაძაგძაგა და თითქოს სოლიდარობას უცხადებსო, ათას ნატეხად დაეფინა იატაკს. ეჰ, დედასაც ვუმკურნალე, ფანჯარაც ჩავსვი, მაგრამ საქმის ბოლომდე მიყვანა რომ არ დამზარებოდა ან ბერნესს პიარი არ გამოეგონებინა, ხომ გადავრჩებოდით ამდენ უბედურებას?! თუმცა, ზოგი ჭირი მარგებელია. ამ ამბის დადებითი მხარე ის არის, რომ მგზავნელებს გავახალისებ. ენიგმა".

ცუდი შედეგი

„სიზარმაცე იყო, რომ მტოვებდა კლასიდან — კლასში, კურსიდან — კურსზე. ჩემი სიზარმაცე იყო, პაემანზე რომ არ მივდიოდი და მაჭანკლობით ძლივს გამათხოვეს. მე რომ არ მეზარმაცა, უნივერსიტეტს წითელ დიპლომზე დავამთავრებდი, კარგ სამსახურსაც ვიშოვიდი; პაემნებზე რომ მევლო, სიყვარულითაც გავთხოვდებოდი და ჩემი დედამთილი უქნარასა და მუქთახორას აღარ დამიძახებდა. მარი, აბა, შენ იცი, ახლაც დამბლოკე, რაა! ვერ გავიგე, „გზაში" მოხვედრა ჩაწყობითაა?"

„ანჟელიკა"

„ამას წინათ, დამ და სიძემ ოჯახურ ვახშამზე მიგვიპატიჟეს. ცოტა დავლიეთ, ვიმხიარულეთ. დის მამამთილმა ერთი ძველი ამბავი გაიხსენა: ცოლთან ერთად დასასვენებლად წასულა, ესენტუკიში. ერთ დღეს ცოლი გრძელ რიგში ჩამდგარა, „ანჟელიკები" იყიდება და მეც უნდა ვიყიდოო. კაციც დაინტერესდა, ასეთი რა „ანჟელიკაა", ამდენი ხალხი რომ დგასო? — და დამორჩილებია ცოლს. გასულა 4-5 საათი, მაგრამ მაინც ვერაფრით მიუღწევიათ გამყიდველამდე. ბოლოს, კაცს უფიქრია, — ვიკითხავ ერთი, რა არის ეს „ანჟელიკაო". რუს ქალს კი მოურიდებლად უპასუხია: „ანჟელიკა" — ეტა მოდნიე ლიფჩიკიო". — „ლიფჩიკიოო"? ქალო, ამდენი ხანი ლიფიზა ვდგავარ აქანეო? მოუკიდებია ხელი და ტანჯვით გავლილი გზა წყალში ჩაუყრია საცოდავი ქალისთვის. P.S. სიზარმაცეს რაც შეეხება, მამიდა მყავს ერთი, მსუქანი. სულ მეგონა, ზარმაცი იყო და საქმეს არ აკეთებდა. ქობულეთის რაიონის ერთ-ერთ სოფელში ცხოვრობს. ერთხელაც, მე და ჩემი და, მეუღლეებით ვესტუმრეთ. დაფაცურდა და არნახული სუფრა გაგვიშალა ნახევარ საათში. ვიფიქრე, ამ სოფელში სუპერმარკეტი სად ნახა-მეთქი? — ვშრომობთ და ყველაფერი გვაქვსო, — მიპასუხა. — ამდენ საქმეს რანაირად აუდიხარ-მეთქი? — მაი კი არა, მამიდა, შარშან 30 ფეხბურთელი ისვენებდა ჩემთან და იმათ ვუთავდებოდიო. ტყუილად ვდებდი ბრალს, ზარმაცია-მეთქი. აბლახანუმი".

წყალდიდობა

„მთელი ომის მანძილზე ჭიათურაში ვიმყოფებოდი. ჰოდა, იყო ერთი აურზაური, პუტინის წყევლის მეტი გამთენიიდან შუაღამემდე არაფერი მესმოდა. ყველაფერი მომბეზრდა და მარტო ტელევიზორის წინ ვიჯექი, თვალდაჭყეტილი. დილით დედაჩემმა გამაფრთხილა, რომ წყალი მოვიდოდა (იქ გრაფიკით მოდის წყალი) და მარაგი ამეღო. მეც, რომ არ გამომპარვოდა წყლის მოსვლა, ონკანები მოვუშვი და ისევ ძველ ადგილს დავუბრუნდი. ზემო სართულიდან მეზობელმა ჩამომძახა და მასთან ავედი. კარგად რომ მიმოვიხილეთ პუტინი და მედვედა, მხოლოდ მაშინ გავუღეთ ჰოლში საწყლად აწკავწკავებულ ძაღლს კარი და ისტერიკულად ვიკივლეთ. ონკანები მასაც ღია დაუტოვებია და სახლში „ლაგუნა ვერე" თუ არა, მისი შემცირებული ვარიანტი ნაღდად იყო. საწყლად დაცურავდა ძაღლი და ისეთ მალაყებს გადადიოდა, მიმიქარავს მსოფლიო ჩემპიონი ცურვაში. 2-საათიანი, დაუღალავი შრომის შემდეგ, ოფლში გაწუწული შინ ჩავედი, კარი გავაღე და იქვე ჩავიკეცე. ქოშები, ჩემი კატა და დედამამა ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ცურვაში. აი, ჩემი სიზარმაცისა თუ გამოთაყვანებულობის შედეგი".

„ნიჭიანი" და ზარმაცი

„სიზარმაცის შედეგია ის, რომ მთელი 11 კლასი გაკვეთილი არ მისწავლია, მაგრამ ყოველთვის საუკეთესო მოსწავლე ვიყავი, რადგან არაჩვეულებრივი მეხსიერება მაქვს. ლექსსაც კი 1 წაკითხვით ვიზეპირებ. გაკვეთილებს კი ახსნისას ვიმახსოვრებდი და დავალებებს დასვენებაზე ვწერდი. თემებს — საკონტროლს დროს ვიგონებდი და ისე ვწერდი. რა სახლში დაწერა და დამუშავება?! მიუხედავად ჩემი სიზარმაცისა, მათემატიკის კონკურსის — „კენგურუს", ისტორიის 3 კონკურსის, მხატვრული კითხვის, ფენოლოგიისა და

ნორჩ შემოქმედთა კონკურსების 1-ელი ადგილის მფლობელი ვარ, ქვეყნის მასშტაბით. გარდა ამისა, საქართველოს 2500 უჭკვიანეს ბავშვს შორის 90-ე ვარ, თბილისის მასშტაბით — 50-ე, მაგრამ ისევ სიზარმაცის წყალობით, არსად ჩამიბარებია. უდიპლომო სარძლო ვარ, რა! :) არადა, კომპიუტერი, 3 უცხო ენა სრულყოფილად და 2 უცხო ენა საშუალო დონეზე ვიცი. ინგლისური ენის გრამატიკა ცხოვრებაში არ მისწავლია და მიუხედავად ამისა, სუფთად და უშეცდომოდ ვსაუბრობ. ASHLEY PCD".

ზარმაცი დიასახლისი

„ერთი მეზობელი მყავს, მაგარი ზარმაცი და მასზე უნდა დავწერო. არა, ზარმაციც არ არის, უბრალოდ, ჯანმრთელობას უფრთხილდება. სარეცხს როცა რეცხავს, არ წურავს, — თუ უნდა, ნუ გაშრება, სად მაქვს მაგის „გასაწური ხელები", როცა იქნება, ხომ გაშრებაო. ახლა ხომ ზამთრისთვის მარაგის მზადების სეზონია და 3 დღე უნდება ტომატის გაკეთებას: 1 დღე პომიდორს ჭრის, მე-2 დღეს ხეხავს, მე-3 დღეს — ადუღებს და ბოთლებში ასხამს. პრინციპში, რა ედარდება, დედამთილ-მამამთილთან არ ცხოვრობს და როგორც ილია ჭავჭავაძეს აქვს ნათქვამი, „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნის", სწორედ ამ ჩემს მეზობელზეა ზედგამოჭრილი. ისეთი ზარმაცია, რომ 1 ბავშვზე მეტი არ გააჩინა — ახლა მეორეს გავასივებინო გულიო? საბოლოო ჯამში, მაგარი ჯიგარი ქალია და ჩემს დედინაცვლობას ითავსებს — თანაც, დიდი წარმატებით. გრუზინკა".

პურის ჭამა

„ზარმაცი არ ვარ და რა უნდა დავწერო? ჰოდა, ავდგები და სიყოჩაღეზე დავწერ. ისეთი ყოჩაღი ვარ, მტერსაც კი შეშურდება. დილით 5-ის ნახევარზე ვდგები. ჰო, რატომ გიკვირთ? ალბად იკითხავთ, — რატომ? რა საქმე გაქვსო? რომ გიპასუხოთ, პურის საჭმელად-მეთქი, გაგეცინებათ, მაგრამ ასეა. ახლა ჩვენებური, მუსლიმანური მარხვაა და ღამე მაგ დროს პურს ვჭამთ. მთელი დღე, სანამ მზე არ ჩავა, პურს და წყალს არ ვეკარებით. ჰოდა, მეც ამიტომ ვდგები, ასე უთენია. მეზობელი რომ დამასაქმებს, — მიდი, გაიქეცი და სიგარეტი მიყიდეო, თავს ხომ არ დავიფასებ — არა, ვერ წავალ, მეზარება მეთქი?! ეს ხანდახან, დღეში 2-3-ჯერაც ხდება. ყველაზე ხშირად კი სხვები მასაქმებენ, რადგან იციან ჩემი ამბავი და ამას ბოროტად იყენებენ. ჰოდა, კი ვაღიარებ, რომ ყოჩაღი ვარ, მაგრამ ამ თვის მანძილზე მაინც ნუ დამასაქმებთ, რადგან ალაჰს ვემსახურები. გრუზინკა".

ზარმაცი მამა

„მამაჩემის სიზარმაცის წყალობით, ტანისამოსს დღემდე ხელით ვრეცხავთ, რადგან სარეცხი მანქანა როგორც მოვიტანე მაღაზიიდან, ისევ ისე დევს შეფუთული. ამ ომიანობის დროს კი მამა თავის ბიძაშვილ ხათუნას გაეხუმრა: სარეცხ მანქანას ორივე ხელით დაეჭიდა და უთხრა, — ერთი მაქედან ამიწიე, უნდა გავიტანოო. ხათუნა რის ამწევი იყო, მაგრამ მაინც დაეჯაჯგურა, იფიქრა — ეტყობა, ვენახში უნდა დამალოს, რუსებმა რომ არ წაართვანო. მე ვუთხარი: ხათო, ეგ ვენახში რომ დატოვო, მაინც ნესტი გააფუჭებს, აზრი არა აქვს-მეთქი. ერთი სიტყვით, მამა ყველას ატყუებს და აჯერებს კიდეც. მამა, ახლა მაინც შეაერთე წყალზე ეგ მანქანა, თორემ შენს ცოლ-შვილს ხელები დაუცვდა რეცხვით. ელისო".

ნადი საქორწილო ღამეს

„რაიონში ჩემს მეზობლად ერთი ახალგაზრდა ბიჭი ცხოვრობს, რომელსაც ლოთობისა და ბირჟაობის გარდა ყველაფრის კეთება (პურზე წასვლაც კი) ეზარება. ერთხელ მეზობელმა ჰკითხა, — ცოლს რომ მოიყვან, ბავშვის გაკეთებაც დაგეზარებაო? მან კი ვითომ იხუმრა და უპასუხა: საძმაკაცო აქ არა მყავსო? ეს რომ ძმაკაცებმა გაიგეს, ერთმა უთხრა, პირველ ღამეს ჩემი იყოს და მერე — შენიო. გოგა".

პოლიციის აკადემია

„პოლიციის აკადემიაში კურსები რომ გავიარეთ, სამწუთიანი ფსიქოლოგიური ტესტი ჩაგვიტარეს. 20-მდე პარაგრაფი იყო შესასრულებელი, რომელიც თაბახის 2 გვერდს მოიცავდა. პირველი პარაგრაფი ასეთი იყო: ფურცლის მარჯვენა, ზედა კუთხეში მიაწერეთ თქვენი სახელი და გვარიო; მეორე პუნქტი ითხოვდა, რომ ვიდრე ტესტის შესრულებას დავიწყებდით, ბოლომდე წაგვეკითხა ყველა პუნქტი. ბოლომდე არავის წაუკითხავს და დროის მოგების მიზნით პირდაპირ მიჰყვნენ შევსებას. მოთხოვნები კი მართლაც იუმორით იყო გაჯერებული. მაგალითად — ხუთნიშნა რიცხვების ქვეშ მიწერით გამრავლება, იმავე ფურცლის კალმით 3 ადგილზე გახვრეტა, ფურცლის ნაპირის გადაკეცვა, ხმამაღლა რაღაც ფრაზების დაყვირება... ყველა მოწადინებული იყო და ბევრი რომ არ გავაგრძელო, საშინელი გნიასი ატყდა აუდიტორიაში. მე კი ვიჯექი მშვიდად. მეც სხვებივით დამეზარა ყველა პუნქტის წაკითხვა, მაგრამ ფურცელი გადმოვაბრუნე და ბოლო პუნქტი ვნახე, სადაც ეწერა: ახლა, როცა უკვე წაიკითხეთ ყველა პუნქტი, შეასრულეთ მხოლოდ 1-ლი და მე-2 პუნქტის მოთხოვნაო — ანუ მხოლოდ სახელის მიწერასა და ბოლომდე გადაკითხვას ითხოვდნენ. ამ ყველაფრისთვის ერთ წუთზე მეტი არ დამჭირვებია და ნეტავ გენახათ 30 კაცის გაოცებული მზერა და ლექტორის გაღიმებული სახე, როცა მზა ტესტი ჩავაბარე. გაკოცეთ. ელისო".

აფერა

„გურულებს ერთი ზარმაცი კაცი გვყავს, სახელად აფერას ეძახიან. იგი საოცარი გულწრფელობით გამოირჩევა და როცა არ უნდა ჰკითხო — „რას შობი, ძამა?" — გიპასუხებს, — აფერსო. ერთხელ, სისხამ დილით აფერა თოხით ხელში ყანისკენ გაეშურა, მაგრამ სანამ სიმინდის „პლანტაციებს" მიადგებოდა, კაი გვარიანად გამოთვრა. თუმცა, არ დავიწყებია, სადილის დროს კაპასი ცოლი რომ მოაკითხავდა და მის მოსვლამდე ჩრდილში წამოწოლილმა, ფიქრს მისცა თავი. ფიქრს ძილმა დაასწრო და უეცრად, აფერამ იგრძნო, თავზე დიდი „რაცხა" რომ წამოადგა და ნაცნობმა, მძიმე ხელმა კისერში წაუთაქა. თვალი არ გაუხელია, ისედაც

მიხვდა, ცოლი იქნებოდა და სანამ გაწიწმატებული ნანული კითხვების კორიანტელს დააყრიდა, თვითონვე დაიწყო:

— მოი, ცაა? იმდენი ვიმუშაე, წელში გავწყდი კაცი. ნახე ქალო, რავალი კაი ყანა გვაქვს!

— რომელ ყანას თოხნიდი, ამას? — ჰკითხა ცოლმა და მეზობლის ყანისკენ გაიშვირა ხელი.

— ჰო, ამას, — ძლივს გასაგონი ხმით დაიკნავლა ქმარმა.

— მერე, შე უბედურო, იმასაც ვერ არჩევ, ვის ყანას თოხნი? შენ მეისპე ისე, რავარც შენი ყანაა მომსპარი და მოგუდული; შენ არ გელირსოს ამ გათოხნილი ყანის აღება და მოუნელებელი დაგრჩენოდეს პირში ლუკმა; გაგიშავდეს ყორყის ძირი; ნეტაი მაცოდინა, რა სიკვტილს აკეთებდი? — მიუბრუნდა ისევ ნირწამხდარ ქმარს.

— აფერს, დავთვერი და მეძინა, — იყო პასუხი, რასაც ნანულის ისეთი წყევლა მოჰყვა, რომ ზარმაც ქმარს საიქიოსკენ მიმავალ „პუტიოვკას“ გამოუწერდა. იკუშკები“.

ზარმაცი ბელადი

„ეჰ, სიზარმაცევ, სიზარმაცევ, რა ხარო?! რომ არა სიზარმაცე, ვინ იცის, ახლა მე როგორ „სკამზე“ ვიჯდებოდი ან კიდევ რამდენი ქართველის დედა ვიქნებოდი... სწორედ სიზარმაცის შედეგია, რომ ეს ბებერი ქალი III კურსის სტუდენტი ვარ. ახლობლები ძალიან წუხან ჩემი გაუთხოვრობის გამო. ვამშვიდებ, როგორც კი დიპლომს „ხელში დავიჭერ“ (არადა, ერთი უკვე მაქვს), მაშინვე გავთხოვდები-მეთქი და რა იციან, რომ უდიპლომობის გამო კი არა, სიზარმაცის გამო არ ვთხოვდები. არა, კი არ გეგონოთ, რომ საოჯახო საქმეების კეთება მეზარება. ისეთ კერძებს ვამზადეებ... უბრალოდ, მეზარება ახალი ოჯახის გაცნობა. ისე, სწავლაც მაინცდამაინც არ მეხალისება. ზარმაცი ბელადი“.

ყველაფერზე, თემის გარდა

ტკივილი

„ერთი ჩემი ნაცნობი ქალი გვიან გათხოვდა და შვილიც ასაკოვანს შეეძინა. სოხუმში ცხოვრობდა და აფხაზეთის ომის დროს, ქმარი, ძმა და ახლობლები დაუხოცეს. მხოლოდ თვითონ და პატარა დათო გადარჩნენ. თუ ვინმე ახლობელი შემორჩა, დღემდე სოხუმშია ჩარჩენილი. ტანჯვით გაზარდა შვილი, ისეთი თბილი და უნაკლო ბიჭი იყო, დედას ყველა ტკივილი დაავიწყა. მერე დათოს შეუყვარდა... იყო სიყვარულით სავსე დღეები, დაქორწინების სურვილი, მაგრამ სურვილის ასრულებას შესაბამისი თანხაც სჭირდებოდა და ბიჭი ჯარში წავიდა (სხვა სამსახური ხომ არც არსებობდა, ახალგაზრდებისთვის). 5 თვის წასული იყო, ომი რომ დაიწყო და ხალისიანი ბიჭის ნაცვლად, დათოს დასახიჩრებული ცხედარი დაუბრუნეს დედას. სამუდამოდ დუმახინჯეს საქმროს მომლოდინე გოგოს სული. უპატრონოდ დარჩა დარდისგან



განადგურებული, მოხუცი დედა, რომელიც არასოდეს გახდება ბებია და არასოდეს გაუღიმებს ჩვეული, თბილი ღიმილით, თავისი ერთა. მის სახლში საზარელი სიჩუმე დაისადგურებს

და როცა ისიც დაასრულებს თავის ძაღლურ, გამწარებულ ცხოვრებას, ვიღაც სამადლოდ მიაბარებს მიწას. მერე... მერე მათ უპატრონო საფლავებსაც ბალახი დაფარავს და მომგონებელი აღარავინ ეყოლებათ. არადა, ხომ შეიძლებოდა, ბედნიერი ოჯახი ჰქონოდათ? არ ვაპირებდი ამის მოწერას, მაგრამ ჩემი უსაყვარლესი და უნიჭიერესი გოგოს, ლიმონას სიტყვებმა გადამაწყვეტინა: როგორ თუ რა საჭირო იყო მსხვერპლი? ვარდი უეკლოდ ვის მოუკრეფიაო? ვინმე ხედავთ მოკრეფილ ან მოსაკრეფ ვარდს? მე — ვერა! მხოლოდ „ვარდების რევოლუციისას“ ვნახე დაკრეფილი ვარდები, რომლებსაც მერე ფურცლები გასცვივდა და მხოლოდ ეკლებიღა დაგვრჩა. მაპატიე, ლიმონა, მიყვარხარ და ნუ მიწყენ. კამელია“.

დევები

„ხარაგაულის შესასვლელში არის დევის 2, უშველებელი ქანდაკება. ერთხელ, თურმე, ღამით ნაქეიფარ კაცს გამოუვლია, შემდგარა და შეუძახებია: გამარჯობათ, დევებო! გაგიმარჯოსო, ისინიც გამოჰპასუხებიან. კაცი, როგორც ჩანს, მომენტალურად გამოფხიზლებულა და უკანმოუხედავად მოუკურცხლავს. სინამდვილეში კი ეს პასუხი დევების უკან ბუნებრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად გადასულ კაცს ეკუთვნოდა. იქ რამდენჯერაც გავივლი, სულ ეს ამბავი მახსენდება. ელისო“.

„ბოზებს მიჰყავთ „პარადი“

„ჩვენ ხელი ჩავჭიდეთ ერთმანეთს, რათა დავანახვოთ მსოფლიოს ჩვენი ერთიანობა, ერთურთისა და სამშობლოს სიყვარული. მიხარია, რომ გავერთიანდით, მაგრამ ამ გაჭირვების ჟამსაც, აქა-იქ თავი წამოყვეს ვირთხებმა. ახლა უკეთ გამოჩნდა, ვინ ვინ

არის. გორი კასპში გაიხიზნა, მოგვიანებით კასპიც დაიცალა და თბილისს შეაფარეს თავი. დაწიოკებულ ქალაქს ვტოვებდი მეც. სამარშრუტო ტაქსის მძღოლს ვთხოვეთ, გავეყვანეთ სამშვიდობოს. დაგვთანხმდა და ნატახტრიდან თბილისის შემოსასვლელამდე სამმა ბიჭმა 300 ლარი გადაუხადა. სამწუხაროდ, ტაქსის ნომერი არ ჩაუწერიათ, თორემ მოგწერდი. სამშობლო უნდა იცნობდეს ასეთ „გმირებს" და „ვაუკაცებს". აფერუმ, ქართველებო! ასეთებს მხოლოდ სუფრასთან, ჭიქით ხელში გიყვართ საქართველო. ამ არაკაცებსაც იცავდნენ საკუთარი სიცოცხლის ფასად, ბრძოლის ველზე დაღუპული ჩვენი ბიჭები. სამწუხაროდ, მერე გამოძვრებიან ეს ვირთხები და მკერდზე მჯიღისცემით ალაპარაკდებიან, სამშობლოს სიყვარულსა და ვაუკაცობაზე. P.S. ამაზე ერთი ლექსი გამახსენდა — და ყოველგვარი ომის ბალანსში,/ ეს შეფარდება არის მარადი —/ კაცები ბრძოლას ეწირებიან/ და მერე ბოზებს მიჰყავთ პარადი! რომ გავრბოდით, თუთიყუშიც წამოვიყვანე. სამარშრუტოში რომ ავედი, ეგ სადღა მოგყავს, გაუშვიო, — გამომიჩნდნენ ჭკუის დამრიგებლები. ვიღაც ბავშვმა თუთიყუში რომ დაინახა, — დედი, დედი, ასეთს ხომ მიყიდიო?! — კაბაზე ქაჩვა დაუწყო ქალს (ბავშვი ხომ ყველგან ბავშვია). — რა დროს ეგაო, თავში იმისთანა სთხლიშა ქალმა... სოფლის ცენტრიდან დიდი სატვირთო მანქანით უნდა გაგვეგრძელებინა გზა. ჩქარა, ჩქარაო, უცებ აკივლდნენ და დავიძარით. კაბინაში ადგილი ასაკოვან ქალებს დავუთმე და ერთი რომ ვიშვირე ფეხი (განაზვის დრო არ იყო), უკვე საბარგულში ვიყავი. ამ ტრიუკის დანახვაზე ხალხს ყბა მუხლებამდე ჩამოუვარდა. ზოგი კიოდა, ზოგი ლოცულობდა, გვერდით ვიღაც ქალი გულდათუთქული ტიროდა. ვცადე, დამემშვიდებინა. ვიღაც მოუბრუნდა და უთხრა: რა გატირებს, აკი მარტო ჩვენ დავიხოცებოდით და იეღოველები უნდა გაფრენილიყავით, აღარ მიფრინავთ? ფრენა გადაიდოო? ახარხარდნენ. მოგვიანებით კი სამშვიდობოს გასული, სხვების გასამხიარულებლად ვყვებოდი ამ თავგადასავლებს. ფინტიკოზა ხომ ომშიც ფინტიკოზაა. იცი, გაქცევისას რაები წავიღე თან? მაღალქუსლიანი, „კაკუნა" ფეხსაცმელები, მანიკიურის „ნაბორი", თმის უთო და დენის ეპილატორი. ნეტავ, სად უნდა შემეერთებინა, თუ ტყეში მოგვიწევდა გახიზვნა, ჰა? ჰო, მარტო ფინტიკოზა ხომ არ ვარ და ამიტომ პირველადი დახმარების პრეპარატები, ტკივილგამაყუჩებლები, დამაწყნარებლები და ბინტი-ბამბებით გატენილი პარკიც თან ვათრიე! :) ფინტიკოზა".

ბომბი — ჯიბეში

„ამ მძიმე ამბებსაც ახლდა კურიოზები და ახლა ვიცინით. დაბომბვის მერე მარკეტში ვიყავი, დედასთან ერთად. ორი ბიჭი გამოელაპარაკა დედას: თქვენ რომ გვითხარით, ილოცეთო, აკი ვლოცულობდით, და ბომბებს მაინც რომ ვერ გადავურჩითო?! რომელს დაგეცათ-მეთქი? — ვკითხე. — არც ერთსო, — სერიოზულად მიპასუხეს. — მეც ვხედავ, რომ არც ერთს და, მეტი რაღა გადარჩენა გინდოდათ, თქვე დალოცვილებო, ბომბი მაინცდამაინც ჯიბეში უნდა ჩაგვარდნოდათ და ისე გადარჩენილიყავით-მეთქი?"

ვანია და ლუდა

„კახეთში მცხოვრები რუსი, გალოთებული ვანია ზემოუბნელი ამირანის გამოტეხას ცდილობს:

— „ბრატიშ", მითხარი, ჩემი ცოლი ლუდა მართლა ბოზობს?

— რავი, აბაა... — უხერხულად იშმუშნება ამირანი.

— ნუ მიმალავ, — გული ამოუჯდა ვანიას, — ვიცი, გუშინ შენთან იშმაშურა.

— შენ რა იცი? — წამოსცდა ფერშეცვლილ ამირანს. — ტყუილია მაგი, — დასძინა ნირწამხდარმა.

ვანიამ მელოტ, „რქიან" თავზე ხელი გადაისვა.

— აი, აი, აიი... — ეშმაკურად შესცინა. — გუშინ არყის საშოვნელად უფულოდ გამოვუშვი და 3 საათის შემდეგ თხლე არყით, თივიანი თმითა და დაჭმუჭნილი კაბით დაბრუნდა; ეგეთი თხლე არაყი კი სოფელში მარტო შენა გაქ.

— მერე, ახლა რა გინდა? — უტყუარ არგუმენტზე ხმა ნიავგავლილი ფოთოლივით შეუცახცახდა ამირანს.

— რა მინდა და, თუ არ გინდა, შენი სეხნიასავით კავკასიონზე მიგაჯაჭვო და შენი გულ-ღვიძლი ყვავ-ყორნებს ვაკორტნინო, მე და ლუდა „პახმელიაზე" უნდა გამოგვიყვანო, — რიხითა და მუქარით მიაჩერდა ვანია.

— ჰოო, — ტუჩის კუთხე ღიმილით შეუთამაშდა ამირანს, — ლუდა გამომიგზავნე და გამოვატან.

ვანიამ მხიარულად ჩაუკრა თვალი ამირანს და მხარზე ძმურად დაუტყაპუნა ხელი.

— გუშინდელივით 3 საათი არ გააჩერო და თანაც, პირველნახადი გამოატანე!

— ბატონი ბრძანდები, — კაცურობის სიმბოლოს, საკუთარ ულვაშებს გაეთამაშა ამირანი და ორივე კმაყოფილი წავიდა სხვადასხვა მხარეს, მაგრამ მუდმივი არაფერია. გაუთავდა არაყი ამირანს და რუსისა და ქართველის ფსევდომეგობრობაც — ფააფუ! ეგ კი არა და, ამას წინათ თავისი მოძმეების სისასტიკით გულმოცემულმა ვანიამ, სულ მჯიღი ირტყა მკერდში, — ნეტავ რუსები კახეთში შემოსულიყვნენ, ამირანის სახლისგან კოცონს ავაგიზგიზებდიო, და სიმბოლურად, ანთებული ასანთის ღერი წარმოსახვითი მტრის ეზოში გადაისროლა. ჰოდა, მის მოძმეებზე გამწარებულმა მეზობლებმა მთელი რუსეთის ჯავრი ამ ერთ კაცზე იყარეს, სულ „3 ასოზე" გაუშვეს, „3 თითის კომბინაციით". წევს ახლა ივანე საავადმყოფოში, ისევ ქართველი ექიმების იმედით. ეს რომ ლიტერატურული მოთხრობა იყოს, კრიტიკოსები იტყოდნენ — ვანია რუსეთის ზოგადი სახეა, მისი ცოლი — რუსეთის გაყიდული სინდის-ნამუსის, არაყი — სიხარბის, ასანთი — ცეცხლისა და აგრესიის, მეზობლები — ამერიკისა და ევროპის, საავადმყოფო — ეკონომიკური იზოლაციის; ქართველი ექიმები მათი უკან დახევის სიმბოლოა, „3 ასო", „3 თითის კომბინაცია" კი სიმბოლურადაც და უსიმბოლოდაც ქართველების ერთსულოვანი პასუხიაო. ჰოდა, ვითომ მოთხრობაა, ჩვენც დავეთანხმოთ მათ. ღმერთმა კველას თავის სახლში და საამშობლოში გაუმარჯოს! ენიგმა".

„მშვიდობით, უტა!“

„მე უკანასკნელად შევხვდი ჩემს უტას. ჩემი გმირი ომში, წინა ხაზზე იბრძოდა, უშიშრად გვიცავდა მე და სამშობლოს. როცა ეგონა, აქედან ვერ გავაღწევო, მე ვთხოვე, ჩემთვის ეცოცხლა და მან ჩემი თხოვნა შეასრულა. დამიბრუნდა, მაგრამ ჩვენს სიყვარულს აღარ ექნება ბედნიერი დასასრული. ჩვენ გადავწყვიტეთ, სხვაგან გვეძებნა ბედნიერება. ყველაფერში დამნაშავე ჩვენი ხასიათია. ორივემ ამაყ სულებს ვანაცვალეთ ჩვენი ლამაზი სიყვარული. არავინ თქვას, სუსტი იყო ჩხავანა ბალღისა და უტას გრძნობაო. არა, პირიქით, ეს ყველაზე დიდი და ძლიერი ქალვაჟური სიყვარული იყო ცისქვეშეთში და ერთმანეთზე უარიც ერთურთის სიყვარულმა გვათქმევინა. ვიცოდით, ერთად ბედნიერება არ გვეწერა, უბედურებისთვის კი ვერც მე გავიმეტებდი ჩემს უტას და ვერც ის — მე. ახლა მე ჩვენი ლამაზი სიყვარულის ამბავი ფურცლებზე გადამაქვს, მინდა, ყოველი ერთად გატარებული წამი აღვნიშნო, რათა დრომ ვერაფერი დააკლოს ლამაზ მოგონებებს... წლები გავა, მე სხვისი შვილის დედა მერქმევა, უტა კი ერთხელ მაინც დაუძახებს ცოლს ჩუმად ჩემს სახელს. მშვიდობით, უტა... ჩხავანა ბალღი“.

ხონის „მეგა-TV“

„ასეთი საშინელება გინახავთ რამე? ხონს თავისი ტელევიზია აქვს, რომელსაც „მეგა-TV“ ჰქვია. ყოველ საღამოს, მორბენალ სტრიქონში გადის შეკითხვა — „აირჩიეთ თქვენთვის სასურველი ფილმი“. დასახელებულია — ქართული, ინდური, „ბოევიკი“ და ეროტიკა. 1 კვირაა, ვუყურებ და წარმოგიდგენიათ, ყოველთვის ეროტიკა იმარჯვებს. ეროტიკა კი არა, სუფთა „პორნოა“. ვიღაც ნინი და მაკა წერდნენ, ახლა ეროტიკა გაუშვით, უკაცობა გვაწუხებსო. აი, სადამდე დაეცა ქართველი ქალი. ღმერთის მაინც შეგრცხვეთ, ეროტიკის მიმდევრებო! გამოფხიზლდით, ხალხო, მტერი კარს მოგვადგა, რა დროს ეროტიკაა? სუხუმსკი“.

კეთილი სიმამრი

„ეს ამბავი ერთმა თანამშრომელმა მიამბო. მის სოფელში ერთ კაცს ხუთი ქალიშვილი ჰყავდა. მეორე გოგომ ქმართან ცოტა ხანს იცხოვრა, მერე მისი მეზობელი შეუყვარდა და მასთან ერთად გაიპარა. სიძე სიმამრთან მივიდა და ეს ამბავი მოუყვა. სიმამრი თავიდან გაბრაზდა, მერე კი უთხრა — კიდევ სამი გოგო მყავს გასათხოვარი და რომელიც გინდა, წაიყვანეო. გოგა“.

პუტკუნა და გაჩხინკული

„ერთ პუტკუნა ბიჭს ერთი გაჩხინკული გოგო უყვარდა. ეს თუ სიყვარული იყო?! დღე ჩხუბით იწყებოდა და ისევ ჩხუბით მთავრდებოდა, მაგრამ უერთმანეთოდ ვერ ძლებდნენ. ამ დროს, ერთი ფულიანი „მასტი“ ჩასაფრებულიყო და მათი ურთიერთობით სარგებლობდა. როგორც გაირკვა, გოგოს ლამაზი სიტყვებითა და დაპირებებით თავბრუ დაახვია და ცოლობაზე დაითანხმა. თან იცოდა, გოგოს რომ არ უყვარდა, მაგრამ არწმუნებდა: გამომყევი და აუცილებლად შეგიყვარდებიო. ესეც დაიღალა გაუთავებელი ჩხუბით და გაჰყვა ფულის ტომარას, ტირილითა და ცრემლებით. დარჩა ჩვენი პუტკუნა მოჩხუბარი ცარიელი. ასე დამთავრდა მათი სიყვარულის ამბავი და არავინ იცის, შეუყვარდება თუ არა ჩვენს პატარძალს სიძიკუნა. 062“.

სიყვარული

„პირველ კლასში რომ ვიყავი, XI-კლასელი ბიჭი მიყვარდა. ძალიან უცნაურად გამოვხატავდი ამ სიყვარულს: ყოველდღე „პონჩიკს“ ვყიდულობდი მისთვის და რადგან მიცემას ვერ ვბედავდი, მევე მივირთმევდი. ერთხელაც, გავბედე და მივეცი, მას კი გაეცინა, ხელში ამიყვანა და მაკოცა. ეუჰ! ძალიან შეურაცხყოფილი დავრჩი — მით უმეტეს, რომ ის „პონჩიკი“ სხვა გოგოს მისცა. მთელი დღე და ღამე ვბღაოდი. მეორე დღეს დედამ სკოლაში რომ მიმიყვანა, ის თავის კლასელებთან ერთად იდგა და მოღიმარი სახით მიყურებდა. მე კი ერთი გულიანად შევაგინე — ისე, როგორც ბიძაჩემმა, კაკომ მასწავლა. ისეთი სკანდალი მოაწყოოო?!“

ხსოვნა

„8 წლის წინ ირაკლის ერთ-ერთ სააგენტოში შევხვდი. მე გერმანიაში მივდიოდი, თურმე — ისიც. იმ დღეს მისგან იების ლამაზი თაიგული მივიღე საჩუქრად. შემდეგ კი ორივემ ვიცოდით, რომ გერმანიაში შევხვდებოდით ერთმანეთს. ასეც იყო, მაგრამ შეხვედრამ სხვანაირი მიმართულება მისცა მასთან ურთიერთობას. რატომ გწერ, არ ვიცი, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ მივხვდი, რომ მინდა სადმე შევხვდე, თუნდაც შემთხვევით და ვეძებ კიდეც. მინდა, შემხვდეს და ვუთხრა, რომ ცდებოდა, როცა მითხრა, თითქოს გოგონები არაფრად ვაგდებთ ბიჭების გრძნობებს... ასე ნამდვილად არ არის, ადრე თუ გვიან, ყველა ვხვდებით, რას ვკარგავთ. საქართველოში დაბრუნების შემდეგ ბევრჯერ მიტირია მისი მონატრების გამო, თუმცა დაკავშირება არც მიცდია. ახლაც მახსოვს, ალბათ იმიტომ, რომ მისნაირ ადამიანს აღარასოდეს შევხვედრივარ“.

„დირექტორი დედაჩემთან დადიოდა“-

„ერთი ჩემი მეგობარი ფიზკულტურის ინსტიტუტში მისაღებ გამოცდებს აბარებდა. საბუთების მიღების დროს გაუკვირდათ: — კი, მაგრამ რატომ აბარებთ ფიზკულტურულზე, თქვენ ხომ სკოლა ოქროს მედალზე დაგიმთავრებიათ; იქნებ ჯობდა, მეცნიერებას გაჰყოლოდითო? — „ლიპაა“ ეგ მედალი, — თქვა აბიტურიენტმა, — ისე მომცეს, ტყუილად, სკოლის დირექტორს ჰქონდა საქმე დედაჩემთანო და... — მერე? ამოდენა მუტრუკმა დირექტორს არაფერი უთხარიო? — რა უნდა მეთქვა, ბატონო, დირექტორი მამაა ჩემიო. ოლეგარიო“.

„გზა“

„მარიკუნა, ჩართე ტელეფონი? ახლა წარმომიდგენია, რა დაემართება, გასკდება ყვირილით... ერთი ამბავი უნდა მოგიყვე. წინა ხუთშაბათს მე და დედა საყიდლებზე ვიყავით. გზად „გზა“ გავიყოლე. ჰოდა, იმის მაგივრად, შარვალი წესიერად მომეზომებინა, ცალი ბრვალი ჟურნალისკენ მქონდა. იქიდან წამოსვლისას კი... ჯანდაბა! სად არის „გზა“? ჰოოდა, კი არ მიზარმაცია, უკან მივბრუნდი და — უკაცრავად, აქ ჟურნალი ხომ არ დამრჩენია-მეთქი? — ვიკითხე. ქალმა თითით გვერდზე მსხდომებისკენ მიმანიშნა და რას ვხედავ? 5 ქალი ამ ერთი ციცქნა ჟურნალს ჩასჩერებია და — ჰოი, საოცრებავ — თანაც „გზავნილებს“

(თუმცა, რატომ საოცრება?)! როცა გაიგეს, წაღებას ვაპირებდი, ისე ამოიოხრეს, მართლა რომ წამომელო, იმათი ცოდვით ვერ გავიხარებდი. მაგრამ რა?! მე კი შემრჩა ერთი ზომით დიდი შარვალი... SWEET-GIRL".

ორნახადი

„მამაკაცებს სასმელი ძალიან რომ უყვართ, ყველამ კარგად ვიცით. ჩემი მეზობელი გიაც სასმლის მოყვარულია და დღე არ გავა ისე, კარგა გვარიანად არ გამოთვრეს. გიას თავისი გასაჭირი აქვს, არყის ფულს ძლივს შოულობს და ახლა ცოლმაც გაუწყალა გული, დაემუქრა, — კიდევ ერთხელ თუ დალევ, შინიდან წავალ და ვნახოთ მერე, რაც დაგემართება უჩემოდო. გიას სხვა გზა არ ჰქონდა, დათანხმდა ცოლის წინადადებას და 3 დღე მართლაც არ დაულევია. მაგრამ მერე, ჩვენი გია ბაღში ჩავიდა და რას ხედავს: მისი ბიჭი ტირილით კვდება — ჭინჭარს დაუსუსხავს. გიამ შვილი დააწყნარა და დაჰპირდა, რომ ჭინჭრებს დათხრიდა. მეორე დღეს დანაპირების შესასრულებლად გაემართა და მიაგნო იმას, რასაც აქამდე ეძებდა. თურმე მის ცოლს არაყი ჭინჭრებში ჩაუმალავს. გიამ გამოცალა არაყი, ჩიგ წყალი ჩაასხა და ისევ ჭინჭრებში ჩამალა. თავისდა ჭირად, იმ დღეს, მეზობელი კაცი ესტუმრა. ლიამ — არიქა, ორნახადი არაყი უნდა დაგალევინო, არსად წახვიდეო. გიას „შვიდმა ფერმა" გადაჰკრა სახეზე და სიმწრით დაჯდა სკამზე. ლიამ არაყი მოიტანა, სტუმარს მიაწოდა და უთხრა: — „ჭუპჭუპა" არაყი არ გეგონოს, ნაღდი ორნახადიაო. მეზობელმა არაყი დააგემოვნა, მიუხვდა გიას ეშმაკობას და საიდუმლო შეუნახა. წასვლისას კი ლიას ირონიულად გაუღიმა და უთხრა: — ლია, მაგ შენს ორნახად არაყს წყალი შეჰპარვიაო. მტერს არ ვუსურვებ ისეთ ამბავს, რაც ლიამ გიას დამართა. საცოდავს იმდენი ურტყა, მთელი კვირა იშუშებდა იარებს".

ახლა კი თემაზე და თემის გარეშე მოსულ მოკლე მესიჯებს გავეცნოთ.

„ფისი არ მაქვს"...

„სიზარმაცეს კარგი არაფერი მოაქვს, ამაში კიდევ ერთხელ დავრწმუნდი. მთელი ზაფხული ღობე-ყორეს ვედებოდი, წიგნი ხელში არ ამიღია. ახლა ერთი სული მაქვს, სწავლა როდის დაიწყება. ერგეაშვა".

„მიუხედავად იმისა, რომ მგზავნელების გაცნობა ძალიან მინდა, რამდენჯერაც სამების ეზოში შეხვედრა დანიშნეს, იმდენჯერ ვერ მოვახერხე... თან, ცოტა მომერიდა... ესეც ჯლბათ, სიზარმაცის შედეგია. ლიმონა, ედელვაისი, ენიგმა, პავლიკა, გრუზინკა, სესი, მის რეალ, ჩანს, რომ ძალიან, ძალიან საყვარლები ხართ. თქვენს გზავნილებს ყოველთვის სიამოვნებით ვკითხულობ. SWEET-GIRL".

„სიზარმაცის შედეგია და, რამ გამაგიჟა, არ ვიცი — ათასი საქმე მაქვს გასაკეთებელი, მე კი ურცხვად ვზივარ სამსახურში და ვაბულბულებ „გზას". ერთ ხუთშაბათსაც გამაგდებენ და მარ, გაიკითხ-გამოიკითხე, მანდ რაიმე ვაკანსია ხომ არ არის? :-) ელისო მინდა მოვიკითხო, ჩემი „ზემლიაკი". გაკოცეთ და მიყვარხართ. maryg".

„ერთხელ დედას და ბიცოლას „მინუტკაში" ყავას ვუდუღებდი და წყლის დამატება უკვე ჩართულში გადავწყვიტე, რადგან დამეზარა შტეფსელიდან გამორთვა. ჰოდა, შედეგად დენმა რომ დამკრა, ეს ყავა ირგვლივ მიმოვაქციე. თან მაშინ ფეხმძიმედ ვიყავი და ყველანი მაგრად დავფეთდით. ელისო".

„ერთ-ერთი ლამაზი სიყვარულის ამბავი „გზის" დამსახურებაა. თქვენი მეშვეობით კიდევ ერთი ლამაზი ოჯახი შეემატა საქართველოს... ქამელეონი".

„რა მეზარება, იცით? მესიჯი რომ მომივა, იმწუთშივე თუ არ მცალია, გვიან ვპასუხობ. მეზარება სახელის მოძებნა და ნომერს ზეპირად ვწერ, მაგრამ ეს — „ზეპირად" — ყოველთვის არ ამართლებს".

„სიზარმაცეზე გამახსენდა, წეღან ნაგვის ვედროს სახურავის ახდა დამეზარა, მასზე ზემოდან პარკი იდო და იქ დავაპირე ნაგვის ჩაყრა, მაგრამ პარკზე ხელის მოკიდებაც დამეზარა და ნაგავი სულ იატაკზე დამებნა. მართალია, ცოცხის აღებაც მეზარებოდა, მაგრამ იატაკიც დამაგვევინეს და ნაგავიც ვედროში ჩამაყრევინეს... გრიმსიკო".

„მარი, როგორ ხარ? მაგრად გვიყვარხარ მთელ საქართველოს. გავგიჟდი, რა! მე თვითონ ვარკეთილელი ვარ და ახლა სოფელ სათივეში ვისვენებ. ე.ი. აქ ყველას „გზა" უჭირავს და შენს წერილებს კითხულობენ. ბირჟაზე, საღამოს კი ერთმანეთს უყვებიან და ახალ ნომერს ელოდებიან. მიხარია, რომ „გზაში" ასეთი წერილები იბეჭდება. ყველას, სადაც უნდა გაიხედო, „გზა" უჭირავს. ნეტავ, სხვა ჟურნალებს აქვთ გასავალი? დათუჩა".

„უკვე ძალიან გვიანია, მე კი არ მძინავს. დღეს მეზობელმა მითხრა, 3 წლის ნაგროვები ჟურნალები მაქვსო. ჰოდა, ახლა ძველ, 1-2 წლის წინანდელ „გზავნილებს" ვკითხულობ და გულში სითბო მეღვრება. როგორ უყვარდათ და უფრთხილდებოდნენ ერთმანეთს მაშინდელი მგაზვნელები... როგორი თბილი, იუმორით სავსე და ზოგჯერ სევდითა და ტკივილით დამძიმებული მესიჯებით მოიტანეს ჩვენამდე „გზავნილები"... ჩემდა უნებურად, რამდენიმე ნიკი ამეკვიატა — ალი-ბუსა, ზიპსო, ანკაბანკა, თეთრი ციყვი, გარიჟრაჟა, რიკი-ტიკი-ტავი, იაზვა მარჯა, კახელი სპილო, ცალთვალა მგელი, აკვა, გიჟი პოეტი. ზოგიც მესიჯის შინაარსით დავიმახსოვრე — დიდთავა, კახელი კონდოლიზა, მაია სტამბიდან, კეტრინ ზეტა-ჯონსი... წავიკითხე ლეო91-ის მესიჯები და უფრო მძაფრად ვიგრძენი, როგორ გვაკლია მისი იუმორი. ეჰ, რად ვერ ვხვდებოდი, რომ ჩემი გზა „გზაშია"? კახელო616".

„4 წლის ვიყავი, ბიძაშვილმა რომ გამაუპატიურა. მერე, 14 წლისას ერთი ბიჭი შემიყვარდა, მან კი იმიტომ მიმატოვა, რომ ჩემი და შეუყვარდა. ახლახან კი ისევ შემიყვარდა და დავნებდი. მართალია, ძალიან ვნანობ, მაგრამ უკვე გვიანია. მე ამ ბიჭს ვუჩივლე, ვითომ გამაუპატიურა და არ ვნანობ ჩემს საქციელს. დაე, ღმერთმა განმსაჯოს. გთხოვთ, დამიბეჭდოთ. ხატია".

„კახელ სალომეს 4 წლის ნინიკო არ ასვენებს, — დედა, ფისი მინდაო. სალო კი „გზას" კითხულობდა გამწარებული და ბავშვს იცილებდა, არც ესმოდა, რას სთხოვდა შვილი. ძალიან რომ შეაღონა, შეხედა და უაზროდ უთხრა — არ მაქვს, დედიკოო... მის რეალი".

მომდევნო ნომრის თემად გთავაზობთ — მოლალატე მეგობარი. გამოგზავნეთ მესიჯები ტელეფონის ნომერზე: 8.77.45.68.61 ან მომწერეთ ელფოსტაზე: marorita77@yahoo.com მოკლე ჩართვის კითხვად გთავაზობთ — რა ღირს სინდის-ნამუსი? ველი თქვენს მესიჯებს და გემშვიდობებით მომავალ ხუთშაბათამდე. ●

3 ეროვნული თაღლითები

ერთ-ერთმა ინტერნეტსაიტმა ჯაცობრიობის ისტორიაში ყველაზე ცნობილი და ჭკვიანი თაღლითების სია შეადგინა.

1. ვიქტორ ლიუსტიგი (1890-1947) – ადამიანი, რომელმაც ეიფელის ჯოხი გაყიდა

ლიუსტიგი ერთ-ერთ ყველაზე ნიჭიერ თაღლითად მიიჩნევა. მას დაუსრულებლად შეეძლო აფერის გამოგონება და ორგანიზება. 45 ფსევდონიმი ჰქონდა და თავისუფლად ფლობდა 5 ენას. ლიუსტიგი მხოლოდ ამერიკაში 50-ჯერ დააკავეს, მაგრამ მტკიცებულების არქონის გამო გაათავისუფლეს. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ლიუსტიგი თაღლითურ ლატარიებს აწყობდა. 1920 წელს საცხოვრებლად ამერიკაში გადავიდა და 2 წლის განმავლობაში ბანკები და კერძო პირები 10 ათასი დოლარით გააღარიბა. მისი ყველაზე გრანდიოზული აფერა ეიფელის კოშკის გაყიდვას უკავშირდება. 1925 წლის მაისში ლიუსტიგი თავგადასავლების საძებნელად პარიზში ჩავიდა. ერთ-ერთ ფრანგულ გაზეთში წაიკითხა, რომ კოშკს შეკეთება სჭირდებოდა. თაღლითმა გადაწყვიტა, ამით ესარგებლა. მან თავი კავშირგაბმულობის მინისტრად გაასაღა და ბიზნესმენები მდიდრულ სასტუმროში მიიწვია. განუმარტა, რომ ვინაიდან კოშკის შეკეთებაზე უამრავი თანხა იხარჯება, ხელისუფლებამ მისი დაშლა და დახურულ აუქციონზე გასაყიდად გატანა გადაწყვიტა. ლიუსტიგმა ყველას სთხოვა, რომ ეს ინფორმაცია საიდუმლოდ შეენახათ იმ მიზეზით, რომ საზოგადოების აღშფოთება არ გამოწვია. რამდენიმე დღის შემდეგ კოშკის დაშლის უფლება ანდრე პუასონს მიჰყიდა და სასწრაფოდ ვენაში გაემგზავრა.


ვიქტორ ლიუსტიგი


ფრენკ აბეგნეილი

ქრისტოფერ როკანკურტი

პუასონს არ სურდა, რომ სხვების თვალში სულელი გამოჩენილიყო და გაცურების ფაქტი დამალა. ეს ფაქტი ლიუსტიგმა სათავისოდ გამოიყენა, რამდენიმე ხნის შემდეგ პარიზში დაბრუნდა და ეიფელის კოშკი კიდევ ერთხელ, იმავე სქემით გაყიდა. მეორედ აღარ გაუმართლა, რადგან მოტყუებულმა ბიზნესმენმა პოლიციას შეატყობინა. ლიუსტიგი იძულებული გახდა, სასწრაფოდ ამერიკაში გაქცეულიყო.

1935 წელს ის დააკავეს და სასამართლოს გადასცეს. 15 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს დოლარის გაყალბებისთვის და სხვა ციხიდან გამოქცევისთვის. ის 1947 წელს, პნევმონიით გარდაიცვალა.

2. ფრენკ აბეგნეილი

ფრენკ უილიამ აბეგნეილი-უმცროსი 1948 წლის 27 აპრილს დაიბადა. 17 წლის ასაკში ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ბანკის მძრცველი იყო. ეს ამბავი 1960-იან წლებში მოხდა. გაყალბებული საბანკო ჩეკების საშუალებით მან ბანკიდან 5 მილიონი დოლარი გაიტანა.

მოგვიანებით, მან წარმატებით ითამაშა პედიატრის როლი 11 თვის მანძილზე, ჯორჯიის საავადმყოფოში. ამის შემდეგ ჰარვარდის უნივერსიტეტის დიპლომი გააყალბა და ლუიზიანის შტატის გენერალური პროკურორის ოფისში დაიწყო მუშაობა.

5 წლის განმავლობაში აბეგნეილმა 8 პროფესია გამოიცვალა და პარალელურად, გამუდმებით აყალბებდა საბანკო ჩეკებს. მისი გამოისობით 26 ქვეყნის ბანკი დაზარალდა. ახალგაზრდა მამაკაცი თაღლითობით ნაშოვნ ფულს მდიდრულ რესტორნებში, ტანისამოსის მაღაზიებსა და ქალებში ხარჯავდა. ამ თაღლითის თავგადასავალი საფუძვლად დაედო ფილმს — „დამიჭირე, თუ შეგიძლია“, სადაც ლეგენდარული თაღლითის

როლი ლეონარდო დი კაპრიომ შეასრულა.

3. ქრისტოფერ როკანკურტი

2001 წელს კანადის პოლიციამ ფრანგი წარმოშობის თაღლითი, გრანდიოზული აფერების ავტორი, ქრისტოფერ როკანკურტი დააკავა, რომელიც 1967 წელსაა დაბადებული. ის ირწმუნებოდა, რომ ბილ კლინტონის მეგობარი და როკფელერების ოჯახის წევრი იყო.

როკანკურტი ცოლთან, Playboy-ს ყოფილ მოდელთან, მარია პია რაიესთან ერთად დაიჭირეს. ქალს ბრალი თაღლითობის მუხლით წაუყენეს. მას ბრალი დაედო ვანკუვერელი ბიზნესმენის მოტყუებაში, რომელიც პრესტიჟულ, სათხილამურო კურორტზე გაიცნო.

თაღლითი ღიად ახდენდა თავის რეკლმირებას მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით. სინამდვილეში, მისი დედა მეძავი იყო, მამა — ალკოჰოლიკი. 5 წლის ასაკში კრისტოფერი მშობლებმა მიუსაფარ ბავშვთა თავშესაფარში ჩააბარეს.

როდესაც ამერიკელებმა თაღლითის საქმეები გახსნეს, ის სასწრაფოდ კანადაში გადაიხვეწა. სხვადასხვა დროს ის თავს ცნობილ ავტომრბოლელად, მოკრივედ, წარმატებულ ფინანსისტად ასაღებდა და ხალხს ფულს სძალავდა. ერთი ხანობა თაღლითი მიკი რურკთან მეგობრობდა.

2002 წლის მარტში როკანკურტი ამერიკის შეერთებულ შტატებს გადასცეს. მან თავი დამნაშავედ 11 დანაშაულიდან მხოლოდ 3 შემთხვევაში სცნო და აღიარა, რომ ამერიკელი მოქალაქეების გაცურება და მათგან 40 მილიონი დოლარის წაგლეჯა შეძლო.

4. ფერდინანდ დემარა

ფერდინანდ უოლდო დემარა ცნობილი იყო დიადი თვითმარქვიას მეტსახელით. თავისი ცხოვრების მანძილზე მან კარგად გაართვა თავი სხვადასხვა პროფესიის ადამიანის როლის შესრულებას — მღვდელი, ქირურგი, ინჟინერი, ფსიქოლოგიის დოქტორი, ადვოკატი, ბავშვთა უფლებების დაცვის ექსპერტი, რედაქტორი, ციხის უფროსი... 1941 წელს ის ამერიკის ჯარში მსახურობდა, სადაც ახალი სახელითა და გვარით დარეგისტრირდა. ეს სახელი და გვარი მის მეგობარს ეკუთვნოდა. მას საშუალო სკოლაც





კი არ ჰქონდა დამთავრებული, მაგრამ ნებისმიერ საქმეს თავს უპრობლემოდ ართმევდა. უცნაურია, მაგრამ არც ერთ შემთხვევაში მას დიდი მატერიალური გამორჩენა არ უძებნია, თითქოს მხოლოდ სოციალური სტატუსი აინტერესებდა. ის 1982 წელს გარდაიცვალა და მისი ცხოვრების შესახებ წიგნიც დიწერა, რომლის მიხედვითაც შემდეგ ფილმიც გადაიღეს.

5. დევიდ ჰემპტონი

ის აფროამერიკული წარმოშობის გახლდათ და თავს შავკანიანი მსახიობისა და რეჟისორის, დევიდ პუატიეს შვილად ასაღებდა. თავდაპირველად ამას რესტორანში უფასო სადილისთვის იყენებდა და როდესაც მიხვდა, რომ ადამიანებზე გავლენის მოხდენა შეეძლო, ცნობილ მსახიობებს დაუკავშირდა და თავშესაფარი და ფული სთხოვა. ასეთთა რიცხვში მოხვდნენ მელანი გრიფიტი და კელვინ კლაინი.

1983 წელს ის თაღლითობისთვის დააკავეს და მატერიალური ზარალის ანაზღაურება 4.490 დოლარის ოდენობით დააკისრეს. ის 2003 წელს, შიდსით გარდაიცვალა.

6. „მილი ვანილი"

გასული საუკუნის 90-იან წლებში პოპულარული გერმანული დუეტის — „მილი ვანილის" გარშემო დიდი სკანდალი ატყდა. გაირკვა, რომ სტუდიურ ჩანაწერებში დუეტის მონაწილეთა კი არა, სხვა ადამიანების ხმები გახლდათ ჩაწერილი. ამის გამო დუეტმა 1990 წელს მიღებული „გრემის" ჯილდო დააბრუნა.

დუეტი 1980-იან წლებში შეიქმნა, რომლის ერთ-ერთი წევრი — რობ პილატუსი 32 წლის ასაკში, ნარკოტიკის ზედმეტი დოზით გარდაიცვალა. მისმა მეწყვილემ წარუმატებლად სცადა კარიერის გაგრძელება. დუეტმა თავისი არსებობის მანძილზე 14 მილიონი ფირფიტა და 8 მილიონი სინგლი გაყიდა.

7. ჯესი ჩედვიკი

მისი ნამდვილი სახელი და გვარი ელიზაბეტ ბიგლი გახლდათ. პირველად 22 წლის ასაკში, საბანკო ჩეკის გაყალბებისთვის დააკავეს, მაგრამ მალევე გამოუშვეს, რადგან შესანიშნავად მოირგო ფსიქიკურად დაავადებული ადამიანის როლი.

1882 წელს ელიზაბეტი გათხოვდა, მაგრამ ქმარმა 11 დღის შემდეგ, როცა მისი წარსულის შესახებ გაიგო, მიატოვა. შემდეგ ის დოქტორ ჩედვიკზე გათხოვდა.

1897 წელს მან თავის ყველაზე წარმატებული აფერა მოაწყო. მან თავი ცნობილი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეწარმის, ფოლადის ქარხნის მფლობელის, ენდრიუ კარნეგის უკანონო შვილად გაასაღა და ვითომ მამის მოცემული, 2 მილიონი დოლარის ღირებულების ვექსილი გაანაღდა. პოლიციამ მის ქმედებაში ეჭვი შეიტანა და თავად ბატონ კარნეგის ჰკითხა, იცნობდა თუ არა თაღლითს. მისი უარყოფითი პასუხის შემდეგ, მისის ჩედვიკი დააპატიმრეს. მას ბრალი 9 მსხვილ თაღლითობაში წაუყენეს და 10 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ის 2 წლის შემდეგ გარდაიცვალა.

8. მერი ბეიკერი

1817 წელს გლოსტერშირში ეგზოტიკურ ტანისამოსში გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი გამოჩნდა, რომელიც უცნაურ ენაზე ლაპარაკობდა. ადგილობრივი მცხოვრებნი უცხოელებს სთხოვდნენ, ამოეცნოთ, რომელ ენაზე მეტყველებდა ქალი, მაგრამ უშედეგოდ. ერთხელ კი პორტუგალიელმა მეზღვაურმა მისი ნაამბობის თარგმნა შეძლო. ქალი ინდოეთის ოკეანეში არსებული კუნძულის, კარაბუს პრინცესა იყო.

როგორც უცნობი ქალი ჰყვებოდა, ის პირატებმა მოიტაცეს, შემდეგ ხომალდი ჩაიძირა და მხოლოდ ის გადარჩა. შემდეგი 3-4 თვის განმავლობაში „პრინცესა“ საზოგადოების ყურადღების ცენტრში იყო. ის ხეებზე ძვრებოდა, უცნაურ სიმღერებს მღეროდა და ზღვაში შიშველი ბანაობდა. რამდენიმე ხნის შემდეგ კი ვინმე მისის ნილმა „კარაბუს პრინცესა“ იცნო და გამოააშკარავა. აღმოჩნდა, რომ თვითმარქვია პრინცესა ხარაზის შვილი იყო. თურმე, რამდენიმე წლის წინ მერი მისის ნილთან ძიძად მუშაობდა და ბავშვების გასართობად უცნაურ სიტყვებს იგონებდა. მერი იძულებული გახდა, სიმართლე ეთქვა. სიცოცხლის ბოლომდე ის საავადმყოფოსთან იჯდა და წურბლებს ყიდდა.

9. ვილჰელმ ფოიგტი

ის გერმანელი ხარაზი იყო და თავს პრუსიელ კაპიტნად ასღებდა. 1906 წლის ოქტომბერში, უმუშევარმა ვილჰელმმა პრუსიელი კაპიტნის ფორმა ბერლინის გარეუბანში იქირავა და რატუშის აღების ორგანიზება მოახდინა. მან გზაზე შემთხვევით შეხვედრილ ჯარისკაცებს ბურგომისტრისა და ხაზინადარის დაპატიმრება უბრძანა, რის შემდეგაც რატუშა ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე აიღო და ქალაქის ხაზინას 4 ათასი მარკის გადახდა დააკისრა. ჯარისკაცებიც და ბურგომისტრიც მის ბრძანებებს უსიტყვოდ ემორჩილებოდნენ.

ვილჰელმმა ფული გაიტაცა და ჯარისკაცებს ნახევარი საათის განმავლობაში ადგილზე დარჩენა უბრძანა. ის სადგურისკენ წავიდა და მატარებელში სამოქალაქო ტანსაცმელი ჩაიცვა. რამდენიმე ხნის შემდეგ თაღლითი დააკავეს და 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ის 1908 წელს, გერმანიის კაიზერის პირადი სურვილით, ვადაზე ადრე გაათავისუფლეს.

10. ჯორჯ ფსალმანაზარი

ის ირწმუნებოდა, რომ კუნძულ ფორმოზის პირველი მცხოვრები იყო, რომელმაც ევროპა მოინახულა. ის ჩრდილოეთ ევროპაში, 1700 წელს გამოჩნდა. მართალია, ევროპულ ტანისამოსში იყო გამოწყობილი და ნამდვილი ევროპელივით გამოიყურებოდა, მაგრამ ამბობდა, რომ ეს ტანისამოსი მოგზაურობის დროს შეიძინა. კუნძულზე კი წლების წინ, აბორიგენების მიერ მოტაცების შედეგად მოხვდა. ამის დასამტკიცებლად, ის დაწვრილებით ჰყვებოდა მათი ტრადიციებისა და კულტურის შესახებ.

წარმატებით გათამამებულმა ფსალმანაზარმა მოგვიანებით წიგნიც გამოსცა — „კუნძულ ფორმოზის ისტორიული და გეოგრაფიული აღწერილობა“. მისი თქმით, კუნძულზე მამაკაცები დედიშობილები დადიოდნენ, ხოლო ადგილობრივთა ყველაზე საყვარელი კერძი — გველისგან მომზადებული წვნიანი გახლდათ. ფორმოზანელებში მრავალცოლიანობა მიღებული იყო და ქმარს უფლება ჰქონდა, მოღალატე ცოლი შეეჭამა. აბორიგენები მკვლელებს თავდაყირა კიდებდნენ და ისე სჯიდნენ. ყოველწლიურად ღვთაებისთვის მსხვერპლად 18 ათას ახალგაზრდა მამაკაცს სწირავდნენ. ცხენებითა და აქლემებით გადაადგილდებოდნენ. წიგნში ასევე კუნძულის მცხოვრებთა ანბანიც იყო შეტანილი. წიგნმა დიდი მოწონება დაიმსახურა, თვითონ ფსალმანაზარმა კი უნივერსიტეტში ლექციების კითხვას მიჰყო ხელი. 1706 წელს მას ეს ყველაფერი მოსწყინდა და განაცხადა, რომ ყველა მოატყუა.

იმისათვის, რომ თქვენი მესიჯი „მობილი-ზაციაში“ მოხვდეს, მობილური ტელეფონის SMS-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა GZA გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი და აკრიბოთ სასურველი ტექსტი. შემდეგ მესიჯი გამოგზავნოთ ნომერზე: 8884. ჩემს მობილურზე მოსული მესიჯები ამ რუბრიკაში არ გამოქვეყნდება (გამონაკლისი მხოლოდ უცხოეთიდან გამოგზავნილი მესიჯებია) და კიდევ: ერთი მესიჯი მხოლოდ 160 სიმბოლოს იტევს. თუ ერცელი მესიჯის გამოგზავნა გსურთ, ის რამდენიმე მესიჯად უნდა გადმოგზავნოთ.

ქალები

1. ვარ 32 წლის ქალიშვილი. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ 35 წლამდე ასაკის, წესიერ, უცოლო და სიყვარულს მონატრებულ მამაკაცს.

2. მყავს 33 წლის და, სასიამოვნო გარეგნობის, სუფთა წარსულის მქონე. გამოეხმაურონ ოჯახის შექმნის მიზნით.

3. ვარ 36 წლის, მოწესრიგებული და სუფთა ქალიშვილი. გავიცნობ შესაფერისი ასაკისა და თვისებების მქონე მამაკაცს, უცოლოს. მსურველმა დამიმესიჯოს.

4. გთხოვთ, დამაკავშიროთ „გზის“ 36-ე ნომრის, მე-12 მესიჯის ავტორთან. გთხოვთ, შემეხმიანეთ. მახო.

5. მყავს 21 წლის, არაჩვეულებრივი მეგობარი, რომელიც ელოდება ბავშვს. ცხოვრებაში იმედი აქვს დაკარგული. ჰყავდა ქმარი, რომელმაც დატანჯა. გამოეხმაუროს ღირსეული მამაკაცი.

6. ვარ 44 წლის ქალი და მსურს ოჯახის შექმნა. მინდა, ქართველი ერის გამრავლებაში უფლის შეწევნით ჩემი წვლილი შევიტანო. დამიმესიჯოს სერიოზულმა, 48 წლამდე ასაკის მამაკაცმა.

7. მაინტერესებს „გზა“ №36, მე-19 მესიჯის ავტორის ტელეფონის ნომერი.

8. მინდა გავიცნო ისეთი ადამიანი, ვინც იცის ოჯახის ფასი და სურს ოჯახის შექმნა. გთხოვ, გამომეხმაურო. ვარ 24 წლის. თეა.

9. გამომეხმაუროს „გზა“ №36, მე-19 ნომრის პატრონი. ვარ 36 წლის.

ბიჭები

10. გავიცნობ ლამაზ და საყვარელ გოგოს, 25 წლამდე. მაქვს ბინა, სამსახური და მანქანა.

11. ვარ 24 წლის, 176 სმ სიმაღლის, შავგვრემანი ბიჭი, დასაქმებული. ოჯახის შექმნის მიზნით გავიცნობ პატიოსან და სულით ლამაზ გოგოს, 25 წლამდე. ვასო.

12. ვარ 38 წლის, სიმპათიური ვაჟკაცი. დაოჯახების მიზნით გავიცნობ კეთილ და სიმპათიურ ქალბატონს. შეიძლება იყოს ბავშვიანი.

13. ვარ 24/179/68, გავიცნობ გოგოს, ვისაც თბილი ოჯახის შექმნა სურს, პატიოსნად. თუნდაც, განათხოვარს. თუ ვინმე იქნება ასეთი, ჩემი ნომერი მიეცით. თბილისელი ვარ.

14. დაოჯახების მიზნით გავიცნობ ბინით უზრუნველყოფილ, თბილისელ მანდილოსანს, 30-35 წლამდე. ვარ 37/183/80, კარგი ხასიათის, სიმპათიური, ერუდირებული მამაკაცი.

15. ვარ 38 წლის მამაკაცი, კარგი გარეგნობის, უმაღლესი განათლებით, დასავლეთიდან. ვმუშაობ თბილისში. დაოჯახების მიზნით გავიცნობდი თბილისელ ქალბატონს, 38 წლამდე. გმადლობთ.

16. ვარ 37/165/60, ბინითა და სამსახურით უზრუნველყოფილი. ქორწინებაში არ ვყოფილვარ. გავიცნობ გოგონას, ვისაც სურს შექმნას თბილი, ქართული, მოსიყვარულე ოჯახი.

სხვადასხვა

• მოგესალმებით, მარადიული სიყვარულის უჭკნობო ყვავილებო. მის რეალ, დიდი მადლობა, რომ არავინ გავიწყდება. კარგი ადამიანი ხარ. ლორელაი, არ მინდა, დამწუხრებული იყო. მგზავრი.

• მიშა გვიმღერის ნანასა, ყველა ზღაპრების ჯინაზე, კაიფობს ოქრუაშვილი, სამხედრო სტრატეგიაზე, ნაღმით და ბომბით აგვავსო ქონდრისკაცუნა პუტინმა, ამერიკას და საფრანგეთს ..... დააპუტინა. რუსებს, ოსებს და აფხაზებს ღმერთი ჰყოლიათ გამწყრალი, სისხლით დაიცვა ქართველმა თავის სამ-

ძუნწი იხდის ორჯერ,
სიფლფლი — სამჯერ, დოყლაპია —
ცხოვრების ბოლომდე.

სასიამოვნო ტვირთი

შობლოს მთა-ბარი, საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის... ენიგმა.

• მიგვაკუშნერეს, დაგვასარკოზეს, სული დაფლითეს, ყოფა უტირეს, და ჩვენს მიწაზე უნდა ვეახლოთ მედვედევებს და ლილიპუტინებს. ევროკავშირი, სხვისთვის თმახშირი, ჩვენი ქვეყნისთვის გახდა მელოტი, რუსული დათვი ბურდღუნებს კართან, უკეთესობას ჩვენ არც ველოდით. ბევრ უკუნეთში გამოგვივლია, წინ კი გვიძღოდა სხივი ნათელი, გვყავდა დავითი, ვაჟა, ილია, ფარ-ხმალს არასდროს ჰყრიდა, ქართველი.

• დადუ, გოგა და სიკვდილა, ჩემგან გულთბილი სალამი./ ლიმონა ფავორიტია, ამას რად უნდა კამათი?/ ნიკოლი სად დამეკარგა, რათ აღარ სტუმრობს, ფართსაო./ მოკითხვაც აქვე, პავლიკას, ჩვენს გადარეულ ძმასაო./ მაესტროს სულის ტკივილმა კვლავ ამიმღვრია ნაღველი./ ერთად დამდგარო ქართველნო, აწ და მარადის — ნათელი!/ რაც გინდა ბევრი ვიგლოვოთ, გულში სევდას ვერ გავაქრობთ./ სჯობს, ჩვენ მივხედოთ მომავალს, გული სითბოთი ავავსოთ./ არ გვშვენის კვნესა-ტირილი, სიმართლე ლომთა ხვედრია./ ვერ დაგვაჩოქა რუსეთმა, დღეს საქართველო ჩვენია!/ ჯაჭვია ერთიანობის, გული ამაყად აძგერდა./ ბავშვები და მოხუცები, დღეს ყველა ერთად ამღერდა!/ „ჩემი ხატია სამშობლო, სახატე — მთელი ქვეყანა"./ ამ დღის ძალა და ერთობა, ჩვენს ხმას მიაწვდენს, ღმერთთანა!/ მიყვარხართ, ყველა მიყვარხართ, დღეს თითოეული ქართველი./ ხელს ვეღარ ახლებს სამშობლოს, რუსთა ძალები, შავბნელი./ ვალია, რომ დავაფასოთ, ქართველ ვაჟკაცთა მსხვერპლია./ წვეთი, დაღვრილი, ის სისხლი, დღეს მთელ რუსეთზე მეტია!/ გპირდებით, გავუფრთხილდებით, ამ ოფლით დაცულ სამშობლოს./ წმინდა გიორგის სიწმინდემ დღეს საქართველო დალოცოს! მის რეალი.

• ვერ გააქრობს რუსეთი, ქართულ ჯიშს და გენიას, მტერთან არდაჩოქება წინაპრისგან გვრგებია, ჩაჭიდული ხელებით, ცოცხალ ჯაჭვის გზავნილით, გვინდა ვუთხრათ მსოფლოს — საქართველო ჩვენია! ენიგმა.

• ზაზა, შენი გაცნობის მერე მივხვდი, რომ სიყვარული მართლა არსებობს, მაგრამ მეშინია ამ გრძნობის, მეშინია, რომ ეს ყველაფერი ცუდად დამთავრდება. შენი ლამაზი ოცნება, ელე. მენატრები.

• საქართველოში განვითარებულ მოვლენებს ტელევიზიით ვადევნებდი თვალს, ყოველწუთს გული გამალებით მიცემდა. ახლა „გზას" ვკითხულობ და ლამის ცრემლებმა დამახრჩოს. გამაგრდით. 13.07.

• გაუმარჯოს ყველა კარგ ადამიანს, მგზავნელებსა და მკითხველებს. როგორ ხართ, ხალხნო? ცოტა ხნის პაუზის შემდეგ ისევ თქვენთან ვარ. ყველა მომენატრეთ. გკოცნით და გეფერებით შორიდან. ათენი-23.

• სესი, ჩემო კარგო, სად ხარ, რად დაიკარგე, გო? :-) გამოჩნდი, რა! ათენი23.

• გამარჯობა, მე ჯარისკაცის ცოლი ვარ, ჩემი მეუღლე ცხინვალში, ვაჟკაცურად იბრძოდა. მადლობა ღმერთს, რომ ცოცხალი დამიბრუნა. ქართველებო, საამაყო ჯარისკაცები გვყავს, ძალიან მძიმე დღეები გადავიტანეთ და მაინც მაგრად ვდგავართ და ასეც უნდა იყოს. ჩემს მეუღლეს ვუთხარი, — იარაღი დაყარე და წამოდიმეთქი და იცით, რა მითხრა? — სად წამოვიდე, სამშობლოს შიგ გულში ესვრიან და მე სახლში დავჯდეო? ღმერთს შევთხოვ, დაიფაროს ეს ჩვენი პატარა საქართველო. საქართველო ჩვენია! ეკა19, ქუთაისი".

• შოკირებული ვარ! ქართველებო, თქვენ გენაცვალეთ! უსაზღვროდ მიყვარხართ, გმირებო! რუსული სიმღერები და კლიპები წავშალე კომპიუტერიდან. შემზიზღდნენ რუსები. მაგათი დანახვაც არ მინდა. სამწუხაროდ, იარაღი არ მქონდა, თორემ მეც ჩემი ძმებივით ვიბრძოლებდი. ვნანობ, რომ რეზერვისტად არ წავედი. მიყვარხართ და თქვენი გულისთვის სიცოცხლეს დავთმობ. ამ ომმა ბევრი რამ დამანახვა. ბათუმელი.

ამ ადგილი ისე ამ ამშვენებს ჩვენს, როგორც ცხრილად შერჩეული მაძაყალი.

• არ შემიძლია, ჩემი გულისტკივილი არ გითხრათ. ომი რომ დაიწყო, მეგონა, სიცოცხლე დამთავრდა. არც მეგონა, ჟურნალები თუ დაიბეჭდებოდა. საქართველოდან გამოვაგზავნინე ჟურნალი „გზა“ და ახლა წავიკითხე 5-ვე ნომერი ერთად. საშინლად ვგრძნობ თავს. მინდოდა, მებღავლა სიმწრით, მაგრამ უცხო ქვეყანაში, უცხო ოჯახში ტირილის უფლებაც არ მაქვს. არადა, როგორი შვება იქნებოდა... მინდა, დაღუპულთა ოჯახებს მივუსამძიმრო, მათი ტკივილი მეც მტკივა. ნათელში ამყოფე მათი სულები, უფალო. ფიქრია.

• კამელია და გრუზინკა, ძალიან მიყვარხართ. უთქვენოდ რა მეშველებოდა, ნეტავ? ჩემი მოკაშკაშე ვარსკვლავები ხართ. მარიამულო, გაღმერთებთ შენ, კამის და გრუზინკას. ლუნა.

• ეთოს ისე ვუყვარვარ, ალბათ დაესიზმრა, რომ ვშიმშილობ ან ვინმემ მოატყუა. მეც მიყვარხარ, ეთო. მოკითხვა დათოს, დიდი სიხარულით, ანასგან. ლუნა.

• ვარ ბიჭი და მჭირდება სიყვარულის ახსნა. მპუა.

• კახიძე გიორგი, მენატრები. ნატალი.

• მარ, იცი, მეც მარი ვარ. ძაან მიყვარს შენი მგზავნელები. კიდევ, ლელუჩია და ნინუცი მიყვარს, უზომოდ. გოგონებო, მომენატრეთ... მაგრები ხართ, ძაან. კახელი მარი.

• გამარჯობა. როგორ ხართ? არ გინდათ, ქვეყანა რომ დაწყნარდება, გურული მგზავნელები შევხვდეთ... გრუზინკასა და ლუნას ვაკოცეო! ყველანი მიყვარხართ. crazy girl.

• გესალმებით ყველას. აქამდე ვერ მოგწერეთ, დათრგუნვილი ვიყავი იმ საშინელებით, რაც საქართველოში ხდებოდა. არ ვიცი, როგორ გამომეხატა ის ტკივილი და დარდი, რასაც ვგრძნობდი. საშინელებაა იმის ყურება, როცა ხედავ, როგორ გიწვავენ მიწა-წყალს, როგორ გიკლავენ რჩეულ ვაჟკაცებს, როგორ გიწიოკებენ შენს საყვარელ სამშობლოს.

• მშვიდობა თქვენდა, მარიამულო, როგორ ხარ? აბა, თქვენ როგორ ხართ, ჩემო ტკბილო და მურაბა ხალხო? აღარ იჩხუბოთ, რაა... ზესტაფონის ლამაზმანი.

• ბოხო, ამა წლის „გზის“ №25 ნახე, განცხადებებში ვწერივარ. თუ ვერ იშოვი, სხვა რამეს მოვიფიქრებ. შიდსიანად გავასაღე თავი და მაინც მომწერეს. მერე რა? გრუზინკა.

• ძალიან მატკინე გული, არ მეგონა, ასე თუ მომექცეოდი. მე ხომ შენთვის სიყვარული არ მითხოვია, რატომ მატყუებდი? მე ხომ მიყვარდი, ჩუმად გნატრობდი, ყველას ხელი ვკარი, რადგან შენ ასე გინდოდა. თურმე ყველაფერს ჩემი ბავშვური თვალით ვუყურებდი. მატყუებდი, ჩემს გრძნობებზე თამაშობდი. რატომღა არ მანებებ თავს? შემეშვი!

• აგნეს, რატომ არ რეკავ? გიჟს ვგავარ, გამაგებინე რამე. დამივიწყე? მენატრები, ხომ იცი? შენი სონა.

• აგნესა, შავო რამაზა, ვიტალი ჩოჩიევო, ჯაგარ ჯაგარიჩ, მუშთა, რობერტა, ნოდო სამნიაშვილო, ბერიძე, თემო, ხამსა, რიჟა, მენატრებით. თამო.

• კამელია, ჩემო კეთილო ფერიავ, ძალიან მიყვარხარ. გრუზინკა დეიდა, რომ იცოდე, როგორ მენატრები. განძის მაძიებელო, კახ, ძალიან მენატრები, ძამიკო. გკოცნით, თქვენი ლუნა. მოკითხვა ლორელაის, უნდობს, ოლეგარიოს, უზნეო ანგელოზს, დიდი სიყვარულით. უზომოდ მიყვარხართ.

• როგორ ხართ? გამიხარდა, გრუზინკა რომ დარჩა. ყველა მომენატრეთ, ამ ორი კვირის მანძილზე. გაკოცეთ ბელი. უსაყვარლესები ხართ, ბავშვებო. გვფარავდეს ღვთისმშობელი. ცირა.

• მოგესალმებით, მარადიული სიყვარულის უჭკნობო ყვავილებო. მის რეალ, დიდი მალობა, რომ არავინ გავიწყდება. კარგი ადამიანი ხარ. ლორელაი, არ მინდა, დამწუხრებული იყო. მგზავრი.

• სიკვდილავ და ქალოდადუ, მგზავნელებო მარისა, მიიღეთ ბეეეეევრი დალოცვა პატარა ლიმონის ქალისა. ლიმონა-მანიუს მუდამ ემახსოვრებით და ეყვარებით ყველანი!!!

• გრუზინკა! აფერუმ, შენს ქალობას! მეც მაქვს ნაკლი ფიზიკური, რომლის გამოც ბევრი დამცირება ამიტანია, მაგრამ ჩემი მეობა არასდროს დამიკარგავს. მადლობა უფალს! სალუკა.

• ჩემი ცხოვრება — ჯიუტი ბიჭის საყურადღებოდ: სიხარულო, მე უკვე გიპოვე ჩემი ოცნების გმირი. იცოდე, არ მაწყენინო, თორემ ოცნების გმირის შეცვლაზეც ვიფიქრებ. გკოცნი. ლუნა.

• lovely girl, scorpion girl, კუკლანი, ენიგმა, ალალო, ტირიფი73, მაგდალინა, დადუ, სიკვდილა, გამეცანით, გოჭებო. მაგადი საკალლები ხართ. სესი, ჩემი ნომერი ითრიე. ashley pcd.

• იქნებ ისე გავიაროთ სიცოცხლე, შეხვედრით ვერასოდეს შევხვდეთ. იქნებ შენზე ვარდისფერი ოცნება უკურნებელ ტკივილებად შემრჩეს. ან თუ ბედის სულ სხვა ვარსკვლავედი მაქვს და სხვა ვინმეს გავუწოდებ ხელებს, მერწმუნე, რომ ფრესკად მაინც შერჩები, ჩემი გულის ეკლესიის კედლებს... ეძღვნება ჭრიჭინას. ტირიფი73.

• მოკლედ ვიტყვი, აღარ მინდა, სიტყვა ძაან გამიგრძელდეს, ვინმე სადმე თუ იპოვის ჩემს ძმასა და დამრიგებელს, დამეხმაროს, მაპოვნინოს, ვეძებ განძის მაძიებელს.

• პრივეტ, როგორ ხართ? მე ახალი ვარ. დიდი ხანია, „გზას“ ვკითხულობ და ბოლოს მოწერაც გადავწყვიტე. ჩემი ნიკია ბუტია91.

• მთვრალი მივედი სახლში. — ოლე, მოდი, ყავა დალიე და გამოფხიზლდებიო, — მითხრა ცოლმა. — რას ამბობ, ნასესხები ფულით დავთვერი და გამოფხიზლება მინდა ახლა მე-მეთქი?! ოლეგარიო.

• — „რას ჰგავხარ, გოგო, რავა სულელივით ჩაგიცვამს?“ — გაუწყრა მეუღლე პატარა მაიკოს. — „დედიკოს ვგავარ, დედიკოს ვგავარ!“ — უპასუხა ბავშვმა. ოლეგარიო.

• გოუმარჯოს ყველას! მის რეალ და ლიმონჩიკა, გაიხარეთ! მოვიკითხავ აბეზარას,

ქალწულებელი — ქალი,
ამოქმედსაც ოდესღაც ეგონა,
ამიტ ბავშვები ყოყვარდა.

დუჩის, ნიკოლს, 13.07-ს, კოხი-20-ს და ყველას, ვისაც ვახსოვარ. მიყვარხართ! ნონ სტოპ.

• სულაც არ მანაღვლებს, ვინ რას დაწერს. უბრალოდ, მინდა, მის რეალს ვუთხრა, რომ აქ დებილი არავინაა, მისი თელავში მომხდარი ამბები მე უკვე დიდი ხანია, ანეკდოტად ვიცი.

• დიდი სიყვარულით მოვიკითხავ ანას (ლუნა). აქეთ როდის ჩამოხვალ? იცოდე, თავი არ მოგვანატრო. ძალიან გვენატრები ყველას. აბა ჰე, გკოცნი. დათო.

• სიკვდილა, მეტსახელით ვერ გიცანი, მაგრამ რადგან მგზავნელი ხარ, ე.ი. ჩემი დაიკო ან ძამიკო ყოფილხარ. :) სად ვარ და, აქვე, „გზაში". აბა, კარგად გადაათვალიერე ჟურნალი! :) მამაცი თოჯინა.

• მარი, ჩემს დიდ სიყვარულს, ჩემს ქოჩორა ვანილოს უთხარი, რომ ის ჩემი ცხოვრების ყველაზე ლამაზი ფურცელია, რომელსაც არასოდეს გადავშლი. ხევსური.

• მე შენზე ოცნება რომ არ შემეძლოს, ალბათ სიმარტოვე ჭკუიდან შემშლიდა. დათ, მიყვარხარ და ტკივილამდე მენატრები. ჩემი ბედნიერება ხარ. (ბაჭია) კახელი მარი.

• კობა, უსაშველოდ მიყვარხარ. შენი მონატრება ისე მტკივა, მეტი აღარ შემიძლია. მჯერა, ღმერთი არ მიგვატოვებს და მალე სულ ერთად ვიქნებით. გკოცნი ბევრს. ვიცი, შენ დაბრუნდები, ტკივილებს წაშლი, მაგრამ არ ვიცი, როდის, რამდენი სიხარული სცოდნია მოსვლას, რამდენი ტკივილი — ლოდინს. მიყვარხარ. შენს ზარს ველოდები. ციო.



• მარი, არ ვიცოდი, თუ 8 სექტემბერი ჟურნალისტთა დღე იყო. პირველ რიგში, შენ გილოცავ, სულ წინსვლა, ბედნიერება გქონოდეს, მგზავნელი და გზავნილები ნუ მოგშლოდეს, ნურასოდეს. შენი თამადობით ყველა ჟურნალისტს გაუმარჯოს. სუხუმსკი.

• ჩემს მონატრებულ სიყვარულს, გიგა ჟორჟოლიანს ვულოცავ დაბადების დღეს. გიგუ უზომოდ მიყვარს და მენატრება. შენი სიყვარულით ვცოცხლობ. გკოცნი და გეფერები. ფიქრია.

• ათენში მყოფ თამუნა ფორჩხიძეს დაბადების დღეს ვულოცავ. ყველაზე კარგ და ლამაზ სიყვარულს ვუსურვებ. თამუ, მიყვარხარ.

• 5 სექტემბერს ლაშა თედორაძეს ვულოცავ იუბილეს და ჯანმრთელობას და ზღვა სიყვარულს ვუსურვებ. აბლახანუმსაც მივულოცავ იუბილეს. იცი, ჩვენებური ნიკი გაქვს. გრუზინკა.

• ჩემს დედიკოს, ლალი გოგოლაურს ვულოცავ 56 წლის იუბილეს. დე, პირველ რიგში ჯანმრთელობას გისურვებ. მიყვარხარ და ღმერთმა დიდხანს გაცოცხლოს. შენი შვილი.

• სალი, ჩემო სიხარულო, დაგვიანებით გილოცავ დაბადების დღეს, დაესწარი მრავალს, ბედნიერებასა და ჯანმრთელობას გისურვებ. ღმერთი იყოს შენი მფარველი. გკოცნი. ლუკა.

• 13 სექტებერს მგზავრს დაბადების დღე აქვს. დიდი სიყვარულით გილოცავ, გისურვებ ჯანმრთელობას და მალე დაოჯახებას, ღვთის წყალობას და დიდ სიყვარულს. ხიპო.

ნუ დაიცინეთ სიცილით,
მოხლისთავებს გადაიცყავებ.

ყურადღება!

„მობილიზაციაში" ნომრის გაგების შესაძლებლობა დღისა და ღამის ნებისმიერ დროს გაქვთ. საამისოდ, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში უნდა აკრიბოთ სიტყვა **guli** გამოტოვოთ ერთი სიმბოლოს ადგილი, შემდეგ აკრიბოთ „გზის" ნომერი, ტირე, მესიჯის ნომერი და გაგზავნოთ ნომერზე 8884. თქვენს ტელეფონზე ავტომატურად მიიღებთ სასურველ ტელეფონის ნომერს. მაგალითად, თუ გსურთ, „გზა" №18-დან გაიგოთ მე-10 მესიჯის ავტორის ნომერი, მობილური ტელეფონის sms-ფუნქციაში აკრიბეთ: **guli 18-10** და გაგზავნეთ 8884-ზე. 1 მესიჯით შეგიძლიათ მხოლოდ 1 ნომრის გაგება. ჟურნალში არც ერთი ტელეფონის ნომერი აღარ გამოქვეყნდება. 1 მესიჯის ფასია: 50 თეთრი.



დასაწყისი იხ. გვ. 16

თუ ადამიანმა ცუდი საქციელი ჩაიდინა (ყოველ შემთხვევაში — თქვენი აზრით), შესაძლოა, ეს მისი უცოდინარობის ან სისულელის ბრალი იყოს. ამიტომ, ყველაფერს მოთმინებით უნდა შეხვდეთ, გაგებით მოეკიდოთ და თუ საშუალება გაქვთ, დაეხმაროთ და მისი ქმედება, საჭირო კალაპოტში მოაქციოთ. ასევე უნდა მიუდგეთ საკუთარ თავს. თუ ვინმეს თქვენი საქციელი არ მოსწონს, იქნებ ნერვიულობა არც კი ღირდეს. უბრალოდ, უნდა აღიაროთ, რომ უცხო თვალით დანახული თქვენი ქმედება არასწორი და უადგილოა. ცხვირს ნუ ჩამოუშვებთ, ჯობს, მათ რჩევებს მოუსმინოთ და თუ ჭკვიანურ აზრს მოისმენთ, გაითვალისწინოთ. კონფლიქტის 2 მხარიდან ერთ-ერთი ან ორივე ტყუის, მაგრამ პოზიციის შეცვლა არც ერთს არ სურს ხოლმე და მიიჩნევენ, რომ შეთანხმების მიღწევა შეუძლებელია. ასეთი მიდგომა კარგს არაფერს მოგიტანთ. მტრობა და ერთურთის დადანაშაულება ორივე მხარეს წაგებამდე მიიყვანს.

4. საშინელებაა, როცა რაღაც ისე არ გამოდის, როგორც გსურს.

ასეთი ინფანტილური წარმოდგენა გონივრულობას მოკლებულია, მაგრამ ადამიანები ხშირად სწორედ ასე ვფიქრობთ, რადგან ილუზიას ვიქმნით, რომ სამყაროში ყველაფერი ისე უნდა იყოს, როგორც გვსურს. შეუძლებელია, ისე მოხდეს, რომ ყველაფერი თითოეულის სიამოვნებისთვის იყოს მოწყობილი. ამიტომ, უნდა შევეგუოთ იმ ფაქტს, რომ სამყაროს ის ნაწილი, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, ჩვენს სურვილებს ვერასოდეს მოერგება. როდესაც უსიამოვნებას ვაწყდებით, ეს ცხოვრებისგან გამოწვევად უნდა მივიღოთ. საკუთარ თავს უნდა ვუთხრათ: „დიახ, ეს ცუდია!" ან „ეს მე არ მომწონს!" შემდეგ კი ვეცადოთ, კონსტრუქციულად შევცვალოთ შექმნილი მდგომარეობა. ბავშვს ხშირად ვეუბნებით ხოლმე, რომ შეუძლებელია, ყველაფერი ჰქონდეს, რაც სურს, მაგრამ ჩვენ, ზრდასრული ადამიანები იმავე შეცდომას ვუშვებთ. ამას კი ზედმეტი წყენა და იმედგაცრუება მოჰყვება.

5. ადამიანი ბრაზდება იმ მოვლენების გამო, რომელზე ზემოქმედებაც არ შეუძლია.

უმეტეს შემთხვევაში, ადამიანები ცხოვრებისეული სიძნელეების გამო კი არა, იმის გამო განაწყენდებიან ხოლმე, როცა ამ მოვლენების შეცვლა არ შეუძლიათ. გარე სამყაროზე გავლენის მოხდენა მხოლოდ უმნიშვნელოდაა შესაძლებელი, მაგრამ საამისო საშუალებებზე დაფიქრება კი გვმართებს.

მაგალითად, თუ საფულეს დაკარგავთ, შესაძლოა, განაწყენდეთ, განერვიულდეთ და დეპრესიაშიც კი ჩავარდეთ, მიუხედავად იმისა, რომ დანაკარგი დიდი არ იყო და არც თქვენს სიცოცხლეს დამუქრებია საფრთხე. ნერვიულობით მხოლოდ საკუთარ თავს ვნებთ. უმჯობესია, თუ გააანალიზებთ მიზეზს, რომლის გამოც საფულე დაკარგეთ. ეს დაგეხმარებათ, რომ სხვა დროს მსგავსი შეცდომა არ მოგივიდეთ.



ყარგია შოცა
ზედნიერებისგან
მეშვიდე თვეში ხარ.

რამდენიმე ფაქტი ტკივილის შესახებ



მეცნიერებს ვერ აუხსნიათ, რა არის ტკივილი. როდესაც რაიმე გტკივათ, ვერც თქვენ მიხვდებით ზუსტად, რას განიცდით ამ დროს. მეცნიერებს ამ მექანიზმის უფრო ზუსტი ახსნა-განმარტების მოცემა რომ შეეძლოთ, მის წინააღმდეგ საბრძოლველად გაცილებით ეფექტურ საშუალებებს გამოიგონებდნენ. ტკივილის მეცნიერული განმარტება ასეთია: „ერთგვარი უსიამოვნო შეგრძნება და რეაქცია ამ შეგრძნებაზე". ზოგჯერ ტკივილს ხილული დაზიანება იწვევს, ზოგჯერ კი ის ნერვებთანაა დაკავშირებული. მეორე შემთხვევაში, მისი ლოკალიზება არც ისე იოლია. ტკივილის მექანიზმი რთული ასახსნელია და მისი ზუსტი განსაზღვრება – შეუძლებელი. ეს იმაზე მეტია, ვიდრე ნერვის მიერ სიგნალის გადაცემა. ტკივილი ემოციებისა და შეგრძნებების მთელ კომპლექსს შეიცავს.

ცნობილია, რომ ქრონიკული ტკივილი ტვინის მოცულობას ამცირებს. თუ ქრონიკულ ტკივილს განიცდი, ალბათ იცი, როგორი მძიმეა მისი ფიზიკური და მენტალური გავლენა. მას შეუძლია, შენი ქმედებები შეზღუდოს და გარშემო მყოფთათვის გაუგებარი მიზეზების გამო, გაღიზიანება გამოიწვიოს. ეს ეფექტის მხოლოდ ნაწილია. ადამიანებს, რომელთაც ზურგის ქრონიკული ტკივილი აქვთ, ტვინის მოცულობა 11%-ით უმცირდებათ. ეს ფაქტი მეცნიერებმა 2004 წელს, ხანგრძლივი გამოკვლევების შედეგად გაახმაურეს. ფაქტი დადგინდა, მაგრამ მისი გამომწვევი მიზეზი — ვერა. შესაძლოა, ეს ტკივილის მიერ გამოწვეული მუდმივი სტრესის გამო ხდება.

მეორე ფაქტი, რომელიც მეცნიერებმა არცთუ დიდი ხნის წინ დაადგინეს, ის გახლავთ, რომ შაკიკი სექსთან უშუალო კავშირშია. 2006 წელს მეცნიერებმა დაამტკიცეს, რომ შაკიკით დაავადებულ ადამიანებს სექსის მოთხოვნილება გაცილებით მძაფრად აქვთ გამოხატული, ვიდრე ჯანმრთელ ადამიანებს. მეცნიერები ვარაუდობენ, რომ სექსუალურ მოთხოვნილებასა და შაკიკს ერთი და იგივე ნივთიერება იწვევს. ამ აღმოჩენამ შესაძლოა, მკურნალობის შედეგის გაუმჯობესება გამოიწვიოს და შაკიკისგან განკურნება ეფექტურად და უფრო მოკლე დროში, შესაძლებელი გახადოს.

ნებისმიერი მამაკაცი, რომელსაც შესაძლებლობა ექნება, დაესწროს მშობიარობის პროცესს, დაიფიცებს, რომ ქალს ყველაფრის გაძლება შეუძლია. სიმართლე კი ის გახლავთ, რომ ქალს ისეთი ტკივილის გაძლება შეუძლია, როგორზეც მამაკაცს წარმოდგენაც არა აქვს. ქალის ორგანიზმში გაცილებით მეტი ნერვული რეცეპტორია. სხეულის 1 სმ/კვ-ზე 34 ნერვული ბოჭკო მოდის. მამაკაცის ორგანიზმში კი ის მხოლოდ 17-ს აღწევს. მეცნიერული გამოკვლევებით დადგენილია, რომ სიცოცხლის მანძილზე ქალი გაცილებით მეტ ტკივილს უძლებს, ვიდრე მამაკაცი.

მეცნიერებმა მიიჩნიეს, რომ ცხოველებზე დაკვირვებით ტკივილზე უფრო მეტ ინფორმაციას მოიპოვებდნენ და ბოლოს და ბოლოს, მიხვდებოდნენ, როგორ უნდა ებრძოლათ მის წინააღმდეგ. პირველად, ჭიაყელაზე დაიწყეს გამოკვლევების ჩატარება და აღმოჩნდა, რომ ამ გლუვ, ბრმა და მიწისქვეშა არსებას არანაირი ტკივილის განცდა არ გააჩნია. ის ვერ გრძნობს მჟავასა და ცხარე ნივთიერებების მოქმედებას. თუ მეცნიერები ამის მიზეზს მიხვდებიან, მაშინ მათ ტკივილის საწინააღმდეგო პრეპარატის გამოგონებაც გაუიოლდებათ. ზღვის დიდი კიბო ომარიც არავითარ ტკივილს არ გრძნობს — მაშინაც კი, როცა მას მდუღარეში ცოცხლად ხარშავენ. ალბათ მოვა დრო, როცა ყველა საიდუმლოს ფარდა აეხდება და ტკივილი საბოლოოდ დამარცხდება.

ქაცარა თევზი
დიდ ცარიელნს ჯობია.

„ხალხს გიჟი ვეგონე – სოხუმიდან ოქრო და ბრილიანტი მოჰქონდათ, მე კი გალიით ხელში მოვდიოდი"



ამას წინათ ჩემს მეგობარ მწერალ გურამ ოდიშარიასთან მისი თანაჯგუფელი გავიცანი – ისტორიკოსი და მწერალი, სოხუმელი მალხაზ სიხარულიძე. თურმე, მას შინ ჩიტების უნიკალური კოლექცია ჰქონია. სოხუმი რომ დაეცა, იმ დღეს დაუტოვებია ქალაქი და ერთი გალიით და ჩიტებით წამოსულა... ბატონი მალხაზის კოლექციამ ძალიან დამაინტერესა და ფრინველებზე სასაუბროდ შინ ვეწვიე.

ირმა ხარშილაძე

— თბილისში 528 ფრინველი მყავდა, მსოფლიოში არსებული ყველა ჯიშის ჩიტი, კოლიბრის გარდა. 20 ცალიღა დამრჩა. დიდი კოლექცია რომ მქონდეს, თვეში 300 ლარი მაინც მჭირდება ფრინველების გამოსაკვებად, მე კი ჩვენი მთავრობის უნიათობიდან გამომდინარე, სამსახურიც არ მაქვს, შესაბამისად, ბევრის შენახვას ვერ მოვახერხებ.

— ბატონი გურამისგან ვიცი, რომ სოხუმიდან ნივთები არ წამოგიღიათ, მხოლოდ რამდენიმე ჩიტი წამოიყვანეთ... იქაურ კოლექციაზე მოგვიყევით.

— ჯერ იმას გეტყვით, რომ გურამ ოდიშარია მთელ სოხუმსა და აფხაზეთში უნიკალური, უკეთილშობილესი ადამიანია, სრულიად საქართველოს კოლორიტია. მინდა, ეს ყველამ იცოდეს. ჩემს სოხუმურ კოლექციას რაც შეეხება, იქ სხვა საშუალებები და მიწის ნაკვეთი მქონდა, აქედან გამომდინარე, მყავდა ოთხი ფარშავანგი, ერთი წყვილი შავი და ორი წყვილი თეთრი გედი — საოცრად დიდები და ლამაზები იყვნენ. ერთის მოკვლისთვის ინგლისში 10 წელიწადს მოგისჯიან. მონადირესა და მეთევზეს ჰგონიათ, ბუნებასთან ახლოს არიან, არადა, ბუნებაში მოსაკლავად და გასაჩანაგებლად მიდიან. ღიპიანი ქართველისთვის, მაგალითად, ყველაზე მაგარი „მდიდარი" ჩიტი ინდაურია — საახალწლოდ 100 ლარი ღირს და კარგია ბაჟესა და საცივშიც. ეს გახლავთ ქართული მენტალიტეტი. ქართველს ვერ წარმოუდგენია, რომ არსებობს ფრინველი, რომელიც მილიონი ღირს. შეგნებულად არ დაგისახელებთ, რადგან ამ ფრინველის სამი-ოთხი ბუდე მეგულება საქართველოში და ვერავის გავანადგურებინებ. მახსოვს, ჩემს ერთ ფრინველში 3.000-ს მაძლევდნენ, ოღონდ — „პოსლეზე", არაბთა გაერთიანებულ საამიროებში რომ გაყიდნენ, მერე.

— არ მიჰყიდეთ?

— ღმერთმა დამიფაროს! ფრინველები ჩემი მეგობრები არიან, მეგობრებს კი არ ყიდიან!

— მოდი, კვლავ სოხუმის კოლექციას დავუბრუნდეთ.

— სოხუმში დუპლექსის ტიპის ბინა მქონდა, წინ დიდი ეზოთი. ეზოში მქონდა მინიზოოპარკი, სადაც თარჯიმნებს ყოველდღიურად დასათვალიერებლად მოჰყავდათ გემებით ჩამოსული ამერიკელები, ფრანგები, ზანგები და ასე შემდეგ.

— კოლექციას მარტო უვლიდით?

— დიახ, რადგან სხვას ვერავის ვანდობდი. ათი ცოლი რომ გყავდეს, ერთსაც ვერ ანდობ, რადგან მოგიკლავს თუნდაც იმიტომ, რომ — მას მეტ ყურადღებას აქცევ, ვიდრე მეო (*იცინის*). ფრინველს თავისებური მიდგომა სჭირდება. სამწუხაროდ, მათ შესახებ ჩვენში ბევრი რამ ბიოლოგებმაც კი არ იციან. როგორ შეიძლება, ბიოლოგიის ფაკულტეტი დაამთავრო და ყვავი და ყორანი არ იცოდე?! სამწუხაროდ, წლებია, ჩვენთან ბიოლოგიის ფაკულტეტზე ორნიტოლოგიის განყოფილება აღარ არსებობს, არადა, სწორედ ორნიტოლოგიაა ზოოლოგიის ის დარგი, რომელიც შეისწავლის ფრინველებს, მათ ეკოლოგიას, სისტემატიკას, ქცევას, ხმებს, მიგრაციებს და ა.შ. ეს ნონსენსია. არაფერი მინდა, ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე წავიკითხავდი ლექციებს ორნიტოლოგიაში, რადგან აუცილებლად მიმაჩნია! მაგრამ რას ამბობთ?! ჩვენთვის თურმე უნარ-ჩვევებია მთავარი!.. გაუკუღმართებულ ადამიანებს ისიც სურთ, მამაკაცი ცისფერი იყოს და ქალი — ლესბოსელი, აღლუმსაც აწყობდნენ შარშან, თავიანთი ჭკუით, მაგრამ... ჯერ ჩვენ ცოცხლები ვართ!..

— ბატონო მალხაზ, კოლექციაში თავიდან რომელი ფრინველები გყავდათ?

— პატარა ბიჭი ვიყავი, როდესაც მამაჩემმა, ბატონმა ლუკამ 40 ჩიტი მომიყვანა. სხვათა შორის, ამ ჩიტებთან ურთიერთობამ ბევრი კარგი რამ მასწავლა — არც პლანი

როცა მოვკვდები, სასახლეში ჩიგი უნდა ჩამაყოლონ... ეს ანდერძი აუცილებლად უნდა შემისრულონ, რადგან ჩიტების გარეშე ვერ გავძლებ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოვწიე, არც მორფი გავიკეთე, 50 წლისა ვარ და სიგარეტიც კი არ მომიწევია. პირველად 25 წლისამ დავლიე... მოკლედ, მაშინ, ბავშვობაში, ბატონმა ლუკამ მომიყვანა 10 მტრედი და პატარ-პატარა ჩიტები. იქიდან მოყოლებული, საოცარ აღმოჩენებს ვაკეთებ — ჩიტები ადამიანზე სუფთები არიან. ყველა თვისება, რომელიც გვაქვს — ღალატი, შური, გაუტანლობა — მათაც ახასიათებთ. ფრინველებს არ ვამრავლებ ხოლმე, მაგრამ ამას წინათ, ერთი დედალი ისე იყო „ატეხილი", მამაკაცურად შემეცოდა და მასთან მამრი მივუშვი, იბარტყეს, მაგრამ დედამ შვილს არ მოუარა და ბარტყი მოკლა. მე ესეც დღევანდელობას დავუკავშირე: რამდენი ქალი აჩენს დღეს და მერე კლავს!.. ავდექი და ჩემი ჩიტი დავსაჯე — აწი „მამაკაცს" ვეღარ მიიღებს (*იცინის*).

— ისე, როგორი ტიპები არიან? დამახასიათეთ...

— კაი ტიპები — არაკორუმპირებულები, ნარკოტიკებისგან შორს არიან. თუმცა, ამავე დროს, ნარკოტიკებზე „სხედან": ყველა ჩემი ფრინველი კაიფშია — მათთვის აუცილებელია კანაფისა და ყაყაჩოს მარცვლების ჭამა. იმიტომაცა, რომ მერე მიბნედილი თვალებით კარგად და ლამაზად მღერიან (*იცინის*)... სოხუმის ფრინველებზე არ მომიყოლია დაწვრილებით. იქ მყავდა ძერა, რამდენიმე მიმინო, არაჩვეულებრივი თეთრი შევარდენი, ქორი — ბაზიერობასაც ვეწეოდი. ჩემი მეგობრები ძაღლებითა და თოფით რომ ნადირობდნენ, 7 მწყერს თუ მოიტანდნენ შინ, ჩემი მიმინოთი კი 35-40 მწყერს ვიჭერდი.

— იმ მწყერს წვავდით და მიირთმევდით?

— არა, რას ამბობთ? მეზობლებს ვაძლევდი. მე ფრინველი მეცოდება და ვერ შევჭამ. ბარბაროსად მიმაჩნია ადამიანი, რომელიც ზამთარში ხურმაზე შემომჯდარ შაშვს ჩაუსაფრდება და მოკლავს. შე დალოცვილო, მოგცემ 10 ლარს, ქათამი იყიდე და შეჭამე!.. შაშვი საქართველოს სიმბოლოა, მისი მოკვლა როგორ შეიძლება?! რუს ბარბაროსს სიმბოლოდ ორთავიანი არწივი ჰყავს, აფხაზს — თხა. მე საქართველოს გერბს სიამოვნებით ყურძენსა და შაშვს მივახატავდი. დაბადებიდან ერთედერთ არსება ვართ ქვეყანაზე, ვინც ლაპარაკობს, დანარჩენები პირ-უტყვები არიან. შაშვი დაწყობილად ლაპარაკობს. საერთოდაც, ფრინველების უმრავლესობას ადამიანის ენა ესმის, ბევრი ლაპარაკობს კიდეც. მაგალითად, თუთიყუშმა შეიძლება აურიოს და დილით „საღამო მშვიდობისა" გითხრას, შაშვს ეს არ შეეშლება...

— რომელი ფრინველია ყველაზე ჭკვიანი?

— მე მგონი, ყორანი. საზღვარგარეთ მილიონებს ხარჯავენ ფრინველების შესასწავლად, ჩვენში კი ერთი დევნილი 11 თუ 22 ლარად „შეაფასეს"... მაგალითად, ჩემი ყორანი ისე მყავდა გაწვრთნილი, სოხუმში სადილად რომ დავსხდებოდით, კოვზსა და ჩანგალს მომიტანდა, ჩუსტები მოჰქონდა. პლაჟზე გასასვლელად რომ ვემზადებოდი, ამოარჩევდა და სწორედ საგარეო სათვალეს მომიტანდა. საერთოდაც, ჩემი შინიდან გასვლა მისთვის ტრაგედია იყო — შარვლის ტოტზე მებღაუჭებოდა და არ მიშვებდა. თუ მასაც გავასეირნებდი, შინ დაბრუნებული ფრთებს შემომხვევდა ხოლმე მადლობის ნიშნად. თუ რამეს დამიმალავდა, „კაგებეს" გაუჭირდებოდა მისი პოვნა. მერე რაღაც უნდა მიმეცა — თუნდაც თევზი, დამალული რომ გამოეჩინა. ყველანაირად მემსახურებოდა — გაზეთიც კი მოჰქონდა. თუ უგუნებოდ ვიყავი, არ შემაწუხებდა. დილაობით, თამაში რომ უნდოდა, საწოლში მაკითხავდა და თავს მიხახუნებდა. ყურადღებას თუ არ მივაქცევდი, ნელ-ნელა საბანს მაძრობდა, თუ კიდევ უყურადღებოდ დავტოვებდი, ძეხვის ნაჭერს ან რამეს მომიტანდა და პირში მიდებდა. მეტი რაღა ექნა?! მეც წამოვხტებოდი ფეხზე და ჩემი კოკოშაც უბედნიერესი იყო.

პაგარა ბიჭი ვიყავი, როდესაც მამაჩემმა, ბაგონმა ლუკამ 40 ჩიგი მომიყვანა

— ეჭვიანი არ იყო?

— ძალზე ეჭვიანი იყო. ერთ ქალბატონთან ვმეგობრობდი, კოკოშა კი იმას ვერ იტანდა — რას არ უკეთებდა!.. ერთხელ, ერთმა მეგობარმა თავში წკიპურტი ჩაარტყა და სამი წლის განმავლობაში არ აპატია. ბოლოს „ბარაბულკათი" მოქრთამა.

— ისე, როგორ შეატყვეთ კოკოშას — ეტკინა თუ ეწყინა?

— რა თქმა უნდა, ეწყინა. ძალზე ძლიერია ყორანი, არწივსაც კი უწევს წინააღმდეგობას. ერთადერთია, ვისაც პირუეტის გაკეთება შეუძლია — სამხედრო თვითმფრინავივით ამოტრიალდება და ქვემოდან შეებრძოლება..

— რა ბედი ეწია თქვენს ყორანს?

— ერთმა ვაიმონადირემ მომიკლა... ყორნის შემდეგ ყვავს ვაფასებ. ისიც ძალიან ძლიერია. ბუდიდან ორი ბახალა ამოვიყვანე და გავზარდე. საოცარი იყო, საერთოდ, და-ძმა ხომ ჩხუბობს — ამ ორს არასოდეს უჩხუბია, პირიქით — წყალსა და საჭმელს სულ უთმობდნენ ერთმანეთს. სხვათა შორის, ყვავიც ლაპარაკობს, შოშიაც. ჩემი შოშიის ლაპარაკი მაქვს ჩაწერილი (*ბატონ მალხაზს საუბარი ვივიანმა —*

ყველა ჩემი ფრინველი კაიფშია — მათთვის აუცილებელია კანაფისა და ყაყაჩოს მარცვლების ჭამა

მისმა ამერიკულმა შავმა კატამ შეაწყვეტინა, ჩემს ჩანთას აწვალებდა და დაიტუქსა, ოღონდ ინლისურად — თურმე, ჯერჯერობით ქართული არ იცის. — ავტ.)... გინახავთ, კატა ჩიტებს არ მიეკაროს?!. ძალიან კარგი კატაა. ალბათ, „ამერიკელი" რომ არის, ოკუპანტიც არაა და ჩიტებს არ ერჩის (იცინის)...

— ყვავებზე მართალს ამბობენ, 300 წელიწადს ცოცხლობსო?

— ვიცი, რომ ერთ ოჯახში 120 წელიწადს იცხოვრა, ოღონდ იქ რომ მიიყვანეს, ძალიან ახალგაზრდაც არ იყო. ასე რომ... მგონი, რეალურია.

— თქვენს „სოხუმელ" ჩიტებს რა ბედი ეწიათ?

— როგორც აქ შემოცვივდნენ ოკუპანტები, ისე შემოცვივდნენ სოხუმში და „დაასაციეს". აქედან უნიტაზი და ქალის საცვლები მიჰქონდათ და რაღა გასაკვირია, ფარშავანგები და გედები ჩაეხრამუნებინათ?! მეზობლებისგან — რომლებიც ჩემ შემდეგ წამოვიდნენ სოხუმიდან — ვიცი, რომ შეჭამეს. „ქართული გოლგოთით" — ჭუბერით წამოვედი. ოცი პატარა ჩიტი, რასაც მოვერეოდი, გალიით წამოვიყვანე, — მეგონა, მალე დავბრუნდებოდი და — ამ უსუსურებს მაინც გავიყვანმეთქი. დიდებს კი ბევრი საჭმელი დავუტოვე... სვანეთში კი ამ პატარებსაც გავუხსენი გალია და გავუშვი — თბილისამდე ადამიანი ვერ ჩადიოდა და ისინი რას ჩამოაღწევდნენ?! ხალხს გიჟი ვეგონე — ოქრო და ბრილიანტი მოჰქონდათ, მე კი ჩიტებით მოვდიოდი. მხოლოდ ჩემი ეზოს მიწა წამოვიღე — როცა მოვკვდები, გულზე რომ დამაყარონ... ყველას მოჰქონდა სოხუმიდან, რაც უღირდა. მეც წამოვიღე ის, რაც ჩემთვის უძვირფასესი იყო... მართალია, დღეს ჩემი კოლექცია მრავალფეროვანი არ არის, მაგრამ ჩიტებზე დაკვირვებას მაინც ვახერხებ — ხშირად დავდივარ ბუნებაში, ვაკვირდები ფრინველებს. მაისში მცხეთაში ბულბულების ბუდეები აღმოვაჩინე და ისეთი რაღაცები ვნახე, ოპერატორი რომ მყოლოდა ან კამერა მქონოდა, უნიკალურ კადრებს აღვბეჭდავდი. დედალ ბულბულს ვაკვირდებოდი. ბარტყები გამოჩეკა. საერთოდ, მას უფლება არა აქვს, ბუდეში კვერცხებიდან ერთი კვირის განმავლობაში ახალგამოჩეკილი ბარტყები მიატოვოს. ეს დედალი ბულბული ზოგიერთი თანამედროვე გოგონასნაირი აღმოჩნდა — ფეხმძიმედ რომ არიან და სად არ წააწყდები!. დავინახე, გადმოხტა ეს ბულბული ბუდიდან, ცოტა ზემოთ მამრი იჯდა, რომელიც მყისვე ჩამოფრინდა და ჯიგრულად მოიქცა — ქეჩოში სწვდა დედალს, ბუდისკენ ხოხვით წააბრძანა, თან, ალბათ, ეუბნებოდა: შე გათახსირებულო ქალო, ოჯახი როგორ მიატოვე, დაეგდე შინ და შვილებს მიხედეო (*იცინის*). შეიძლება, 50 წელი იარო ბუნებაში, მაგრამ ასეთ უნიკალურ კადრს ვერ წააწყდე... 10 წლის წინ ერთ ცუდ ადგილას ვიყავი — იქ, სადაც 1937 წელს ხვრეტდნენ ჩვენს ინტელიგენციას. ჭოგრიტი მაჩუქეს მეგობრებმა და წაღებული მქონდა. დავინახე ბაყაყის ნაშიერი, ძალიან პატარა, რომელთანაც ჩამოფრინდა ფრინველი — დედალი მინდვრის ბელურა, ნისკარტით საჭმელი მოუტანა და პირში ჩაუდო. ცოტა ხანში მამალი მოფრინდა და იგივე გაიმეორა. გავოცდი.

— ასე იოლად არჩევთ დედალ-მამალს?

— აბა, რა! ზოგიერთის გარჩევა ძალიან რთულია, მაგრამ უმრავლესობას ვარჩევ. ეგ კი არა, ფრინველების 3000-მდე სიგნალი ვიცი.

— ყველაზე მეტად რით გაუოცებიხართ ფრინველებს?

— მაგალითად, ჩემს მეგობართან ერთად ვუთვალთვალებდი ფრინველებს. საერთოდ, ყვავი ძლიერი ფრინველია და იოლად, მონადირესაც არ მოაკვლევინებს თავს. მან იცის, თოფით მიდიხარ თუ თოხით და აუცილებლად დაიცავს თავს. ერთხელაც შემთხვევით დედალ ყვავს მანქანა დაეჯახა. რასაკვირველია, არც გაჩერებულა, ყვავი კი მიწაზე დაენარცხა. ჩემს მეგობარს ვანიშნე, არ გაინძრე-მეთქი. ვიცოდი, მკვდარი იყო, ამიტომ ბუნების კანონი არ უნდა დაგვერღვია და მამრის მოსვლას დავლოდებოდით. მინდა იცოდეთ, რომ ყვავები ბუდეს არმატურისგან, რკინისგან აკეთებენ, მყარი რომ იყოს. მოკლედ, ცოტა ხანში ამ მკვდარ ყვავთან მთელი უბნის ყვავები მოფრინდნენ და წრე დაარტყეს — როგორც ჩვენ ვუვლით ხოლმე პანაშვიდზე წრეს სასახლეს... მერე დაბლა დაეშვნენ და ამ დროს მოფრინდა მამრი — მკვდარი ყვავის „ქმარი". მსგავსი სანახაობა არასდროს მენახა — ლამის ეძახდა, — ადექი, ქალო, ფეხზეო!.. ხან ქვევიდან შეუყო თავი, რომ წამოეყენებინა. მერე სხვა ადგილას გადაათრია. სამი დღის განმავლობაში არ მოშორებია. მეეზოვეს უნდოდა გადაეგდო, მაგრამ არ დავანებე — 5 ლარი მივეცი და გამშორდა... მეოთხე დილას დავმარხეთ, იქვე კი ქმარი ვნახეთ, ბუდის არმატურაში თავგაყოფილი — თავი ჩამოუხრჩვია. ეს ნამდვილი სუიციდი იყო, თვითმკვლელობა. ამას რომელი მამაკაცი ან დედაკაცი გააკეთებს?! მიხვდით, რატომ მიყვარს ფრინველები? კიდევ საოცარ ამბავს გავიხსენებ — სოხუმში მყავდა გულწითელა მერცხლები — არაჩვეულებრივი ცოლ-ქმარი, რომეო და ჯულიეტა. ცოლს ფრთაზე პატარა თეთრი ნიშანი ჰქონდა და იოლად ვცნობდი. ძალიან ბედნიერად ცხოვრობდნენ, ბარტყებიც ჰყავდათ. აგვისტოს ბოლოს ქმარმა მხარი იღრძო. მთელი ოჯახი ვუვლიდით. არც ცოლმა იდარდა, არც შვილებმა და თბილ ქვეყნებში გაფრინდნენ. გამოვაზამთრე რომეო სახლში და გამოვაჯანმრთელე. მახოს ვეძახდი. ძალიან მივიჩვიე. გავიხედე და, არ დაბრუნდა ჩვენი ქალბატონი ახალ „ქმართან" ერთად?! დამეწვა გული. ამ მახომ უყურა, უყურა, გამოექანა უეცრად და მთელი ძალით მინას არ მიენარცხა?! თავი მოიკლა!.. ამიტომ ვაფასებ ფრინველებს განსაკუთრებულად. ასეთი ანდერძი მაქვს: თუ ციხეში მოვხვდები — ღმერთმა დამიფაროს! — ჩიტი უნდა მყავდეს; თუ სანავადმყოფოში მოვხვდები — ისევ ღმერთმა დამიფაროს! — იქაც ჩიტი უნდა მყავდეს და როცა მოვკვდები, სასახლეში ჩიტი უნდა ჩამაყოლონ, რა თქმა უნდა — ფიტული. ეს ანდერძი დაწერილიც მაქვს და ყველასთვის ნათქვამიც. აუცილებლად უნდა შემისრულონ, რადგან ჩიტების გარეშე ვერ გავძლებ. ■

გავიხედე და, არ დაბრუნდა ჩვენი ქალბატონი ახალ „ქმართან" ერთად?! დამეწვა გული. ამ მახომ უყურა, უყურა, გამოექანა უეცრად და მთელი ძალით მინას არ მიენარცხა?! თავი მოიკლა!..

მორიელის ნიძანი

დასაწყისი „გზა“ №24-36

სვეტა კვარაცხელია

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით
gza.fantazia@gmail.com

თაკომ დაიკვნესა... მამაკაცმა კვლავ შეუშვა ხელი, ადგა და გარეთ გავიდა. ვიდეოკამერები უნდა შეემოწმებინა. რა თქმა უნდა, ასე იგი გამიზნულად არ იქცეოდა, უბრალოდ, არ შეეძლო მიეტოვებინა პოსტი. ეს ღამე მნიშვნელოვანი იყო, გადამწყვეტი. პოლიციამ, როგორც იქნა, მიაგნო ბოროტმოქმედების კვალს და სანამ ოპერაცია არ დამთავრდებოდა, მოდუნების უფლება არ ჰქონდა. თუმცა ეს ყველაფერი, ირაკლისგან დამოუკიდებლად, თავისთავად თამაშს ემსგავსებოდა და მამაკაცს ახარებდა ეს თამაში. მასში იყო ის რაღაც, რაც ამ დღეების განმავლობაში აღმოაჩინა საკუთარ თავში. ეს ირონია გახლდათ. ირონია, რომელიც მანძილს ქმნიდა პირად მცველსა და მის გარშემო არსებულ საგნებს შორის... მანძილი კი ადამიანს საშუალებას აძლევს, უკეთ აღიქვას მის ირგვლივ მყოფი საგნები. ამიტომაც ასე უკეთ ხედავდა, როგორ სიამოვნებდა თაკოს მისი თამაში, ასე უკეთ გრძნობდა გოგონას სურვილსა და შიშს...

რამდენიმე დღის განშორებამ ბევრად კარგი შედეგი გამოიღო. ირაკლი საბოლოოდ მიხვდა, რამდენად ძვირფასი იყო პატარა პრინცესა მისთვის; რომ მის გარეშე ცხოვრება გაუჭირდებოდა და მასაც მისცა საშუალება, ჩაღრმავებოდა პირად გრძნობებს. შედეგმაც არ დააყოვნა. ორივე ერთმანეთს ელოდა, ორივეს უყვარდა ერთურთი. სწორედ ამ დღეებში მიხვდა ირაკლი ამას...

და მან უკვე იცოდა, როგორ უნდა მოქცეულიყო, ზუსტად იცოდა, რომ იგი თაკოს სჭირდებოდა, თაკო კი — მას. მთავარია, ეს დროზე უთხრან ერთმანეთს, რაც შეიძლება ჩქარა, ახლავე!

არ ჰქონდა მნიშვნელობა, ეწოდებოდა ამ გრძნობას სიყვარული თუ არა, ამწუთას ეს სულერთი იყო. თუმცა მამაკაცი გაბედავდა და თავის გრძნობას სწორედ ამ სახელს დაარქმევდა... ბოლოს და ბოლოს...

თაკოს უფრო სჭირდებოდა იგი, სხვა თუ არაფერი, იმისთვის მაინც, მის მკლავზე დაედო თავი და მშვიდად დაეძინა საიმედო ადამიანის ხელში, ყოველგვარი შიშის გარეშე.

მორიელს ჩაეღიმა. ეს ვინმეს რომ უთხრას, ვერავინ გაუგებს. არადა, სწორედ ეს მდგომარეობა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი მათთვის. ირაკლი თაკოსთვის თავშესაფარს წარმოადგენდა. გოგონა საჭიროებდა თავშესაფარს. ირაკლი საჭიროდ მიიჩნევდა, ყოფილიყო თავშესაფარი.

ესეც ასე, რა არის აქ გასარკვევი? მერე ცოტა ხანს დაიცდიან, როგორ განვითარდება მოვლენები, ჩამოვა გურამი, დაელაპარაკება, გასარკვევს გაარკვევენ, საქმის კურსში ჩააყენებს სასიმამროს და... ჰმ, სასიმამროს...

ეხამუშა სიტყვა...

უარი რომ მიიღოს?

ახლოს რომ არ გააკაროს?

სახლიდან რომ გააგდოს?

მორიელი ამას არად ჩააგდებს. გურამისთვის მათი ურთიერთობის ახსნა, მშობლის საქმის კურსში ჩაყენებაა მხოლოდ, ელემენტარული ზრდილობის საკითხი, თორემ...

არავის ეკითხება, რა ურთიერთობა ექნებათ თაკოს და ირაკლის.

არავის ეკითხება, როგორ უყვართ მათ ერთმანეთი.

თავად გადაწყვეტენ, როგორ იცხოვრონ და როგორ იყვნენ, როგორ მოეწყონ და როგორ მოაწყონ. ისინი განსხვავებულები არიან, ძალიან განსხვავებულები...

იოლი არ იქნება...

მაგრამ ეს მერე...

ახლა მათ საბაბი აქვთ, საბოლოოდ გაიცნონ ერთმანეთი.

და სასწრაფოდ უნდა გამოიყენონ ეს საბაბი.

რათა ბოლოს და ბოლოს, საფუძვლიანად გაიცნონ ერთმანეთი.

კვლავ შებრუნდა ოთახში.

ზედმეტი სიტყვების გარეშე აკოცა ტუჩებში — პასუხად გოგონას ტუჩები ოდნავ შეირხა. ირაკლიმ შეუმჩნევლად გაიღიმა.

ზედმეტი სიტყვების გარეშე გაიხადა პერანგი, წელს ზემოთ გაშიშვლდა და თაკოს გრილი სხეული გახურებულ მკერდზე მიიხუტა.

ზედმეტი სიტყვების გარეშე ეალერსებოდა პრინცესას, ძალუმად იკრავდა გულში და გრძნობდა, როგორ ნელ-ნელა ივსებოდა სიფრიფანა სხეული სიცოცხლით.

და შემდეგ ისევ წავიდა.

წავიდა მაშინ, როცა უკვე შეუძლებელი იყო წასვლა.

როცა უკვე შეუძლებელი იყო მისგან მოწყვეტა.

როცა ათრთოლებული გოგონა ირაკლისკენ მოიწევდა, ირაკლი კი მისკენ.

მაგრამ უნდა წასულიყო და ვნებამორეულმა კიდევ ერთხელ დაიარა სახლი, ფანჯრები და კარები შეამოწმა... საჭირო იყო და იმიტომ.

იცოდა, რომ თაკო ელოდა. ისიც იცოდა, რომ გოგონა არ იტყოდა „არას“.

იცოდა, რომ პატარამ მას გაქცევა აპატია. ამ ერთხელ აპატია, მაგრამ განმეორების შემთხვევაში, ყველაფერი დამთავრდებოდა. ჰოდა, ახლა იყო მო-

მენტი... უნდა ესარგებლა ამ მომენტით. მორიელს უხაროდა ეს, შინაგან რწმენას უძლიერებდა, ხვალინდელი დღის იმედს უსახავდა...

ის ცოცხალი იყო, ის ცხოვრობდა.

ის უკვე აღარ იშუშებდა წარსულის იარებს, რომლებიც გაქრა, გაუჩინარდა. მას მხოლოდ მოგონებები დარჩა, მოგონებები და....

თაკო...

და ახალი ცხოვრება თაკოსთან ერთად...

ცხოვრების გაგრძელებაა საჭირო... და სიმამაცე, იყვნენ ბედნიერი.

როცა ირაკლი შემობრუნდა, თაკო საწოლზე იჯდა, აზიელივით ფეხებმორთხმული — ლამაზი და შიშველი... და მას ელოდა.

დაინახა თუ არა პირადი მცველი, გაშლილი ხელები მისკენ გაიწვდინა. მას ხმა არ გაუღია, არც „ჰო" უთქვამს და არც „არა", უსიტყვოდ ჩაეკონა მამაკაცს. ისინი კიდევ ერთხელ ჩაიკარგნენ ვნების მორევში...

თითქოს ისევ დატრიალდა ატრაქციონი, ათასი ლამპიონით გაჩახჩახებული ღამის ატრაქციონი...

როცა ირაკლი კვლავ გაემზადა გასავლელად, თაკომ გაიღიმა.

— თითქოს რაღაცნაირი თამაშია, არა?

— ჰო, — უპასუხა მამაკაცმა.

იგი არასდროს ყოფილა ასეთი ბედნიერი.

როცა კვლავ შემობრუნდა, გოგონა ფანჯარასთან დალანდა. მიუახლოვდა და უკნიდან მოხვია მკლავები.

— იცი? აქამდე მეგონა, რომ ერთად გატარებული არც ერთი ღამე არ იძლეოდა იმის საბაბს, ერთმანეთი უკეთ გაგვეცნო, — სიბნელეს გაუღიმა მორიელმა, — ახლა კი ვფიქრობ, შესაფერისი დროა. რას იტყვი, გავიცნოთ ერთმანეთი? — და ლოყაზე აკოცა.

შეცბუნებული გოგონა მოტრიალდა.

— რა თქვი?

— მე ვთქვი, ერთმანეთი გავიცნოთ-მეთქი, — მხრები აიჩეჩა პირადმა მცველმა, — ამისთვის ბრწყინვალე საბაბი გვაქვს! — და ბედნიერებისგან სახეგაცისკროვნებულმა ქალი ხელში აიტაცა, ჰაერში დაატრიალა და საწოლზე გულაღმა გადააწვინა.

თაკო წამით გაშეშდა, სიბნელეში დაჟინებით აკვირდებოდა მამაკაცის სახეს. მას თვალებში ჭინკები უთამაშებდნენ.

— მე, მაგალითად, ირაკლი მქვია, — მხიარულად გააგრძელა მამაკაცმა, — და მოკლედ რომ მოგიყვე, ვიტყვი მხოლოდ იმას, რომ უცოლო ვარ. მართალია, პრინცი არ ვარ, მაგრამ ჩემს სოციალურ მდგომარეობას არ ვუჩივი, კარგად გამოვიმუშავებ... და მე შენ მიყვარხარ. ასე რომ, ჩემი მუშა ხელები, არცთუ სქელი საფულე და შენით სავსე გული შენს განკარგულებაშია. შეგიძლია, ცოლადაც გამომყვე, თუკი ამის სურვილი გექნება, — და გულიანად გაიცინა.



მოულოდნელად მამაკაცი გაჩუმდა, რადგან გოგონას გაკვირვება შეატყო. ამ მომენტში, რა თქმა უნდა, თავადაც ვერ ცნობდა საკუთარ თავს... სულ რამდენიმე დღის წინ იგი თვითონაც ვერ გაბედავდა ასეთი ტირადის წარმოთქმას, მაგრამ მას უნდოდა შეცვლილიყო, სხვანაირი გამხდარიყო... და შეიცვალა. პატარამ ხომ უკვე აღნიშნა ეს. მორჩა, ეყო უხეში, სიტყვაძუნწი და შეუვალი მამაკაცის როლის თამაში.

ის სიყვარულმა გააახალგაზრდავა.

ის სიყვარულმა გაამხიარულა, აამსუბუქა, აამჩატა.

ის სიყვარულმა გაათავისუფლა წარსულის ტყვეობისგან.

მაგრამ თაკოს განცვიფრება არ შორდებოდა სახიდან. ირაკლი ცოტათი დაიძაბა კიდეც. რამე ისე ვერ თქვა? მაგრამ უკან დახევა გვიან იყო.

— როგორც იტყვიან, ახლა შენი ჯერია, გამეცნო, — გააგრძელა მან, — და, როგორც სამართლიანობა მოითხოვს, სიტყვა შენ გეკუთვნის... თუმცა... მე დღეს უმოწყალოდ უსამართლო ვარ, რადგან ძალიან მინდა გაკოცო, — მამაკაცმა ტუჩები ახლოს მიუტანა, — ვშიშობ, ვერ შეძლებ ვერაფრის თქმას, რადგან ტუჩები დაკავებული გექნება... მაგრამ გოგონას ბაგეებს ისევ მოსწყდა, გოგონას სხეულსაც მოსწყდა, და ისევ შემოვლისთვის მოემზადა.

— სტრესული პირობებია, ვაღიარებ. — ჩაიბურტყუნა თავისთვის და თაკოს ლოყაზე აკოცა... და მარილის მლაშე გემო იგრძნო პირში.

— რამე ისე ვერ არის, პატარავ? — ირაკლიმ ჯინსის შარვალი გაისწორა და საწოლის კიდეზე ჩამოჯდა.

თაკომ პასუხი არ გასცა. ირაკლი დააკვირდა. მას თვალები ცრემლით ავსებოდა. ხელი ლოყაზე ჩამოუსვა. გოგონამ მაჯა დაუჭირა და ტუჩებზე მიიკრა მისი ხელისგული.

— ყველაფერი ისეა, როგორც უნდა იყოს, პატარავ, — მის მაგივრად თქვა ირაკლიმ, ვერც კი წარმოიდგენ, რამდენად ისე...

— მაგრამ მე არ მინდა, ასე წარამარა გარბოდე გარეთ. მინდა აქ იყო. შეკითხვა მაქვს.

— მე მალე მოვალ.

— არ წახვიდე, ჩემი თხოვნა შენთვის არაფერს ნიშნავს? არსად წახვალ! შენ ჩემთვის დაგიქირავეს და რასაც ვიტყვი, იმას გააკეთებ! — ხმას აუწია გოგონამ.

ირაკლიმ ხმამაღლა გაიცინა.

— გამოუსწორებელი ხარ, პრინცესა. შენ გინდა, აიძულო სამყარო, შენ გარშემო იტრიალოს, მაგრამ დაგავიწყდა, მისთვის თანხმობა გეთხოვა. უნდა კი მას ეს? მაპატიე, ამაღამ პოსტის მიტოვება არ შემიძლია, ეს ჩემს ძალებს აღემატება. ხვალიდან კი მიფრთხილდი, სანამ შიმშილით სული არ გაგძვრება, ლოგინიდან არ აგაყენებ. ახლა აქ ბრძანებებს მე ვიძლევი.

— არა, ჯერ ერთ კითხვაზე გამეცი პასუხი. როგორ მითხარი წეღან? შეგიძლია ცოლადაც გამომყვეო? ესე იგი, მე თუ მინდა, გამოგყვე, არა? შენ რა, არ გინდა?

ირაკლის სახე შეეცვალა. ასეთი რამ აზრადაც არ გაუვლია. რატომ გაიგო პატარამ ასე?

— მოიცა, მოიცა... — მისი შეჩერება სცადა მამაკაცმა.

— მე კი არა, შენ მოიცა! — ლოგინიდან გადმოხტა თაკო. — შენ მხოლოდ ჩემი საყვარლობა გინდა? მხოლოდ ამისთვის დაწექი ჩემთან? შენს უახლოეს გეგმებში ეს პუნქტი პირველ გრაფას იკავებს, არა? არასოდეს! არასოდეს! — მთელი ხმით იყვირა გოგონამ და ოთახიდან გავარდა.

გაოგნებული მორიელი მხოლოდ მაშინ მოეგო გონს, როცა საშინელი მსხვრევის ხმა გაისმა. ზეზე წამოიჭრა და კისრისტეხით გავარდა დერეფანში...

ფართოდ გაღებული ფანჯრიდან უკუნი ღამე იმზირებოდა. მიხვდა, რომ თაკო მეორე სართულიდან გადახტა, თავზარდაცემულმა ფანჯარასთან მიირბინა, ფეხშიშველმა სიბნელეში მინის ნამსხვევები ვერ შეამჩნია და ფეხისგულები დაესერა. სიმწრისგან მწარედ ამოიგმინა, ხელებით რაფას დაეყრდნო და დაბლა გადაიხედა.

თაკო უგონოდ ეგდო მიწაზე...

მამაკაცის არაბუნებრივმა ყვირილმა ღამის სიმშვიდე ააფორიაქა.

— დარწმუნებული ვიყავი, რომ აქ გიპოვიდი, — გიგა დაეწია ირაკლის, რომელიც საავადმყოფოს ეზოში მდებარე პარკში ბოლთას სცემდა.

პირად მცველს წვერგაუპარსავი სახე გაჰფითრებოდა.

— ჰო... სხვაგან სად უნდა ვყოფილიყავი, — ამოიხვნეშა მამაკაცმა და იქვე მდგარ მერხზე ჩამოჯდა.

გამომძიებელი გვერდით მიუჯდა მეგობარს.

— რაო, რას ამბობენ ექიმები?

— კომადან გამოვიდა, როგორც იქნა.

— ეგ ვიცი, გუშინ დავრეკე მთავარ ექიმთან და იმან შემატყობინა. ესე იგი, საქმე უკეთესობისკენაა?

— ასე ამბობენ.

— რას ნიშნავს, „ასე ამბობენ"? შენ რა, არ გინახავს?

ირაკლიმ უცნაურად გახედა.

— რა მოხდა, რაღაც არ მომწონხარ... — შეშფოთდა გამომძიებელი.

— მას ჩემი დანახვა არ უნდა, გიგა.

— აი, თურმე რაშია საქმე... მაგრამ რატომ, არ გითხრა, რატომ?

— იგი არაფერს ამბობს.

გიგამ ხელი მუხლზე დაიტყაპუნა, მერე პიჯაკის ჯიბიდან სიგარეტი ამოიღო და ირაკლის ჟესტით შესთავაზა. მორიელმა თავი გადააქნია.

— ხომ იცი, რომ არ ვეწევი.

— რა ვიცი, ასეთ დროს ისეთებიც კი იწყებენ მოწევას, ცხოვრებაში ნაფაზი რომ არ დაურტყამთ.

— მას ამნეზია აქვს, გიგა, თითქმის სრული ამნეზია. მხოლოდ საკუთარი ბავშვობა ახსოვს, მეტი არაფერი.

გამომძიებელმა გრძლად დაუსტვინა და დაბნეულმა შეხედა მეგობარს.

— ჰო-ო... ასეთი ტრავმის შემდეგ გასაკვირი არაფერია... მაგრამ შენ გული არ უნდა გაიტეხო, ყველაფერს ეშველება, მთავარია, რომ ცოცხალი გადარჩა. ნელ-ნელა დაუბრუნდება მეხსიერება. შეიძლება უცებ არა, მაგრამ ეტაპობრივად... ხომ იცი, როგორც ხდება.

— პრობლემა ის არის, რომ მას არაფრის გახსენება არ სურს. გააგიჟა ექიმები, არაფერი გამახსენოთ, არაფერი მომიყვეთ, მხოლოდ ის მითხარით, რა მქვია. სხვა რამე არც უნდა, რომ იცოდეს.

— მამამისი ჩამოვიდა?

— ჩამოვიდა არა, ის... ფული არ დაზოგოთო, გიოსთვის უთქვამს.

— აკი ჩამოდისო? ამ დღეებში გიო ჩემთან იყო.

— ჰო, ერთი პერიოდი აპირებდა ჩამოსვლას, მაგრამ როცა გაიგო, ერთი ვიბლიანი მოკლეს და მეორე გაიქცაო, დაამუხრუჭა. ეშინია, რომ ჩამოვიდეს, იცის, რომ ეგრევე „მიაბრიდავენ".

— თქვენი ამბავი გაიგო?

— ალბათ. სიმართლე გითხრა, ამით არც დავინტერესებულვარ. ოლონდ თაკომ ჩემკენ გამოიხედოს და თვალით არ დავანახვებ მაგ ახვარს, მაგის დედაც...

ირაკლის ხმაში დაღლილობა და სიფიცხე იგრძნობოდა. გიგამ დაკვირვებით შეხედა, ძველი მეგობარი ძალიან შეცვლილიყო, მოტეხილი და მობერებული ეჩვენა.

— ჩემი ბრალია ყველაფერი, მე გავაბრაზე. არადა, მეგონა, ვასიამოვნებდი, ისეთი რამე ვუთხარი, იმან კი სხვანაირად გაიგო...

— მარიმ მითხრა, გოგონა მთლად შიშველი იყოო. შენ რა, მასთან... — და გიგამ ორივე ხელის საჩვენებელი თითები ერთმანეთს გაუსვა.

— მე ის მოყვარს, გიგა, გეფიცები... ერთი წუთით სხვა რამ არ გამივლია გულში. არ ვიცი, ეს როგორ მოხდა. შენ ხომ მიცნობ, მექალთანე არასდროს ვყოფილვარ, არც ასეთი გულახდილი ვყოფილვარ ოდესმე, მაგრამ.... მაგრამ ახლა ჩემთვის სულერთია ყველაფერი. ვინც გამიგებს, გამიგებს, ვინც ვერ გამიგებს, მისი პრობლემაა.

— მესმის, ბიჭო, მესმის, ვიღაც ხომ არ ვარ. კარგი, დაწყნარდი, რა მოგივიდა. პირიქით, უნდა გიხაროდეს, რომ თვითონაც ცოცხალი გადარჩა და ბავშვსაც არაფერი დაუშავდა. მთავარი ახლა ეს არის.

ამის გაგონებაზე ირაკლის მიტკლისფერი დაედო სახეზე.

— რა თქვი? რა ბავშვი, რომელი ბავშვი?!

— რომელი და... შენ რა, არ გითხრეს, რომ ორსულად არის?

— ვინ არის ორსულად? — ფეხზე წამოვარდა აკანკალებული, ოფლით დაეცვარა შუბლი.

— აგერ დაჯექი, ძმაკაც... მოდი აქ, დამშვიდდი და კარგად მომისმინე. შენი თაკო ფეხმძიმედაა, ოთხი კვირისაა უკვე. ნაყოფი უვნებელია, ერთი უჯრედი არ დაზიანებია. უნდა გიხაროდეს, ძმაო, ეგრე კი არ არის. ახლა გმართებს გამაგრება, ცოტა საღი გონებით მიუდექი საქმეს. იმ გაქცეულ ვიბლიანს ჩვენ მივხედავთ, შენ ამ გოგოს მიხედე, არაფერი მოაკლდეს. მერე კი, როცა მამა გახდები, ყურებს აგიწევ მილოცვის ნიშნად, გამიგე? — მხარზე ხელი დაჰკრა გიგამ.

— გიომ იცის ეს ამბავი? — ხმადაბლა იკითხა მორიელმა, ისევ დაჯდა და მიწას ჩააშტერდა.

— არ იცის, ჩემსა და შენ გარდა არავინ იცის, ექიმებს თუ არ ჩავთვლით. სასტიკად გავაფრთხილე, არავისთან წამოგცდეთ-მეთქი.

— სიზმარში მგონია თავი...

— შენ კი არა, მეც, რომ იცოდე. კაცი სამუშაოდ იყავი და... რას ვიფიქრებდი, ასე თუ შეტოპავდი. კი მითხრეს ბიჭებმა, რაღაც ხდებაო, მაგრამ არ მივაქციე ყურადღება. ვიფიქრე, ალბათ მარტო რომ არიან, ის გოგო ეპრანჭება და ამანაც აუბა მხარი-მეთქი. მაშინაც ხომ გითხარი...

— საოცარია პირდაპირ, რაღა თავი დაარტყა, ფეხი მაინც მოეტეხა, ან ხელი, ან...

— შენ ეხუმრები მეორე სართულიდან „რაზგონით" გადახტომას? კიდევ კარგად გადარჩა, ბედი ჰქონია, თორემ მიწამდე სული არ დაჰყვებოდა. კი, მაგრამ შიშველი როგორ გამოუშვი ოთახიდან, ჭკუა გაქვს თავში?

— მე რა გამოვუშვი, წამოხტა და გავარდა, სიტყვის თქმაც არ მაცალა.

გიგა მიხვდა, რომ ირაკლი უხერხულ მდგომარეობაში ჩააგდო და სცადა, საუბრის თემა შეეცვალა.

— იმ ბიჭმა გაგვიყვანა კვალზე, თაკოს „პაკლონიკმა". არ ვიცი, რაში მოეპრიანა, ალბათ გააბრაზა ბიძამ და შური იძია. სოფელ ვარკეთილში იმალებოდნენ, ვინმე კაპანაძის დაკეტილ სახლში. ვახოსთან ერთად, კიდევ ოთხი ავიყვანეთ, დაქირავებულები. ოთხიდან სამზე ძებნა იყო გამოცხადებული, აზრზე ხარ?

— ის ერთი როგორ გაგექცათ?

— ბექა? მაინცდამაინც იმ მომენტში იყო ტუალეტში, რომელიც ეზოშია. გვიან გავიგეთ, თორემ იმასაც გავსკვანჩავდით.

— უ-უხ! — ხელები მომუშტა ირაკლიმ, — ჩემი ბრალია ყველაფერი, ჩემი. რა მინდოდა, რა მალაპარაკებდა, რომელი სიტყვაუხვი მე ვიყავი!

— დამშვიდდი, მეგობარო, დამშვიდი, თავს ნუ იდანაშაულებ. მორჩი წარსულის გახსენებას. რაც მოხდა, მოხდა, ვერაფერს იზამ, იმას, რაც იყო, ველარ დააბრუნებ. ახლა მთავარია, ბავშვს ყურა-

დღება არ მოაკლდეს. ბავშვს კი არა, ბავშვებს, — გაღიმება სცადა გიგამ, — ბოლო ნაფაზი დაარტყა და ნამწვი ბუჩქებისკენ მოისროლა, — გირჩევნია, ცოტა მოწესრიგდე. არა მგონია, კარგი აზრი იყოს დღედაღამ აქ ჯდომა.

— ძალიან კარგი აზრია, — ჯიუტად გადააქნია თავი მორიელმა.

— რითი? ცხოვრებას აანალიზებ?

— როგორ მიხვდი? ვერც კი წარმოვიდგენდი, ასეთი სიტყვების თქმა თუ შეგეძლო, — დასცინა მეგობარს.

— სულ თავისით ამოტივტივდა გონებაში, მე არაფერ შუაში ვარ. შენსავით ფილოსოფოსი არასდროს ვყოფილვარ, ძმაო.

ირაკლის გაეღიმა.

— თაკო ამ დილით პირველად გამოიყვანეს სასეირნოდ. მე კი მას ვუყურებ შორიდან. ვცდილობ, შევეჩვიო იმ აზრს, რომ ის მე ვერ მცნობს.

— ჩემი აზრით, დრამატიზებას ახდენ, ჩემო ირაკლი. თანდათან დაუბრუნდება მეხსიერება, აი ნახავ! უბრალოდ, მოთმინება უნდა იქონიო. ხელი არ ჩაიქნიო და ძველებურად სმა არ დაიწყო, იცოდე! შეხედე შენს თავს, უკანასკნელ „ბომჟს“ ჰგავხარ. ასე ჩაშვება შეიძლება? წადი სახლში, მოწესრიგდი, თავს ნუ იტანჯავ. თუ გინდა, წამოდი ჩემთან, ახალ სამუშაოს მოგცემ. გინდა?

— არა, არ მინდა. ახლა არაფერი მინდა.

— შინ მაინც წადი.

— შინ დავდივარ, აბა, რას ვშვრები. აქ დღისით მოვდივარ, ღამეს კი არ ვათენებ.

— მერე? ასეთ ფორმაში უნდა იყო?

— შენ ვერ გამიგე, გიგა. მე კი არ ჩავეშვი, უბრალოდ, შევიცვალე. მომბეზრდა უკვე იმის კეთება, რაც სხვას სჭირდება, მხოლოდ იმიტომ, რომ ასეა საჭირო. გაიპარსო წვერი მხოლოდ იმიტომ, რომ ასეა მიღებული. შემომხედე, არ მიხდება წვერი?

— გიხდება, — სიცილი ვერ შეიკავა გამომძიებელმა.

— აი, ხომ ხედავ! — ირაკლისაც გაეღიმა.

— სიმართლე გითხრა, თავიდანვე არ მომეწონა, როცა შენი და იმ გოგოს ურთიერთობის ამბავი გავიგე.

— ვიცი, შევამჩნიე.

— არც დამიმალავს, მაგრამ... რა ვიცი, მერე რომ გავაანალიზე, ვიფიქრე, რა ჩემი საქმეა-მეთქი. ახლა კი ვნანობ, უფრო რომ არ შეგახურე. ალბათ, ჩემი ბრალიცაა, რაც მოხდა. ყურები უნდა დამეხია შენთვის და მერე ისწავლიდი ჭკუას.

— ძალიან ყურადღებიანი ხარ დღეს, გიგას ვენაცვალე, დიდი მადლობა, — ირაკლის სევდიანმა ღიმილმა გადაურბინა სახეზე.

— კარგი, არ გეწყინოს. შეიძლება ამაში ცუდი არაფერიც არის, მაგრამ ხალხის ამბავი ხომ იცი. ყოველთვის მოიძებნებიან ისეთები, რომლებიც იტყვიან — მომწონს, არ მომწონს, ვარგა, არ ვარგა... ვის გაუგონია, რა ამაზრზენიაო და ა.შ. თუმცა, დიდი ხანია, მივხვდი, რომ მთავარია, თავად მოგწონდეს შენი საქციელი, სხვებს არ უნდა უყურო. უნდა იყო ის, ვინც გინდა იყო.

— მერე? გამოგივიდა?

— რა? — ვერ მიუხვდა გიგა.

— თავად მოგწონდეს შენი საქციელი.

— ნუ... მთლიანობაში...

— გამოგივიდა, თანაც უკეთესადაც, ვიდრე ცდილობდი, — დაასრულა მისი ნააზრევი ირაკლიმ, — კარგი, კარგი, ნუ შეგრცხვა. რა იყო, უცხოები ხომ არ ვართ, ბიჭო! — ახლა ირაკლიმ დაუტყაპუნა მეგობარს მხარზე ხელი, — ხვალ საღამოს თავისუფალი ხარ?

— არა, ამ კვირაში არ მცალია. რატომ მეკითხები?

— გამოიარე ჩემთან, დილით მარის გავაცილებ აეროპორტში და მერე სულ მარტო ვიქნები.

— ვეცდები, ძმაო, მაგაზე გაწყენინებ? წავალ, ახლა, ყელამდე საქმე მაქვს გასაკეთებელი.

— კარგად, გიგა, კარგად.

მხრებში თავჩარგული გიგა ჭადრის ხეივანს მძიმე ნაბიჯებით გაუყვა.

ნელ-ნელა აცივდა. ჰაერში შემოდგომის სურნელი დატრიალდა. კვირის ბოლოს ღრუბლიანი ამინდი დაიჭირა, გაწვიმდა კიდეც.

საღამო ხანი იყო. ირაკლის ისე შესცივდა, ბუხარი დაანთო. უყვარდა ამ პატარა ოთახში ყოფნა, სიმყუდროვე და განმარტოება სულს უმშვიდებდა. თუმცა ამჯერად არ იყო მარტო, გიგა სტუმრობდა.

ესიამოვნა სითბო, აგუზგუზებულ ცეცხლს ხელები მიუფიცხა და შამანივით აცეკვებულ ალს მიაჩერდა. მერე კარადიდან კონიაკის ბოთლი გადმოიღო, ჭიქებში ჩამოასხა და გიგას მოპირდაპირე მხარეს მაგიდას მიუჯდა.

„ფილოსოფოსობის“ ხასიათზე იყვნენ ძველი მეგობრები. საუბარი ერთი საგნიდან მეორეზე გადაჰქონდათ, თუმცა მთავარ თემად მაინც თაკო რჩებოდა.

— ასე ჩაშვება არ შეიძლება, ძმაო, — კონიაკი მოსვა გიგამ, — ვიცი, გინდა ყველაფერი დაშალო და თავიდან ააწყო, როგორც იმ პატარა გოგოს სჭირს. ეს ყველაფერი სულაც არ არის ცუდი, მაგრამ... რაღაც გარკვეულ დონემდე მხოლოდ... რა გგონია, რატომ ცვივდებიან ადამიანები სასოწარკვეთილებაში?

— ალბათ სხვანაირად არ იციან მოქცევა და იმიტომ.

— მერედა, გონება რისთვის აქვს ადამიანს? ტვინი უნდა გაანძრიო, მეგობარო. ამ დროს ყველაფერი თავიდან უნდა დაიწყო, რევოლუცია უნდა მოახდინო საკუთარ თავში, თორემ მარტოობა დაგლუპავს, მარტოობას გამანადგურებელი ძალა აქვს. მგონი, არ მისმენ... რაზე ფიქრობ ახლა, ამწუთას?

— თაკოზე... საწყალი გოგო, სიმარტოვეში გაიზარდა, უდედოდ, უსიყვარულოდ... ერთი თბილი სიტყვის მთქმელი არ ჰყავდა გვერდით. მამას მისთვის არც ადრე ეცალა, ახლა — მით უმეტეს. იმისთანა ცოლი ჰყავს, თაკო ვის დაჰკარგვია, — წარბები შეკრა ირაკლიმ.

— მთავარია, ახლა შენ ხარ მის გვერდით. ეს ბევრს ნიშნავს. არ უნდა მიატოვო.

— დიდი მადლობა რჩევისთვის, ძმაო, მაგრამ შენ ერთი რამ დაგავიწყდა — მას ჩემი ნახვა არ უნდა. უთხრეს, საქმრო გყავსო, მან კი არ ისურვა, ისე მაინც შემოეხედა ჩემთვის. გესმის?

— მას ეშინია და უნდა გაუგო. ეშინია, არ გაიგოს თავისი შეცდომების შესახებ. ხომ თქვი, მხოლოდ ბავშვობა ახსოვსო. სწორედ მაგაშია საქმე. მას ახლა ბავშვის გონება აქვს. ზოგიერთ ბავშვს მომავლის ეშინია. არ გაგიგონია პატარებისგან, არ მინდა გაზრდა, არ მინდა, დიდი ვიყოო? თაკოც ასეა. როგორც დიდს, წარსულის შეცნობის ეშინია და როგორც პატარას — ბუნდოვანი მომავლის. მას არ ახსოვს თავისი ცხოვრება, მაგრამ გრძნობს, რომ იქ იყო რაღაც ისეთი, რაც მას არ მოეწონება, შეცდომების მთელი დასტა. მათი გამოსწორებას პასუხისმგებლობა სჭირდება. აი, ამის ეშინია. გაუვლის. რას ამბობს ექიმი?

— ძალა არ დაატანოო. ექიმიც მარწმუნებს, მეხსიერება დაუბრუნდებაო.

— აბა, მე რა გითხარი.

— რა ვიცი, სასიკეთოს ჯერ ვერაფერს ვხედავ.

— აცალე, ჯერ მიმოიხედოს, ამ ცხოვრებას აუღოს ალღო. ის მშიშარაა, გრძნობს, რომ რაღაცის შიში ჩაებეჭდა მეხსიერებაში.

— არც ისეთი მშიშარაა, როგორიც შენ გგონია.

— დარწმუნებული ვარ, მაგრამ ეს მისი მეორე მხარეა, ქვეცნობიერი. ერთ მშვენიერ დღესაც გაუნათდება ის პატარა გონება და თვალებიც აეხილება.

— და რას მირჩევ, იქამდე როგორ მოვიქცე?

— დაელოდე, გეუბნები, დაელოდე.

— და რა შეიცვლება, რო? მისი ფიზიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია, ექიმებს უკვე შეუძლიათ მისი გამოწერა, მაგრამ ცოცხალი თავით არ უნდა შინ, იქ რჩება. ვერ გავიგე, რატომ.

— იქნებ დაველაპარაკოთ მთავარ ექიმს, იქნებ დაარწმუნონ, რომ მისთვის სახლში ყოფნა უფრო აუცილებელია, არ გიცდია?

— მერე რა შეიცვლება ამით?

— მივა სახლში, გაიხედ-გამოიხედავს, ნაცნობ, რომ არც ისე საშიშია იქ ყოფნა, არც ცხოვრებაა საშიში, არც შენ გვერდით ყოფნა. მერე შიშიც გაუვლის და რამდენიმე სეანსს ჩაიტარებს ფსიქიატრთან. რას იტყვი?

— შეიძლება მართალიცა ხარ... ხვალვე დაველაპარაკები ექიმს, — ჩაილაპარაკა ირაკლიმ და ისევ კონიაკი ჩამოასხა.

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეროვნების საკვარიშო

„გზის“ ერთგული მკითხველისათვის

(კითხვები)

ქვემოთ მოცემული კითხვები ჟურნალ „გზაში“ სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალების მიხედვით არის შედგენილი. შეეცადეთ პასუხი გასცეთ ამ კითხვებზე ისე, რომ

„პასუხების“ სვეტისკენ არ გაგექცეთ თვალი.

1. დაასრულეთ ადიღეური აფორიზმი: „ლოთი კაცის ყველა ჯიბე...“
2. მზის სისტემის პლანეტებიდან რომელი აღმოაჩინეს ყველაზე გვიან?
3. დაასახელეთ სპორტის სახეობა, რომლის მოასპარეზეებს დაცემის შემთხვევაში წყლით თვალების ამობანა აქვთ ნებადართული.
4. 1894 წელს გერმანელმა შოვინისტებმა შექმნეს პანგერმანული კავშირი და წამოაყენეს ლოზუნგი: „მეფე — პრუსიის სათავეში, პრუსია — გერმანიის სათავეში, გერმანია...“ დაასრულეთ ლოზუნგის ტექსტი.
5. ვის ეკუთვნის სიტყვები: „ილაპარაკე, რათა შენი დანახვა შევძლო“?
6. რა გახდა საჭირო იმისთვის, რომ მარგარეტ ტეთჩერი მამაკაცთა კლუბ „კარლტონს“ სწვეოდა?
7. რას ნიშნავს სიტყვა „მრჩობლი“?
8. დაასახელეთ კახეთის მეფე, რომელსაც ისე თავდავიწყებით ჰყავრებია ნადირობა, რომ ერთხელ ასეთი სიტყვები დასცდენია: ნეტავ, ვინმე ააოხრებდეს კახეთს, რომ მოსახლეობა შემცირდეს და სანადირო ადგილები გაიზარდოსო.
9. რომელ მწერალს ეკუთვნის სიტყვები: „მე არასოდეს დამიშვია, რომ ჩემს სასკოლო გაკვეთილებს ხელი შეეშალათ ჩემი განათლებისათვის“?
10. დაასრულეთ ჰაინრიხ ჰაინეს სიტყვები: „ისტორიას ქალები ქმნიან, თუმცა ისტორია...“
11. რა არის ზამბურაკი?
12. ეს რუსი კომპოზიტორი მუსიკას ხშირად დახატულ კლავიატურაზე ქმნიდა. დაასახელეთ იგი.
13. ლენინი ახალი გარდაცვლილი იყო, როდესაც სერგო ორჯონიკიძესა და ვსევოლოდ მოლოტოვს შორის კამათი გაიმართა. მოლოტოვმა თქვა, — ზინოვიევი ჭეშმარიტი ლენინელი არ არისო, რამაც ორჯონიკიძე საშინლად აღაშფოთა. ისინი კიროვმა შეარიგა, მაგრამ ორჯონიკიძე მაინც გაიქცა სტალინთან და ყველაფერი უამბო. კამათს სტალინმა ორი სიტყვით დაუსვა წერტილი. გაიხსენეთ ეს ორი სიტყვა.
14. რა არის მოთალი?
15. რომელ დიქტატორს ეძახის დიეგო მარადონა მშობელ მამას?

ანეკდოტები

***

პატარა თინიკომ ფეხი იტკინა.

— ნუ წუხხარ, ქორწილამდე

მოგირჩება, — ამშვიდებს ბებია.

— რომ ვერ გავთხოვდე?!

***

— უკაცრავად, ამ ქუჩაზე გავლა საშიშია? — ეკითხება ჭიჭიკია პოლიციელს.

— საშიში რომ იყოს, აქ ხომ არ ვიდგებოდი?!

***

მიხო ექიმთან მივიდა.

— იცით, კარგს ვერაფერს გეტყვით.

— რაშია საქმე?

— ალკოჰოლი ძალიან ცუდად მოქმედებს ადამიანის ჯანმრთელობაზე.

— კარგი, ექიმო, გამოფხიზლდით და ხვალ გამოგივლით.

***

ციხის გისოსებიდან პატიმარი ქუჩაში მიმავალ ლამაზმანს უყვირის:

— გოგონა! რას აკეთებთ 2012 წლის 20 ოქტომბერს, საღამოს?!

***

ტიპი მივარდა ექიმთან:

— ექიმო, სასწრაფოდ გამიკეთეთ კასტრაცია.

— დაწყნარდით, ნუ აჩქარდებით, კარგად დაფიქრდით და მერე გადაწყვიტეთ.

— არაფერია დასაფიქრებელი! ახლავე! ახლავე!

ექიმმა ოპერაცია გაუკეთა.

— რაში იყო საქმე? — ეკითხება მეორე დღეს ნარკოზიდან გამოსულ პაციენტს.

— ებრაელი ქალი მომყავს ცოლად.

— მოითმინეთ, თქვენ წინადაცვეთის გაკეთება ხომ არ გინდოდათ?

— აბა, მე რა გთხოვეთ?!

***

სვანს ქუჩაში ხვდება ნაცნობი, ცოლთან ერთად:

— გაიცანი, ეს ჩემი მეორე ნახევარია.

— პირველი რაღა უყავი? — გაუკვირდა სვანს.

***

ქმარი ამშვიდებს ახალშერთულ ცოლს:

— კი, ბატონო, მართალია, ოქროს მთებს გპირდებოდი, მაგრამ სარეცხ მანქანაზე კრინტიც არ დამიძრავს.

***

მერძევემ ზარი დარეკა. კარი პატარა ბავშვმა გააღო. პირში სიგარეტი აქვს გაჩრილი.

— მშობლები შინ არიან?

— შენ როგორ ფიქრობ, არიან?..

***

რაჭველი ამერიკიდან დაბრუნდა.

— როგორ მოგეწონა, რაჟიკუნა, ამერიკა? — შემოეხვივნენ მეზობლები.

— სულ შავ-შავი ბოვშები დეიარებოდნენ.

— სტრიპტიზი ნახე?
— ეგ რომელია, ბოშო?
— ქალი რომ შიშვლდება.
— ეგ ქე ვნახე.
— მერე, არ მოგეწონა?
— არა.
— რატომ?
— რა უნდა მომწონებოდა, შე კაცო?.. გამევიდა ვინცხა ქალუკა და საათ-ნახევარი მოანდომა ერთი ნიფხვის გახდას.

***

— მარო, მიხო სახლშია?
— კი, საღორეშია, ღორებს აჭმევს.
— დაუძახე, ერთი, შენს გახარებას!
— ღორები არ გამოუშვებენ.

***

ანზორა ცოლს ირთავს. სასიდედრო პირობებს უყენებს:
— ჩემი ქალიშვილი შენი ცოლი თუ გახდა, შენ უნდა ურეცხო სარეცხი, ხეხო იატაკი, ამზადო სადილები და რეცხო თეფშები.
— მერე, ერთადერთ გოგოს მაგნაირ იდიოტს გაატან?!

***

— კირილიჩ, რაშია საქმე? ამ ბოლო დროს სათევზაოდ აღარ დადიხარ.
— თევზის მაღაზია რემონტშია და სახლში ხელცარიელი ხომ არ მივალ?!

***

— რატომ დადის ეს კაცი ასე დაღრეჯილი?
— სიჯიუტის გამო.
— ეგ — როგორ?..
— ცოლი ეუბნება, ეგ ფეხსაცმელი გიჭერსო და ამას კი არ სჯერა.

***

— რა ღირს თქვენი ძაღლი?
— ხუთასი დოლარი.
— ერთგულია?
— ძალიან! უკვე მეხუთედ ვყიდი!

***

— იქ იყავი, ის კაცი შენს სიდედრს რომ სცემდა? — ეკითხებიან გურულს.
— კი, ყველაფერი ჩემი თვალით დავინახე!
— მერე, ვერ მიეხმარე?
— რავა, ორ კაცს გვეცემა ერთი ქალი?!

***

ქუთაისის სასადილოში შესული ზანგი ჭიჭიკიას მიაშტერდა.
— რავა მომშტერებიხარ, თითქოს



მე ვიყო ზანგი და შენ — ქუთაისელი! — აყვირდა ჭიჭიკია.

***

დიალოგი ავტობუსში:
— ახალგაზრდავ, უკვე მეოთხე გაჩერებაა, მეხუტები!
— აბა, რა ვქნა?!
— ქენი რამე!..

***

— ცოლს უნდა გავშორდე!
— რატომ?
— ცუდი ჩვევა აქვს, საწოლში დილით წვება.
— ღამით რას აკეთებს?
— არაფერს, ზის და მე მელოდება.

ჟონგლის საკარიერო

„გზის" ერთგული მკითხველისათვის

(პასუხები)

1. „...გახვრეტილია".
2. პლუტონი. იგი 1930 წელს აღმოაჩინეს.
3. პლაჟის ფრენბურთი. სპორტის ამ სახეობაში საასპარეზო მოედანი წმინდა ქვიშით არის დაფარული.
4. „...მსოფლიოს სათავეში!"
5. სოკრატეს.
6. სპეციალურად ამისთვის იგი საპატიო მამაკაცად აღიარეს.
7. „მრჩობლი" და „წყვილი" სინონიმებია.
8. ალექსანდრე II. იგი საკუთარმა შვილმა, კონსტანტინე-მირზამ მოკლა.
9. მარკ ტვენს.
10 „...მხოლოდ მამაკაცთა სახელებს იმახსოვრებს".
11. მცირეკალიბრიანი ზარბაზანი.
12. პეტრე ჩაიკოვსკი.
13. „მოლოტოვ პრავ!"
14. ერთგვარი ფხვიერი ყველი.
15. ფიდელ კასტროს.

ალბომი ფოტოებში

ეს სურათი ქობულეთელმა მკითხველმა გამოგვიგზავნა და ასეთი წარწერა დაურთო: „ეს ფოტო გადავიღე „ცოცხალი ჯაჭვის" დროს ეს ძაღლი იდგა და თათით ტრანსპარანტი ეჭირა... EKO BOY ქობულეთიდან"

შეგახსენებთ, რომ ნამუშევრები შეგიძლიათ გამოგვიგზავნით ელფოსტით: gza.fantazia@gmail.com, „ჯვრის პლატრის" („სიტყვა და საქმის") საფოსტო ყუთების (კონვერტზე მიაწერეთ „გზისთვის") შეშველობით ან მოგვაწოდოთ რედაქციაში: მის: თბილისი, იოსებიძის ქ. №49.

როგორ მოვუაროთ მშრალ და ცხიმიან თმას



ყველაზე ნაკლებპრობლემური ეწ. ნორმალური ტიპის თმაა. მის მოსავლელად განსაკუთრებული ძალისხმევა არ გჭირდებათ. მაგრამ ძალზე მშრალი ან პირიქით, ცხიმიანი თმის პატრონებმა სასურველია იცოდნენ — თმა მუდამ წესრიგში რომ ჰქონდეთ, მას საგანგებოდ უნდა მოუარონ.

ცხიმიანი თმის დასაბანად გამოიყენეთ გაგრილებული და გადაწურული მუხის ქერქის ნახარში (3 ს/კ მუხის ქერქს დაასხით 1 ლ წყალი და ადუღეთ 15 წუთის განმავლობაში); მშრალი თმა კი დაბანის წინ დაიმუშავეთ აბუსალათინის, ნუშის ან ზეითუნის ზეთით. შემდეგ თავზე შემოიხვიეთ თბილი პირსახოცი. ერთი საათის შემდეგ, შეგიძლიათ თავი ჩამოიბანოთ და 1 ცალი ათქვეფილი კვერცხი ან ცოტაოდენი ამუავებული რძე შეიზილოთ. ბოლოს ჩაის, გვირილის ან ცაცხვის ნაყენი გადაივლეთ.

ნიღბები ცხიმიანი თმისთვის

ერთი კვერცხის გულს შეურიეთ 1 ჩ/კ წყალი, შეიზილეთ თმაში, გაიჩერეთ დაახლოებით 10 წუთი, შემდეგ კი ჩამოიბანეთ. კვერცხის გული სასარგებლოა იმით, რომ მასში არსებული ქოლესტერინი ხელს უშლის ზედმეტი ცხიმის წარმოქმნას.

1-2 კვერცხის ცილა საგულდაგულოდ, ქაფის წარმოქმნამდე თქვიფეთ, შეიზილეთ თმაში და გაიჩერეთ, ვიდრე კარგად არ გაშრება. შემდეგ თმა გოგირდის შემცველი საპნით ჩამოიბანეთ.

100-150 გ შავი პური დააქუცმაცეთ და დაასხით ადუღებული, ცხელი წყალი. როცა წყალი ოთახის ტემპერატურამდე გაგრილდება, მომზადებული ნარევი შეიზილეთ თმაში, შემოიხვიეთ პოლიეთილენის თავსაბურავი და გაიჩერეთ 20-30 წუთი. შემდეგ კი უსაპნოდ ჩამოიბანეთ.

ნიღბები მშრალი თმისთვის

ათქვეფილი კვერცხის გული ფრთხილად შეიზილეთ თმაში. 10-15 წუთით შეიფუთეთ და შემდეგ ჩამოიბანეთ.

დაბანიდან დაბანამდე, თმა პერიოდულად შეგიძლიათ კვებოთ ზეთების ნარევით (1 წილი აბუსალათინის და 3 წილი ნუშის ზეთი). ამ ნარევით დაისველეთ ხელისგულები და ნაზი მოძრაობით წაისვით თმაზე. შემდეგ ჩამოიბანეთ. ■

რას სვამენ ნამდვილი მამაკაცები

სასურველია, ქალებმა იცოდნენ, რომ ნამდვილი მამაკაცისთვის ხარისხიანი სასმელი ისეთივე აუცილებელი ატრიბუტია, როგორიც გემოვნებით შერჩეული ტანისამოსი, აქსესუარები თუ ნატიფი არომატის მქონე სუნამო. რაც უფრო ნაკლებად ეტანება სასმელს ადამიანი, მით უფრო დახვეწილი უნდა იყოს მისთვის სმის პროცესი. „დაგემოვნებით და მცირე დოზებით“ — ასეთია ათწლეულების დევიზი, მაგრამ ვიცით კი ქალებმა, რა ღირს ის ხარისხიანი სასმელი, რომელსაც ჩვენი „ნამდვილი მამაკაცი“ მიირთმევს? იმის მიხედვით, თუ რას სვამს მამაკაცი, მისი ჯიბის მდგომარეობაზეც შეგვიძლია შევიქმნათ გარკვეული წარმოდგენა. ასე რომ, ჩვენ მიერ შემოთავაზებული ინფორმაცია, სასმელებისა და მათი ღირებულების შესახებ შეიძლება თქვენთვის სასარგებლო აღმოჩნდეს.



ვისკი — ამერიკულ სასმლად მიიჩნევა. თუმცა, ის შვეიცარიელების გამოგონებაა. შვეიცარიული ექსპორტიდან ყველაზე ხელმისაწვდომია „როიალ სალუტი“ და „ჩივას რეგალი“ — მათი ფასი 20-დან 70 დოლარამდეა; „სვინგი“ — $30 ღირს. ნაკლებად ცნობილია 25 წლის სიძველის „მაკალან ჰაილანდ სინგლი“ — ის, ვინც მას მიირთმევს, კარგი სპეციალისტ-დეგუსტატორია.

რომი — ოდესღაც მეკობრეების სასმლად მიიჩნეოდა. ვარაუდობენ, რომ მისი სამშობლო ცენტრალური ამერიკაა. დღეს ამერიკაში რომს განსაკუთრებით ესპანურენოვანი მოსახლეობა ეტანება. ყველაზე იაფფასიანი თეთრი რომი — $15 ღირს. ჰაიტიზე, იამაიკასა და პუერტო-რიკოში დამზადებული რომი უფრო ძვირია.

ტეკილა კაქტუსის არაყია. აშშ-ში იგი მექსიკიდან და ლათინური ამერიკიდან გავრცელდა და პოპულარობა ეგზოტიკური სუნითა და გემოთი მოიპოვა. ტეკილა უნდა მიირთვათ ერთბაშად. ყველაზე ძვირად ღირებულია „ჩინაკო“ — მისი ფასი $30-ია. ნამდვილ ტეკილას მუხის კასრებში 2 წლის განმავლობაში ინახავენ.

ამერიკასა და ინგლისში პოპულარულმა, გემრიელმა და სასარგებლო **ჯინმა** ვერაფრით მოიპოვა არისტოკრატიულის სტატუსი. საუკეთესო ჯინი — „ბომბეი საპფარი“, რომელიც არომატით ფასობს, ნუშის ნაყოფზე, ლიმონის ქერქზე, მიხაკსა და ქინძზეა დაყენებული. მისი ფასი $21-ია.

კონიაკი (და ბრენდი) — ანგლო-ამერიკული სასმელია, თუმცა, მას სხვა ქვეყნებშიც ამზადებენ. ბრენდი იგივე კონიაკია, ოღონდ ნაკლებად დაძველებული. საუკეთესო კონიაკის დასაყენებლად საჭირო მასალას მუხის კასრებში ზოგჯერ 10 წელზე მეტხანს ინახავენ. კონიაკი უნდა მიირთვათ ნასადილევს, ყავასა და სიგარეტთან ერთად. პოპულარულია „მარტელი“, „რემი“, „მარტინი“ და „ნაპოლეონი“. მათი ფასი 10-დან 30 დოლარამდეა. გაცილებით ძვირად ღირებული და ხარისხიანი კონიაკებია: „დელამენ ტრე ვენერაბლი“ — $117; „ზესენი პარადაიზ“ — $120-180; „მარტელ კორდონ ბლიუ“ — იყიდება ბროლის ჭურჭელში — $350; „რემი ლუი XIII“ — $610; 1914 წლის „ჰაინ ექსტრა“ — $950; 150 წლის „ზარდი გრან შამპან“ — $3.500. ■

ერთკვირიანი დიეტა სხეულისა და კანის სილამაზისათვის

თუკი უკმაყოფილო ხართ თქვენი წონით, პრეტენზია გაქვთ კანისა და თმის მდგომარეობის მიმართ, პრობლემების გადაჭრა ორგანიზმის შინაგანი ფუნქციების მოწესრიგებით უნდა დაიწყოთ. ამისთვის კი შეგიძლიათ ერთკვირიანი განმტვირთავი დიეტა დაიცვათ. დიეტის ავტორები ირწმუნებიან, რომ უკვე მესამე დღეს კანი სასიამოვნო ვარდისფერს მიიღებს, თვალებს ბრწყინვალება დაუბრუნდება და რაც მთავარია, მთელ სხეულში უჩვეულო სიმსუბუქეს იგრძნობთ.

დიეტის დაწყებამდე რამდენიმე რჩევა გაითვალისწინეთ:

დიეტის დაცვისას ორგანიზმი დაგროვილი ტოქსინებისგან თავისუფლდება და მათ მესამედს ოფლის სახით გამოყოფს. ამიტომაც, დღეში ორჯერ მიიღეთ შხაპი. რაც შეეხება 24-საათიანი მოქმედების დეზოდორატორებს, ისინი საოფლე ჯირკვლების ფუნქციონირებას ახშობს და უმჯობესია, თუ მათი გამოყენებისგან თავს შეიკავებთ.

ქვემოთ მოყვანილი მარტივი პროცედურები კი სტიმულს მისცემს სისხლის მიმოქცევას და დიეტას უფრო ეფექტურს გახდის:

შხაპის მიღებისას სხეული უხეში ჯაგრისით დაიზილეთ.

კვირაში ორჯერ ზღვის მარილის აბაზანა მიიღეთ. პროცედურის ხანგრძლივობა 15 წუთია.

დილით საწოლიდან უცბად არ წამოდგეთ, ჯერ კარგად გაიზმორეთ, მიიხედ-მოიხედეთ და სასიამოვნო ამბავი გაიხსენეთ.

ახლა დიეტის შესახებ:

პირველი დღე

საუზმე: ხილი და ნიგოზი (ან თხილი);

სადილი: მოშუშული ბოსტნეული და ხაჭო;

ვახშამი: ხილის სალათა, იოგურტი და ორცხობილა;

შუალედებში — ვაშლი;

ყურადღება! დიეტის დაცვისას, ყოველდღიურად, მინიმუმ 2,5 ლ წყალი, ბალახის ან ხილის ჩაი დალიეთ.

მეორე-მეოთხე დღე

საუზმე: ბალახის ან ხილის ჩაი, ერთი ჩ/ჭ მწნილის წვენი;

სადილი: ბოსტნეულის ბულიონი (აიღეთ 100 გ ნიახურისა და ოხრახუშის ძირები, 50 გ კარტოფილი, 30 გ პრასი და ერთი სტაფილო. ყველაფერი მსხვილად დაჭერით, დაუმატეთ შავი პილპილი, დაფნის ფოთოლი და 1 ლ წყალში 30 წუთი ხარშეთ);

ვახშამი: ერთმანეთში გაზავებული ნახევარი ჭიქა ბოსტნეულის წვენი და ნახევარი ჭიქა წყალი.

მეხუთე დღე

საუზმე: 4-5 ცალი შავი ქლიავის ჩირი, ბალახის ან ხილის ჩაი;

სადილი: ბოსტნეულის ბულიონი კარტოფილით;

შუალედებში: ვაშლი;

ვახშამი: პომიდვრის წვნიანი ორცხობილასთან ერთად; ბალახეული ნაყენი.

მეექვსე-მეშვიდე დღე

საუზმე: 4-5 ცალი ლეღვი ან შავი ქლიავის ჩირი; ბალახის ან ხილის ჩაი;

სადილი: მოშუშული ბოსტნეული (უმარილოდ) და კარტოფილის პიურე (რძის გარეშე), ცოტაოდენი კარაქით და დაჭრილი ოხრახუშით;

შუალედებში: ნიგოზი, თხილი ან ნუში;

ვახშამი: ორცხობილა, ხაჭო, ასკილის ნაყენი.

ამ დიეტის შემდეგ, საკუთარ თავს სასიკეთო ცვლილებებს თვალნათლივ შეატყობთ. თუმცა კვებისას ზომიერების გამოჩენა არც დიეტის დამთავრების შემდეგაც გაწყენდათ. ■

სალათა გამლით

(1 ულუფისთვის)

მასალად საჭიროა:

200 გ კარტოფილი;
75 გ მწვანე ლობიო;
1/2 შეკვრა მწვანილი;
1 პატარა ვაშლი;
1 ჩ/კ ლიმონის წვენი;
1/2 ხახვი;
1 კონა კამა;
1 ს/კ ვაშლის ძმარი;
1 ს/კ მცენარეული ზეთი;
25 გ შებოლილი ხორცი.

მომზადების წესი:

მოხარშეთ კარტოფილი კანიანად. შემდეგ ცივი წყალი გადაავლეთ და გაფცქვენით. მწვანე ლობიო მოხარშეთ მარილიან წყალში. ვაშლი გარეცხეთ და 4 ნაწილად გაჭერით. ვაშლი და კარტოფილი თეფშზე ლამაზად დაანყვეთ. მოასხით ლიმონის წვენი და მოაყარეთ მწვანილი.

ხახვი წვრილად დაჭერით, ჩაყარეთ ძმარჩასხმულ ჭურჭელში და მიიყვანეთ ადუღებამდე.. მოასხით სალათას ძმარი და ზეთი. შემოუწყვეთ შებოლილი, წვრილად დაჭრილი ხორცი და კამა. მოაყარეთ მარილი. აურიეთ ყველა ინგრედიენტი ერთმანეთში და გაალამაზეთ მწვანილით. ■

აირჩიე და შეიძინე სახლიდან გაუსვლელად
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. რეიტინგი	1.00	26.0
2. გზა	0.80	20.8
3. Женский журнал	11.65	69.7
4. Женское здоровье	7.00	41.8
5. Сандра	4.00	24.0
6. Все для женщины	0.80	19.9
7. Гламур	7.20	43.2

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი"

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები



ლიდგორის ცაზე ფრენდა ის ჯვარი

გოჩა მანველიძე

დასაწყისი „გზა“ №24-36

ნაწარმოებზე თქვენი შთაბეჭდილება შეგიძლიათ გაგვიზიაროთ ელფოსტით gza.fantazia@gmail.com

კარანაუსელთა რაზმმა ბანაკამდე მიაცილა აზიზი და გუელმო და მაშინვე მოითხოვა ანგარიშის გასწორება. ასი ოქროს დინარი, — ამდენი იყო მათი სამფლობელოს გადაკვეთის საფასური. ხარკი ჩვეულებრივზე ორჯერ მეტი აღმოჩნდა, მაგრამ აზიზსა და გუელმოს ვაჭრობა აღარ დაუწყიათ. ორივე ხვდებოდა, რომ ამას აზრი არ ჰქონდა. კარანაუსელი მებრძოლები მომზადებულნი ელოდნენ მათ პასუხს და უარის შემთხვევაში იარაღის ძალით მიაღწევდნენ საწადელს. თანაც ორივეს ეჩქარებოდა მათი თავიდან მოშორება.

— რა მოხდა?.. სად არის ჰასანი? — იკითხეს მუროჩიმ და გუელმომ, როგორც კი კარანაუსელთა რაზმი ბანაკს დაშორდა.

— ცუდადაა საქმე, ძალიან ცუდად, — თავი ჩაღუნა გუელმომ, — კარანაუსელთა ბელადმა ჰასანი სელჩუკთა მსტოვრად მიიჩნია და დაატყვევა.

— როგორ თუ დაატყვევა?! — ახმაურდნენ ჰასანის ღულამები. — როდემდე ეყოლება ტყვედ?!

— მამარმა თქვა, რომ საკადრისად დასჯის, მაგრამ თუ რას ითვალისწინებს ეს სასჯელი, არაფერი უთქვამს, — განაგრძო გუელმომ.

— და შენ მშვიდად გამობრუნდი უკან და კარანაუსელ ყაჩაღებს დინარები მიუთვალე?! — გაშმაგებული ღულამები აზიზს მიუბრუნდნენ.

— აბა, რა უნდა მექნა. კარანაუსელებს ომს ხომ არ გამოვუცხადებდი?! სულთნის ლაშქარმა ვერ მოშალა კრაზანათა ბუდე და ჩვენ რას გავაწყობდით?! — ხმას აუწია ჩაუშმა.

— შენ ოქრო მიიღე ჩვენი ბატონისგან და პირობა მიეცი, რომ ქარავანს მშვიდობით გადაიყვანდი უღელტეხილზე. სად არის შენი სიტყვა?! თუ კარანაუსელებთან საერთო ენის გამონახვა არ შეგეძლო, აქეთ საერთოდ არ უნდა წამოგეყვანა ქარავანი! — ყვირილი განაგრძეს ჰასანის ღულამებმა.

— გაჩუმდით!.. ყველანი გაჩუმდით. თქვენ არაფერი იცით, რა მოხდა მამარის სიმაგრეში, — ბრაზით წამოიძახა აზიზმა, — მე ბრალი არ მიმიძღვის. ჰასანის სელჩუკობაც არაფერ შუაშია. ის სხვა მიზეზის გამო დაატყვევეს!

— რა მიზეზის გამო? — გაოცებულმა გამოხედა გუელმომ. — ჩვენ ერთად ვიყავით მამარის სიმაგრეში. კარანაუსელთა ბელადს სხვა არაფერი უთქვამს!

— შენც არ იცი ყველაფერი, — ყრუდ ჩაილაპარაკა აზიზმა.

— მერედა, გვითხარი: რა არის აქ დასამალავი, — ჩაურთო მუროჩიმ.

აზიზმა წვერი მოიფხანა და ხმადაბლა ჩაილაპარაკა:

— ჩემს კარავში წავიდეთ. იქ გიამბობთ ყველაფერს.

აზიზმა მარტო მუროჩი და ვენეციელები შეუშვა კარავში. ჰასანის ღულამებს კი გარეთ დარჩენა უბრძანა.

— ცუდი საქმე შეგვემთხვა. ეს მარტო ჰასანსაც აღარ ეხება. მამარი უკან გაბრუნებასაც გვიკრძალავს. დღესვე თუ არ გავაგრძელეთ გზა, მისი მეომრები თავს დაგვესხმიან და თავებს დაგვაყრევინებენ, — წამოიწყო ჩაუშმა.

— ამის სათქმელად მოგვიწვიე კარავში?! — ბრაზი მოერია გუელმოს.

— არა... დანარჩენსაც გეტყვით. ახლა იმას ვამბობ, რაც სასწრაფოდ უნდა გაკეთდეს. კარანაუსელები თვალყურს გვადევნებენ და ბანაკი თუ არ ავშალეთ და გზას არ გავუდექით, თავს დაგვესხმიან, — უპასუხა აზიზმა.

— ჰასანი?! — ცივად ისროლა მუროჩიმ.

— ჰასანს ვეღარაფრით დავეხმარებით, — ამოიოხრა აზიზმა.

— ამას ამბობს კაცი, რომელიც ცოტა ხნის წინ ჰასანის მეგობრობაზე თავს დებდა! — დამცინავად შენიშნა მუროჩიმ.

— გურჯო, შენ არაფერი იცი ამ ქვეყნის შესახებ. არაფერი იცი, მამარის შესახებ და ვერ ხვდები, რა მოგველის. როგორ გგონია, რატომ არ გვაძლევს მამარი უკან გაბრუნების ნებას?

— რატომ? — ჰკითხა მუროჩიმ.

— მამარს ბალქში დაბანაკებული სულთნის ჯარი აფიქრებს.

— რა მნიშვნელობა აქვს ბალქსა და ბადახშინს? — გაუკვირდა მუროჩის. — განა, იქ არ დგას ჯარი?

— იქ ბადახშინის ამირას ჯარი დგას. ამირა სულთნის მსახურია, მაგრამ ერთი, თუნდაც სულთნის ყოფილი შავხიფთანიანთა ასისთავის გამო, კარანაუსელებს ომს არ გამოუცხადებს. შეხედე, ვინ ვართ აქ?.. ორი ვენეციელი ვაჭარი, ერთი გურჯი და ერთიც უბრალო ჩაუში. რას ვავნებთ ჩვენ კარანაუსელთა ბელადს?.. ვერაფერს. მას ჩვენი სისხლი არ სწყურია. ისიც იცის, რომ ბადახშინის ამირა ლაშქარს არ დაძრავს. ამიტომაც გვიშვებს უვნებლად...

— თუ არ ეშინია, უკან რატომ არ გვიშვებს? — შეაწყვეტინა გვიდომ.

— ომს სულთნის ლაშქარიც არ გამოუცხადებს, მაგრამ სელჩუკთა გამოწვევაც არ უნდა. სელჩუკები წყენას არ დაივიწყებენ და ომით თუ არა, სხვანაირად მაინც გადაუხდიან სამაგიეროს, მაგრამ როდის იქნება ეს?.. ალბათ წელიწადი გავა, ვიდრე ქარავანი უკან მობრუნდება. იქნებ საერთოდაც არ ეღირსოს უღელტეხილის გადმოლახვა. უკან დაბრუნება რომც მოვახერხოთ, მე მაინც ვეღარ გაგიწევთ მეგზურობას და სხვა ქარავანსაც ვეღარ გადმოვიყვან უღელტეხილზე.

— რატომ? — გაუკვირდა გვიდოს.

— მამარმა მის სამფლობელოში გამოჩენა ამიკრძალა. გამაფრთხილა: კარანაუსელთა მიწაზე ფეხი თუ შემოდგი, თავს გაგაგდებინებო! ეს იმიტომ თქვა, რომ თქვენს უკან დაბრუნებამდე არ მივაწვდინო ხმა სულთნის მხედრებს.

— ასე რატომ უმტრეს ჰასანს? — ჰკითხა მუროჩიმ. — თავადაც უთქვამს, რომ რამდენჯერმე ყოფილა კარანაუსელთა სამფლობელოში. ადრე არავის მიუქცევია ყურადღება მისი სელჩუკობისთვის.

— მისი სელჩუკობისთვის ახლაც არავის მიუქცევია ყურადღება, — ამოიოხრა აზიზმა.

— მაშინ რისთვის დაატუსაღეს? — გაუკვირდა გვიდოს.

— ამან მეც გამაოცა, — განაგრძო აზიზმა, — არ მჯეროდა მამარის სიტყვები. ჰასანი ბევრჯერ გადასულა უღელტეხილზე. მამარის სიმაგრესაც სტუმრებია. მაშინ მისი სელჩუკობა არავის გახსენებია. სხვა რამემაც გამაკვირვა. მომეჩვენა, რომ კარანაუსელები წინასწარ იყვნენ გაფრთხილებულნი და ქარავანს ელოდნენ. სხვანაირად საიდან უნდა სცოდნოდათ კარანაუსელებს, რომ ქარავანს ჰასანიც მოჰყვებოდა?

— იქნებ არც იცოდნენ? — ჩაურთო გვიდომ.

— იცოდნენ. მამარმა ერთი სიტყვის თქმაც არ გვაცალა. პირდაპირ შეგვიტია. ჰასანს მსტოვრობა დასწამა და თავის ხალხს მისი დატუსაღება უბრძანა.

— კარგი... ვთქვათ, კარანაუსელებმა

იცოდნენ, რომ ქარავანს ჰასანი მოჰყვებოდა. ვის უნდა გაეფრთხილებინა ისინი? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არ ვიცი და ალბათ ვერასოდეს გავიგებ ამას, — სწრაფად თქვა აზიზმა, — ამის დროც არ გვაქვს. ქარავანი უნდა ავშალოთ და გზას გავუდგეთ.

— რა თქვი?! — მოიღრუბლა მუროჩი.

— შენ მგონი, რაღაც გქონდა ჩვენთვის სათქმელი?! — მხარი აუბა გუელმომ.

— ჰასანის ღულამების მოთოკვაში უნდა დავეხმაროთ. მე კარგად ვიცნობ მაგ ხალხს. მისთვის სიცოცხლესაც არ დაიშურებენ, მაგრამ ახლა მათ თავგამოდებას ყველას დაღუპვა შეუძლია, — თქვა აზიზმა.

— მარტო ღულამების?! — ბრაზით ჰკითხა მუროჩიმ.

— შენ რაღას ეძებ, გურჯო? მიხვდი, რომ ეს სავაჟკაცო საქმე აღარ არის. განა ომში ამხანაგი არ დაგღუპვია?.. ახლაც ასეა. ჩათვალე, რომ ჰასანი ომმა შეიწირა და გონს მოეგე, თორემ ალაჰს ვფიცავარ, ჩემს მცველებს გავათოკვინებ შენს თავს და ჯორზე აკიდებულს გატარებ ბადახშინამდე!

ამის თქმა იყო და, მუროჩი ადგილს მოსწყდა, აზიზი მიწაზე დასცა, ყელში ხანჯალი მიაბჯინა და ბრაზით ჩასძახა:

— რაღაცას ხლართავ, ჩაუშო. თუ ახლავე ყველაფერს არ მეტყვი, უღელტეხილსა და ბადახშინს ველარასოდეს იხილავ. აქვე გაგაგდებინებ თავს!

— გუელმო, შენ მაინც უთხარი. განა, თავად არ მოისმინე, რაც გვიბრძანა მამარმა?! — ამოიხრიალა აზიზმა.

— დაწყნარდი... აზიზი მართალია, — აჩქარდა ვენეციელი, მაგრამ მუროჩიმ ყურადღება არ მიაქცია. ავად გააღრჭიალა კბილები და კანი მსუბუქად გაუსერა.

ცივი და ბასრი ფხის შეგრძნებამ აზიზი უმალ გამოაფხიზლა.

— კარგი... ყველაფერს გეტყვი... — ჩაილაპარაკა უღონოდ.

ამ სიტყვების გაგონებაზე მუროჩიმ ხანჯალი მოაშორა და უკან გადგა. როგორც კი თავისუფლება იგრძნო, აზიზი წამოჯდა, თავი დახარა და ყრუდ ალაპარაკადა.

— კარგი, გეტყვი, რაც მოხდა კარანაუსელთა ბელადის სიმაგრეში. მერე თქვენ თავად გადაწყვიტეთ, როგორ მოიქცევით. ძალას აღარ დაგატანთ. თუ არ გამომყვებით, ჩემს ხალხს ავიყოლიებ და მარტო წავალ უღელტეხილისკენ... მამარმა მოკლედ თქვა სათქმელი და დარბაზიდან დაგვითხოვა. ის ღამე სიმაგრეში გავატარეთ. გუელმოს მალე ჩაეძინა. ჩანს, დაღლილობამ დაჯაბნა. მე კი ვერაფრით შევძელი მოსვენება. შამფურივით ვტრიალებდი და მომხდარზე ვფიქრობდი. ვგრძნობდი, რომ მამარი ცრუობდა. ჰასანის სელჩუკობა არაფერ შუაში იყო. სელჩუკი ვაჭრები ადრეც შესულან მის სამფლობელოში და ხვალაც შეუფერხებლად გადავიდოდნენ უღელტეხილზე. ამაში დარწმუნებული ვიყავი, მაგრამ მაინც ვერ ვხვდებოდი მამარის ქცევის მიზეზს... შუაღამით კარის ჭრიალი ჩამესმა. შევშინდი. მამარს ჩვენი ქურდულად დახოცვა ხომ არ გადაუწყვეტია-მეთქი?! კაცი, რომელსაც კარში ვკიდე თვალი, მართლაც მკვლელს ჰგავდა. შავ მოსასხამში იყო გახვეული და სახეც შებურვილი ჰქონდა. იმ კაცმა გუელმო შეათვალიერა, დარწმუნდა, რომ ეძინა და მერე მანიშნა: გამომყევიო. მეშინოდა... ძალიან მეშინოდა, მაგრამ რა უნდა მექნა. იარაღაყრილს ისედაც იოლად მომიღებდნენ ბოლოს. თანაც ვფიქრობდი: მამარს ავი რომ სურდეს, ღამით რისთვის მომიგზავნიდა მკვლელს, მისი ერთი სიტყვაც საკმარისი იქნებოდა, რომ კარანაუსელები იქვე დაგვაყრევინებდწენ თავებს-მეთქი: ავდექი და იმ კაცს გავყევი. მივხვდი, ისიც ფრთხილობდა და ფეხაკრეფით მიუყვებოდა ჩაბნელებულ დერეფანს. ყოველ გაფაჩუნებაზე კედელს ეკვროდა და მეც მანიშნებდა: ფრთხილად, ვინმემ არ შეგვნიშნოსო. ასე გავიარეთ დერეფანი. მერე სადღაც დაბლა, მიწის ქვეშ დავეშვით. კიბის ბოლოს ასევე შავმოსასხამიანი და სახეშებურვილი კარანაუსელები დაგვხვდნენ. ოთხნი იყვნენ. ქანდაკებებივით ასვეტილიყვნენ აქეთ-იქით. ჩვენს დანახვაზე ერთ-ერთმა კარი გააღო და მანიშნა, — შედიო. გამცილებელი აღარ გამომყოლია. მარტო კარამდე მიმაცილა... პატარა დარბაზში შევედი. მაშხალა ძლივს ანათებდა იქაურობას. დარბაზში ერთი კაცი დამხვდა. ეს იყო კარანაუსელთა ბელადის უმცროსი ძმა,

აბუბაქარ მამარი...

— ჯაფარის უმცროსი ძმა? — გაუკვირდა გუელმოს. — რისთვის უნდა დასჭირვებოდა შენთან ფარულად შეხვედრა? განა, იქ არ იყო, როცა უფროს მამარს შევხვდით?

— იქ იყო, — დაუდასტურა აზიზმა, — მაგრამ მაინც ფარულად შეხვედრა ამჯობინა.

— რისთვის?

— მანამდეც ხომ შეშინებული ვიყავი, მაგრამ მასთან შეხვედრამ საერთოდ დამზაფრა. აბუბაქარმა გამანდო ჰასანის დატყვევების ნამდვილი მიზეზი. თურმე ის მთის ბერების ბრძანებით დაუტუსაღებიათ!..

— მულიდების?! — დაიბნა გუელმო.

— სწორედ რომ მულიდების.

— მაგრამ რა შუაში არიან მთის ბერები?.. ან როგორ უნდა უბრძანონ კარანაუსელთა ბელადს, რომელიც სულთანსაც კი არ ემორჩილება?! — ჰკითხა გვიდომ.

— თქვენ არაფერი იცით მთის ბერების შესახებ. ისინი არ ომობენ ლაშქრით, მაგრამ მათი სულთანსაც კი ეშინია. შაითანისებური გარდაქმნის საიდუმლოებაშია მათი ძალა. მათ ვერავინ ხედავს და ამ დროს ისინი ყველგან არიან. ვერც ერთი ამირა და ხალიფა ვერ იგრძნობს თავს მშვიდად, თუ მთის ბერები მასზე განაწყენებული არიან. გავა ერთი დღე, მეორე, მესამე და უახლოესი ქვეშევრდომი ან ერთგული მცველი გაუყრის წვერმოკაუჭებულ ხანჯალს და მერე თავს მთის ბერად გამოაცხადებს. ასეთი რამ ბევრჯერ მომხდარა სპარსეთში. ამიტომაც ნუ გიკვირთ, როცა ვამბობ, რომ მამარს მთის ბერებმა უბრძანეს ჰასანის დატუსაღება.

— რისთვის? — ჰკითხა მუროჩიმ.

— დაგავიწყდათ, რა მოხდა ბაღდადში?.. ჰასანმა ხომ მულიდი მოკლა და ახლა მათ შურისძიება განუზრახავთ. საერთოდ მთის ბერებს ასეთი რამ არ სჩვევიათ. ისინი მშვიდად კვდებიან. სჯერათ, რომ სამოთხეში მოხვდებიან, მაგრამ ის მულიდი განსაკუთრებული ყოფილა და მათ ბელადს შურისძიება უბრძანებია. აბუბაქარმა ყველაფერი მიამბო. იმ დღის მერე მთის ბერები ყველგან უთვალთვალებდნენ ჰასანს. ისიც იცოდნენ, რომ ის შორი მოგზაურობისთვის ემზადებოდა, მაგრამ ზღვაზე და ბაჰრეინში ვერსად მოიხელთეს. ვერ მოიხელთეს უდაბნოშიც და ამიტომაც დაუგეს ხაფანგი კარანაუსელთა სამფლობელოში.

— ახლა ისინი აქ არიან?! — მოიღრუბლა მუროჩი.

— არ ვიცი, — მხრები აიჩეჩა აზიზმა, — ეგ აბუბაქარმაც არ იცის.

— როგორ?.. — გაუკვირდა გუელმოს. — მაშ, ვინ უბრძანა მამარს ჰასანის დატყვევება?

— თქვენ არ იცნობთ მულიდთა წესებს. ხომ გითხარით: მათი ნახვა ძალიან ძნელია. აქ მოსულიც არავის უნახავს, მაგრამ ბრძანება მაინც მიიღეს. დილით სიმაგრის ჭიშკართან წერილი და წვერმოკაუჭებული ხანჯალი ნახეს. წერილით მულიდები ჰასანის დატუსაღებას

ბრძანებდნენ, ხანჯლით კი მამარს აფრთხილებდნენ, რომ ბრძანებას თუ არ შეასრულებდა, ასეთი ხანჯლით მოუღებდნენ ბოლოს, — თქვა აზიზმა.

— მთის ბერებს შურისძიება თუ სწყურიათ, მამარს ჰასანის მოკვლა რატომ არ უბრძანეს? — ჰკითხა გვიდომ.

— ეგ მეც მიკვირს. მოკვლა რომ ებრძანებინათ, მამარი ჰასანს უყოყმანოდ გააგდებინებდა თავს, მაგრამ მათ მარტო დატუსაღება ბრძანეს. შეიძლება, რაღაც სხვა აქვთ განზრახული. თავად სურთ ჰასანის მოკვლა, — ივარაუდა აზიზმა.

— იქნებ მისი წაყვანა უნდათ? — თქვა გუელმომ.

— არა... მულიდები სელჩუკ ტყვესთან ერთად ასეთ მანძილს ვერ გაივლიან. მათ ხომ ბალქს უნდა აუქციონ გვერდი, მერე გადალახონ უდაბნო და ჩავიდნენ ორმუზში. არა... ეს გამორიცხულია, — თავი გაიქნია აზიზმა.

— მაშინ რა მიზეზი უნდა ჰქონდეს მათ ასეთ საქციელს? — ჩაფიქრდა გვიდო.

— მულიდები თავად მივლენ მამარის სიმაგრეში, — განაგრძო აზიზმა, — ვგონებ, ისინიც არ ენდობიან კარანაუსელთა ბელადს. იქნებ ეჭვობენ, რომ ის სულთნის კარზე ცნობილ კაცს მათი ბრძანებით მოკლავს. მამარმა სხვა კაცი რომ შეაპაროს?

— ესე იგი, მამარი მთის ბერებს ელის? — ჩაილაპარაკა მუროჩიმ.

— ელის და მე ვიცი, ვისაც, — გახედა აზიზმა, — გახსოვთ ის ხალხი, ფარულად რომ მოგვდევდა უდაბნოში? მაშინ მეგონა, რომ ბალქის სიახლოვეს გადაგვისწრეს და სადმე წინ დაგვხვდებოდნენ. ახლა კი ვხვდები, რომ არ გადაუსწრიათ. უბრალოდ, გაგვერიდნენ და ახლაც შორიდან გვითვალთვალებენ. მიტომაც არ უნდა მამარს ჩვენი უკან გაბრუნება. ბილიკი ერთია და ეშინია, რომ უკან გაბრუნებულები მთის ბერებს გადავაწყდებით.

— მერამდენე მიზეზს იგონებ, აზიზ?! — შეუბღვირა მუროჩიმ. — წეღან ამბობდი: მამარს სელჩუკები აფიქრებს და მიტომაც არ გვიშვებს უკანო. ახლა ამბობ: არ უნდა, რომ მთის ბერებს გადავაწყდეთო!.. რომელია მართალი?!

— ერთიც და მეორეც, — წარბი არ შეუხრია აზიზს, — მამარს სელჩუკებიც აფიქრებენ და მთის ბერებიც. ახლა უკან გაბრუნებულები მთის ბერებს რომ გადავაწყდეთ და შურისძიებისთვის გავულიტოთ, მამარი მკაცრად დაისჯება. ჩვენ მისი ლაშქარი გვაშინებს, მაგრამ სამ და ათ ბერს ხომ გავუსწორდებით. ამას კი მულიდები არ აპატიებენ და მკვლელს მიუგზავნიან... უკვე ვთქვი, რომ ერთი კაცის მიზეზით ბალქის ლაშქარი ომს არ დაიწყებს. მაგრამ თუ მათ შეიტყვეს, რომ ის კაცი მთის ბერების ბრძანებით მოიკლა, კარანაუსელებს ველარაფერი უშველის. სულთანი არავის აპატიებს განდგომასა და მულიდების მიმხრობას. მთელი ლაშქარიც რომ გაწიროს, კარანაუსელებს მაინც სასტიკად დასჯის.

— ვერაფერს ვხვდები, — მხრები აიჩეჩა გუელმომ, — თუ მამარს ასე ძალიან აშინებს ამ ამბის გახმაურება, რატომ გვიშვებს?.. მისი ერთი სიტყვაც იკმარებს ჩვენს გასაქრობად და სამუდამოდ დასადუმებლად.

— იმავე მიზეზით აკეთებს ამასაც. სელჩუკებისაც ეშინია და მთის ბერებისაც. მულიდები ცნობილნი არიან ვერაგობით. ვინ იცის, რა მოხდება, მამარმა თავები რომ დაგვაყრევინოს?.. ვაითუ, მულიდებმა თავად აცნობონ სულთანს: ჩვენი დავალებით ჩაიდინა კარანაუსელთა ბელადმა ეს საქმეო!.. მთაში ამოსული ყველა ქარავანი კი პირადად სულთნის მფარველობის ქვეშაა. მამარმა ამით მიიღო მშვიდობა. სულთანს აღუთქვა, რომ ქარავნებს დაუბრკოლებლად გაატარებდა უღელტეხილზე და ამაში მიიღებდა ხარკს. ამ პირობის დარღვევა იმავე ომის ტოლფასია.

— გამოდის, რომ მამარიც ცუდ დღეში ყოფილა, — ივარაუდა გვიდომ.

— ცუდ დღეშია და მიტომაც შემხვდა აბუბაქარი, — უპასუხა აზიზმა.

— რა უნდოდა უმცროს მამარს? — ჰკითხა მუროჩიმ.

— ისეთი არაფერი. მთის ბერების ამბავი გამიმხილა. აბუბაქარს ეშინოდა, რომ ჰასანის ღულამები არ დამემორჩილებოდნენ და ბატონის გათავისუფლებას ან გამოსყიდვას ეცდებოდნენ. მითხრა: ამას ნუ გააკეთებთ, ისმინეთ ჯაფარ მამარის სიტყვა და სასწრაფოდ გაეცალეთ აქაურობასო.

— განა, იგივე არ გითხრა მამარმაც? — გაუკვირდა მუროჩის. — რა საჭირო იყო ერთი და იმავეს გამეორება?

— მამარს მთის ბერები არ უხსენებია, — აჩქარდა აზიზი.

— რა შეიცვლებოდა, რომ ეხსენებინა?.. ისეც და ასეც ბადახშინს უნდა წაგეყვანა ქარავანი! — შენიშნა გვიდომ.

— ალბათ იფიქრა, რომ ასე უფრო... — უხალისოდ წამოიწყო აზიზმა, მაგრამ უმალ თვალი მოჰკრა მუროჩის შეკრულ შუბლს, მის მარჯვენაში ავად მოელვარე ხანჯალს და სათქმელი სხარტად შეცვალა, — ეს ბოლოჯერ გაფრთხილებთ, მე თქვენი სამშვიდობოს გაყვანა მინდა, თქვენ კი სიცოცხლე მოგბეზრებიათ!.. ყველაფერს გეტყვით, მაგრამ ამის მერე აქ აღარ დავრჩები. ქარავანს ავშლი და ჩემს ხალხს უღელტეხილისკენ წავიყვან!.. აბუბაქარს არ მოსწონს კარანაუსელთა სამფლობელოში მთის ბერების გამოჩენა. მან კარგად იცის, რომ ერთხელ დამორჩილებულს, კიდევ მიაკითხავენ და ვინ იცის, რას უბრძანებენ?! თანაც მაგ ქაჯებთან არც ერთი ხალხი და ქალაქი არ ამხანაგობს, განსაკუთრებით მუსლიმანები. ჩვენ და მთის ბერები დაუძინებელი მტრები ვართ. ეს საქმე რომ გახმაურდეს, კარანაუსელებს მარტო სულთანი კი არა, მთელი მუსლიმანობა მოეკიდება მტრად. ეს მამარმაც იცის, მაგრამ მაინც დამორჩილება ამჯობინა. აბუბაქარი კი სხვა კაცია. მთის ბერებიც სძულს და მათი მიზეზით სულთანთან მტრობაც არ უნდა. სხვა მიზეზიც აქვს, მაგრამ ეგ ჩვენ აღარ გვეხება...

— რა მიზეზი? — ჩაეძია მუროჩი.

— ისევე, როგორც ყველას, — ამოიოხრა აზიზმა, — აბუბაქარმა იგრძნო, რომ ბელადობიდან ძმის ჩამოშორების შესაძლებლობა მიეცა. თანაც სელჩუკთა ხელით...

— ეს თავად გითხრა? — ეჭვი შეეპარა გუელმოს.

— რა თქმა უნდა, არა, მაგრამ ძალიან ბევრი დრო გამიტარებია სულთანთა და ხალიფათა სასახლეების კარზე და ვიცი, როგორც ხდება ტახტიდან ძმათა ჩამოშორება.

— და ჩვენი ხელით უნდა ძმის მოშთობა? — განაგრძო მუროჩიმ.

— არა... მის სისხლში ხელს არ გაგვასვრევინებს. ჯაფარს და მის ერთგულ ხალხს თავად მოიშორებს თავიდან. ამას ადრეც გააკეთებდა, მაგრამ ძლიერი მიმდევრები არ ჰყავდა. მთის ბერებთან ჯაფარის ურთიერთობამ შესძინა მოკავშირეები. იმედი აქვს, რომ ერთი დაკვრით მოუღებს ბოლოს ძმის ერთგულ ხალხს, მაგრამ მულიდების შურისძიებისა ეშინია.

— მოიცა... მოიცა... ამბობ, რომ ძმას თავიდან მოიშორებს, მაგრამ მულიდების ეშინიაო!.. რა შუაში არიან მთის ბერები?.. განა, ისინი ძმათა დავაში ერევიან? — ჰკითხა მუროჩიმ.

— არ ერევიან. მათ მარტო ჰასანი აინტერესებთ, მაგრამ აბუბაქარს ორი კურდღლის ერთად მონადირება განუზრახავს. ისე მოაწყობს საქმეს, რომ არც მულიდებს გადაიმტერებს და სელჩუკებსაც მოიმადლიერებს.

— მაინც როგორ? — ჰკითხა გუელმომ.

— მამარის სიმაგრეში მთის ბერებს ელიან, მაგრამ მათ არავინ იცნობს. მარტო ის იციან, რომ ამ დღეებში გამოჩნდებიან. აბუბაქარი მოხარული იქნება თუ მთის ბერები სიმაგრემდე ვერ მიაღწევენ!

— რა არის მაგაზე ადვილი? — მხრები აიჩეჩა მუროჩიმ. — მულიდებს ერთი გზა აქვთ. დაახვედროს თავისი ერთგული ხალხი და ამოხოცოს.

— ამას სიხარულით გააკეთებდა, მაგრამ სიმაგრეში მულიდი ან მათი მსტოვარი ეგულება. სხვანაირად მათი წერილი და ხანჯალი როგორ გამოჩნდებოდა?.. აბუბაქარმა იცის, რომ მსტოვრის შეუმჩნევლად ვერ ამოხოცავს მულიდებს. ახლა გზას ჯაფარის ერთგული მხედრები ზვერავენ. მათ აბუბაქარის ხალხიც ურევია. მულიდები შაითნის მოხერხებით ჰბაძავენ სხვა ხალხს. შეუძლიათ სელჩუკ მეომრად გეჩვენონ, მეორე დღეს მუსლიმან დერვიშად გადაიქცნენ. მერე

ქრისტიან ვაჭრად გაასაღებენ თავს. ესაა მათი იარაღი, მაგრამ ახლა ეს იარაღი უნდა გახდეს, მათი სიკვდილის მიზეზი... აბუბაქარი დარწმუნებულია, რომ მულიდები სელჩუკების იერით ამოვლენ მთაში და ვის გააკვირვებს კარანაუსელთა ხელით მათი დაღუპვა?! როგორც კი აბუბაქარი მულიდთა სიკვდილის დასტურს მიიღებს, მისი ერთგული მხედრები, ჯაფარის მზვერავებს ამოხოცავენ. მერე თავად ჯაფარისა და მისი მიმდევრების ჯერი დადგება. იმათ სიმაგრეში მოუღებენ ბოლოს. ძმასთან ერთად აბუბაქარი მულიდთა მსტოვარსაც მოუღებს ბოლოს...

— როგორ?.. — გაუკვირდა გვიდოს. — ახლა არ თქვი, რომ მან არც კი იცის, ვინაა მთის ბერების მსტოვარი?

— არ იცის, — დაუდასტურა აზიზმა, — სამაგიეროდ, კარგად იცნობს მულიდთა წესს. თუ სიმაგრეში მათი მსტოვარია, ის არც მეჯინიბე იქნება და არც ბაზიერი. ის მუდამ ჯაფარის სიახლოვეს იტრიალებს. შეიძლება, მზვერავთა მოწინავე რაზმსაც გაჰყვეს, რათა თავად შეეგებოს მთაში შემოსულ მულიდებს, მაგრამ ამას მნიშვნელობა აღარ აქვს. სადაც უნდა იყოს, აბუბაქარი მაინც მიაწვდენს ხმალს... როცა ყველაფერი დამთავრდება, კარანაუსელთა „ახალგამომცხვარი" ბელადი სელჩუკებს ერთგულების დასტურად, მულიდების თავებს, მათ ბარათს და იმ წვერმოკაუჭებულ ხანჯალს მიართმევს. მის სიყტყვებს დააადასტურებს ჰასანიც, რომელსაც აბუბაქარი ძმის მოკვლისთანავე გაათავისუფლებს. მულიდებს კი გულის მოსაგებად ჰასანის თავს მიართმევს...

— ჰასანის თავს?! — ერთხმად წამოიძახეს მუროჩიმ და ვენეციელებმა.

— გურჯებიცა და ვენეციელებიც ძალიან მიამიტი ხალხი ყოფილხართ, — დამცინავად ჩაილაპარაკა აზიზმა, — ვინ იცნობს ჰასანს ალამუთში? აბუბაქარი ერთ ჩალმიან თავს ამოარჩევს, რომელიც მრავლად გაგორდება მამართა სიმაგრეში და ძმის თავთან ერთად მიართმევს მულიდთა ბელადებს. ვიდრე ის თავები ალამუთს ჩააღწევს, არათუ მათი ბელადები, მშობელი დედაც ვეღარ იცნობს. იმ თავებს წერილსაც გააყოლებს. ვითომდა მისმა ძმამ, ჯაფარმა სულჩუკთა შიშით უარი უთხრა მულიდთა ბრძანების შესრულებაზე. ამის მაგივრად ალამუთის წარგზავნილები ამოხოცა და მათი თავები სელჩუკებს მიართვა. საამაგიეროდ, მან უერთგულა მთის ბერებს და ამის ნიშნად ჰასანსაც და საკუთარ ძმასაც თავები დააყრევინა!..

— და შენ გგონია, რომ მულიდები მაგ ამბავს დაიჯერებენ? — შეაწყვეტინა მუროჩიმ.

— მთავარია, რომ აბუბაქარს ასე ჰგონია. ისე კი რატომ არ უნდა დაიჯერონ?.. მათ იციან, რომ კარანაუსელები და სელჩუკები დაუძინებელი მტრებია არიან. თანაც აბუბაქარს ხომ მემკვიდრეობაში კარანაუსელთა ბელადობა ერგება. ასე



რომ, ნურაფერი გიკვირთ. მთის ბერები ეჭვს არ შეიტანენ, რომ აბუბაქარმა თავი გააგდებინა საკუთარ ძმას, — თქვა აზიზმა.

— მერე რატომ გვიმალავდი ამას? — ჰკითხა მუროჩიმ. — არა მგონია, მულიდებზე ან ჯაფარსა და მის კარანაუსელებზე შეგტკიოდეს გული. ჩვენ ჩვენი ამხანაგი გამოვიხსნათ. ამათ კი თუნდაც საერთოდ გაუწყვეტიათ ერთმანეთი.

— ასე იოლი გგონია ჰასანის გამოხსნა? — გახედა აზიზმა.

— რას გულისხმობდი, როცა თქვი: აბუბაქარი მოხარული იქნება, თუ მულიდები სიმაგრეს ვერ ჩააღწევენო?

— ისინი უნდა დაიხოცონ.

— ეგ მეც ვიცი, მაგრამ ვისი ხელით უნდა დაიხოცნენ? — ჩაეძია მუროჩი.

— აბუბაქარი თავადაც მოახერხებდა ამას, მაგრამ მეწინავე რაზმში მისი ძმის ერთგული მეომრებიც არიან. მის მიმდევრებს რამე რომ შეეშალოთ და მომხდარი ჯაფარმა შეიტყოს, მულიდები ჰასანთან ერთად მის თავსაც მიიღებენ...

— მე ეგ არ მიკითხავს, — ბრაზით შეაწყვეტინა მუროჩიმ, — რადგან ეს განდო, იმასაც გეტყოდა, თუ ვინ უნდა დახოცოს მთის ბერები!

— ჩვენ! — მოკლედ მოსხიპა აზიზმა.

— ასე ძნელია სამი მულიდის მოკვლა?.. ამას ხომ შენი მცველებიც მოახერხებენ, — დამცინავად თქვა მუროჩიმ.

— ჩემს ხალხს მაგ საქმეს არ დავავალებ!

— რატომ?.. ამით ხომ ჰასანს, შენს მეგობარს გადაარჩენ!

— ვერც მას გადავარჩენ, თავსაც დავიღუპავ და თქვენც დაგღუპავთ! — თქვა აზიზმა. — არავინ იცის, როდის გამოჩნდებიან მულიდები — დღეს, ხვალ თუ სამი დღის მერე. მამარმა კი უღელტეხილისკენ წასვლა მიბრძანა. ქარავანი აქ რომ დარჩეს ან ბარისკენ დაშვებული ჩემი მცველები რომ შენიშნონ, მისი მეომრები თავს დაგვესხმიან. მზვერავთა რაზმში აბუბაქარის მიმდევრებიც არიან, მაგრამ ვიდრე არ დარწმუნდებიან, რომ მულიდები დაიხოცნენ, ხელს არ გამოიღებენ!

— ესე იგი, აბუბაქარმა მოკავშირეობა შემოგთავაზა, შენ კი უარით უპასუხე? — ჰკითხა გვიდომ.

— ჰო... მაშინვე უარი ვუთხარი. არასოდეს ჩავრეულვარ ასეთ საქმეებში. განსაკუთრებით — სულჩუკთა, მულიდთა და კარანაუსელ ძმათა დავაში. ასეთი საქმიდან სარგებელს არ უნდა ელოდო. უფრო მეტს იზარალებ, ვიდრე მოიგებ...

— ჰასანი?! — ცივად შეაწყვეტინა მუროჩიმ.

— ასეთი იყო ალაჰის ნება, — ცისკენ აღმართა ხელები აზიზმა, — მე მამარს პირობა მივეცი, რომ ქარავანს ბადახშინისკენ წავიყვან და კიდეც გავაკეთებ მას.

— მე არავისთვის მიმიცია ასეთი პირობა! — ხმას აუწია მუროჩიმ.

— ეგ შენი საქმეა, — მშვიდად ჩაილაპარაკა აზიზმა, — მე კი ჩემს ხალხს კარანაუსელებს არ შევაკლავ.

— მეც არავისთვის მიმიცია რამე პირობა, — სწრაფად ჩაურთო გვიდომ.

აზიზმა უკმაყოფილოდ გაიქნია თავი. მერე წასასვლელად წამოიწია.

— დაჯექი! — ავად შეუღრინა მუროჩიმ.

აზიზი მაშინვე დაჯდა.

— შენთვის აქვს მნიშვნელობა, მამარი წაგაგდებინებს თავს თუ — მე?!

— აზიზმა დუმილით უპასუხა.

— გინდა, ოდესმე ჩააღწიო ბადახშინს?! — ბრაზით განაგრძო მუროჩიმ.

— რას მთხოვ?

— გთხოვ?! — დამცინავად ჩაილაპარაკა მუროჩიმ. — მე არაფერს გთხოვ. უბრალოდ გეუბნები, როგორ გადაირჩინო თავი... შენ არ გინდა მულიდებისა და მამარის საქმეში ჩარევა. კეთილი, არავინ დაგაძალებს ამას, მაგრამ შენ გარეშე ჰასანს მაინც ვერ დავიხსნი. ბევრს არაფერს დაგავალებ. ვთქვათ, რომ მულიდთა წარგზავნილები დავხოცე. მერე როგორ უნდა მივაწვდინო ხმა აბუბაქარს?

— მაგასაც გეტყვი, მაგრამ პირობა უნდა მომცე, რომ სხვას აღარაფერს დამავალებ!

მუროჩიმ მზერა გაუსწორა და მერე უპასუხა:

— სიტყვას გაძლევ!..

გაგრძელება შემდეგ ნომერში

ეთო ყორღანაშვილი

„მშვიდობით, იარაღო!“

— „ზაფხულის კინოსკოლა“ მუშაობას განაგრძობს



ომისა და ოკუპაციის გამო, სტუდენტ-კინემატოგრაფისტთა საგანმანათლებლო პროექტი — „ზაფხულის კინოსკოლა“ დროებით შეჩერებული იყო. იძულებითი პაუზის შემდეგ, პროექტის მონაწილენი ნელ-ნელა მუშაობის რიტმს უბრუნდებიან: განაგრძობენ მოკლემეტრაჟიანი ფილმების გადაღებას ლოზუნგით — „მშვიდობით, იარაღო!“ დამეთანხმებით, მშვიდობა საქართველოს დღეს ყველაზე მეტად სჭირდება...

შეგახსენებთ, რომ „ზაფხულის კინოსკოლის“ მიზანი ეროვნული კინოინდუსტრიისთვის ახალი პროფესიული კადრების მომზადება და ქართული კინოს აღორძინება გახლავთ. პროექტის ორგანიზატორები არიან: კომპანია „სინეტექი“, საერთაშორისო კომპანია „კოდაკი“, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი, სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმი“ და მედიასახლი „კვირის პალიტრა“.

აჩიკო მენაღარაშვილი, *სააქციო საზოგადოება „ქართული ფილმის“ დირექტორი:*

— ქართული კინოს მომავალი ახალგაზრდების ხელშია. სტუდენტებს ყველანაირად ვეხმარებით, რომ პროფესიონალებად ჩამოყალიბდნენ და ქართული ფილმის სახელი, რომელიც წლების წინ მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში ჰქონდა მოხვეჭილი, უფრო მაღალ საფეხურზე აიყვანონ. ჩვენ ახალგაზრდებს კინოკამერით უზრუნველვყოფთ. აგრეთვე, მათ მიერ გადაღებული ფირი „ქართული ფილმის“ ლაბორატორიაში მჟღავნდება, შემდეგ, ფირიდან მისი ციფრული ასლის გაკეთება ხდება, რასაც მონტაჟის პროცესი მოსდევს... 2 მოკლემეტრაჟიანი ფილმის გადაღება უკვე დასრულებულია. მათი ელექტრონული ვერსიებიც გვაქვს. სხვათა შორის, ძალიან კარგი ნამუშევრებია. მართალია, სტუდენტებმა გადაღებისას პატარ-პატარა შეცდომები დაუშვეს, მაგრამ თანდათან დაიხვეწებიან... ნელ-ნელა ჩვეულ რიტმს ვუბრუნდებით. უკვე მიმდინარეობს მესამე ფილმზე მუშაობა და მალე მეოთხესაც გადავიღებთ. „ზაფხულის კინოსკოლამ“ თითქოს იწინასწარმეტყველა, რომ საქართველოში მშვიდობის კიდევ ერთხელ მოთხოვნა საჭირო გახდებოდა: მოგეხსენებათ, ჩვენი ლოზუნგია — „მშვიდობით, იარაღო!“ იმედია, მშვიდობა გაიმარჯვებს!..

ნიკუშა აბრამიშვილი, *პროდიუსერი:*

— რამდენიმე სტუდენტს ერთ კვირაში გადაღება უნდა დაეწყო, მაგრამ მათ, ფილმზე მუშაობის ნაცვლად, ფრონტზე ამოყვეს თავი — რეზერვისტები გახდნენ. საბედნიეროდ, სტუდენტები ბრძოლიდან უვნებელნი დაბრუნდნენ და

ფილმ „რევანშის“ გადაღების მომენტი



ნიკა აბრამიშვილი

პროექტიც გრძელდება.

— როგორც ვიცი, თქვენი შემოქმედებითი ჯგუფი შეესწრო იმ ფაქტს, თუ როგორ ბომბავდნენ რუსები საქართველოს ტერიტორიას...

— მეორე სტუდენტური ფილმის — „რევანშის" გადაღება რუსთავის ტრასასთან მიმდინარეობდა. 8 აგვისტოს დავინახეთ, როგორ გადაგვიფრინა რუსულმა თვითმფრინავმა, რომელმაც თურმე ვაზიანში ბომბები ჩამოყარა. ერთი მსახიობი და გადამღები ჯგუფის ერთი წევრი „დაპანიკდნენ", რაც მხოლოდ 3 წუთს გაგრძელდა. შემდეგ წამითაც აღარ შევჩერებულვართ, მუშაობა განვაგრძეთ. 9 აგვისტოს იმასაც შევესწარით, თუ როგორ დაბომბეს რუსებმა საავიაციო ქარხნის ტერიტორია. ვაზიანის დაბომბვისას, გადამღები ჯგუფი 3-წუთიანმა პანიკამ მოიცვა, მეორე დღეს — უფრო მეტხანს გაგრძელდა... ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი საქმე მაინც გავაკეთეთ — „რევანშის" გადაღება დავასრულეთ. მერე, დაახლოებით, ერთკვირიანი პაუზა ავიღეთ, რადგან როგორც გითხარით, პროექტის მონაწილე რეზერვისტი სტუდენტები ჯარში გაიწვიეს... ამჟამად, „ზაფხულის კინოსკოლა" მუშაობას განაგრძობს, მით უმეტეს — ჩვენი ლოზუნგი საქართველოში დღეს არსებული სიტუაციის ადეკვატურია. „მშვიდობით, იარაღო!" — ეს მოწოდება არა მხოლოდ ჩვენი ქვეყნისთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვისაა საჭირო, ყველას მშვიდობა გვინდა!..



არჩილ მენაღარიშვილი

ევროპის უმდიდრესი ქალბატონები

ელენა ბატურინა მეუღლითურთ

ჟურნალმა — Forbes — „ევროპის უმდიდრეს ქალთა" რეიტინგი გამოაქვეყნა. სიაში 22 მილიარდერი ქალი შევიდა, რომელთა საერთო კაპიტალი 112 მლრდ დოლარს აღემატება. რეიტინგის პირველ ადგილზე 88 წლის ფრანგი ქალბატონი — ლილიან ბეტენკორტი აღმოჩნდა, რომელსაც კაპიტალი მამამ საყოველთაოდ ცნობილი კოსმეტიკური ბრენდის L`Oreal-ის დამაარსებელმა — ეჟენ შულერმა დაუტოვა. აღსანიშნავია, რომ მეორე მსოფლიო ომის დროს ეჟენ შულერი ნაცისტურ რეჟიმთან თანამშრომლობდა და ამის გამო, ბრენდის რეპუტაცია საგრძნობლად შეილახა... ჟურნალი „ფორბსი" ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ლილიან ბეტენკორტი 22,9-მილიარდიანი ქონების მნიშვნელოვან ნაწილს საქველმოქმედო საქმიანობას ახმარს. რეიტინგის მეორე პოზიციას ბირჯიტ რასინი იკავებს. 14-მილიარდიანი კაპიტალის მფლობელი შვედი ქალბატონი შვეიცარიაში ცხოვრობს. ქონება კი მეუღლემ დაუტოვა, რომელიც შემფუთველი გიგანტის — Tetra Laval — მფლობელი იყო. მესამე ადგილზე გასულმა სიუზენ კლატენმა კონცერნის — BMW — აქციათა მნიშვნელოვანი პაკეტი მემკვიდრეობით მიიღო. საქმიანი ქალბატონი საოჯახო ფარმაცევტულ ბიზნესსაც წარმატებით უძღვება და ქონებას შეუჩერებლად ზრდის. „ფორბსმა" სიუზენ კლატენის კაპიტალი 13,2 მილიარდ დოლარად შეაფასა. ერთადერთი რუსი ქალბატონი, რომელმაც 22-კაციან რეიტინგში მერვე ადგილი დაიკავა, მოსკოვის მერის, იური ლუჟკოვის მეუღლე და ჰოლდინგ „ინტეკოს" პრეზიდენტი ელენა ბატურინა აღმოჩნდა, რომლის კაპიტალი 4,2 მლრდ დოლარად არის შეფასებული. ჟურნალის რეიტინგში ბატურინას გვარი 2008 წლის მარტშიც აღმოჩნდა, როდესაც მან „მსოფლიოს უმდიდრეს ადამიანთა" სიაში 253-ე ადგილი დაიკავა. ლუჟკოვის მეუღლე ერთადერთი რუსია იმ 99 ქალბატონს შორის, რომელთაც საკუთარი ქონება თავად „დააგროვეს". სიის ბოლო, 22-ე ადგილზე აღმოჩნდა ბესტსელერის — „ჰარი პოტერი" — ავტორი, ინგლისელი მეზღაპრე ჯოან როულინგი, რომლის ქონება 1 მილიარდ დოლარად არის შეფასებული. მწერალი, „ჰარი პოტერის" პირველსავე წიგნის გამოსვლის შემდეგ სხვადასხვა რეიტინგში გამუდმებით ხვდება. მაგალითად: 2008 წლის ივლისში ჯოან როულინგი წლის ყველაზე ცნობილ ადამიანად დაასახელეს, აგვისტოს შუა რიცხვებში კი — 50 ყველაზე საყვარელ მწერალთა შორის მესამე ადგილი დაიკავა.

ვენეციის კინოფესტივალის სტუმრები

ვენეციის 65-ე საერთაშორისო კინოფესტივალმა მაღალი საზოგადოების ყველაზე ელვარე სახეებს მოუყარა თავი. ცნობისმოყვარე პუბლიკამ ფესტივალის წითელ ხალიჩაზე მრავალი ვარსკვლავი იხილა. მათ შორის იყვნენ: შარლიზ ტერონი, ჯენიფერ ლოურენსი, დაიან კრიუგერი, ქსენია რაპოპორტი, ტელეწამყვანი ტატიანა ვორონკოვა-რამუსი, მოდების ჟურნალის — L`officel — რუსული ვერსიის მთავარი რედაქტორი ეველინა ხრომჩენკო და სხვები.

რაოდენ უცნაურიც უნდა იყოს, ვარსკვლავთა უმრავლესობამ, ფილმის — „პრერია ცეცხლში" (მთავარ როლებში — გილიერმო არიაგი და შარლიზ ტერონი) — პრემიერაზე დასწრებას, შვეიცარიული საათების მანუფაქტურის — Jaeger-LeCoultre — მიერ გამართულ წვეულებაზე მისვლა ამჯობინა... პრემიერაზე კიმ ბესინჯერის მისვლასაც ელოდნენ, რომელმაც სურათში მთავარი გმირის დედის როლი ითამაშა, მაგრამ ბესინჯერი იქ არ გამოჩენილა. „50 წელს გადაცილებული ბევრი მსახიობი გვყავს. ისინი შესანიშნავად თამაშობენ. კიმი არაჩვეულებრივი მსახიობია და ძალზე სამწუხაროა, რომ ახალ ჟილმებში იშვიათად ვხედავთ. მან 20 წლის გოგონას მომხიბვლელობა შეინარჩუნა და ამაში თავად დარწმუნდებით", — განაცხადა შარლიზ ტერონმა, რომელსაც სურათის ჩვენების შემდგომ, სიურპრიზი ელოდა: ერთ-ერთმა ჟურნალისტმა მსახიობს ხელი და გული შესთავაზა(!). მის წინადადებას შარლიზმა ხუმრობით უპასუხა: „სიმპათიური ახალგაზრდა ბრძანდებით, მაგრამ უნდა გაგაფრთხილოთ, რომ თუ დაგთანხმდებით, ჩემს მეგობარს... შემოაკვდებით".

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘ ᲐᲒᲝᲠᲓᲐ

ᲐᲚᲐᲡᲙᲘᲡ �გᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲥᲔᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲛᲝᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲡᲐᲠᲐ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘ ᲣᲓᲘᲓᲔᲡᲘ ᲡᲐᲖᲝ�გᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲔᲞᲘᲪᲔᲜᲢᲠᲨᲘ ᲐᲦᲛᲝᲩᲜᲓᲐ. ᲐᲛᲘᲡ ᲛᲘᲖᲔᲖᲘ ᲙᲘ — ᲛᲘᲡᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲝᲣᲚᲝᲓᲜᲔᲚᲘ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲐᲐ. ᲐᲜᲐᲚᲘᲢᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘᲡ ᲐᲖᲠᲘᲗ, ᲝᲯᲐᲮᲣᲠ ᲤᲐᲡᲔᲣᲚᲝᲑᲐᲗᲐ ᲪᲝᲪᲮᲐᲚ ᲡᲘᲛᲑᲝᲚᲝᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲑᲝᲠᲢᲔᲑᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲛᲒᲖᲜᲔᲑᲐᲠᲔ ᲛᲔᲑᲠᲫᲝᲚᲘᲡ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝᲑᲘᲡ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲐᲓ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲘᲗ, ᲯᲝᲜ ᲛᲐᲙᲥᲔᲘᲜᲘ ᲙᲝᲜᲡᲔᲠᲕᲐᲢᲝᲠᲣᲚᲐᲓ ᲒᲐᲜᲬᲧᲝᲑᲘᲚᲘ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲘᲡ ᲮᲛᲔᲑᲘᲡ ᲛᲝᲞᲝᲕᲔᲑᲐᲡ ᲨᲔᲔᲪᲐᲓᲐ, ᲛᲐᲒᲠᲐᲛ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲣᲠᲛᲐ ᲪᲜᲝᲑᲐᲛ ᲡᲐᲠᲐ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘᲡ 17 ᲬᲚᲘᲡ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲛᲘᲡᲘ ᲒᲔᲒᲛᲔᲑᲘ ᲩᲐᲨᲐᲚᲝᲡ. ᲣᲤᲠᲝ ᲛᲔᲢᲘᲪ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲣᲙᲕᲔ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲓᲐ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲐ ᲘᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ, ᲗᲘᲗᲥᲝᲣᲚ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲘᲛᲣᲚᲐᲪᲘᲐᲡ ᲔᲬᲔᲝᲓᲐ, ᲠᲐᲗᲐ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲩᲔᲜᲘᲡ ᲤᲐᲥᲢᲘ ᲓᲐᲔᲤᲐᲠᲐ: ᲞᲠᲔᲡᲐ ᲘᲠᲬᲛᲣᲜᲔᲑᲐ, ᲠᲝᲛ �გᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲜᲐᲑᲝᲚᲐᲠᲐ ᲕᲐᲟᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲓᲐᲣᲜᲘᲡ ᲡᲘᲜᲓᲠᲝᲛᲘᲗ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ, ᲡᲘᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲔᲨᲘ, ᲡᲐᲠᲐᲡ ᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲐ. ᲘᲜᲢᲔᲠᲜᲔᲗᲛᲝᲛᲮᲛᲐᲠᲔᲑᲚᲔᲑᲘ ᲐᲛ ᲤᲐᲥᲢᲘᲡ ᲘᲠᲘᲑ ᲛᲢᲙᲘᲪᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲓ, ᲑᲝᲚᲝ ᲗᲕᲔᲑᲨᲘ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲣᲤᲠᲝᲡᲘ ᲥᲐᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲒᲐᲪᲓᲔᲜᲐᲡ ᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲔᲜ.

ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲣᲚᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲘᲡ ᲤᲝᲜᲖᲔ, ᲛᲐᲙᲥᲔᲘᲜᲡ ᲨᲔᲡᲐᲫᲚᲝᲐ, ᲫᲕᲘᲠᲐᲓ ᲓᲐᲣᲯᲓᲔᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲫᲕᲔᲚᲘ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲔᲑᲘ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ. ᲛᲐᲨᲘᲜ, ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲔᲚᲘ �კᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲘ ᲐᲓᲠᲔᲣᲚᲘ ᲝᲠᲡᲣᲚᲝᲑᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲐᲥᲢᲘᲙᲘᲡᲗᲕᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲬᲘᲤᲝ ᲗᲐᲜᲮᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲧᲝᲤᲘᲡ ᲙᲐᲢᲔᲒᲝᲠᲘᲣᲚᲘ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒᲘ ᲘᲧᲝ.

ᲞᲠᲔᲡᲐᲨᲘ ᲒᲐᲕᲠᲪᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲜᲐᲮᲛᲐᲓ, ᲛᲐᲙᲥᲔᲘᲜᲘᲡ ᲡᲐᲐᲠᲩᲔᲕᲜᲝ ᲨᲢᲐᲑᲘ ᲡᲙᲐᲜᲓᲐᲚᲡ ᲛᲝᲣᲛᲖᲐᲓᲔᲑᲔᲚᲘ ᲨᲔᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲠᲐ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲬᲘᲜᲐᲐᲦᲛᲓᲔᲒ ᲙᲐᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲒᲐᲩᲐᲦᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲡᲬᲠᲐᲤᲝᲓ ᲙᲝᲜᲙᲣᲠᲔᲜᲢᲘᲡ — ᲓᲔᲛᲝᲙᲠᲐᲢ ᲑᲐᲠᲐᲙ ᲝᲑᲐᲛᲐᲡ ᲑᲐᲜᲐᲙᲘ ᲓᲐᲐᲓᲐᲜᲐᲨᲐᲣᲚᲐ. ᲝᲑᲐᲛᲐᲛ ᲑᲠᲐᲚᲓᲔᲑᲐ ᲣᲐᲠᲧᲝ ᲓᲐ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲮᲐᲠᲓᲐᲛᲭᲔᲠᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲘᲗᲐᲪ ᲙᲘ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ. ᲑᲐᲠᲐᲙ ᲝᲑᲐᲛᲐᲛ ᲐᲛᲝᲛᲠᲩᲔᲕᲚᲔᲑᲡ ᲗᲐᲕᲨᲔᲙᲐᲕᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲙᲝᲠᲔᲥᲢᲣᲚᲝᲑᲘᲡᲙᲔᲜ ᲛᲝᲣᲬᲝᲓᲐ: „ᲐᲛ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲖᲔᲑᲐ ᲐᲠ ᲦᲘᲠᲡ. ᲔᲡ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ ᲐᲠ ᲪᲕᲚᲘᲡ ᲓᲐᲛᲝᲙᲘᲓᲔᲑᲣᲚᲔᲑᲐᲡ ᲘᲛ ᲞᲠᲝᲑᲚᲔᲛᲘᲡᲐᲓᲛᲘ, ᲗᲣ ᲠᲝᲒᲝᲠ ᲐᲡᲠᲣᲚᲔᲑᲡ �გᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘ ᲛᲐᲡᲖᲔ ᲓᲐᲙᲘᲡᲠᲔᲑᲣᲚ ᲛᲝᲕᲐᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲨᲔᲫᲚᲔᲑᲡ ᲗᲣ ᲐᲠᲐ ᲘᲒᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐᲡ“.

ᲡᲐᲠᲐ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘ ᲞᲐᲢᲐᲠᲐ ᲥᲐᲚᲐᲥ ᲣᲐᲘᲡᲘᲚᲨᲘ ᲓᲐᲘᲑᲐᲓᲐ. ᲐᲘᲓᲐᲰᲝᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘᲡ ᲞᲠᲝᲤᲔᲡᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠ ᲛᲔᲪᲜᲘᲔᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐᲔᲣᲤᲚᲐ. ᲙᲐᲚᲐᲗᲑᲣᲠᲗᲘᲡ ᲗᲐᲛᲐᲨᲘᲡᲐᲡ ᲒᲐᲛᲝᲕᲚᲔᲜᲘᲚᲘ ᲐᲒᲠᲔᲡᲘᲣᲚᲘ ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ ᲛᲐᲡ ᲛᲔᲢᲡᲐᲮᲔᲚᲐᲓ, ᲡᲐᲠᲐᲑᲐᲠᲐᲙᲣᲓᲐ ᲨᲔᲐᲠᲥᲕᲔᲡ. 2006 ᲬᲔᲚᲡ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘ ᲐᲚᲐᲡᲙᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲧᲕᲔᲚᲐᲖᲔ ᲐᲮᲐᲚᲒᲐᲖᲠᲓᲐ �გᲣᲑᲔᲠᲜᲐᲢᲝᲠᲘ ᲓᲐ ᲐᲛ ᲞᲝᲡᲢᲖᲔ ᲐᲠᲩᲔᲣᲚᲘ, ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲥᲐᲚᲘ �გᲐᲮᲓᲐ. ᲜᲝᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲡᲐᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲝ ᲐᲠᲩᲔᲕᲜᲔᲑᲨᲘ ᲛᲐᲙᲥᲔᲘᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲗᲮᲕᲔᲕᲐᲨᲘ, ᲡᲐᲠᲐ ᲞᲔᲘᲚᲘᲜᲘ ᲐᲨᲨ-ᲘᲡ ᲘᲡᲢᲝᲠᲘᲐᲨᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲕᲘᲪᲔ-ᲞᲠᲔᲖᲘᲓᲔᲜᲢᲘ ᲥᲐᲚᲘ ᲒᲐᲮᲓᲔᲑᲐ.



ბორის ბერეზოვსკის ცოლი განქორწინებასა და ქონების მეოთხედს ითხოვს

ბრიტანული გამოცემა The Daily Mail იუწყება, რომ ბორის ბერეზოვსკის მეორე ცოლმა, 49 წლის გალინამ განქორწინება მოითხოვა და სასამართლოში სარჩელის შესატანად ემზადება. მილიარდერის მეორე ქორწინება ოფიციალურად, 17 წელი გრძელდებოდა და მეუღლეს მისი ქონების მეოთხედზე პრეტენზიის წამოყენება შეუძლია. წყვილმა ერთმანეთი იმ დროს გაიცნო, როდესაც ბერეზოვსკი მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში მუშაობდა. გალინას გამო, ის პირველ ცოლს, ნინას გაეყარა, რომელთანაც შვილები ჰყავდა. 1991 წელს წყვილი დაქორწინდა, მაგრამ 3 წლის შემდეგ ისინი ერთმანეთს დაშორდნენ და გალინა ლონდონში გადავიდა საცხოვრებლად. გამოცემა მიიჩნევს, რომ ცოლ-ქმრის დაშორების სავარაუდო მიზეზი, სხვა ქალთან ბერეზოვსკის კავშირი იყო. ბიზნესმენის წარმომადგენელი აცხადებს, რომ მან აქამდე განქორწინებისთვის უბრალოდ ვერ მოიცალა. მას ცოლთან სადავო არაფერი აქვს და ახლა ადვოკატები განქორწინების პირობებს ათანხმებენ.

მეორე ცოლთან ელენასთან ერთად

ამჟამად ბორის ბერეზოვსკის მეუღლე, ორ შვილთან ერთად — ლონდონში 16-მილიონიან სახლში — თავად ბერეზოვსკი კი სამხრეთ ინგლისში, სურეის საგრაფოში მდებარე მამულში ცხოვრობს, რომელიც მან ამერიკელი მსახიობის, კრის ევანსისგან 20 მილიონ დოლარად შეიძინა. მიუხედავად იმისა, რომ გალინა და ბორის ბერეზოვსკი დიდი ხანია, ერთად არ ცხოვრობენ, ცოლი ქმრის ქონების მეოთხედზე აცხადებს პრეტენზიას. როგორც ამბობენ, გალინა თითქმის იმავე რაოდენობის თანხას მიიღებს, რაც განქორწინების შემდგომ, რომან აბრამოვიჩის ყოფილ მეუღლეს, ირინა მალანდინას ერგო. 2007 წლის ყველაზე ხმაურიანმა განქორწინებამ პუბლიკისა და პრესის განსაკუთრებული ყურადღება უზარმაზარი სადავო თანხისა და აბრამოვიჩისა და მაღალი საზოგადოების ქალბატონის — დარია ჟუკოვას რომანის გამო მიიპყრო. თავად ბერეზოვსკის განქორწინების შესახებ საუბარი არ სურს. „ჩემი პირადი ცხოვრების შესახებ კომენტარის გაკეთებას არ ვაპირებ", — ამბობს ოლიგარქი. მისი ადვოკატი ანდრეი ბოროვკოვი კი აცხადებს, რომ „განქორწინების შესახებ პირველად ესმის". როგორც ცნობილია, სერ დევიდ ტენგის რაინდად კურთხევის აღსანიშნავად გამართულ წვეულებაზე, 62 წლის ბერეზოვსკი ახალ მეგობარ ქალთან — ანიკა ანკვერინასთან ერთად გამოცხადდა. მართალია, ბერეზოვსკის პრესმდივანი, ლორდი ტიმოტი ბელი ირწმუნება, რომ ანიკა უბრალოდ, ბერეზოვსკის მეგობარია და ის სხვა ქალზე დაქორწინებას აპირებს, მაგრამ ყვითელი პრესა რუსი მილიარდერის სახელთან დაკავშირებული ახალი სკანდალების მოლოდინშია. ■

ჯორჯო არმანისა და ჯულია რობერტსის საქველმოქმედო აქცია



უახლოეს ხანებში სარეალიზაციო ქსელში გამოვა არმანის ახალი მაისურები, რომელსაც ჯულია რობერტსის ავტოგრაფი დამშვენებს. მაისურების გაყიდვით მიღებული შემოსავალი აფრიკაში შიდსთან ბრძოლას მოხმარდება. მამაკაცებისა და ქალებისთვის განკუთვნილ შავ, თეთრ და წითელ მაისურებზე სიცოცხლის ხე და სამი სიტყვა — revolution, evolution, devolution (რევოლუცია, ევოლუცია, ერთგულება) ეწერება. ამ სიტყვათა პირველია ასოები აბრევიატურას — RED ქმნის. RED ის ორგანიზაციაა, რომელიც ოდესღაც U2-ს ლიდერის — ბონოსა და პრეზიდენტ ჯონ კენედის დისშვილის, ბობი შრივერის ძალისხმევით, შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან საბრძოლველად ჩამოყალიბდა.

Armani-ს მაღაზიებში ლეიბლის — RED ნიშნით ტანსაცმელი, აქსესუარები, სათვალეები, საათები, ფეხსაცმელი და პარფიუმერია იყიდება. ამ ხაზის ნებისმიერი საქონლის გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის 40% ფონდის ანგარიშზე ირიცხება.

არმანი დიდად აფასებს ჯულია რობერტსთან თანამშრომლობას: „ჯულია უნიკალური, მოხდენილი მაისურების შექმნაში დამეხმარა. ეს მაისურები თვალსაჩინო შეხსენებაა იმისა, რომ აფრიკაში შიდსთან ბრძოლის საქმეში წვლილის შეტანა ყველას შეუძლია. ჯულიასთან ერთად მუშაობა ძალიან მომწონს და დიდად ვაფასებ იმ ფაქტს, რომ კინოვარსკვლავი ასოდენ მნიშვნელოვანი საქმეების მიმართ გულგრილი არ არის". რობერტსის ავტოგრაფით დამშვენებული მაისურები ინტერნეტითაც გაიყიდება და სავარაუდოდ, 125 დოლარი ეღირება. არმანისა და ბონოს მიერ ორგანიზებულ საქველმოქმედო კამპანიაში ჯულია რობერტსი უკვე მეორედ მონაწილეობს. 2007 წელს მსახიობმა საქველმოქმედო მიზნით, ტყავის სამაჯურების კოლექცია შექმნა. ■

მელ გიბსონმა რუსი გოგონა „შეიფარა"

გაზეთ „დეილი მეილს" თუ ვერწმუნებით, 52 წლის მელ გიბსონს ახალი მეგობარი გოგონა ჰყავს. მას ოქსანა ჰქვია, წარმოშობით „აღმოსავლეთ ევროპიდანაა". ტაბლოიდის ინფორმაციის თანახმად, მელ გიბსონი და ოქსანა ფილმის — Edge of Darkness („წყვდიადის კიდე") გადაღებების დროს, გიბსონის ტრაილერში ძალზე ხშირად და დიდხანს განმარტოვდებიან, რაც მათი ურთიერთობის შესახებ გავრცელებული ჭორებისთვის ნაყოფიერ ნიადაგს ქმნის. მელ გიბსონის წარმომადგენელმა ალან ნეირობმა ეს მითქმა-მოთქმა კატეგორიულად უარყო და განაცხადა, რომ „ოქსანა უბრალოდ, მელის ხმის ჩაწერ სტუდიაში — Icon — მუშაობს და ამერიკაში ახალი ალბომის ჩასაწერად ჩამოვიდა".

შვილებთან ერთად

კინოვარსკვლავსა და მის მეუღლეს რობინს ქორწინების 28 წლის მანძილზე 7 შვილი შეეძინათ. მიუხედავად ამისა, მსახიობი დროდადრო სერიოზული სკანდალის ეპიცენტრში გვევლინება. მაგალითად, არაფხიზელ მდგომარეობაში ავტომობილის მართვის გამო, 2007 წელს სასამართლომ გიბსონს 3 წლით პირობითი პატიმრობა მიუსაჯა. ■

დასაწყისი იხ. №37 18

შენობაში შეგვიყვანა. იქ შედარებით ნორმალური ოთახები შემოგვთავაზეს, მაგრამ აღმოჩნდა, რომ არც სინათლე იყო და არც წყალი. ასეთ პირობებში რომელი ადამიანი გაჩერდება?

ნინო ჯაფარიძე:

— ბოლოს მერიის წარმომადგენელს მოთმინების ფიალა აევსო და ასე გვითხრა, — უარესი დღე მოგელით, მერე არჩევანის საშუალებაც არ გექნებათ და ისეთ ადგილებში შეგყრიან, რომ თქვენ მიერ დაწუნებული სანატრელი გაგიხდებათო. როგორ შეიძლება, ისედაც შეშინებულ და დაზაფრულ ხალხს ასე ელაპარაკო?! მთავრობას საერთოდ არ ანაღვლებს ჩვენი მდგომარეობა. არანაირად არ დაგვხმარებია. უმთავრესად, „წითელი ჯვარი" მოდის და დღიურ ნორმას — სულზე 20 გრამ შაქარს, 30 გრამ ზეთსა და ნახევარ პურს გვაძლევს.



ელგა მაისურაძე:

— თბილისში ახალი ჩამოსულები ვიყავით, როცა ჩვენს მოსანახულებლად სანდრა რულოვსი ჟურნალისტებთან ერთად მოვიდა. რამდენიმე წუთში, ეზოში ლეიბებითა და საკვები პროდუქტით დატვირთული მანქანაც შემოვიდა. გვეგონა, ეს ყველაფერი ქვეყნის პირველმა ლედიმ მოგვიტანა და ტელეკამერების წინ მადლობა გადავუხადეთ. როგორც გაირკვა, ის დახმარება ფეხბურთის ფედერაციის გამოგზავნილი ყოფილა.

ნინო ჯაფარიძე:

— გარდა იმისა, რომ ძალიან ხშირად მშივრები ვართ და მძიმე პირობებში ვცხოვრობთ, იმასაც ძალიან განვიცდით, რომ ცუდად გვეპყრობიან.

— ცუდად ვინ გეპყრობათ?

— სკოლის დირექტორმა ჯერ მერხების მორყევა დაგვაბრალა, მერე — სეიფებისა და სკამების გატანა. ნეტავ, ან სეიფები სად უნდა წაგვეღო, ან სკამები?!. გარდა ამისა, ჩვენი შვილის ტოლი ბიჭები (პატრულის თანამშრომლებს ვგულისხმობ) თავზე დაგვყვირიან და ათასგვარ შეურაცხყოფას გვაყენებენ.

— როგორც ვხედავ, სასკოლო ასაკის ბავშვებიც გყავთ. ის თუ იცით, სად ან რა პირობებში გააგრძელებენ ბავშვები სწავლას?

— რომელ სწავლასა და დასაქმებაზეა ლაპარაკი?! ჯერ ის არ ვიცით, სად უნდა ვიცხოვროთ. თხებივით, ხან სად შეგვყრიან, ხან — სად. ჩვენი სახლები მხოლოდ მაშინ მივატოვეთ, როდესაც რუსების ჯარი 3 კილომეტრით მოგვიახლოვდა. საშინელი დღეები გამოვიარეთ, მაგრამ არც აქ ვართ დალხენილები.

ელგა მაისურაძე:

— 2 ლარი მედო ჩანთაში და იმით წამოვედი. როდესაც ჩვენს სოფელში ქართველმა ჯარისკაცებმა ჩაიარეს, დაგვამშვიდეს — ნურაფრის შეგეშინდებათ, ყველაფერი კარგად იქნებაო. მეორე თუ მესამე დღეს უკან გამობრუნდნენ და ასე გვითხრეს, — ჩვენ იარაღი დაგვაყრევინეს, ველარ დაგიცავთ და ახალგაზრდა გოგო-ბიჭები აქაურობას გაარიდეთო. 8 და 9 აგვისტოს მარტო ახალგაზრდები წამოვედით, თერთმეტში კი მოხუცების დიდმა ნაწილმაც დატოვა თავისი სახლ-კარი.

— თქვენი სახლების მდგომარეობის შესახებ თუ გაქვთ რაიმე ინფორმაცია?

— მოსავალი მთლიანად განადგურებულია. როგორც გავიგეთ, რუსი სამხედროები ჩვენს ყანებში მოსავალს კრეფენ, ტომრებში აგროვებენ და თავიანთი დისლოკაციის ადგილებზე ვერტმფრენებით გადააქვთ.

— შენობები რა მდგომარეობაშია?

მაყვალა მაისურაძე:

— ჩემს სახლს ერთი ფანჯარაც არ აქვს შერჩენილი, მაგრამ რადგან სულ არ დაინგრა, რაღას ვჩივი?!

— თქვენი სახლის ნახვა როდის მოახერხეთ?

— 3 დღის წინ ჩავედი. მკვდართა სოფელს ჰგავდა იქაურობა. ქუჩაში თითო-ოროლა კაცს თუ დაინახავდით, ქალისა და ბავშვის ჭაჭანება აღარსად იყო. ჩემს გაძარცულ სახლ-კარში ორი კურდღელიღა დამხვდა. იმ ღამეს აქედან ჩასულმა მეზობლებმა ერთ-ერთის სახლში გავათენეთ და მეორე დილასვე უკან გამოვიქეცით. მთელი ღამის განმავლობაში ოსები აქეთ-იქით დაძრწოდნენ, თუ რაიმეს წააწყდებოდნენ თან მიჰქონდათ. ჩვენი სახლებიდან წაღებული ფქვილითა და კარტოფილით რუსები ჰუმანიტარულ დახმარებას არიგებენ. ბედის დაცინვაა, აბა, სხვა რა?!

— ამ ჰუმანიტარულ დახმარებას მხოლოდ ოსებს ურიგებენ თუ ქართველებსაც ხვდებათ რაიმე?

ინგა ეცადაშვილი:

— იმ ქართველებსაც ურიგებენ, რომლებიც რუსულ პასპორტებს მიიღებენ. ისინი ახლა ჩვენი გულის მოგებას ყველანაირად ცდილობენ, მაგრამ მათი არაფერი მინდა. ჩემი 10 წლის ბიჭი კინაღამ ნევროზით დამიავადეს. იცით, რას ვუძლებდით?! შეიძლება ითქვას, რომ ფრონტის ხაზზე ვცხოვრობდით. ბავშვს მკერდზე ხელს რომ მივადებდი, გული ისე უფეთქავდა, მეგონა, ბუდიდან ამოუვარდებოდა. შიშისაგან, მთელ ღამეებს თეთრად ათენებდა. ერთხელაც მამის ზურგს ამოეფარა, მოიკუნტა და ისე დაიძინა. ალბათ იფიქრა, რომ ასე ტყვია არ მიეკარებოდა (ქალბატონს ცრემლები წამოუვიდა).

ელგა მაისურაძე:

— ალბათ რუსები სიხარულით მიგვიღებენ. ახლა ძალიან სჭირდებათ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ მსოფლიომ მათი მადლიერი ქართველები დაინახოს. ჩვენ რომ ხელები ავწიოთ და ჩვენს ოკუპირებულ სოფლებში დავბრუნდეთ, ეს ხელისუფლება სამუდამოდ უნდა დაემშვიდობოს იმ ტერიტორიებს. არავის ვაშანტაჟებთ, ამ ნაბიჯის სიმძიმესაც კარგად ვაანალიზებთ და რუსულ პასპორტებზეც უარს ვამბობთ, მაგრამ ამ გაუსაძლის მდგომარეობას როდემდე გავუძლებთ, არ ვიცით. ყველაზე მეტად გულს ის გვტკენს, რომ ჩვენი პოლიცია ისე გვექცევა, თითქოს კრიმინალები ვიყოთ.

მაყვალა მაისურაძე:

— ახალგორის რაიონი ადრე, სამხრეთ ოსეთის ოლქში შედიოდა, მაგრამ ბოლო დრომდე ქართველების მიერ კონტროლდებოდა. ახლა იქაურობა რუსებმა ჩაიგდეს ხელში, ყველგან თავიანთი ხალხი დასვეს. ჩემი მეუღლის ნათესავები იქ ცხოვრობენ და როგორც მათგან გავიგე, რუსებმა ყველა ქართული ტელეარხი გათიშეს და გაცხოველებულ პროპაგანდას ეწევიან. ქართველი მოსახლეობის მოქრთამვას ყველანაირად ცდილობენ.

ინგა ეცადაშვილი:

— ჩვენი მთავრობა ხომ დარწმუნებულია, რომ დაკარგულ ტერიტორიებს დავიბრუნებთ. ჩვენც მხოლოდ დროებით თავშესაფარსა და ელემენტარულ პირობებს ვითხოვთ. ჩვენი სახლები დანგრეული არ არის. სულ რამდენიმე კვირა შეგვინახეთ და რუსის ჯარი წავა თუ არა, ჩვენს სოფელში დავბრუნდებით. არ გვინდა იქ შესვლა, სადაც ინფექციის კერაა. ადამიანები ვართ, ვირთხები ხომ არა?! რამდენიმე დღის წინ წყალი გაგვითიშეს და შუქიც გამოგვირთეს. უწყლოდ როგორ დაგვესუფთავებინა აქაურობა?! ახლა ვისთანაც არ უნდა შეხვიდეთ, სადილი არავის აქვს. რაღაც პროდუქტები კი მოგვეპოვება, მაგრამ არც დენი გვაქვს და არც გაზი, საჭმელი რაზე გავაკეთოთ?!

მაყვალა მაისურაძე:

— ვფიქრობთ, შუქი და წყალი გამიზნულად გამოგვირთეს, რომ რაც შეიძლება მალე გავეცალოთ აქაურობას. დღეს სამჯერ დავრეკეთ მერიაში, ვთხოვეთ, რომ ბავშვებისთვის მაინც მოეტანათ საკვები, მაგრამ ყურადღება არავინ მოგვაქცია. მხოლოდ ადგილობრივი მოსახლეობის იმედზე ვართ.

P.S. *ამ ინტერვიუს ჩაწერიდან რამდენიმე საათში სკოლის ეზოში, მერიის მიერ გამოგზავნილი ავტობუსები პატრულის თანამშრომლების თანხლებით მივიდნენ და დევნილებს სკოლის დაცლა მოსთხოვეს. როგორც საბოლოოდ გაირკვა, ისინი ვაზისუბნის მე-3 მიკრორაიონში, მე-40 სკოლის შენობაში დააბინავეს, მაგრამ ჯერჯერობით არავინ იცის, იქაც როდემდე გააჩერებენ...* ■

უსჯულო ფიცის სანაცვლოდ მოკვეთილი პატიოსანი თავი, რომელიც ერთხანს საქართველოს მიწაშიც იმყოფებოდა...

11 სექტემბერს მართლმადიდებელი ეკლესია უფლის წინამორბედის — იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთას იხსენიებს. ეს მოხდა გალილეის მმართველის — ჰეროდე ანტიპას დროს: „წინამორბედისა დიდებულისა თავის კვეთა განგებულება იქმნა საღმრთო, რათამცა მყოფთა ჯოჯოხეთისათა უქადაგოს მოსვლაი მაცხოვრისა, გოდებდინ აწ, იროდიადა, უსჯულოსა მისთვის კვლელობისა, რამეთუ არა შეიყვარა სჯული ღმრთისა ცხოველისა, არცა სუფევა საუკუნონ, არამედ საწუთრო ესე ამაო“ — ვკითხულობთ წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის „კონდაკში“. კონდაკი წარმოითქმის თავის ტკივილის დროსაც. წმინდა წინასწარმეტყველ იოანეს მართლმორწმუნე ქრისტიანები შვებასა და შეწევნას შესთხოვენ თავის ნებისმიერი სახის ტკივილისა და სნეულების ჟამს...

ზორენა მერკვილაძე

რატომ მოჰკვეთეს თავი უფლის წინამორბედს

იოანე ნათლისმცემლის თავის მოკვეთის შესახებ მოგვითხრობენ მათე და მარკოზ მახარებლები: გალილეის მმართველმა ჰეროდე ანტიპამ მიატოვა კანონიერი მეუღლე, არაბეთის მეფის არეთას ასული და არაკანონიერი გზით ცოლად დაისვა თავისი ძმის, ფილიპეს თანამეცხედრე — ჰეროდიადა. იოანე სასტიკად და დაუფარავად ამხელდა ანტიპას ამ უსჯულოების გამო. ჰეროდეს მისი მოკვლა სურდა, მაგრამ ვერ გაებედა ხალხისა და ღვთის რისხვის შიშით, რადგან იცოდა, რომ მართალი და წმინდა კაცი იყო. მმართველმა იოანე საპყრობილეში ჩააგდებინა. ჰეროდე ანტიპას დაბადების დღე იყო. ამან წვეულებაზე მთავრები და ასისთავები მიიწვია. ჰეროდიადას ასულმა სალომეამ იცეკვა სტუმრების წინაშე და დიდად ასიამოვნა ჰეროდესა და მის თანამეინახეებს. სალომეას ქცევით მოხიბლულმა ანტიპამ აღუთქვა, რომ ყველაფერს შეუსრულებდა, რასაც კი მოისურვებდა: რაც გინდა, მთხოვო, მოგცემ, თუნდაც ჩემს ნახევარ სამეფოს. სალომეამ დედამისი იხმო და რჩევა ჰკითხა, რა ეთხოვა ჰეროდესთვის. ჰეროდიადას რჩევით, ქალიშვილმა იოანე ნათლისმცემლის თავის მირთმევა ითხოვა. მმართველი შეწუხდა, კვლავ ღვთის რისხვისა და ხალხის შიშის გამო, მაგრამ ფიცის გატეხა არ ისურვა და ბრძანა, სალომეასთვის იოანე ნათლისმცემლის მოკვეთილი თავი მიერთმიათ. ჯალათებმა ბრძანება აღასრულეს. არსებობს გარდამოცემა, რომ სინანულის მქადაგებლის, წმინდა იოანეს მოკვეთილი თავის ბაგეები კიდევ ერთხელ გაიხვნა და წარმოთქვა: „ჰეროდე, შენ არ უნდა გესვას შენი ძმის, ფილიპეს ცოლი“...

სალომეამ წინასწარმეტყველის მოკვეთილი თავი დედამისს გადასცა. კვლავ საეკლესიო გარდამოცემას მივყვეთ: ჰეროდიადამ წინასწარმეტყველის ენა ნემსით დაჩხვლიტა, შემდეგ სიწმინდე უწმინდურ ადგილას დაფლა. იოანე ნათლისმცემლის თავის კვეთის შემდეგ მოწაფეებმა მისი სხეულის მოპარვა მოახერხეს და დიდი პატივით დაკრძალეს სამარიის ქალაქ სებასტიაში, იქ, სადაც უსჯულოება აღესრულა.

რა ბედი ეწია უფლის წინამორბედის პატიოსან თავს

ჰეროდე ანტიპას ეზოს მოძღვრის ქოზას ცოლმა, უფლის წინამორბედის პატიოსანი თავი ფარულად ამოთხარა მიწიდან, თიხის ჭურჭელში ჩააბრძანა და ელეონის მთაზე დაკრძალა, რომელიც იმხანად ჰეროდეს ეკუთვნოდა. მრავალი წლის შემდეგ ის მამული ღვთისმოშიში დიდებულის — ინოკენტის ხელში გადავიდა. მან ღვთის სადიდებლად ტაძრის აგება წამოიწყო. საძირკვლის გათხრისას მუშებმა თიხის ჭურჭელი აღმოაჩინეს. ღვთის განგებით, გაცხადდა, რომ მასში წმინდა იოანე წინასწარმეტყველის თავი ინახებოდა. ეს იყო წმინდა იოანეს თავის პირველი პოვნა. დიდებული კრძალვითა და სასოებით ინ-

ახავდა უდიდეს ქრისტიანულ სიწმინდეს, მაგრამ სიკვდილის წინ კვლავ მიწაში დაფლა იმავე ადგილას, სადაც იპოვა, იმის შიშით, რომ უსჯულოებს არ ჩავარდნოდათ ხელთ და არ გაენადგურებინათ. წლების შემდეგ ის ადგილი გაუდაბურდა. სიწმინდის ადგილსამყოფელიც დავიწყებას მიეცა...

ბიზანტიის იმპერატორის, კონსტანტინე დიდის ზეობის დროს, იერუსალიმში ორი ბერი ჩავიდა, წმინდა ადგილების მოსალოცად. მათ ორგზის გამოეცხადათ უფლის წინამორბედი და თავისი პატიოსანი თავის ადგილსამყოფელი ამცნო. ბერები მინიშნებულ ადგილას მივიდნენ და სიწმინდე ამოთხარეს, აქლემის ტყავის ტომარაში ჩადეს და უკან გაბრუნდნენ. გზად უცნობი მექოთნე შეხვდათ. ბერებმა ტომარა მას გადასცეს სატარებლად. მექოთნემ არ იცოდა ძვირფასი ტვირთის შესახებ, მაგრამ მას წმინდა იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და უბრძანა, განშორებოდა დაუდევარ ბერებს და თან წაეღო ის, რაც ხელთ ეპყრა — მისი წმინდა თავი. ღვთისმოშიში მექოთნე ფარულად განერიდა თანამგზავრ ბერებს. სიწმინდე უსაფრთხოდ მიიტანა შინ და სიკვდილამდე არ განუშორებია. გარდაცვალების წინ თავისი და იხმო და ძვირფასი საუნჯე მას გადასცა.

მას შემდეგ სიწმინდე ღვთისმოშიშ ქრისტიანებში თაობიდან თაობას გადაეცემოდა მანამ, ვიდრე მისი მფლობელი მწვალებელი მღვდელმთავარი ევსტათი არ გახდა. იგი სიწმინდის ძალით სასწაულებს აღასრულებდა და ამას ერესის მადლს მიაწერდა. ამის შესახებ ქრისტიანებმა შეიტყვეს. ევსტათი იძულებული გახდა, გაქცეულიყო, თან წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავიც წაიღო და ემესის მახლობლად, ერთ-ერთ მღვიმეში გადამალა. იმედი ჰქონდა, რომ დაბრუნებას მოახერხებდა და კვლავ დაეპატრონებოდა ძვირფას საუნჯეს, მაგრამ უფალმა სხვაგვარად ინება: უფლის ნებით, მღვიმეში ღვთისმოშიში და მსასოებელი ბერები დამკვიდრდნენ, ბერების რიცხვი თანდათან გაიზარდა და იმ ადგილას მონასტერიც დააარსეს.

452 წელს, სავანეს ბერი მარკელესი წინამძღვრობდა. მას იოანე ნათლისმცემელი გამოეცხადა და აუწყა, სად იყო დაფლული მისი პატიოსანი თავი. ეს მოვლენა წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის მეორედ პოვნადაა მიჩნეული.

ბერებმა სიწმინდე ემესაში გადაასვენეს. მოგვიანებით, კონსტანტინოპოლში გადაბრძანეს, სადაც წმინდა იოანე ოქროპირის კონსტანტინოპოლიდან გადასახლებამდე იყო დაცული. კონსტანტინოპოლიდან წმინდა მამის გადასახლებას შფოთი მოჰყვა, ქრისტიანებმა ნათლისმცემლის თავი ქალაქს გაარიდეს და ემესაში გადაიტანეს. 810-820 წლებში ემესაში სარკინოზთა თავდასხმები გახშირდა, ამის გამო სიწმინდე იქაურობასაც განარიდეს და კომანში გადაბრძანეს. უფლის წინამორბედის პატიოსანი თავი დასავლეთ საქართველოში მოხვდა...

850 წლამდე კვლავ უცნობი იყო სიწმინდის ადგილსამყოფელი, 850 წელს კი პატრიარქ ეგნატეს, უფლისგან ეუწყა მისი ადგილსამყოფელი. ძვირფასი საუნჯე დიდი პატივითა და კრძალვით ამოაბრძანეს კომანის მიწიდან, მოგვიანებით კვლავ კონსტანტინოპოლში, საიმპერატორო კარის ეკლესიაში დააბრძანეს...

სამწუხაროდ, დღეისათვის იოანე ნათლისმცემლის თავის ნაწილების ნაწილი არამართლმადიდებლურ გარემოში იმყოფება. 850 წლის შემდეგ იოანე ნათლისმცემლის თავის ქალის ერთი ნაწილი ქალაქ პეტრაში აღმოჩნდა, სადაც 1204 წლამდე იმყოფებოდა. შემდეგ ქალაქი ჯვაროსნებმა დაარბიეს და სიწმინდე საფრანგეთის ქალაქ ამიენში გადაიტანეს. პატიოსანი თავის კიდევ რამდენიმე ნაწილი, წმინდა დიმიტრი როსტოველის ცნობით, ათონის დიონისეს მონასტერში, კალუის უგროვლახეთის მონასტერში და რომის პაპ სილვერის ეკლესიაში იყო დაცული.

საფრანგეთში დაცული წმინდა ნაწილი, ჯვაროსნებმა ბიზანტიიდან 1204 წელს, მეოთხე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს გაიტანეს, როდესაც მათ ბიზანტიის დედაქალაქი კონსტანტინოპოლი აიღეს. პიკინიელმა ვალონ დე სარტონმა სასახლის ნანგრევებში ფუტლარი იპოვა. მასში ვერცხლის თეფშზე ადამიანის თავის ქალის ნაწილი (ქვედა ყბის გარეშე) იდო: თეფშზე არსებული ბერძნული წარწერა ადასტურებდა, რომ თავის ქალის ნაწილი წმინდა იოანე ნათლისმცემელს ეკუთვნოდა...

1220 წელს ქალაქ ამიენში, გოთური სტილის უდიდესი ახალი კათოლიკური ტაძრის მშენებლობა წამოიწყეს, რომლის დასრულების შემდეგაც, წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის ქალის ნაწილი იქ გადააბრძანეს, მანამდე ის ქალაქის ერთ-ერთ კათოლიკურ ტაძარში იმყოფებოდა.

1604 წელს, რომის პაპმა ამიენის მღვდელმსახურებს წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის ქალის მცირე ნაწილი გამოსთხოვა. ნაწილი კვლავ იენის საკათედრო ტაძარში დარჩა. რომის პაპმა ბოძებული სიწმინდე იოანე წინამორბედის სახელობის რომის ეკლესიაში დააბრძანა...

1789 წლიდან საფრანგეთში ვითარება დაიძაბა. რევოლუციის შემდეგ ქვეყნის მასშტაბით, საეკლესიო ქონების აღწერა მიმდინარეობდა. ხდებოდა სიწმინდეების განადგურებაც. ამიენის ტაძარში დაცული, წმინდა იოანე ნათლისმცემლის თავის ქალა 1793 წლამდე არავის მოუთხოვია, შემდეგ რევოლუციონერებმა უამრავი ძვირფასეულობა სასაფლაოზე დასაჭარხად გაამზადეს. ამიენის მერმა — ლუი ალექსანდრე ლეკევმა, საფრთხის მიუხედავად, ტაძრის საცავიდან მალულად გამოიტანა სიწმინდე და შინ წაიღო. ასზე ეჭვი არავის აუღია. რამდენიმე წლის შემდეგ, აბატ ლიოუენს გადასცა შესანახად. ლიოუენი ძვირფას საუნჯეს მოწიწებით ინახავდა რევოლუციური მოვლენების დასრულებამდე. 1816 წელს კვლავ ამიენის საკათედრო ტაძარში დააბრუნეს, სადაც დღემდე ინახება. ბოლო წლებში ტაძარში სიწმინდის თაყვანისცემად მართლმორწმუნე ქრისტიანებიც მიდიან.

ამ ადამიანებისთვის ტყვეობაში გატარებული დღეები უკვე საშინელ მოგონებად იქცა. ქართველი მშვიდობიანი მოსახლეობა თავისი სახლ-კარის სადარაჯოზე მანამდე იდგა, ვიდრე საკუთარი კერიის დაცვას თავისუფლება არ შესწირა. ყოფილი ტყვეები იხსენებენ, თუ როგორ აღმოჩნდნენ ცხინვალის ციხეში და როგორ ახერხებდნენ იქ არსებული გაუსაძლისი პირობების ატანას...

ეთო ყორღანაშვილი

მოხუცმა ცოლ-ქმარმა — გურამ და მარო ხეთერელმა ერთმანეთი ცხინვალის ციხეში რომ იხილეს, ცოტა არ იყოს, გაუხარდათ — მაროს მეუღლე ცოცხალი აღარ ეგონა; არც გურამმა იცოდა, თუ რა ბედი ეწია ცოლს...

გურამი:

— სახლი თამარაშენში გვქონდა. ერთ დღესაც, შინიდან დავინახე, რომ გარეთ რაღაც იწვოდა. ვიფიქრე — გავალ, ვნახავ, ოსმა მაროდიორებმა ცეცხლი ვის სახლს წაუკიდეს-მეთქი... ცეცხლი თივას წაჰკიდებოდა და მეზობლის ღობე იწვოდა. ჩემს 3 თანა-

დალი ბაგალიშვილი

სოფლელთან ერთად, ხანძრის ჩაქრობას შევეცადე. უეცრად სახლიდან ავტომატით შეიარაღებული 2 კაცი (ოსი და რუსი) გამოვარდა. მათ ისე დაგვატყვევეს, რომ ჩემმა ცოლმა ვერც კი გაიგო...

მარო:

— გურამი შინიდან რომ გავიდა, მე და ჩემი მეზობელი ქალი სახლთან, ეზოში ვისხედით. ქმარი რომ აღარ დაბრუნდა, ძალიან შევშფოთდი. მისი ამბავი სად აღარ ვიკითხე, მაგრამ ამაოდ — არავინ არაფერი იცოდა.

ძარცველი ტყვეები ცხინვალის ციხეში

„ერთ-ორ ჭიქას დალევდნენ და „დუბინკებს" გვირტყამდნენ"

მარო
და გურამი

ბოლოს, ავდექი და სახლში შევიკეტე; „კუხნაში" მარტო ვიჯექი. სროლისა და აფეთქების ხმები რომ მესმოდა, შიშით გული მიკანკალებდა. ვფიქრობდი — ახლა სახლშიც შემომეჭრებიან და მომკლავენ-მეთქი. იმ ღამეს არავინ მოსულა. დილა რომ გათენდა, პირი დავიბანე, ქათმებს საკენკი დავუყარე და ისევ „კუხნაში" დავჯექი — ცუდად ვიყავი, ასთმა მაწუხებს. დავინახე, რუსი სამხედროები მოდიოდნენ და გზადაგზა თხილს აკნატუნებდნენ — სახლთან ახლოს, თხილის ბაღი მქონდა. მერე მასხრობა დაიწყეს, ჩემს ეზოში ქათმებს თვლიდნენ და მეუბნებოდნენ: — ბებო, რა კარგი ვარიები დაგიზრდიაო!.. ვუთხარი: — ჰო, შვილო, დავზარდე; თუ გინდათ, დაკალით და შეჭამეთ-მეთქი. ქათმებისთვის ხელი არ უხლიათ, შინ შემოცვივდნენ. ავტომატები რომ ასწიეს, კინაღამ გული შემინუხდა — როგორია, ავტომატებით შეიარაღებული 6 რუსის პირისპირ ავადმყოფი მოხუცი ქალი მარტო რომ დარჩება?! დამამშვიდეს — არაფერს გერჩით, მხოლოდ ის გვითხარი, სახლში ვინმეს ხომ არ მალავო? ვიუარე, მაგრამ ჩემი საცხოვრებელი მაინც საგულდაგულოდ გაჩხრიკეს, მერე კი მხარზე ხელი დამადეს და მითხრეს: ოო, კარგი ბებო ყოფილხარ, რადგან არ მოგვატყუეო!.. 4 დღის განმავლობაში, იმ რუს სამხედროებს ჩემთვის საჭმელი მოჰქონდათ: „ბორშჩი", „პავიდლო", კარაქი... ალბათ, საკვებით მათაც ვინმე ამარაგებდა, იმხელა ჯარს ჭამა-სმა ხომ უნდოდა! მოკლედ, 4 დღის მანძილზე კარგად „შემინახეს", შემდეგ კი ვიღაც შეიარაღებული კაცები — არ ვიცი, ოსები იყვნენ თუ რუსები, თავს დამადგნენ და მიბრძანეს: სახლი დატოვეო. ვეხვეწებოდი — აქვე მომკალით, მინდა, რომ აქ დავიმარხო-მეთქი, მაგრამ მაინც დამატყვევეს. ტანსაცმლის გამოცვლაც ვერ მოვასწარი: ძველი კაბისა და სქელი ნიფხვის ამარას დამატოვებინეს სახლი — ვიღაცებმა თხელი ქსოვილისგან შეკერილი „ტრიკო" მაჩუქეს, მაგრამ პატარა მაქვს... ჰოდა, მომხდურებმა „ვილისში" ჩამსვეს და ცხინვალის ციხეში წამიყვანეს.

გურამი:

— ისიც უთხარი, ქალებმა რომ გცემეს, კისერიც აჩვენე...

მარო:

— არაფერია... ცხინვალში, ვიდრე ციხეში მიგვიყვანდნენ ტყვეებს, გზაში ორი ოსი ქალი შეგვხვდა... კისერში წამომარტყეს... გამწარებულები იყვნენ, ყველა თავის მიცვალებულს ჩიოდა... ციხის საკანში რომ შემიყვანეს, ჩემი ქმარი არ დავინახე?!. გამიხარდა... ბადრაგი გავაფრთხილე, რომ ასთმა მქონდა. ერთი პატარა ხის სკამი მომცეს და იქ ვიჯექი ხოლმე ჩემთვის. ყვირილს ხომ არ ავტეხდი — არიქა, მშია-მეთქი? პრინციპში, ძალიან არც მშიოდა...

გურამი:

— საჭმელს მოგვიგდებდნენ და გვეუბნებოდნენ: ჭამეთ, ჭამეთ, თქვე ღორებოო!..

— რას გაჭმევდნენ?

— „გრეჩიხას" და „კირპიჩი" პურის მეხუთედ ნაჭერს.

მარო:

— ახალგაზრდა ტყვე ბიჭები ციხიდან მიცვალებულების დასამარხად გაჰყავდათ, საკანში დაბრუნებამდე კი ბანდნენ და საჭმელს აჭმევდნენ. დილით ისევ მკვდრების დასასაფლავებლად მიჰყავდათ...

ციხეში მიყვანიდან მეორე დღეს, ქალები შენობის დასალაგებლად გაგვიყვანეს

მანანა გოგიძე, *48 წლის:*

— საერთოდ, ცხინვალის ციხეში ტყვე მამაკაცებს საშინლად ექცეოდნენ, სცემდნენ... ჩვენთან ერთად 94 წლის კაცი — მეორე მსოფლიო ომის ვეტერანი იმყოფებოდა. საბრალოს ცემისგან მხარი ჰქონდა ამოვარდნილი. ოსებს ვეხვეწებოდით, რომ იმ კაცისთვის მაინც მიექციათ ყურადღება. დიდი ხვეწნა-მუდარის შემდეგ, დილეგში „წითელი ჯვრის" წარმომადგენლები ჩამოვიდნენ და ავადმყოფი მოხუცი წაიყვანეს, გარკვეული დახმარება გაუწიეს და ისევ საკანში დააბრუნეს. „წითელი ჯვრის" წარმომადგენლებმა კარგად დაინახეს, რა საშინელ პირობებში უხდებოდა ყოფნა 94 წლის კაცს. ნუთუ იმის საშუალება არ ჰქონდათ, რომ ის მოხუცი მაინც დაეხსნათ ტყვეობიდან?.. მიუხედავად იმისა, რომ ციხეში საკვები თითქმის არ გვქონდა, მაინც ყველაფერს ვიკლებდით, რომ ასაკოვანი, ავადმყოფი მოხუცებისთვის რამე გვეჭმია.

— ციხეში რამდენი ტყვე იყავით?

— თავდაპირველად, 12 ტყვე შეგვიყვანეს. საკანში 3-4 თბილისელი ბიჭი დაგვხვდა. ტყვეები ყოველდღე გვემატებოდნენ, ბოლოს — 162 კაცამდე ავედით. საკანში შუქს რომ ჩააქრობდნენ, ერთი კუსტარული ვენტილატორი გვქონდა და ისიც ჩერდებოდა. აუტანელი სიცხე და სიბინძურე იყო. ტუალეტში წასვლა თუ გვინდოდა, საკანში კარგა ხანს უნდა გვებრაგუნა, რათა ოსებისთვის ხმა მიგვეწვდინა.

— ოსებს ბავშვებიც ხომ არ ჰყავდათ დატყვევებული?

— კი, ჩვენთან ერთად 12 წლის ბიჭუნაც იმყოფებოდა. მას ცუდად არ ექცეოდნენ — ორცხობილას, „პეჩენიას" აჭმევდნენ... ციხეში მიყვანიდან მეორე დღეს, ქალები შენობის დასალაგებლად გაგვიყვანეს. რუსი მაღალჩინოსნების ოთახები დაგვალაგებინეს. ოსები ყოველ წუთს სიტყვიერ შეურაცხყოფას გვაყენებდნენ: ჩვენი მი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიდან ქართველები გაეთრევით და აღრასოდეს მოხვალთ! თქვენი პრეზიდენტი ახლა ცეკვავსო!.. გვითხრეს: მიხეილ სააკაშვილს თავისუფლების მოედანზე ტაშფანდური აქვს გაჩაღებული, ჩვენს გამარჯვებას და საკუთარ დამარცხებას თბილისში ზეიმობსო... გვეგონა, რომ ოსები ამას ჩვენს გასამწარებლად ამბობდნენ, თურმე სიმართლე ყოფილა... რა ეკონცერტებოდა საქართველოს მთავრობას, როცა ბრძოლის ველზე უამრავი ადამიანი დაიღუპა?! ციხეში ფული, პასპორტები, პერანგებიც კი წაგვართვეს. 22 აგვისტოს, როცა ტყვეების ნაწილი გაგვათავისუფლეს, ჩემი პასპორტის დაბრუნება შევძელი.

— **ეს როგორ მოახერხეთ?**

— ერთი ფრანგი ჟურნალისტის თანდასწრებით მოვითხოვე — პასპორტი დამიბრუნეთ-მეთქი, — და რაღას იზამდნენ?! ჟურნალისტმა მთხოვა, მომეყოლა, თუ როგორ გვექცეოდნენ ტყვეებს ციხეში, მაგრამ უარი ვუთხარი, რადგან ოსების გამაფრთხილებელი სიტყვები გამახსენდა: თქვენ კი თავისუფლები ხართ, მაგრამ გახსოვდეთ, რომ აქ ხალხი გრჩებათო... ეს იმას ნიშნავდა, რომ თუ რამე ზედმეტს ვიტყოდით, ციხეში დარჩენილ ქართველ ტყვეებს უფრო მეტ საშინელებებს დამართებდნენ. სამშვიდობოს რომ გამოვდიოდით, ფრანგი ჟურნალისტი მომიახლოვდა. ვუთხარი: არ მსიამოვნებს, რომ ჩემთან ახლოს დგახართ, დიდი ხნის დასაბანი ვარ-მეთქი... გულში ჩამიკრა და ცრემლები წამოუვიდა. მას ციხეში არსებული სიტუაციის შესახებ ყველაფერი მოვუყევი, ოღონდ იმ პირობით, რომ ვიდრე დანარჩენი ტყვეებიც არ გათავისუფლდებოდნენ, მანამდე ჩემს მონათხრობს მასობრივი კომუნიკაციის საშუალებებით არ გაავრცელებდა. მან პირობა შეასრულა.

დათო ბლიაძე, *47 წლის:*

— სოფელ კეხვში ვცხოვრობდი. არეულობა რომ დაიწყო, შინ მხოლოდ მე, დედაჩემი და ჩემი ძმა დავრჩით, ოჯახის დანარჩენი წევრები სამშვიდობოს გავიდნენ. თავდაპირველად, რუსები სოფელს ისეთი სიხშირით არ ბომბავდნენ, როგორითაც მერე... ჭურვების ჩამოყრამ რომ იმატა, გზაზე გავედი. ამ დროს, მანქანით სამმა ოსმა ჩამოიარა. მანქანაში ისე ჩამსვეს, არაფერი უთქვამთ. ცხინვალის ციხეში მიმიყვანეს, სადაც 2 კვირა გავატარე. ერთხელ, შუაღამისას 150 ქართველი კაცი დახვრიტეს. ამას იცი, როგორ მივხვდი? სროლის ხმა ერთი და იმავე ადგილიდან ისმოდა. მეორე დღეს 10-15 ბიჭი დახვრეტილი ქართველების დასამარხად ციხიდან გაიყვანეს. 3 დღის განმავლობაში ამუშავებდნენ. თვითონ ბიჭებმა მითხრეს: მიცვალებულები დაგვამარხვინესო. ციხეში ტყვეებს საშინლად გვექცეოდნენ. ჩხუბისთვის მიზეზი არ სჭირდებოდათ — ერთ-ორ ჭიქას დალევდნენ, დათვრებოდნენ და „დუბინკებს“ გვირტყამდნენ. საკანში გაუსაძლისი სივიწროვე იყო, სუნთქვაც კი გვიჭირდა. როცა ბადრაგმა მითხრა — გამოდიო, ძალიან გამიკვირდა. ჩემთან ერთად მოხუცებიც გაათავისუფლეს. ცხინვალიდან გორში წაგვიყვანეს, გორიდან — თბილისში, მერე კი აქ — რუსთავის მე-17 სკოლაში გადმოგვიყვანეს.

— **თქვენს ძმასა და დედას რა ბედი ეწიათ?**

მანანა გოგიძე

— ჩემი ტყვედ ჩავარდნის შემდეგ, რუსებმა სახლების დაბომბვას მოუხშირეს და მთელი სოფელი მიწასთან გაასწორეს. საბედნიეროდ, ძმამ და დედამ კეხვიდან დროულად გააღწიეს. დღეს ისინი ლტოლვილები არიან და თბილისში ცხოვრობენ, ოღონდ ზუსტად — სად, არ ვიცი.

დალი ბაგალიშვილი, *56 წლის:*

— რამდენიმე წელია, რაც კონფლიქტის ზონასთან ახლოს, სოფელ კეხვში ვცხოვრობდი. სოფლის მკვიდრთა სიცოცხლე მუდმივი საფრთხის ქვეშ იდგა. ორი წლის წინ, ქმარ-შვილი ნაღმზე ამიფეთქდა: ტყეში, შეშის მოსატანად წავიდნენ. უკან რომ ბრუნდებოდნენ, მათ მანქანას ბორბალი წყლის გუბეში ჩაუვარდა, გუბეში კი ტანკსაწინააღმდეგო ნაღმი იდო... ქმარი ადგილზევე გარდაიცვალა, შვილი კი, მიუხედავად იმისა, რომ აფეთქების ძალამ დიდ მანძილზე გადააგდო, მაინც გადარჩა. შეიძლება ითქვას, რომ ტყვიის ქვეშ ვცხოვრობდით. ჩვენს სოფელში გზა გადიოდა, რომლითაც კეხვიდან გორში მივდიოდით ხოლმე. მას ქართველი სამხედროები იცავდნენ. დაახლოებით, ივლისის ბოლოს გორთან მისასვლელი გზა ააფეთქეს.

— **ვინ ააფეთქა?**

— ალბათ — ოსებმა. მაშინ რუსები შემოსულები ჯერ კიდევ არ იყვნენ. ოსები გვიწვევდნენ — სურდათ, ქართველები ავეყოლიებინეთ, ჩვენ ყველაფერს ვითმენდით. სიტუაცია თანდათან იძაბებოდა, 7 აგვისტოს კი ლამის გადაგვიარეს — ისეთი ამბავი დატრიალდა, დედა შვილს არ აიყვანდა ხელში. ციდან ბომბები ცვიოდა. უამრავი ადამიანი დაიღუპა. რუსების მიერ ჩამოყრილმა ჭურვებმა ყველაფერი მიწაში ჩაიტანა. ხალხი სახლებშივე დაიწვა. ჩემმა მეზობლებმა 4-5 დაღუპულის ცხედარი ცელოფანში გაახვიეს და ისე დამარხეს... სანამ სოფელში ვიყავი, ჩემს სახლს ვიცავდი.

— **როგორ?**

— ოსებს წინ ვეღობებოდი. ავტომატის ლულას მომიშვერდნენ ხოლმე, მაგრამ მე მაინც ვეხვეწებოდი: — შვილო, დედა, და ან ბებია არ გყავთ? სახლს ნუ დამიწვავთ-მეთქი. ჩემი სახლი ჩემ თვალწინ გაქურდეს: ხალიჩები, ტელევიზორები, მუსიკალური ცენტრი ჩემს მანქანაში ჩააწყვეს და წაიღეს. ტრაქტორი და „ტაჩკაც“ არ გაგვიჩერეს, ყველაფერი მოგვპარეს!.. ღამით ერთ-ერთი სახლის სარდაფში ვიმალებოდით ხოლმე. ერთხელ იქაც შემოცვივდნენ, ოღონდ სარდაფში არ ჩამოსულან, ვერ მოგვაგნეს. მათი ფეხების ბრაგაბრუგის ხმა გვესმოდა. ერთმანეთს ვეხუტებოდით და ყოველ წამს სიკვდილს ველოდით... მეორე დღეს სოფლიდან წასვლა გადავწყვიტეთ. გზას დილის 4 საათზე დავადექით. რუს სამხედროებს ვკითხეთ, საით წავსულიყავით. გვითხრეს: ცხინვალში წადით, იქ კაციშვილი არ არისო! დაახლოებით, 9 კილომეტრი გავიარეთ. ცხინვალში რომ შევედით, ირიჟრაჟა. გარს ოსი ქალები შემოგვეხვივნენ, გვლანძღავდნენ... შემდეგ მილიციელებს დაურეკეს, რომლებმაც ციხეში მიგვიყვანეს. საკანში 9 დღე გავატარე, ძაღლურად ვცხოვრობდით — ქალები და კაცები ერთად შეგვყარეს, მღვრიე წყალს გვასმევდნენ, გვლანძღავდნენ. ციხის შენობის ქვემოთ, „კლეტკებიან“ სარდაფში ვიყავით. ტყვე ბიჭებს საშინლად აწამებდნენ, გახრწნილ გვამებს ამარხვინებდნენ, სცემდნენ... ოს მოსახლეობას საშუალება რომ ჰქონოდა, ყველა ქართველს დაგვხოცავდა — ქართველები ვეზიზღებოდით. რუსეთი რომ არ ჩარეულიყო, ჩვენ — ქართველები და ოსები ისევ ერთად ვიქნებოდით, ისევ კარგი ურთიერთობა გვექნებოდა... რუსებმა გაგვაუბედურეს!.. ჩემი ცხრადღიანი ტყვეობის მერე, „წითელი ჯვრის“ შუამდგომლობით, როგორც იქნა, გაგვათავისუფლეს... ჰოდა, ახლა ვართ ასე — უსახლკაროდ...

სისხლიანი გარჩევა ბზობის წმინდა დღესასწაულზე

2008 წლის 20 აპრილს, ბზობის წმინდა დღესასწაულზე, მოზარდების მიერ სამების საკათედრო ტაძარში დაწყებული ბოროტი ხუმრობა, არარატის ქუჩაზე სისხლიანი გარჩევით დასრულდა. წირვიდან გამოსულმა ბიჭებმა შეხვედრის ადგილი დათქვეს. დიდი შეხლა-შემოხლის შემდეგ, 17 წლის გიორგი ანდრიაშვილის მოქნეულმა დანამ 16 წლის ირაკლი ჭრელაშვილის სიცოცხლე შეწირა. სისხლისგან დაცლილი მოზარდი საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა.

გიორგი ანდრიაშვილის დაცვის მხარე მომხდარს აუცილებლობით მოგერიების კვალიფიკაციას აძლევს, რასაც გამოძიება არ იზიარებს.

ბრალდებულის დედა მძიმე ემოციების ფონზე, მოგვითხრობს, თუ რა მოხდა იმ საბედისწერო დღეს.



მოკლული ირაკლი ჭრელაშვილი

„ჩვენ ორივეს დაგვეღუპნენ შვილები"

ლიანა ჯარიაშვილი, *გიორგი ანდრიაშვილის დედა:*

— ჩემი შვილი სპორტსმენია, საქართველოს ჩემპიონი სამჭიდში. ევროპის შესარჩევ ტურნირზე წასასვლელად ემზადებოდა. მწვრთნელმა ურჩია, წასვლის წინ ეკლესიაში წადი და ილოცეო. 20 აპრილის დილას გიორგი „სამებაში" წირვას ესწრებოდა, მის მეგობარ გიორგი ჩიტიშვილთან ერთად. მათ უკან მდგომი ბიჭი ინვალიდ სტიქაროსან ბავშვს აწვალებდა — ყურებსა და თავში ურტყამდა. სტიქაროსანი გიორგის წინ იდგა. როცა მობრუნდა, ჩემი შვილი შერჩა ხელში და ჩაარტყა. „ხუმრობა" რამდენჯერმე გამეორდა. გიორგის მეგობარს უთქვამს უკან მდგომისთვის (ვინმე მამარდაშვილისთვის): გაჩერდი, ხომ ხედავ, ეს (გიორგიზე უთხრა) ჰგონიაო. ბიჭმა შენიშვნა იუკადრისა და გიორგი და მისი მეგობარი გარეთ გაიხმო. მათ სამების ეზოში შელაპარაკება მოუხდათ. მეორე მხარეს ჩვენი ბიჭებისთვის უთქვამს, — ჩვენ ამუბნელები ვართ და აქ ზედმეტს არავის ვალაპარაკებთო. ჩემმა გიორგიმ მათი შეჩერება სცადა, — ბზობის დღეს ეკლესიაში ასეთი რამეები არ გინდათო. — თუ აქ არ გინდათ, 12 საათზე ავლაბრის მეტროსთან მოდითო, — უთქვამთ მათ. ბიჭები დათქმულ დროს შეიკრიბნენ, შემდეგ კი არარატის ქუჩაზე გადაინაცვლეს. ადგილზე დაახლოებით 25-30 ბიჭი ყოფილა. მათ ალყაში მოაქციეს გიორგი და მისი მეგობრები, დაახლოებით 7 ბიჭი: დაუწყეს გინება, რაზეც გიორგის მეგობარს, ჩიტიშვილს უთქვამს, წესიერად ილაპარაკეთო. ერთ-ერთ იქაურს მისთვის უზრდელი უწოდებია: როცა მელაპარაკები, ზურგს რატომ მაქცევ? — და სახეში გაურტყამს. გიორგი ჩიტიშვილი მიწაზე დავარდნილა და ცხვირიდან სისხლი წასკდომია. როცა ჩემი შვილი მის წამოყენებას ცდილობდა, მისთვის ვიღაცას კისერში „დუბინკა" თუ სკამის ფეხი ჩაურტყამს. გიორგი დავარდა და გაითიშა. როცა გონს მოვიდა, წამომდგარს 3-4 ბიჭი წიხლებით სცემდა. გიორგი კარატისტია და მათი მოგერიება არ გასჭირვებია. ამის შემდეგ დაუნახავს, ვიღაც ბიჭი დანით ხელში მისკენ მოიწევდა. გიორგიმ თავდამსხმელს მარჯვენა გადაუგრიხა, მარცხენა ხელით დანა წაართვა და მოგერიების მიზნით, დანის ქნევა დაიწყო. სწორედ ამ დროს მოხვდა ირაკლი ჭრელაშვილს გიორგის მოქნეული დანა. თვითმხილველები ჰყვებოდნენ, ისეთი ამბავი იყო, ვინ ვის ურტყამდა, კაცი ვერ გაიგებდაო. გიორგი და მისი მეგობრები გაიქცნენ, ტაქსი გააჩერეს და სასწრაფოდ გაეცალნენ იქაურობას. გიორგიმ ვერც გაიგო იმ დროს, რომ მისი ხელით ბიჭი დაიღუპა. ეს ამბავი ტელევიზიით შეიტყო და ლამის ჭკუიდან შეიშალა. როცა ისნელებს დადეკნებული ირაკლის მეგობრები უკან დაბრუნებულან, ბავშვი უკვე სისხლისგან იყო დაცლილი, საავადმყოფოში მიყვანამდე გარდაიცვალა. სულ იმას ვფიქრობ, ნეტავ, ის ბავშვი ცოცხალი გადარჩენილიყო, რას არ მივცემდი ამისათვის?! ექსპერტის დასკვნის თანახმად, ირაკლის დანა აორტაში მოხვდა. ქურთუკი რომ სცმოდა, იქნებ გადარჩენილიყო... დავდივარ ეკლესიაში და მისი სულისთვის ვლოცულობ, ღმერთს პატიებას ვთხოვ... ვერ ამიხსნია, რატომ დატრიალდა ეს ტრაგედია მაინცდამაინც ბზობის დღესასწაულზე. გიორგი დინჯი, გაწონასწორებული ბიჭია, არასდროს ქუჩურ გარჩევებში არ მიუღია მონაწილეობა. არც დანა სდებია ჯიბეში. მოცურავეც იყო, კარატისტიც და საკუთარი ძალის იმედი ჰქონდა. მე და ჩემმა მეუღლემ ამ ერთადერთ შვილს შევწირეთ ყველაფერი. ძალიან განვიცდით, ის ბავშვი გიორგის მიზეზით რომ დაიღუპა. დაიღუპა ჩემი შვილიც, რომელიც ადამიანად აღარ ვარგა, ოთხ თვეში სულ გაჭაღარავდა, დღედაღამ ლოცულობს, განიცდის და ამბობს, — თუ ციხიდან გამოვალ, ბერად შევდგებიო. პედაგოგი ქალი ვარ, ქართულ ენასა და ლიტერატურასთან ერთად, აღსაზრდელებს პატრიოტიზმს, სიკეთესა და კაცთმოყვარეობას ვასწავლიდი. ახლა გაუბედურებულ დედად ვიქეცი, ყველაფერი ამაოა ჩემთვის. რას წარმოვიდგენდი, თუ ასეთი თავზარი დაგვეცემოდა?! ჩემი მეუღლე მხატვარია, ინვალიდი, ძალიან მძიმედ არის, მეც ფსიქოტროპულ წამლებს ვსვამ. დედა ვარ, ვიცი, ძალზე მძიმე ფაქტი მოხდა, მაგრამ მინდა, სიმართლე დადგინდეს — გიორგის განზრახ მკვლელობის მუხლს უყენებენ, რაც სიმართლეს არ შეესაბამება, სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს, რომ ბავშვი თავდამსხმელს იგერიებდა და მკვლელობა არა განზრახ, არამედ თავდაცვის მიზნით ჩაიდინა.

ვიცი, ძალიან ძნელია, მაგრამ კიდევ ერთხელ ვითხოვ მიტევებას ირაკლის მშობლებისგან, ჩვენ ორივეს დაგვეღუპნენ შვილები...

ვალხაზ ციდაშელი, *ადვოკატი, გიორგი ანდრიაშვილის ინტერესების დამცველი:*

— პროკურატურამ, რომელსაც საქმეში მტკიცებულებები არ ჰქონდა, ირაკლი ჭრელაშვილის მეგობრებს ჩვენებები შეაცვლევინა. ჩვენ ვამხელდით, რომ მათ წმინდა ადგილას ხულიგნობა ჩაიდინეს და ჩხუბიც მათი პროვოცირებული იყო. თავდაპირველად, მამარდაშვილმა და მისმა მეგობრებმა სიმართლე აღიარეს, შემდეგ ჩვენებებში ყველაფერი გიორგი ანდრიაშვილსა და მის მეგობარს გადააბრალეს. პირველ ჩვენებაში წერდნენ, — არ დაგვინახავს, როგორ ჩხუბობდნენ ირაკლი და გიორგიო, მეორეში, — ერთი-ერთზე ჩხუბობდნენო. პროკურორმა ამ ჩვენებების საფუძველზე ააგო საქმე. ანდრიაშვილი მხოლოდ იგერიებდა მოწინააღმდეგეს და იქ არანაირ განზრახ მკვლელობას არ ჰქონია ადგილი. გიორგის, მისი მწვრთნელებიდან დაწყებული, ყველა ძალზე დადებით, წესიერ პიროვნებად ახასიათებს. 17 წლის ასაკში ჩემპიონი გახდა, ნავარჯიშებია და დანის გარეშეც შეეძლო თავდამსხმელების მოგერიება. მან ირაკლი ჭრელაშვილს დანა წაართვა. როცა იმის მოწმე არ გამოჩნდა, თუ რა მოხდა მათ შორის, ირაკლის მეგობრებს თავი მოუყარეს და ათქმევინეს, ჩხუბიც მათი პროვოცირებული იყო და დანაც გიორგის ჰქონდაო. სხვათა შორის, ჩხუბში მონაწილე 30 ბიჭს ირაკლის მეგობარმა მამა-

რდაშვილმა მოუყარა თავი.

— შემთხვევის ადგილას ირაკლის ძმა, გიორგი ჭრელაშვილიც იმყოფებოდა. მის ჩვენებაში რა წერია?

— ძე ხორციელი არ იყო, ვინც იტყოდა, თუ რა მოხდა სინამდვილეში ამ ორ ბავშვს შორის. თქვენ გჯერათ — ალალმა ძმამ დაინახა, როგორ კლავდნენ მის ძმას და ეს დამალა, ჩვენება არ მისცა?.. 33 წელი პროკურორად ვიმუშავე, 4 წელია, ადვოკატი ვარ და მსგავსი არაფერი გამიგია — ძმამ ძმის მკვლელის ვინაობა დამალოს. ჯერ ამბობდა, — არ დამინახავსო, — მერე ათქმევინეს, — კი, დავინახე, ორნი როგორ ჩხუბობდნენო. იგივე მამარდაშვილსა და ქირიასაც ათქმევინეს. ისინი, ოღონდ ხულიგნობისთვის პასუხისგებაში არ მიეცათ და რა ენაღვლებოდათ?! ღმერთი ნუ მიწყენს და, ირაკლი ჭრელაშვილს მანამდე ორ ბიჭთან უჩხუბია. ამას მისი ძმა აღწერს. მესამე ვინ იყო, არ დამინახავსო. მერე ცვლის, — მესამეც დავინახეო. ჩვენ, პროკურორის გარდა, არავინ გვიპირისპირდება. ირაკლის მშობლებმა არც იციან, ვინ წამოიწყო ეს საძაგლობა და რა მოხდა სინამდვილეში. ისინი საქმეს არ გასცნობიან.

— თუ დადგინდა, ვის ეკუთვნოდა მკვლელობის იარაღი — დანა?

— ტანსაცმლის ქიმიური ექსპერტიზა ჩატარდა. დაზარალებულის შარვლის ჯიბეში აღმოჩენილია მეტალიზაციის კვალი (გამორიცხული არ არის, დანა ყოფილიყო). გიორგის შარვლის ჯიბეში დანის კვალი რომ არ აღმოჩნდა, მერე თქვეს, — ალბათ საქამრეში, ბუდეში ედოო. სპორტსმენ კაცს რაში დასჭირდებოდა დანის ტარება?! პროკურატურა სიყალბეზე წავიდა — ბიჭებს ათქმევინა, გიორგი დანას კი არ იქნევდა, ირაკლის გამიზნულად ჩაარტყა გულშიო.

„ირაკლის გარდაცვალების შემდეგ ორი სასწაული მოხდა"

მანანა მარეხაშვილი, *ირაკლი ჭრელაშვილის დედა:*

— იმ საბედისწერო დღეს სამსახურში ვიყავი, როცა ჩემმა ძმამ დამირეკა, სიმართლე დამიმალა და მითხრა, — ირაკლის თავში ქვა ჩაარტყეს და „არამიანცში" მოდიო. დედა მოუკვდეს, ჩემი შვილი იმ დღეს ეზიარა. მეგობრები როგორც ჰყვებიან, ეკლესიაში უცხოუბნელებმა ყრუმუნჯ ბავშვს დასცინეს. „სამებიდან" რომ გამოვიდნენ, შეხვედრის ადგილი დაუთქვამთ. თუ კაცი იყო და პრეტენზია ჰქონდა, გზაშივე გაერკვიათ ყველაფერი!.. იმ გარეწარს ჯგუფი შეუკრებია, სამი ტაქსით მოსულან, თან დანაც წამოუღია. მკვლელის მეგობარი და ბიძაშვილიც აღიარებენ, გიორგიმ თქვა, — ორჯერ ჩავარტყი დანა, არიქა, გავიქცეთო!.. იმ ქალბატონს შვილი საგარეჯოში ჰყავდა დამალული, პოლიციამ მესამე დღეს იპოვა. ტელევიზიით უჩვენეს, როგორ აღიარებდა ჩემი შვილის მკვლელობას. დანაზე თქვა, — არ ვიცი, სად გადავაგდეო. ნეტავ ეპოვათ, ნამდვილ პატრონს დაადგენდნენ და აღარ იტყოდნენ, გიორგისი იყოო. საუბედუროდ, ადვოკატი გვიან ავიყვანე — ორი თვის შემდეგ. სად მეცალა მაგისთვის? შვილს დავტიროდი! ირაკლის მეგობრები, რომლებსაც ჩემი შვილი ხელში ჩააკვდათ, იმ დღესვე წაიყვანეს სამმართველოში და



ირაკლი (შუაში) დაძმასთან ერთად

შოკში მყოფებს, ადვოკატის გარეშე ართმევდნენ ჩვენებებს. მათ გახსენებული მომენტების ჩამატების უფლება დაიტოვეს. იმ მხარის ჩვენებები კი მკვლელობიდან მე-12 დღეს არის ჩამორთმეული. მათი უბედურება ისაა, რომ დედა მკვლელ შვილს ხელს აფარებს. უნდათ, ციხიდან გამოიხსნას და ცოდვას ცოდვაზე ამატებენ. მთელი ჩემი ცხოვრება შვილების სწავლა-განათლებასა და წესიერ აღზრდას მოვანდომე. პანაშვიდზე მისი მოძღვარი, მამა თეიმურაზი მოვიდა „სამებიდან", სასახლესთან მუხლებზე დაეცა და ირაკლის კოცნიდა. „სამება" 40 დღე ნაკურთხ ღვინოს გვიგზავნიდა, მისი სულის მოსახსენიებლად. მოუკვდეს დედა, მთელ უბანს უყვარდა. უბანში შადრევანი გააკეთეს და „ჭრელოს წყალი" დაარქვეს... ექსპერტიზის დასკვნაში წერია, ირაკლის 16 სმ-ის სიღრმეზე აქვს დანა ჩარტყმული, ფილტვი კი — გახეული და ეს არ არის განზრახ მკვლელობა?! პირველი დარტყმა ჯვარმა „მიიღო", რომელიც ირაკლის გულზე ეკიდა და გაიღუნა, მერე კიდევ ორჯერ ჩაურტყამს. ჩემს შვილს უთქვამს, — ვაიმე, ბიჭებო, მგონი, ვკვდებიო! — და მალე სული დაულევია. მკვლელის დედას უნდა, მუხლი შეაცვლევინოს და მალე გამოიყვანოს ციხიდან, რათა კიდევ მოკლას კაცი... ორივე შვილს მიკლავდნენ: ჯერ უფროსს, გიორგის ამოარტყეს მთელი ძალით წიხლი ფეხებს შუა (კარგა ხანს უროლოგიურში ემკურნალობდით), ბავშვი გონწასული დავარდა მიწაზე. გონს როცა მოვიდა, ძმა გათავებული დახვდა. ხელში ჩააკვდა, ემუდარებოდა, — არ დამტოვოო!.. მკვლელი სასამართლოზე ისე ცინიკურად იქცეოდა, თითქოს ჭიანჭველასთვის დაედგას ფეხი, მეგობრებს თვალებს უპაჭუნებდა. პირველმა ადვოკატმა, როგორც ჩანს, მდგომარეობა ვერ შეუმსუბუქა, აიყვანეს მეორე, რომელიც სიტყვებით. და ფსიქოლოგიურად გვანადგურებს. ჩემი ძმისთვის უთქვამთ, — ორი შვილი კიდევ ხომ დარჩათ, ეს დედისერთაა, სპორტსმენი ბიჭია და ხომ არ უნდა გავწიროთო?! წარმოგიდგენიათ?! ჩემი ორმეტრიანი შვილი მიწაში წევს, ეგ კი ციხიდან გამოვა და მთელი ცხოვრება წინ აქვს. მოუსპეს ჩემს შვილს სიცოცხლე, ოცნებები, მე კი ცოცხალ მიცვალებულად მაქციეს... იურიდიულზე აპირებდა ჩაბარებას... სამი წლით უფროს, სტუდენტ ძმას ტყუპისცალივით წამოეწია სიმაღლეში... ამ პატარა ბიჭმა იმდენი სიკეთის დათესვა მოასწრო!.. ყველა მადლობას მიხდის მისი აღზრდისთვის. იმ მკვლელმა კი, 18 წლისამ უკვე იმდენი ბოროტება ჩაიდინა: გავიკითხეთ, — სკოლაშიც და უბანშიც მისით ყველა შეწუხებული ყოფილა. არ უნდა აგოს პასუხი იმისთვის, რომ ჩემს შვილზე მხოლოდ მოგონებებიღა დამიტოვა?!. მას შემდეგ, რაც ირაკლი გარდაიცვალა, ორი სასწაული მოხდა: 28 აგვისტოს, მარიამობის დღეს მის საფლავზე ავედით, უამრავი ხალხი იყო. თეთრი მტრედი მოფრინდა, მამამისის მანქანაზე შემოჯდა. არავის გვერიდებოდა, 15 წუთი იჯდა, შემდეგ, საფლავის ბოძზე გადაინაცვლა და გაფრინდა. მამა თეიმურაზი მამშვიდებს — შენი შვილი ღმერთმა ანგელოზად აირჩიაო... მეორე ის იყო, ირაკლი როცა სამების ტაძარში ესვენა, კათოლიკოს-პატრიარქი მოიწვიეს და იცით, რატომ?.. ჩემს შვილს სარკმლიდან უეცრად სახეზე კაშკაშა სხივი დაეცა. მე სახეს ვუკოცნიდი, — მზე გეფერება-მეთქი. მამაო სასწაფოდ ზევით ავიდა: პატრიარქს შეატყობინეთ, ფერისცვალება მოხდაო... მოვიდა უწმინდესი, ლოცვები წაიკითხა და მანაც იგივე თქვა, — სასწაულის მომსწრენი გავხდითო...

მარინე ბერიძე, *ჭრელაშვილების ინტერესების დამცველი ადვოკატი:*

— ქალბატონო მარინე, რა მტკიცებულებები არსებობს საქმეში, რომელიც ადასტურებს, რომ გიორგი ანდრიაშვილმა განზრახ მოკლა ირაკლი ჭრელაშვილი?

— მე გახლავართ გარდაცვლილი ირაკლი ჭრელაშვილის ოჯახის ინტერესების დამცველი. წინასწარ გამოძიებაში არ ვმონაწილეობდი, ვინაიდან ოჯახმა, გარკვეული მიზეზების გამო, ადვოკატი გვიან აიყვანა. ანდრიაშვილის მხარეს აქვს პრეტენზია, რომ ბრალდებულმა დანაშაული აუცილებლობით მოგერიების ფარგლებში ჩაიდინა. მე, როგორც ჭრელაშვილის წარმომადგენელი, ვადასტურებ, რომ საქმე გვაქვს არა განზრახ მკვლელობასთან, არამედ — განსაკუთრებით მძიმე პირობებში, ხულიგნური ქმედნა გრძნობებით, განზრახ მკვლელობასთან: ანდრიაშვილმა ჭრელაშ-

ვილს მიაყენა შემავალი ჭრილობა, მძიმე დაზიანებით, რომელმაც სიკვდილი გამოიწვია. საქმეში არსებობს მოწმეთა ჩვენებები, მაგრამ ბრალდებული დუმილის უფლებით სარგებლობს.

— ვის ეკუთვნოდა და სად ინახება ამჟამად დანა, რომლითაც ირაკლია მოკლული?

— ექსპერტიზამ დაასკვნა და ამას მოწმეებიც ადასტურებენ, რომ დანა ირაკლი ჭრელაშვილის არ იყო. მისი რომ ყოფილიყო, მეტალის ნაწილაკები ანდრიაშვილის ტანსაცმელზე არ აღმოჩნდებოდა. თანაც, ეს ნაწილაკები ერთი და ორი დღის არ ყოფილა, რაც იმას ადასტურებს, რომ ბრალდებული დანას ატარებდა. დავუშვათ, დანა ირაკლისი იყო და გიორგიმ წაართვა. გაქცეულიყო, რაღას ურტყამდა გულში?!. დანა, როგორც ნივთმტკიცება, საქმეში არ დევს. როგორც ჩანს, ანდრიაშვილმა სადღაც გადააგდო.

— ექსპერტიზის დასკვნაში რა წერია — რამდენი და რა სახის ჭრილობა აქვს მიყენებული გარდაცვლილს?

— ჭრელაშვილს მიყენებული აქვს არა ერთი, არამედ სამი ჭრილობა. მას დანა განზრახ აქვს გულში დარტყმული. განა შეიძლება, გაქნეულმა დანამ გულის სილრმეში 16 სმ-ზე შეაღწიოს?! ირაკლი ადგილზევე, 5 წუთში გარდაიცვალა. ჭრელაშვილის გარდა, ანდრიაშვილის მეგობრებმა „მტირალა კლდიდან" მეიფარიანი გადააგდეს, რომელიც ძლივს გადარჩა... ირაკლის ყველა უაღრესად კეთილშობილ ბავშვად ახასიათებს. იგი ეკლესიაში დადიოდა, ლოცულობდა, სამების ტაძრიდან, ზურაბ ჟვანიას შემდეგ, მხოლოდ ირაკლი გამოასვენეს...

— ბრალდებულის დაცვის მხარის განმარტებით, ირაკლის მეგობრებს გამოძიებამ ჩვენებები შეაცვლევინა, რათა ანდრიაშვილისთვის ბრალი დაემძიმებინათ. ასეა?

— 30-მდე ბავშვია დაკითხული. მკვლელობის დღეს ისინი თავიანთ ჩვენებებში, — არ ვიცი, არ დამინახავსო, — წერდნენ. მათ გამოძიებამ დეტალები შემდგომ დააკონკრეტებინა. მათაც დაწერეს, როგორ ამოიღო დანა ანდრიაშვილმა ბუდიდან, როგორ ჩხუბობდნენ და როგორ დაარტყა დანა. რაღა შორს წავიდეთ, ანდრიაშვილის ბიძაშვილი ჩვენებაში წერს, როგორ უთხრა გიორგიმ, — ჩხუბი მომივიდა, ბიჭს დანა დავარტყი და მგონი, შემომაკვდაო... რაც ყველაზე აღმაშფოთებელია, ანდრიაშვილის მხარე სულაც არ მიიჩნევს თავს დამნაშავედ, სინანულის განცდა არ გააჩნია.

სასამართლო პროცესი 18 სექტემბერს გაიმართება და სავარაუდოდ, გიორგი ანდრიაშვილს, აუცილებლობით მოგერიების ნაცვლად, განზრახ მკვლელობის მუხლს წაუყენებენ, რაც 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს. ■

„ადამიანს, რომელმაც 30 ათასი ლარი ვერ გადაიხადა, 24 წლით აღუკვეთეს თავისუფლება"

2007 წლის თებერვალში სამართალდამცველებმა ორგანიზებულ დანაშაულში ეჭვმიტანილი ხუთი პირი დააკავეს. მათ ტაქსების გატაცებაში ედებოდათ ბრალი. დამნაშავეთა ჯგუფის წევრები თბილისი-ქარელის ტრასაზე ერთი სცენარით „მუშაობდა", — აჭყავდათ ტაქსი, თანხას წინასწარ იხდიდნენ, შემდეგ ქარელის გადასახვევთან მძღოლი მანქანიდან გადაჭყავდათ, ხელებს სკოჩით უკრავდნენ, ხოლო მანქანა მიჰყავდათ. აღსანიშნავია, რომ გამტაცებლები მსხვერპლს ლმობიერად ექცეოდნენ — არ სცემდნენ, მეტიც, ხელებს ისე უკრავდნენ, რომ მძღოლს შეეძლო გათავისუფლება და პოლიციამდე მისვლა. გატაცებული ავტომობილები დღემდე დაუდგენელ პირს ცხინვალში გადაჰყავდა და იქ ახდენდა მათ რეალიზაციას, გამტაცებლებს კი თავის წილს აძლევდა. დამნაშავეები ძვირად ღირებულ, უმეტესად „ბე-ემ-ვესა" და „მერსედესის" მარკის ავტომანქანებს ირჩევდნენ. როგორც ჩანს, დამკვეთის მოთხოვნას ასრულებდნენ.



2007 წლის თებერვალში სამართალდამცველებმა აიყვანეს დანაშაულში ეჭვმიტანილი სამი პირი — ხუციშვილი, გამრეკელაშვილი და გორგაძე, რომლებსაც ორგანიზებულად ჩადენილი ყაჩაღობისთვის, თავისუფლების უკანონო აღკვეთისა და ავტომანქანის ტექპასპორტის მითვისებისთვის ბრალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 179-ე მუხლის მე-4, 143-ე მუხლის მე-4 და 363-ე მუხლის ნაწილით წაუყენეს. დაახლოებით ერთი თვის შემდეგ, მარტში აიყვანეს კიდევ ორი ეჭვმიტანილი — ლიკა ბარათაშვილი და ზაზა სხირტლაძე. საქმეს ქარელის რაიონის, შემდგომ კი ხაშურის რაიონული სასამართლო იძიებდა, რომელმაც იმავე წლის ნოემბერში ბრალდებულებს 24 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯა. ლიკა ბარათაშვილმა, რომელსაც ბრალი დანაშაულის დაფარვაში ედებოდა, აღიარა დანაშაული, ითანამშრომლა გამოძიებასთან და საპროცესო შეთანხმების საფუძველზე გაათავისუფლეს. დაცვის მხარის განმარტებით, ხაშურის რაიონის პროკურატურამ დამნაშავეებს მოთხოვნა წაუყენა — თუკი ისინი ითანამშრომლებდნენ გამოძიებასთან და დანაშაულს აღიარებდნენ, 30 ათასი ლარის სანაცვლოდ, საპროცესო შეთანხმებას გაუფორმებდნენ. ამ მოთხოვნის დაკმაყოფილება მხოლოდ ორმა — გორგაძემ (რომელსაც ბრალი დანაშაულის ორგანიზებაში ედებოდა და 14 წელი ჰქონდა მისჯილი) და გამრეკელაშვილმა შეძლო. სასამართლომ გირაოს გადახდის შემდეგ გორგაძეს 5 წლით, ხოლო გამრეკელაშვილს 10 წლით აღუკვეთა თავისუფლება. თანხის უქონლობის გამო ხუციშვილმა და სხირტლაძემ ვერ გააფორმეს საპროცესო შეთანხმება და შესაბამისად, 24-წლიანი სასჯელი ძალაში დარჩა.

ზაზა სხირტლაძის ადვოკატი, ლია ჭაჭუკაშვილი განაჩენს სრულიად უკანონოდ მიიჩნევს, ვინაიდან მისი დაცვის ქვეშ მყოფის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულება არ არსებობს.

ლია ჭაჭუკაშვილი:

— დაკავებულმა სამმა პიროვნებამ ითანამშრომლა გამოძიებასთან და აღიარა დანაშაული. პირველი ინსტანციის სასამართლოში მათ უარყვეს, რომ ჩაიდინეს დანაშაული და განმარტეს, რომ პირველადი აღიარება პროკურორის ზეწოლის შედეგი იყო. ხაშურის პროკურორი როზა სამუშია მათ შეეპირდა, — თუ საქმეს გამახსნევინებთ და დანაშაულს აღიარებთ, გირაოს საფუძველზე გაგათავისუფლებთ, წინააღმდეგ შემთხვევაში, 24-წლიანი სასჯელი გელოდოთ. სასამართლო პროცესებზე სამუშია ამტკიცებდა, რომ ბრალდებულებმა ჩვენებები თავისივე სურვილით დაწერეს და მხოლოდ აპელაციის ეტაპზე აღიარეს დანაშაული. პროკურორმა ერთს 14 წლით, მეორეს — 10 წლით თავისუფლება აჩუქა. არც ერთ ბრალდებულს ზაზა სხირტლაძისთვის ხელი არ დაუდვია.

— თუ სხირტლაძეს ხელს არავინ ადებს და არც თვითონ აღიარებს დანაშაულს, მაშინ რის საფუძველზე გამოუტანეს ასეთი მძიმე განაჩენი?

— გამოძიება წინასწარ გამოძიებაში ერთ-ერთი დაზარალებულის მიერ მიცემულ ჩვენებას ეყრდნობა. ამოცნობის ოქმში ჩაწერილია, რომ მან ზაზა სხირტლაძეს დაადო ხელი, როგორც ყაჩაღობის მონაწილეს. ამის შემდგომ დაზარალებული აღარ გამოჩენილა და არც გამოძიებას შეუწუხებია თავი მისი მოძებნით. მიუხედავად ამისა, დაზარალებულის ჩვენება სასამართლოში, სრულიად უსაფუძვლოდ, დამატებით მტკიცებულებად დაურთეს საქმეს. დაზარალებულის თქმით, მანქანა მას მეგობრისგან ჰქონდა ნაქირავები. გამოძიებას არც ნამდვილი მესაკუთრე მოუძებნია.

სასამართლოზე ხუთიდან ორი დაზარალებული გამოცხადდა. აქედან მეორე დაზარალებულმა, რომელიც ხშირად დადიოდა ხაშურის სასამართლოში და წინასწარი გამოძიებისას სხირტლაძეზე ამბობდა, — გვერდით მეჯდა და მისი სახე სიცოცხლის ბოლომდე არ დამავიწყდებაო, — პირველი ინსტანციის სასამართლოში ხელი ხუციშვილს დაადო. ეს გამაოგნებელი ამბავი იყო, თუმცა სასამართლომ რეაგირების გარეშე დატოვა. მანამდე სხირტლაძის წინააღმდეგ სხვა მტკიცებულება არ არსებობდა.

— როდის და რა ვითარებაში დააკავეს ეჭვმიტანილები?

— ეჭვმიტანილები ერთ-ერთ ტაქსიში ისხდნენ, როცა დააკავეს, ბრალდების თქმით, დანაშაულის მომზადების ეტაპზე — ანუ მათ ჯერ კიდევ არ ჰქონდათ დანაშაული ჩადენილი. აღნიშნული ტაქსის მძღოლი სასამართლოზე გამოცხადდა და სიცილით იკითხა, — გამაგებინეთ, რატომ ვარ დაზარალებული და რატომ მიბარებთ, ვის რაში სჭირდებოდა ჩემი დანჯღრეული „ოპელიო“? ზაზა სხირტლაძე კი თბილისში, შინ აიყვანეს ერთი თვის შემდეგ. სხირტლაძე იცნობდა გამრეკელაშვილს, რომელმაც თქვა, — ერთ-ერთი გატაცებისას ზაზა სხირტლაძე ლიკა ბარათაშვილთან ერთად ჩემთან იყო, მაგრამ არც იარაღი ჰქონია და არც ყაჩაღობის შესახებ იცოდა რამეო. ლიკა ბარათაშვილის ჩვენებით, ის ზაზასა და მის მეგობრებს ტაქსის გაჩერებაზე შეხვდა და ქარელში გაჰყვა საქეიფოდ. საქმიდან ჩანს, რომ როცა ლიკა და ზაზა მიხვდნენ, რას აპირებდნენ ბიჭები, მათ შეეკამათნენ. ამას ადასტურებს დაზარალებულიც. შემდეგ ბარათაშვილი და სხირტლაძე ტაქსიდან ჩამოვიდნენ და ცალკე განაგრძეს გზა. ბარათაშვილი მანამდე ჰყავდათ პატიმრობაში, ვიდრე ზაზას არ დაადო ხელი.

— რის საფუძველზე ითხოვდით სხირტლაძის მიმართ გამამართლებელ განაჩენს?

— გამამართლებელ განაჩენს ვითხოვდი იმიტომ, რომ სხირტლაძის მიმართ მტკიცებულება არ არსებობს და მისთვის 24 წელი არ უნდა შეეფარდებინათ. სხირტლაძემ აღიარა, რომ ბარათაშვილთან ერთად მართლა იმყოფებოდა იმ ტაქსიში და პოლიციას არ შეატყობინა მოსალოდნელი დანაშაულის შესახებ, ვინაიდან გამრეკელაშვილი მისი მეგობარი იყო. თუკი მოსამართლემ ლიკა ბარათაშვილს ბრალი დანაშაულის დაფარვისთვის წაუყენა, რატომ არ გაიმეორა იგივე სხირტლაძის მიმართ? ვინც დანაშაული მართლა ჩაიდინა, მათ საპროცესო გარიგების შემდეგ 10 წელი დაუტოვეს და ზაზა სხირტლაძემ თითქმის მთელი ცხოვრება ციხეში უნდა გაატაროს, როცა მის მიმართ მტკიცებულება არ არსებობს? მოსამართლეს პროკურორის ნების გარეშე უფლება არა აქვს, განსაზღვროს სასჯელი. სწორედ ამის გამო ნაკლებად მძიმე დანაშაულისთვის, ადამიანს, რომელმაც 30 ათასი ლარი ვერ გადაიხადა, 24 წლით აღუკვეთეს თავისუფლება. ■

რუბრიკა მოამზადა ანანო გაგუამ

Seat-ის სიახლე

ამ ცოტა ხნის წინ კომპანია „სეატმა“ ჰეჩბეკის — Ibiza — ახალი ვერსიის პირველი ფოტოები გაავრცელა. მანქანას ტრადიციისამებრ, Cupra ეწოდა. წარმოდგენილი სურათების თანახმად, Seat Ibiza Cupra-ს ახალი, დიდი ცხაურის მქონე წინა ბამპერი დაუმონტაჟდება. ამასთანავე, სხვაგვარად გაფორმდება ძარას უკანა ნაწილი, რომელსაც დამატებითი სავენტილაციო დიფუზორები, აგრეთვე ახალი დიზაინის 17-დუიმიანი საბორბლე დისკები ექნება. მანქანის სალონში სპორტული სტილის სავარძლებსა და ალუმინით გაწყობილ სატერფულებსაც დააყენებენ. ავტომობილი 180 ცხ.ძ. სიმძლავრის მქონე, 1,4-ლიტრიანი, ბენზინის მოტორით აღიჭურვება, რომელიც შვიდსაფეხურიანი, რობოტიზებული გადაცემათა კოლოფით იმუშავებს. ჰეჩბეკის დინამიკური მახასიათებლები ამ ეტაპზე ცნობილი არ არის, თუმცა ზოგიერთი უცხოური გამოცემის მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, მისი მაქსიმალური სიჩქარე დაახლოებით 230 კმ/სთ იქნება, ხოლო 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა 7,5 წამზე ნაკლებ დროში განავითარებს. ბაზარზე Ibiza Cupra-ს გატანის ვადა და ფასი ჯერჯერობით უცნობია. ■

„სიტროენი“ პარიზის ავტოშოუსთვის ემზადება

პარიზის საერთაშორისო საავტომობილო გამოფენაზე, რომელიც წლევანდელ ოქტომბერში გაიხსნება, კომპანია „სიტროენი“ ახალი კონცეპტუალური კროსოვერის წარდგენას გეგმავს, რომელსაც Hypson ჰქვია. სიახლის შესახებ ამომწურავი ინფორმაცია ჯერჯერობით არ გავრცელებულა. ამჟამად მხოლოდ ისაა ცნობილი, რომ პროტოტიპი 200 ცხ.ძ. სიმძლავრის აგრეგატითაა აღჭურვილი. ფრანგული მარკის მონაცემებით, კონცეპტუალური კროსოვერი 100 კმ მანძილზე მხოლოდ 4,5 ლ საწვავს მოიხმარს, ხოლო გამონაბოლქვის დონე თითოეულ კმ-ზე 120 გრამია. ამ ეტაპზე უცნობია, გეგმავს თუ არა „სიტროენი“ კროსოვერის — Hypnos — ანალოგიური სერიული ვერსიის წარმოებას. ■

„ნისანის“ კროსოვერი

კომპანია „ნისანმა“ გააკეთა განცხადება, რომლის თანახმადაც, მის მიერ შემუშავებული ახალი მოდელი — კომპაქტური კროსოვერი იქნება. წინასწარი ინფორმაციით, იგი ზომით უფრო პატარაა, ვიდრე მოდელი Qashqai. ივნისის დასაწყისში ახალი მოდელის შექმნის შესახებ იაპონური კორპორაციის პრეზიდენტმა, კარლოს გონმა განაცხადა. მისი თქმით, მანქანა პლატფორმაზე — A — იქნება აწყობილი, რომელსაც ახალ თაობაში Nissan *Micra*-სთვისაც გამოიყენებენ. კროსოვერის წარმოება, რომელიც სავარაუდოდ, 2010 წლისთვის გამოჩნდება სარეალიზაციო ქსელში, სანდერლენდში მდებარე ქარხანაში დაიწყება. „ნისანი“ სიახლის წარმოებისთვის 55 მლნ ევროს ინვესტირებას გეგმავს, საიდანაც 6,2 მლნ-ს დიდი ბრიტანეთის ხელისუფლება გამოყოფს. ამ მოდელის გამოსაშვებად ქარხნის იმ სიმძლავრეებს გამოიყენებენ, რომლებიც Micra-ს ამჟამინდელი თაობის წარმოების დასრულების შემდეგ გამოთავისუფლდება, ხოლო ჰეჩბეკის ახალი თაობის გამოშვებას შემდგომ, უკვე ინდოეთში გააგრძელებენ. ■

ავტოალლუმი მაკრეის პატივსაცემად



შარშან სექტემბერში დაღუპული ლეგენდარული მრბოლელის, კოლინ მაკრეის დაახლოებით 1100-მა ფანმა 30 აგვისტოს, „სუბარუს“ ავტომობილებით თითქმის 50-კილომეტრიანი კოლონა მოაწყო და ამით, პატივი მიაგო სპორტსმენის ხსოვნას. შემდეგ, კოლინის სახლიდან, რომელიც ლანარკში მდებარეობს, კოლონა ბენბარში მდებარე კომპანიის — Prodrive — ტრეკისკენ გაემართა. კოლონას მრბოლელის მამა, ჯიმი მაკრეი რალისთვის განკუთვნილი „იმპრეზით“ მიუძღვოდა (სწორედ ამ მანქანას მართავდა დაღუპული ავტოპილოტი). თვითმხილველთა თქმით, მთელი კოლონის გავლას ზოგიერთ დასახლებულ პუნქტში 20 წუთზე არანაკლები დრო დასჭირდა. თითქმის 500 კმ-ის გავლის შემდეგ, მეორე დილით კოლონა Prodrive-ს შტაბბინასთან მივიდა. იქ კოლონის ფანებმა 1086 ავტომობილისაგან მისი სახელი — COLIN MCRAE — შეადგინეს, რომლის სიგრძემაც თითქმის მილნახევარი (დაახლოებით 800 მ) შეადგინა. ამ მაჩვენებლით, აღნიშნული ღონისძიება გინესის რეკორდების წიგნში მოხვდა. კიდევ ერთი რეკორდი დაამყარეს მრბოლელის თაყვანისმცემლებმა ტრეკის დატოვებისას, როდესაც ერთი და იმავე მარკის ავტომობილებით მსოფლიოში ყველაზე დიდი აღლუმი მოაწყვეს. ■

ᲐᲘᲠᲩᲘᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲫᲘᲜᲔ ᲡᲐᲮᲚᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲣᲡᲕᲚᲔᲚᲐᲓ
ინტერნეტ მაღაზია
www.elva.ge
წიგნები და ჟურნალ-გაზეთები

გამოცემის დასახელება	1 ეგზ. ფასი	6 თვე
1. МК-МОБИЛЬ	1.70	20.3
2. АВТОМОБИЛИ	8.40	50.4
3. АВТОСЕРВИС	73.85	443.1
4. АВТОМАГАЗИН	3.75	22.3
5. АВТОШКОЛА ПРОФИ	63.70	191.0
6. АВТО - ОБОЗРЕНИЕ	82.80	496.6
7. АВТОПАНОРАМА	8.55	51.2

აგრეთვე ნებისმიერი სხვა დასახელების ჟურნალ-გაზეთები

პრესის გავრცელების სააგენტო „ელვასერვისი“

ქ. თბილისი
იოსებიძის ქ. № 49
ტელ: 42-43-40;
38-26-73; 38-26-74.
ფაქსი: 38-26-74
E-mail: elva@kvirispalitra.com

1 დაფიქრება, ჭვრეტა
2 გარეგნულად სიმარტივე
3 ებრაელთა საღვთისმეტყველო ხმალი
4 რკინიგზის ხაზი
5 მწვანილი
6 ნარკოტიკი
7 ფანრე საქართველოში
8 რუმბოული ავტომობილი
9 კურორტი გურიაში
10 ბოსტნეული
11 საშუალო მასალა
12 ბანაკი
13 კოლხეთის მთავარი მეფე
14 ქვეყანა ევროპაში
15 ჭადრაკის ფიგურა
16 ... პუგაჩოვა
17 ბალერინა ... ნიორაძე
18 ჩრდილო-პოლარული მხარე
19 გამტარებული ელენერგია
20 მედიის წინა მხარე
21 ამერიკელი მწერალი
22 ფულის ერთეული ყაზახეთში
23 პირველი ქალი
24 მოტოციკლეტი
25 საორტოული პერანგი
26 ციტრუსი
27 საქართველოს ბანკების მინისტრი
28 იაპონური პოეზიის ჟანრი
29 ...ლის თანა
30 უნაკლო ბრილიანტი
31 ნაბიჯი ბალეტში
32 აზიური ქვეყნის დედაქალაქი
33 საბავშვო საბოვარი
34 სუფრიანელი ან სამფლობელი ლოცვა
35 დიდი ვაზნა
36 ...ტრომ
37 სამკუთხა მცენარე
38 მუხარშავი ან შეუწველი
39 შეაზილი მემამულე
40 მინაური ცხოველი
41 ქვეყანა სამხრეთ ამერიკაში



წინა ნომრის სკანვორდის პასუხები

1. ლეპტოპი; 2. პრაიდი; 3. დოგი; 4. მინდია; 5. საინი; 6. რეგენტი; 7. დონ; 8. ახო; 9. აისი; 10. დასტა; 11. სნუკერი; 12. სიცილია; 13. კოპერფილდი; 14. ტიტა; 15. კარაკალი; 16. ბატონი; 17. არენდა; 18. ანემია; 19. რექტორი; 20. სანტიმეტრი; 21. კანადა; 22. მატერიკი; 23. მი; 24. სეინერი; 25. საპონი; 26. პაჯერო; 27. ნანა; 28. მეხიკო; 29. კოკა; 30. პიკნიკი; 31. დამასკი; 32. ბოლი; 33. დღე; 34. ნეპალი; 35. ილია; 36. ონდატრა; 37. რინგი; 38. ბოილერი.

სურათებზე: ლეონარდო დი კაპრიო; კეიტ ბლანშეტი.

რამდენად იოლად ეგუებით რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებს?

რთულ ცხოვრებისეულ სიტუაციებში ადამიანები სხვადასხვაგვარად იქცევიან: ერთნი, შედარებდით იოლად ეგუებიან უსიამოვნებებს და ამჯობინებენ, რომ ცხოვრების დინებას მიჰყვნენ; მეორენი, ძალზე ემოციურად გამოხატავენ უკმაყოფილებას და გამუდმებით თავბედს იწყევლიან, მაგრამ საბოლოო ჯამში, ისინიც ეგუებიან შექმნილ სიტუაციას, თანაც ისე, რომ ფაქტობრივად, პრობლემის გადაჭრას ვერ ახერხებენ. მესამენი, საკუთარ ნაჭუჭში იკეტებიან და პრობლემებზე თვალის დახუჭვას ამჯობინებენ. მეოთხენი, კიდევ უფრო სხვაგვარად იქცევიან და ა.შ. ქვემოთ მოყვანილი ტესტის მეშვეობით თქვენ გაარკვევთ, ცხოვრებისეულ პრობლემებთან გამკლავების როგორი უნარით გამოირჩევით.

1. უყვებით თუ არა სხვებს საკუთარი პრობლემებისა და უსიამოვნებების შესახებ?

ა) არა, რადგან მიგაჩნიათ, რომ ამით არაფერი გეშველებათ — 3;

ბ) დიახ, თუკი საამისოდ შესაფერისი თანამოსაუბრე გყავთ — 1;

გ) ყოველთვის არა, რადგან სხვისთვის მოყოლა კი არა, ზოგჯერ ამაზე ფიქრი თავადაც გიჭირთ — 2.

2. რამდენად მძიმედ განიცდით უსიამოვნებებს?

ა) ყოველთვის მძიმედ განიცდით — 4;

ბ) ეს დამოკიდებულია გარემოებებსა და საქმის ვითარებაზე — 0;

გ) ცდილობთ, მოთმინებით აღიჭურვოთ, რადგან ეჭვი არ გეპარებათ იმაში, რომ ნებისმიერ უსიამოვნებას აქვს დასასრული — 2.

3. თუკი თქვენ საერთოდ არ ეკარებით ალკოჰოლს, გამოტოვეთ ეს შეკითხვა და გადადით შემდეგზე. ხოლო თუკი სვამთ სპირტიან სასმელებს, განმარტეთ, რა მიზნით?

ა) იმ მიზნით, რომ საკუთარ პრობლემებზე დარდი ღვინით გაიქარვოთ — 5;

ბ) იმ მიზნით, რომ დროებით მაინც გადააყოლოთ გული — 3;

გ) დროდადრო, უბრალოდ იმიტომ სვამთ, რომ კარგ გუნებაზე დადგეთ და უფრო თავისუფლად იგრძნოთ თავი — 1.

4. როგორ იქცევით, როცა რალაცით ძალზე შეწუხებული ხართ?

ა) ცდილობთ, მოდუნდეთ და აკეთებთ იმას, რის უფლებასაც სხვა დროს ნაკლებად აძლევთ თავს — 0;

ბ) მეგობრებს სტუმრობთ — 2;

გ) საკუთარი თავის სიბრალულით აღვსილი, შიგნიდან ფეხსაც არსად ადგამთ — 4.

5. როგორ იქცევით, როცა თქვენი ახლობელი ადამიანი გულს გტკენთ?

ა) საკუთარ ნაჭუჭში იკეტებით და საერთოდ არავის ეკონტაქტებით — 3;

ბ) ახსნა-განმარტებას ითხოვთ მისგან — 0;

გ) გაუთავებლად ამ თემაზე ლაპარაკით ირგვლივ მყოფებს თავს აბეზრებთ — 1.

6. ბედნიერების განცდის წუთებში, როგორი რეაქცია გაქვთ?

ა) ასეთ დროს გადატანილი უბედურება აღარც კი გახსოვთ — 1;

ბ) გეუფლებათ იმის შიში, რომ ბედნიერების წუთები ხანმოკლე აღმოჩნდება — 3;

გ) არასოდეს გტოვებთ იმაზე ფიქრი, რომ ამ ცხოვრებაში უამრავი უსიამოვნო რამ არსებობს — 5.

7. რა აზრის ხართ ფსიქიატრებზე?

ა) ნამდვილად არ ისურვებდით მათ პაციენტად ყოფნას — 4;

ბ) მათ უამრავი ადამიანის დახმარება შეუძლიათ — 2;

გ) ადამიანმა თავად, ფსიქიატრის გარეშე უნდა შეძლოს საკუთარი თავის დახმარება — 3.

8. თქვენი აზრით, გწყალობთ თუ არა ბედი?

ა) მუდმივად გდევნით ბედი-მდევარი — 5;

ბ) უსამართლოდ არ გწყალობთ ბედი — 2;

გ) ბედი გწყალობთ — 1.

9. მეუღლესთან ან საყვარელ ადამიანთან ჩხუბის შემდეგ, როცა სიბრაზე შედარებით განელებული გაქვთ, რაზე ფიქრობთ ხოლმე?

ა) იხსენებთ იმ სასიამოვნო მომენტებს, რომელიც მასთან ერთად განგიცდიათ — 1;

ბ) ოცნებობთ ფარულ შურისძიებაზე — 2;

გ) ფიქრობთ იმაზე, რამდენი რამის ატანა მოგიხდათ მისგან — 3.

ტესტის შედეგები

7-15 ქულა: ამ ტიპის ადამიანები იოლად ეგუებიან უსიამოვნებებს, სწორად აფასებენ შექმნილ სიტუაციას და ინარჩუნებენ სულიერ წონასწორობას.

16-26 ქულა: ამ ტიპის ადამიანები ყოველთვის ვერ ახერხებენ ცხოვრებისეული უსიამოვნებების ღირსეულად ატანას. ხშირად კარგავენ წონასწორობას და თავბედს იწყევლიან. სირთულეებთან შეჯახებისას გამუდმებით ნერვებაშლილები არიან და სხვებსაც ცუდ ხასიათზე აყენებენ.

27-36 ქულა: ამ ტიპის ადამიანებს ცხოვრებისეულ უსიამოვნებებთან ნორმალურად გამკლავების უნარი არ შესწევთ. რთულ სიტუაციებზე ისინი ფსიქოლოგიურად არაადეკვატურად რეაგირებენ.

ჰოროსკოპი

(11 - 17 სექტემბერი)

ვერძი

ეცადეთ, უფრო გულღია იყოთ, ამით მეტ სიმპათიასა და თანადგომას დაიმსახურებთ, რაც წინსვლის საწინდარი გახდება. თქვენთან ურთიერთობაზე ნურავის დაატანთ ძალას და ნუ გექნებათ იმის იმედი, რომ მეგობრობას სიყვარულად აქცევთ.

ხუთი

ნაყოფს გამოიღებს თქვენი სტუმრობა სახელმწიფო მოხელეებთან და სოციალურ დაწესებულებებში. მიენდეთ შინაგან ხმას, ინტუიცია დაგეხმარებათ, იპოვოთ გამოსავალი რთული სიტუაციიდან. ნუ ჩაებმებით აზარტულ და სარისკო საქმეებში.

ტყუპი

ერთი მცდარი ნაბიჯის გამო შეიძლება დაკარგოთ ის, რისთვისაც წლების განმავლობაში იღვწოდით. ახლა ბევრი მუშაობა არ ღირს, ვერც საქმეებს დაასრულებთ და ჯანმრთელობასაც გაიუარესებთ. იზრუნეთ იმაზე, რომ მუდამ დასვენებული და გამოძინებული იყოთ.

ქიმიტხიტი

დროულად დაასრულეთ ის საქმეები, რომლებიც მხოლოდ თქვენ არ გეხებათ. კარგი დროა, ახალი შენაძენებისა და კავშირების დასამყარებლად. ფულადი დანაზოგი ჯობს დაგეგმილ საქმეებს მოახმაროთ, რათა უაზროდ არ დაგეხარჯოთ.

ლომი

პროფესიულ ასპარეზზე არ ღირს ნაჩქარევი გადაწყვეტილებების მიღება. ნუ დათანხმდებით თავბრუდამხვევ შემოთავაზებებზე, იმ შემთხვევაშიც, თუ მათი განხორციელება სავსებით შესაძლებელი გეჩვენებათ. კრიზისულ ვითარებაში გაფრთხილდით, რადგან დიდია უბედური შემთხვევების ალბათობა. მოუფრთხილდით ძველ სიყვარულს.

ქალწული

ადვილად იპოვით იმ არგუმენტებს, რომელთა საშუალებითაც გადმოიბირებთ საჭირო ხალხს ჩაფიქრებული პროექტების განსახორციელებლად. საყვარელმა ადამიანმა გული რომ არ დაგწყვიტოთ, ეცადეთ, არ ეუხეშოთ მას და არ გამოამჟღავნოთ თქვენი აგრესიულობა.

სასწორი

მიგიზიდავთ დახვეწილი და მაღალი წრის საზოგადოება. ახალი შთაბეჭდილებები მოღვაწეობის სტიმულს მოგცემთ. შესაძლოა, თქვენმა რჩეულმა სიყვარული აგიხსნათ. არსებობს ბავშვის ჩასახვის ალბათობაც, ამიტომ თუ ეს თქვენს გეგმაში არ შედის, ყურადღება არ მოადუნოთ.

ღრეჩიმდი

გამოამჟღავნებთ ძალაუფლების მოხვეჭის სურვილს და ავტორიტარულობას როგორც ახლობლებისა და ნათესავების, ისე თანამშრომლების მიმართ. სამსახურში დაწყებული ფლირტი ამ კვირას სიყვარულის ახსნით შეიძლება დასრულდეს. ძალზე კომუნიკაბელური იქნებით, რაც დაგეხმარებათ საჭირო ინფორმაციის მიღებაში. კარგად გამოიძინეთ.

ეფვიდდლისაფი

შესაძლოა გაებათ კონფლიქტურ სიტუაციაში, რაც თქვენში აგრესიულობასა და გაღიზიანებას გამოიწვევს. მოუფრთხილდით ჯანმრთელობას და ეცადეთ, არ გაცივდეთ. საიდუმლო კავშირების დამყარება გაგიუმჯობესებთ განწყობილებას და სასიცოცხლო ძალებს შეგმატებთ.

ისრის ტყა

შესაძლოა, გაგიჩნდეთ ყოვლისშემძლეობის შეგრძნება, რის გამოც თავს ნებას მისცემთ, აკეთოთ ყველაფერი, რაც გსურთ. ფულადი სახსრების სწორი გადანაწილებით შეძლებთ სასურველი დანაზოგის მოგროვებასაც. ნუ იფიქრებთ წარსულ სასიყვარულო ურთიერთობებზე და ნუ აჰყვებით ჭორებს.

ეთიწყუდი

შეიძლება გამოჩნდეს თქვენი ძველი ნაცნობი, რომელიც მატერიალურ და მორალურ დახმარებას გაგიწევთ. გამოიყენეთ დროის ეს მონაკვეთი თქვენი ყველაზე პატივმოყვარე გეგმების განსახორციელებლად. სასიყვარულო ურთიერთობები დარეგულირდება.

ოთვზეტი

ამ დროს დაწყებული საქმეები შრომატევადი, მაგრამ ძალზე მომგებიანი იქნება. ენერგეტიკული პოტენციალის ზრდას ოჯახური პრობლემების მოგვარება მოჰყვება. რომანტიკული ურთიერთობები მრავალფეროვანი და ვნებიანი იქნება, თუმცა ეჭვიანობის საბაბიც ბევრი გაგიჩნდებათ. შესაძლოა უცხოელებისგან საინტერესო შემოთავაზებები მიიღოთ.

ფინა ნომრის სუდოკუს პასუხები

სუდოკუ

იაპონური სენსაცია

2	6	3	8	4	5	9	1	7
5	4	7	1	6	9	8	2	3
8	9	1	7	2	3	6	5	4
1	2	9	3	8	6	4	7	5
4	8	5	2	9	7	3	6	1
3	7	6	4	5	1	2	9	8
6	3	8	5	1	2	7	4	9
9	5	4	6	7	8	1	3	2
7	1	2	9	3	4	5	8	6

4	3	1	7	5	6	9	8	2
5	2	6	9	8	1	3	4	7
7	8	9	4	2	3	1	6	5
3	7	4	6	9	2	8	5	1
9	1	8	3	7	5	6	2	4
6	5	2	1	4	8	7	3	9
1	4	3	5	6	9	2	7	8
8	6	7	2	1	4	5	9	3
2	9	5	8	3	7	4	1	6

9	5	2	1	3	8	6	4	7
4	7	3	2	9	6	5	1	8
8	6	1	5	4	7	3	9	2
6	9	4	7	8	5	1	2	3
2	8	7	6	1	3	9	5	4
1	3	5	4	2	9	7	8	6
3	1	6	8	5	4	2	7	9
7	2	8	9	6	1	4	3	5
5	4	9	3	7	2	8	6	1

* მარტივი

7				6			8	
	6		2			5		9
		9			1	4		
		7		5				8
		6		1	9	7		
2					8	9		
		4	1			6		
5		2			6		3	
	3			2				5

* * * საშუალო

		4		7			1	
					2	4		
		2			8		6	
	3			4				9
6					5			7
2				6	7		8	
	7		5			3		
		5	7					
	2			8		9		

* * * რთული

	1			8				3
	9			5				
2			7					6
	8				3			1
		2	6	7		3		
3			4				6	
5					1			9
				4			3	
7				6			4	

ფოტოკუთხეები

საბა SABA

პირველი ელიტური სახლი გურამიშვილზე

ბინა შენდება
PASCHAI-ის (გერმანია)
სამშენებლო ტექნოლოგიის
სრული გამოყენებით

ლიმალელი — გურამიშვილი

PASCHAI

ბინები 65 m^2 – დან
თანამედროვე ლიფტი
სუპერმარკეტი
საბავშვო ბაღი
აფთიაქი
სამედიცინო ცენტრი
მიწისქვეშა ავტოსადგომი
დაცვა
კაფე – ბარი
იზოლირებული,
კეთილმოწყობილი
ეზო 5000 m^2
მოპირკეთებული ქუჩა და
მიმდებარე ტერიტორია
თეთრი კარკასი

ინდივიდუალური გადახდის სისტემა

☎ 38-91-92 45-17-17 65-41-00
877-77-70-77 899-35-90-00

გურამიშვილის 78 (მეტრო "გურამიშვილთან")

სიახლე!!! ხელშეკრულება გატარდება სახელმწიფო რეესტრში